



2017/9

ყოველთვიური ლიფერაცენტრი
სამსონიერო ქუჩაზე

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილეები
ბალათერ არაბული
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი
ანდრო ბუაჩიძე
თამარ გელიტაშვილი
ელია მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და დიზაინი
ქეთევან მერკვილაძე
თამარ გელიტაშვილი

გარეკანზე – ჰაინრიხ ბიოლი

ქუჩაზე
თბილისის მუნიციპალიტეტის
თანამდებობაში
მთავარი რედაქტორი

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1
ტელ.: 2-98-36-43
ciskari1852@gmail.com
<https://www.facebook.com/ciskari1852>



სარჩევი

პროგრამა	პრინციპის ბიოლოგიური – 100	
ლაშა ხეცურიანი აგვისტოს ჩუმში ³ მხურვალება მოთხოვთ	მანანა პაიჭაძე პაინრის ბიოლი და საქართველო	83
პრეზენტაცია	ახალი თარგმანები	
ნუციკო დეკანოზიშვილი ლექსები ⁴¹	პაინრის ბიოლი სამი მოთხოვთ თარგმნა ხათუნა თოდუამ ინგლისური პოეზია თარგმნები	91
პროგრამა	ნინო სამურკასოვმა	105
ლალი ბრეგვაძე-კახიანი ფილისტერის ვნებანი მოთხოვთ	და გიორგი ხულორდავაძე	
კრიტიკა. ისეისტიკა	რაუნიონით პატარებს	
ანდრო ბუაჩიძე მინდიას მეტამორფოზა ⁷⁰	ვასო გულეური ლექსები	112
მარიამ მირესაშვილი	კრიტიკი	
ქართველის იმაგოტიპი თანამედროვე აფხაზურ მწერლობაში ⁷⁷	ალინა ქადაგიშვილი როცა ფერები შენთან მოდიან	119

ლაშა ხეცურიანი



აგვისტოს ჩუმი მხურვალება

ნებიერად მიწოლილიყო ფეხი გრილი ოთახის ჭახტზე. შხაპიდან ახლად გამოსულს ტანი სანახევროდ შეემშრალებინა; სხეული წყლის უფერული კრისტალებით დასცვაროდა და პატარა, თეთრი „ვაფლის“ პირსახოცი ფაქიზად, სიგრძეზე დაეფარებინა იქ, სადაც უნდა დაეფარებინა. ქალაქს შუადღის ხვატი უტევდა. შემთხვევითი გამვლელის აჩქარებული, თითქმის ისტერიკული ნაბიჯების ხმა ძლივს არღვევდა უპაერო სიმშრალეს და ისე მოულოდნელად მიწყდებოდა, თითქოს ამ მინელებულ ჩქამებს პატრონი არასოდეს ჰყოლოდა. ფეხიმ ზანტად მოხარა ფეხი და თქვა:

წყეული უდაბნო... უანგბადი ბუნებრივი სახით არსებობს თუ აღარ? – ზერელედ სუნთქავდა, მოშიშვლებული მკერდი მკვრივ ბორცვებად ასკუპდა სხეულზე და მაცდუნებლად უტოკავდა, როდესაც პატარა, თეთრ პირსახოცს ისწორებდა, ტანის მთელ სიგრძეზე რომ გადაეფინა. სავარძელში კაცი ჩამჯდარიყო, სიგარეტს ეწეოდა და ელიმებოდა. ამწუთას იმ გარემოებას გაემხიარულებინა, რომ პირსახოცისა და სხეულის სითეთრე სხვადასხვა ტონალობისა გახლდათ, თუმცუ უცნაურად ერწყმოდნენ ერთმანეთს. ნიუ-იორკის ბარებში წინა წელს დაკრული “Acid Jazz”-ის უცნაური მელო-

დია ფარფატებდა გაიშვიათებულ ჰაერში. ხმის გამაძლიერებლიდან ხილულ, მატერიალურ ფორმებად გამოსული ნოტები ჩვეულებრივი საუბრის მოსასმენი ზომისანი იყვნენ და სრულიად დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ, ოთახში მყოფთა შეუწუხებლად. სცენამ და სიტუაციამ „შეშლილი, შეშლილი, შეშლილი სამყაროს“ პერსონაჟების სასაცილო მომენტი ამოუტივტივა გონებაში და ფეხის მიმართა:

ჩვენი და-მების ეპოქის დეჟავიუ მაქვს, რა გამახსენდა...

ერთხელ, საახალწლო დღესასწაულებზე მშობლები სტუმრად წავიდნენ. წინა დღეს, 31-ში, მამამ საახალწლო საჩუქარი – მრგვალბაბინებიანი სტერეომაგნიტოფონი მოგვიტანა; საძინებლიდან გამოსულს საოცარი სცენა გადამეშალა: დები რაღაც უცნაურ მოძრაობებს აკეთებდნენ და მუსიკის ტაქტში ირწეოდნენ. ალბათ, ექვსი წლისა ვიქნებოდი; იმას კი ვხვდებოდი, რომ ეს შენელებული მოძრაობები ცეკვა უნდა ყოფილიყო, მაგრამ სრულიად სხვა ცეკვა, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო იმასთან, რაც კი ნანახი მქონდა. ტაქტში სინქრონულად ისხდნენ, თუმცუ ეგ იყო და ეგ... ორივენი თავ-თავის, ცალკე სამყაროში ჩაძირულიყვნენ. პირდალებული ვუყურებდი და ისე მარ-

ტოსულად ვგრძნობდი თავს, აღარ ვიცოდი, მეტირა, მეყვირა თუ, საერთოდ, გადავკარგულიყავი და ამით დამესაჯა მთელი მსოფლიო. პირველი შემთხვევა გახლდათ, როდესაც უცხო, ჩემთვის მიუწვდომელმა გარემოებამ სრულიად მარტო დამტოვა განებივრებული, ნაბოლარა ბიჭი. ვიდეექი ასე გახევებული დათვალს არ ვაცილებდი მათ. მუსიკა მთავრდებოდა; უფროსი – „დგაფუნა“ ზურგით კედელს მიეყრდნო და ნებანება ჩაცურდა მასზე!.. ხუჭუჭა თმა სახეზე გადმოჰყროდა, თვალები მიელულა და საერთოდ, საერთოდ აღარ ჰგავდა ჩემს მშვენიერ დაიას... საშინელმა მრისხანებამ შემიპყრო და ვიყვირე: – ჩვენებს ვეტყვი, ყველაფერს ვეტყვი!

კედელზე მიყრდნობილმა დგაფუნამ თვალები ეშმაკურად მოჭუტა და იკითხა, მაინც რის თქმას ვაპირებდი მე – პატარა, საზიზლარი ენატანია.

რის მოყოლას? – შევყვირე და ამშეყვირებისას მივხვდი, სათქმელი მაინცდამაინც არაფერი მქონდა. ერთადერთი გზა დამრჩენოდა: ამ უცხო სამყაროსთან დამარცხება რომ არ მეღიარებინა, უნდა დამეცინა მათვის.

რას და, აი, ამას ვაჩვენებ! – კედელს ავეკარი, თვალები მაგრად დავხუჭე და საშინელი მანჭვა-გრეხით ჩაცურდი იატაკზე.

ხედავ, რა კარგად გამოუვიდა?! საოცარია... – შესძახა ნიამ. – ასეთი შესრულება არ მინახავს... კიდევ გააკეთე, რა? – უნდო თვალებით ავხედე ორივეს. სრულიად სერიოზული, მეტიც, აღტაცებული სახეებით მიმზერდნენ. მეც ავდეექი და მეორედ ჩავუყევი კედელს.

ფეხი კისკისებდა და ყურადღებას აღარ აქცევდა თეძოდან ჩამოცურებულ თეთრ პირსახოცს.

„ბრავო! ბრავო!“ – ტაშს მიკრავ-დნენ დები და მკოცნიდნენ. ბედნიერი ბითური – აი, ჩემი სახელი იმ წუთას. ვგრძნობდი, დამცინოდნენ, თუმც უნე-

ბურად მივხვდი, რომ ძალიან მომწონდა ეს მუსიკაც და ასე ცეკვაც.

– შენი ჰიპური ნათლობა... რა საყვარელი იქნებოდი... პატარა ენატანია... ჰა-ჰა-ჰა, – ცოტა ხნით გამხიარულდა ფეხი. ტახტზე გადმობრუნდა, პირსახოცი ამჯერად ვერტიკალურად დაიფარა. სახეზე ლიმილი დასთამაშებდა. აშკარად გაართო ამ ამბავმა.

გახსოვს, ვის უსმენდნენ?

როგორ არა, „Deep Purple“-ის „Fireball“-ში რომ არის, კომპოზიცია – „Anyone’s Daughter“, – არც დაფიქრებულა პასუხზე კაცი.

ჭერს მიშტერებული ქალი ჩუმად ილიმებოდა. ტელეფონი აინთო და ხმა ამოუშვა: ზარი გაისმა. ფეხიმ ხელი გადასწია და დასწვდა: – ჰაუ, ზებო, – გვერდულად ნამოინია და იდაყვს დაეყრდნო. – რას შვები?

დუმილი.

კარგი, კარგი... აუცილებლად გამოვალ საღამოს...

დუმილი.

ჰა-ჰა-ჰა – გადაიკისკისა ხმამაღლა და კაცის გაბეზრებულ სახეს რომ შესედა, შეკრთა, დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით მოიბუზა, – იცი, ახლა სტუმრად ვარ, მერე სახლში უნდა გავიდე, მოვწესრიგდე და მოვალ... – ისევ კაცს გადახედა და სწრაფად დაამატა: – დადაშთან ერთად მოგვიანებით მოვალთ. ხომ გვეყოფა ყველას? – უკანასკნელი სიტყვები კითხვას ჰგავდა, ოღონდ, ისეთ კითხვას, რომელზეც მეორე მხარეს აუცილებელი თანხმობის მეტი აღარაფერი უნდა დარჩენოდა. ადამიანებზე ზემოქმედების მისი ბუნებრივი, თანდაყოლილი ნიჭი ყოველთვის აღაფრთოვანებდა კაცს...

ჯერ კიდევ მაშინ.

ჰეი, როდის!..

სიჭაბუკის ნეტარ მორევში თავდავიწყებით მოყვინთავე დადაში რუხი, თაგვისფერი ქალაქის ერთ-ერთ ბუნაგში სრულიად ფანტასტიკურ, უცნაურ,

მასზე ათიოდე წლით უფროს დამიანეს დაუმეგობრდა. რუხ ქალაქში რამდენიმე მხატვარი ცხოვრობდა, თუმცა, მასზე მხატვრულად – ვერავინ. მუდამ კითხულობდა, მუდამ უსმენდა, მუდამ ხედავდა, მუდამ უყვარდა, მუდამ კაიფობდა, მუდამ სვამდა... საუკეთესოდ ითვლებოდა მთელი თაობის ექიმთა შორის. თავისუფლების ციაგი დაჰქონდა სხეულით და „ნეიტრონი-ვით იზიდავდა გარშემომყოფ პროტონებს“, როგორც მახვილგონივრულად შენიშნა მისი ფიზიკის ლექტორმა. „რაც იუპიტერს ეპატიება, ის არ ეპატიება ხარს“. სწორედ რომ იუპიტერს ჰგავდა, იმდენად თავისუფალი, ცალკე მდგომი გახლდათ უსახური რუხი ქალაქისაგან... ყოველ შემთხვევაში, ასე დაინახა დადაშმა დამიანე. იყო კიდევ ერთი გარემოება, რაც აერთიანებდათ – ორივეს იმ ნინაპრების სახელები ერქვათ, ვისზეც მხოლოდ ჩურჩულით ბედავდნენ საუბარს ოჯახის წევრები. მათი ხსოვნისთვის ლოტოსის ფურცლები უჩუმრად გადაეფარებინათ და ყოველგვარად ცდილობდნენ, ეს უცნაური სახელები რაღაც მოდური ტენდენციისათვის გადაებრალებინათ. 24 წლის აჯანყებას შეენირა ორივე – დანიელი ნიფის გვირაბში ღოლობერიძის მეტყვიამფრქვევემ დახვრიტა, დადაშიკი პენსნეთი ამოიცნო ზებიაშვილმა, რუსებს გააგებინა და ალპანის კომენდატურის კედელთან, ძუძუმტე ონიანთან ერთად, რომელმაც ნათელ-მირონი და ძმადნაფიცი არ მიატოვა, ნითელკოკარდიანი რუსის ტყვიით განგმირული დაეცა. საოცარი ის გახლდათ, რომ ზემოხსენებული ამბები კარგა ხნის დამეგობრებულებმა გაარკვიეს. რაღა თქმა უნდა, იმ დაბოლილ საღამოს ეროვნულ-გენეტიკური შურისძიების შესახებ ამალელვებელი შეხვედრა მოაწყვეს. ღამით, ღვინითა და ერთობით გაბრუებულები, ქალაქის ცენტრალურ მოედანს მიადგნენ და ლენინის ძეგლს დემონსტრა-

ციულად მიაშარდეს. დაცარიელებულ ქალაქში უცნაურად სწრაფად, სოკოებივით ამოყვინთეს ნაცნობ-მეგობრებმა, გაავებულ შურისმაძიებლებს ხელი წაავლეს და სასწრაფოდ გელას სახელოსნოში წაიყვანეს დასამშვიდებლად.

შამპანური, არაყი, პლასტილინი...

სიმართლე ითქვას, არც ფიბიზე უსაუბრიათ არასოდეს. ან კი, რა უნდა ეთქვათ. ცხადი იყო, ჰოლდებს ფიბი უნდა ჰყოლოდა, ფიბის – ჰოლდენი. შემდგარ მოცემულობასთან რაღა ხელი ჰქონდა საზიზლარ, წვრილმან რეალობებს, მაგალითად იმის გარკვევას, ნამდვილად არსებობდა თუ არა იგი...

16 წლის ბიჭისათვის, რომლის გულში მხოლოდ წარმოდგენებსა და წარმოსახვებს ედო ბინა, მარტო სახელიც კი საკმარისი გახლდათ, რომ უზარმაზარი მორალური დილემის წინაშე აღმოჩენილიყო. ეტრუოდა ფიბის, რომელსაც არ იცნობდა. იმავდროულად, საკუთარი გრძნობები საშინელ მკრეხელობად ეჩვენებოდა დამეს წინაშე.

მოკლედ „Pulp Fiction“-ის ყველასათვის ნაცნობი სცენა გათამაშდა; ნანახი გენენებათ – გმირი მორალური ვალდებულებების შესახებ რომ ესაუბრება სარკეში საკუთარ თავს...

ფიბი მასზე ორიოდე წლით იყო უფროსი და ძმასთან ერთად ხშირად ჩნდებოდა სხვადასხვა საზოგადოებაში, სხვადასხვა ამბავში. დადაშის არსებობის შესახებ, რა თქმა უნდა, იცოდა, თუმცა, სახელდობრ, რა – ამას უკვე ვეღლარავინ მიხვდებოდა. მათი გზები არც გადაკვეთილა, ისე გაიყარა... ექვსი წლის განმავლობაში აღარც შეხვედრიან ერთმანეთს – სხვადასხვა ქალაქებში სწავლობდნენ და ანცად დასდევდნენ საკუთარ ახალგაზრდობას.

ვის ეცალა – სიჭაბუკის თავდავიწყება დამდგარიყო... დრო იმდენი ჩანდა, დიდ კოცონებზე იწვებოდა...

მათი მეორე შეხვედრა კინოთე-ატრში მოხდა. ჩვენების დაწყებამდე

გვარიანად ტვინარეულები გიუებივით შეცვივდნენ ის და ალიკო სანახევროდ ცარიელ დარბაზში. ამოჩემებულ სკამზე დაჯდომისას დამეს მოჰკრა თვალი. ერთმანეთს ხელი დაუქნიეს და შუქიც ჩაქრა. ერთი რიგით ქვემოთ იჯდა, მარცხენა მხარეს. ბობ ფოსის “All That Jazz” დაიწყო. „ჩიკაგომ“დარბაზი უცებ მოარჯულა და ფილმის რიტმში ჩასვა. რუხი ქალაქის ჩაბნელებულ კინოდარბაზში რამდენიმე ათეული ადამიანი მღელვარებით შეჰქმურებდა სიკვდილისა და სიცოცხლის მარადიულ თამაშს. ფოსისათვის დამახასიათებელი ბურლესკული ფერები დარბაზს ფენა-ფენა ედებოდა და ჯადოსნური კალეიდოსკოპის ეფექტს ახდენდა. ჯესიკა ლანჯი ისეთ მომხიბლავ სიკვდილს თამაშობდა, დაბოლილ ბიჭს ოდნავ უხერხული გრძნობები უტრიალებდა თავში.

ნამდვილი კინო...

რა თქმა უნდა, დარბაზში ისეთი კატეგორიაც იჯდა, ვისთვისაც ფილმი არანაირ ლირებულებას არ წარმოადგენდა. სწორედ ამგვარი ოთხეული უკანა რიგში ცმუკავდა და გაუთავებლად კამათობდა, გასულიყვნენ თუ არა დარბაზიდან.

ბიჭები მობრუნდნენ.

თუ საბაზრო გაქვს, ჩემი ძმა, გადი და გარეთ იბაზრე! – ალიკო სკამის საზურგებეზე გადაიხარა და ჩანითლებული ლურჯი თვალები მთავარ ტიპს დაასო.

რა? – მეტი ვერაფერი ამოღერლა ტიპმა.

ქვა! გარეთ გაგაგებინებ, გინდა? - ალიკომ საქმე იპოვნა. ფილმი არც მას აინტერესებდა მაინცდამაინც, თუმცა, დიდ სიამოვნებას იღებდა თამამი კადრების ჩვენებისას.

გარეთ რა გვინდა. ფილმს ვუყურებთ. – ბელადის ლირსების აღდგენა დანარჩენებმა სცადეს, ოღონდ ბეჩავად, უძვლოდ იწმარწნებოდნენ.

მამინ უყურეთ და ჩვენც გვაყურებინეთ, – დაკმაყოფილებულმა ალი-

კომ ცერა და საჩვენებელი თითებით კბილებზე მიწებებული ტუჩები აიძრო და გამხმარ სავარძელში ჩაეშვა. უკანა მხრიდან ჩქამი არ ისმოდა. დარბაზში კმაყოფილების სიომ დაპბერა.

საყოველთაო იდილია ხუთიოდე წუთს გაგრძელდა მხოლოდ...

ადექი, გავიდეთ აქედან! – ფეხზე წამოიჭრა უკანა დაჯგუფების დამცრობილი ლიდერი. – ეს რა სირულ კინოზე შემომიყვანეთ!

...მსხვერპლი...

ალიკო თვალის დახამხამებაში გადაფრინდა უკანა რიგში:

შენ ამბობ, რომ სირულ ფილმს ვუყურებთ ჩვენ, ყველანი... მე გეუბნები, რომ შენ თვითონ ხარ სირი! – და ღონიერი ტორებით ოთხივეს მიაწვა.

ქალაქი პატარა იყო, ალიკო – საკმაოდ პოპულარული, სიმპათიური მოჩეუბარი, ამიტომ ყველამ, ვისაც დარბაზის დატოვების რცხვენოდა, სასწრაფოდ ცევიტა ყურები; ხალისით ჩაენერნენ ნამდვილი კინოხელოვნების დამცველთა რადიკალურ რაზმში და წამოიშალნენ. სხვა გზა არ დარჩენოდა დადაშს და ისიც გასასავლელისკენ დაიძრა. ფოიში გასულმა დალანდა, კინოთეატრის წინა, შემაღლებულ ავანსცენაზე იმ უბედური ოთხეულის გარშემო მშიერი სვავების გუნდი უკვე ფრთებს თუ ხელებს იქნევდა. ჩანდა, ალიკოს უკვე ეჯერა გული. მუშტს ისრესდა. თვალებით ერთმანეთს შეეჩენენ და გარეთ მყოფმა ანიშნა, რომ წასვლას აპირებდა. ბიჭმა ხელი დაუქნია და ფილმის საყურებლად შებრუნდა. მარტო ხომ არ დაჯდებოდა, დამეს რიგში შევიდა. მის გვერდით მოკალათდა. დამემ ხელი მხარზე მოუთათუნა. დაჯდა თუ არა, მიხვდა, რომ ფიბის შეხედა წელან, როცა თვალში მოხვდა ფოსის ფერთა გამის ჯადოსნური ანარეკლი უცხოდ ნაცნობი გოგონას სახეზე.

დადაშს ფილმი ათასჯერ მაინც ექნებოდა ვიდეომაგნიტოფონზე ნანახი,

მაგრამ დიდმა ეკრანმა ისე იმოქმედა, რომ კინოს დასრულებისას უკვე შეყვარებული იყო. ჯესიკა ლანჭმა რომ შეიღერი უკანასკნელად ჩაიხუტა.

დარბაზში შუქი აინთო.

ვიგებ შენს ამბებს, როდის ჩამოხვედი?

მივდივარ, მოვდივარ... ამაღამ უნდა წავიდე. დარეკეს, რუსებს იმათვის მსხვილკალიბრიანი დაზგური ტყვიამფრქვევები მიუციათ... გვიპრახუნებენ მაგრად. ეგ მერე იყოს. ახლა ჩემი და უნდა გაგაცნო.

ფიბი, ძვირფასო, გაიცანი დადაშ...

გოგონამ ძმას ახედა და ოდნავ განელილი, სულ ცოტათი გაბრაზებული, მომხიბლავი ხმით წარმოთქვა:

არა. ფიბი არა... ალბათ, ფები გინდოდა, გეთქვა.

მაპატიე, – სახე გაებადრა დამეს, რომელსაც გვარდიის ფორმა ეცვა და ცხინვალიდან ორიოდე დღით ჩამოსულიყო. – აი, გაზრდილი ფიბი, ვინაც საკუთარი სახელი გაპროტესტა და ფები გახდა. ფები, ძვირფასო, გაგახსენდა დადაშ?

დადა? დები ხომ დადას გეძახდნენ. – ეს გოგო ნამდვილად სხვავარსკვლაველი იყო. საშუალოზე ოდნავ დაბალი, თხელი, მაგრამ სავსე სხეული... სადღაც ცის სიღრმეებში მომზირალი დიდი, ჭკვიანი თვალები. თითქოს ცოტა ხნით შეჩერდა დედამინაზე, სულ ცოტა ხნით და ამიტომ ცდილობდა, მეტი შეეცნო, გაეგო, ენახა... და კიდევ, ძმის ხელი ორივე ხელით ეჭირა და სავარაუდოდ, არასოდეს გაუშვებდა.

ყმაწვილკაცი მისთვის უკვე ჩვეულმა თავდაჯერებამ ანაზდად მიატოვა... ხმის ამოღებასაც ვერ ახერხებდა. მცირეოდენი შვება მხოლოდ იმან მოჰვარა, რომ განსაკუთრებულად გულგრილი გამომეტყველებით დაუკრა თავი გოგონას.

„არ უნდა ექნა, დამესთან აშკარად გაყიდა თავი...“

მოღიმარმა დამემ ფეხის გადახედა, რომელიც ძმას თვალს არ აცილებდა, თითქოს რაღაცას სთხოვდა.

კარგი... გავისეირნოთ, მაგარი საღამოა. – თქვა მან.. სამხედრო სამოსი უხდებოდა. – თრიაქი მოგვიბოძა დღესქალაქის ავტორიტარულ-ავტორიტეტულმა საზოგადოებამ... ალბათ, პატრიოტიზმის მორიდებული მხარდაჭერის ნიშნად უნდა მივიღოთ...

ხმამაღალმა სიცილმა მათი ერთობისკენ გადადგა პირველი ნაბიჯი.

ამ გასეირნებას მოკლე ხანში ფეხისთან შემთხვევითი შეხვედრა მოჰყვა... მერე კი, საღამოს, ქალაქის პარკში, გერმანელი ტყვევების მიერ აშენებულ, ხის უზარმაზარ ჩარდახში, სადაც ყოველი ჩემი ექოდ იღვრებოდა, ერთმანეთს აკოცეს.

პრინცესა! ჰიპების პრინცესა! ასეთმა ვნებიანმა და იმავდროულად, სასაცილოდ დამორცხვებულმა კოცნამ, კოცნამ, ამ სიტყვის უსუფთავესი მნიშვნელობით, ბიჭი დაზაფრა. თვალწინდამე ამოუტივტივდა – თავისი უფროსი მეგობარი...

ეს იყო და ეს...

მერე დამე მოკლეს. მოკლეს იქ, სადაც მაშინ კლავდნენ – ომში. დაკრძალვასას, როდესაც სახლიდან საკუთარ ეზოში გამოასვენეს კუბო, ვიღაცის პატარა, თეთრმა ხელმა ფანჯრები გაალო და არეთა ფრანკლინის „I say a little prayer“ მთელ ხმაზე ჩართო. დაკრძალვებსა დაპანაშვიდებში გამობრძმედილი შეკრებილების სახეებზე პირის ნაცვლად შავი ღრმულები დაიხატა, როგორც იმ ნახატშია – ყვირილი რომ ჰქვია. დადაში ცხარედ ატირდა და მას შემდეგ, წლების განმავლობაში, იმ სახლისაკენ აღარც გაუხედავს.

დრო კი მიდიოდა, დრო – ყველაზე ძვირი სიამოვნება, მთელი მსოფლიოს საგანძურზე ბევრად აღმატებული ნომინალი.

ყველაფერი სწრაფად მოხდა, ძალ-

დაუტანებლად, ბუნებრივად. სამყარომ გარემოებათა დასტა მოლიმარი დილერივით დაარიგა...

შესაძლოა, იცნობთ; თქვენ ცხრა სა-ერთო მეგობარი გყავთ, – მათემატიკური სიზუსტით ამცნო ქსელმა. ცოტა ხანში მორიგი ინფორმაცია მიიღო, – თქვენი მოთხოვნა დადასტურებულია. ვირტუალურ მეგობრობას თავისი ხიბლი აქვს – პასუხისმგებლობის ხარისხი დაბალია, შეგიძლია, დაუმეგობრდე, მაგრამ არ იმეგობრო; თითოს ერთი მოძრაობით უმტკივნეულოდ შეიძლება მეგობრის დაბლოკვა, განმეგობრება, გაქრობა...სამაგიეროდ, თუკი მართლა გსურს ურთიერთობა, კეთილი ინებე და წერა-კითხვა ისწავლე...

ზამთრის ბუნიბას, სწორედ მაშინ, როდესაც სტოუნცევის არე ამომავალი მზითა და მიმდევრებით ივსება, რესტავრირებულ და ახლად შედებილ ქალაქში ფეხის დაბადების დღეზე ჩავიდა. დიასახლისი თავის სტიქიაში გახლდათ... იყო სასმელი და მოსაწევი, იყო მუსიკაცი, თუმც უფრო უსმენდნენ, ვიდრე ცეკვავდნენ.

სუფრის გარშემო უცნაურ ადამიანებს მოეყარათ თავი. ეს კაცს სულაც არ გაჰკირვებია – ჰიპების დედოფლის დლეობაზე ჩავიდა, ბოლოს და ბოლოს... იყვნენ ქალის თანამშრომლები ფსიქიატრიულიდან, რომლებიც ისეთი დაძაბულები ისხდნენ, თითქოს ფსიქიატრიულში კი არა, საპავშვო ბალში მუშაობდნენ. ისინი მალე წავიდნენ; გალოთებული, არცთუ ახალგაზრდა მეძავი გამუდმებით სადლეგრძელოს ითხოვდა; მისი პატრონი, მძიმე პრეპარატით თვალგავეშებული ძველი ბიჭი ხანგამოშვებით სწევდა თავს და უმეტყველო მზერას ავლებდა ოთახს. ეს წყვილი სტუმრის კი არა, უფრო თანმხლები პირების სტატუსს აკმაყოფილებდა. ტიპი, რომელსაც ეს უკანასკნელნი ახლდნენ, მსხვილდვალა, მრგვალთვალებიანი, ზორბა მამაკაცი

გახლდათ. მას ზებო ერქვა. ზებო ჩუმად იჯდა და ხაზგასმული თავაზიანობით აფიქსირებდა: გარშემომყოფებს მხოლოდ იმიტომ იტანდა, რომ ფეხის სტუმრები იყვნენ. ერთადერთი ნაცნობი სახე, რომელიც სტუმართა შორის დალანდა, ფეხის დაქალი, სამი შვილის დედა და ოთხი შვილიშვილის ბებია – ნატა გახლდათ. დაქალოჩების სიმცირე თვალში მოხვდა კაცს. „დაბერდნენ, ალბათ“ გაიფიქრა და ნატას გაუღიმა.

უპეებჩაშავებული ფეხი დაჰქროდა მრგვალი მაგიდის გარშემო და ისე ხატოვნად ღელავდა, მისი არმცნობი აუცილებლად იტყოდა, რომ თამაშობდა. სინამდვილეში, ეს ისტერიკული ფორიაქი სრულიად ნათლად წარმოაჩენდა მის იმწუთიერ განწყობილებას. ქალი გადაღლილი ჩანდა...

წლები? არა, წლები რა შუაშია, მას ხომ ეგ არ ეხებოდა – სხვა ვარსკვლაველი იყო... უბრალოდ, უსაშველო დაღლილობა სჭვიოდა მისი არსებიდან. დადაშმა რამდენი კითხვაც დაუსვა, იმედგაცრუებული ქალის პასუხები მიიღო. ერთი, რამაც მისი გული გაახარა, ის ფაქტი გახლდათ, რომ ფეხი მასთან ურთიერთობას ისე ჩაებლაუჭა, უთუოდ წყალწალებულისა და ხავსის ამბავი გაგახსენდებოდათ. თუმცა ამ კეთილგანწყობას გაურკვეველი აჩრდილი დასდგომოდა თავს, ირონიის საბურველში კომფორტულად მოკალათებული შიშის აჩრდილი.

შინ დაბრუნებული კაცი დიდხანს სცემდა ბოლთას ოთახში.

წარმოუდგენელია!..

არ არსებობს!..

რა სჭირს?!

ასე როგორ შეაშინა ცხოვრებამ ჰიპების პრინცესა? – ხმამაღლა ელაპარაკებოდა საკუთარ თავს...

ხომ მაპატიებდი, დამე, ოლონდ ასე არ დაჩაგრულიყო. ოჳ, ღმერთო, რა მარტო ყოფილა...

დილით დარეკა. ქალს პაციენტები ჰყავდა. მერე შუადღისას სცადა – ფეხი

ამჯერად სალონს სტუმრობდა. სალა-
მოს დადაშის ტელეფონი აწკრიალდა.

როგორც იქნა, გავთავისუფლდი,
დამაწვიტეს ნერვები... – ბოდიშს ასე
უხერხულად იხდიდა ყოველთვის.

რა ხდება?

შენთან რა ხდება? მშვიდობა? ხომ
არაფერი გჭირდება?

შეიძლება, რაღაცები კიდეც ხდება,
თუმცა არავის სჭირდება...

აბა, წვრილად მომიყევი, მაინტერე-
სებს.

მეგონა, შენ მეტყოდი წვრილად.

აჲ, შენც წვრილად გაინტერესებს?
მაინც რა?.. ვარ თუ არა ცუდად? არა,
ძალიან კარგად ვარ. უბრალოდ, ვიღ-
ლები, აღარაა დრო?

ყველანი ვიღლებით, მაგრამ შენ
ბევრი მოგსვლია.

ბევრი რამ გადამხდა, დამიგროვდა
სევდა.

არ გინდა, რომ გაიღიმო? ოღონდ
მართლა...

ხომ არ გავიწყდება, მე პრინცესა
ვარ და არა “Lucky Man”-ი... მასავით
ვერ ვიღიმები.

რა მაგარია! შენს გახსენებაზე სულ
ეგ მიტრიალებს თავში. სწორედ, გამ-
თენისას ვუსმენდი პრაისს..

ჩემზე ფიქრის გამო?

არა, ჰიპების პრინცესაზე ფიქრის
გამო.

რა დაასკვენი?

მე ვფიქრობ, არ უნდა გაჩერებული-
ყავი. შენ მწვერვალები უნდა დაგეპ-
ყრო.

კარგი ერთი... – ხმა უფრო მუღლერი
გაუხდა.

ეგრე რა... გაიღიმეთ, მოწყალეო
ქალბატომო. ახლა ხომ ჩვენი შემოდ-
გომის ზაფხულია.

ჰა-ჰა-ჰა... სიტყვა „ჩვენ“ არ გეუც-
ნაურა?

რატომაც არა? „ჩვენ“ ძალიან მომ-
წონს.

თუ მასეა, იქნებ, ზაფხულის შემოდ-

გომაა და არა შემოდგომის ზაფხული?
ასე არ ჯობს?

ჰმ, კარგი იქნებოდა.

რა გჭირს? ზუზუნს ხომ არ დაეჩ-
ვი?

უნდა გითხრა, ამ ბოლო დროს სა-
შინლად მომეწონა ეგ გასართობი, მაგ-
რამ დღეს არ ვიზამ.

გუშინდელი შთაბეჭდილებების გა-
ზიარების გუნებაზე არ ხარ?

შთაბეჭდილებები?.. მმ... ჩემს სტუმ-
რებს გულისხმობ? – მალე მოერია
თავს და საკონცენსაციოდ ტონში სი-
ცივე გააკრთო.

ამ ჯერზე მხოლოდ შენზე შექმნილ
შთაბეჭდილებას ვგულისხმობ, – დაა-
ზუსტა კაცმა.

ერთი წუთით, ფანჯარას მივხურავ,
ქარმა შემოგლიჯა, – გაისმა ნაბიჯები,
მერე ფანჯრის ჩარაზვის ხმაც შემოეს-
მა დადაშს. კიდევ ის იყო, რომ მთელი
ამ პროცესის განმავლობაში ყურმილში
ქალის გახშირებული სუნთქვა ისმოდა.
ბოლოს სავარძელშიც ისეთი შარიშუ-
რით მოთავსდა, რომ კაცმა ეს სცენა
სრულიად რეალურად დაინახა. – აი,
მოვედი, უკაცრავად. – სანთებელას
ჩხაკუნს ნაფაზის დარტყმა მოჰყვა.

აბა, მოვემზადე... რას იტყვი ჩემზე?

შენ ძალიან კარგი გოგო ხარ.

გმადლობთ, ძალიან სასიამოვნოა
შენგან ამის მოსმენა.

სხვა რამეს ხომ არ ელოდი?

შენ გაარკვიე, ეტიკეტს ვიცავ თუ
მსიამოვნებს... – გამოისროლა ქალმა.

ჰო... ვგონებ, აუცილებელი ფორმა-
ლობების ეტაპი დავძლიეთ...

დიდი დანაკარგების გარეშე? –
იკითხა ფეხი.

შეიძლება თამამად ითქვას, მსხვერ-
პლი არ ყოფილა, – ქალის კისკისზე გა-
ეცინა კაცსაც. „რა უცნაურია, ხმა სა-
ერთოდ არ შესცვლია“.

მაშინ, გკითხავ, რაც ძალიან მაინ-
ტერესებს: რატომ ცდილობ გაქრობას,
ფეხი? რატომ კეტავ კარებს? სად არი-

ან შენი მხიარული დაქალები? ნუთუ სიბერის მოახლოებამ დაგამწუხრა? ადრე მგონია ეგ ამბავი; ორი წუთის წინ წამოგცდა, რომ ზაფხულის შემოდგომა გჭირს. ასეთ დინამიკაში ხედავ ამ ეტაპს?

ჰმ... ვეჭვობ, ბევრი კითხვა დამისვი, თანაც ზედმეტად კატეგორიული ტონით, – ოდნავ დაიძაბა ქალი.

ვფიქრობ, ამ კითხვებს სამყარო სვამს, როდესაც შენზე შეაჩერებს მზე-რას... მე უბრალოდ ვამბობ...

ჰოოჳ, კარგი რა, დადა, გუშინ... გუ-შინ შენ გადამარჩინე... გეფიცები, აზ-რზე არ ვიყავი, როგორ შემეტავსებინა თანამშრომლები და დანარჩენებინა ძალიან, ძალიან დიდი მადლობა უნდა გითხრა საინტერესო თემებისთვის... ყველაზე იმოქმედა...

განსაკუთრებით იმ გოგოზე იმოქმედა კონიაქმა, – გაახსენდა კაცს.

იცი, რა უბედურია?

ჰო, ყველაფერი ენერა სახეზე.

ძალიან მეცოდება, ყოველთვის, ყოველთვის უცდილობ, რაღაცით დავასაჩიურო, გავამხნევო. ხომ იცი, ეგაა ჩემი კარმა.

ზუსტად ვიცი, როგორ არ ვიცი, მაგრამ, ისიც მახსოვს, შენს კარმას ყოველთვის ანათებდა სხვავარსკვლავიდან გამოყოლილისხივი.

ჰა-ჰა-ჰა... დადა, ხუმრობ თუ მკერავ? დაუჯერებელია... – გვარიანი პაუზა აიღო და განაგრძო: – რაკი ასე გაინტერესებს, გულახდილად გეტყვი: კარგად ვგრძინობ თავს.

სად? ნახევრად გაგიუებულ თანამშრომლებსა და ამ უცნაურ ხალხში გრძნობ კარგად თავს?! კოლეგებს რომ შევეშვათ, იმ ტიპებთან რაზე საუბრობ? რომ მოწევთ, რას აკეთებთ?.. ფსკერზე დაცემულთა ხსნის გეგმებს განიხილავთ ჭაობში?

დადა, ახლა უკვე შემაწუხებლად კატეგორიული ხარ! ამის მოსმენას არ ვაპირებ. იცოდე, ყურმილს დავკიდებ,

რა უფლება გაქვს?... – ყურმილს იქით ვნებები გამძაფრებულიყო.

მაპატიე, ვერ მოვზომე... მართლავინანიებ, – უკან დაიხია კაცმა. – შენი ხმა რა ტონალობითაც უნდა ისმოდეს, მაინც მსიამოვნებს... კადრები მოდის. გახსოვს, პოკერი რომ ვითამაშეთ? შენ მაშინ კაზინოში დადიოდი ჯენისსა და მის სატრაფოსთან ერთად.

რა უსინდისო ხაარ... რა გამახსენე. შენ ბანქი ჩააწყვე... ნამდვილად ვიცი, რომ ჩააწყვე... – მოგონებამ ფების ხმა გაუბზარა და ალბათ, ოდნავ პულსაციაც აუჩქარდა, რადგან საუბრის ტემპს შესამჩნევად მოუმატა.

როგორ შეიძლებოდა მე რაიმე ჩამენყო, ის ხელი ხომ შენ დაარიგე, – სიცილით იუარა კაცმა.

არ არსებობს, მე ოთხი ქალი მომსვლოდა, შენ კი ოთხი პაპა! ამას არა-სოდეს დავიჯერებ.

კონია ერისთავი, მარიკას ბაბუა, პანაშვიდზე მისულა ერთხელ; ფრიად საბატივცემულო კაცი გარდაცვლილიყო და მთელი ქალაქი შეყრილიყო სამძიმრის გამოსახატვად. მეორე სართულზე ამავალ ქვის კიბეზე მოძრაობა შეჩერდა. სწორედ ამ დროს თავსხმა წვიმამ დაუშვა. რიგი არ იძვროდა. უსაშველოდ დამწუხერებული შუახნის კაცი კარებმი გაჭედილიყო და მთელი ხმით, ისტერიკულად გაჰყვიროდა: „არ მჯერა, ბატონო, არ მჯერა, არ შემიძლია ამის დაჯერება!“ ჭირისუფალი ხმამაღალი ვაებით აძლევდა ბანს. მთელ ამ დრამატულ სცენაში წაგებული ღია კიბეზე შემომდგარი რიგი აღმოჩნდა. კონიამ უცებ შეაფასა საშიშროება, რომ, თავსხმა წვიმის გადამკიდე, შესაძლოა, სხვისი პანაშვიდის ნაცვლად, საკუთარზე ალმოჩენილიყო და შესძახა კარებში გაჭედილს: „რას გეტყვი, იცი, ჩემო ბატონ? ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ. ბიჯოს!“

მცირე ხანს ამავე მოტივებზე გაგრძელდა ლალი საუბარი. საბოლოოდ

ისე აღმოჩნდა, კავშირის ხანგრძლივობას საზოგადოებაში მიღებული ეთიკური საზღვრები არ დაურღვევია.

გამიზნულად, წინასწარგანზრახვით დროულად დასარულეს ლაპარაკი? შესაძლოა, თუმც უფრო დამაჯერებელია, რომ ქვეცნობიერმა იმუშავა – საუბარი ზუსტად იმ დროს დასრულდა, როცა უნდა დასრულებულიყო.

ლამე არცთუ კომფორტულად გაატარეს. ლოგინში ჩაფუთნული ფები ტელევიზორთან თვლებდა, ხანდახან წამოიწეოდა, პულტს ხელს წავლებდა და ავტომატურად რთავდა არხებს. ფერთა, ხმათა და სახეთა რიალი თიშავდა. პულტს მტევნის მისავათებული მოძრაობით მიაგდებდა საწოლის გვერდით მდგარ ტუმბოზე და ისევ გაირინდებოდა. კაცი კომპს მიუჯდა და სტატიების კითხვა დაიწყო. კითხულობდა დინჯად, დაწვრილებით; მითითებულ წყაროებსაც კი ეცნობოდა; ამ ყველაფერს ისე აუჩქარებლად და გულმოდგინედ აკეთებდა, ეჭვი არ იყო, დასაძინებლად წასვლის გადავადების, მარტივი ილეთი მოეძებნა. მეტიც, იმის სპეცულატიური დაშვება, რომ წაკითხულის გარკვეული, საკმაოდ დიდი ნაწილი საერთოდ არ მიჰკარებია მის გონებას, სულაც არ იქნებოდა წარმოუდგენელი

თავი მეორე,

სადაც აღწერილი უნდა ყოფილიყო გაზაფხულის დადგომა... გაზაფხული ყველასთვის დგება... მით უფრო ცხოვლად დგება იმ თაობისთვის, ვისთვისაც, ყოველივე, სიყვარულთან დაკავშირებული, პირველია და განუმეორებლობის მძაფრ შეგრძნებას ტოვებს. ამ ამბის გმირებისათვის ეს დრო კიდევ ერთხელ დადგა – თებერვლის თოვლჭყაპით, მარტის ქარებით, აპრილის ზეიმებით... და ერთი უცნაური ახალი ამბით – ერთმანეთით....

ტრივიალური მიზეზის – რიცხვით უკვე მერამდენე გაზაფხულის შემოსვლის გარდა – მე, როგორც ავტორი,

ოდნავ გადაღლილი ვარ გაზაფხულების საკუთარი აღწერილობებით, რადგან გადაკითხვის შემდეგ მათი სრული უმრავლესობა მძიმე, შეუმდგარ შთაბეჭდილებას ტოვებს. იმის გამო, რომ ჩემი ხელობით ბევრი ვერაფერი შევწირე გაზაფხულის მისტიკური ქანდაკების სამსხვერპლოს, ცხადია, გამიჩნდა სრულიად ბუნებრივი კომპლექსი, რომლის გამოისობით გადავწყვიტე, საერთოდ გამოვტოვო ეს თავი. მაპატიებენ გმირები, რადგან მათ სხვა არჩევანი არცა აქვთ... თუ ასე თამაში არ სურთ, სხვის მოთხოვნაში მოხვდნენ... სიუჟეტურ ხაზში ამ მოკრძალებულ ჩართვას დავამატებდი: გაზაფხულის პოეტიკით დაინტერესებულებს გირჩევთ, ამ თემით დასატებობად ისეთ სერიოზულ ავტორიტეტებს გადაავლოთ თვალი, როგორიც შოთა და უილიამი ბრძანდებიან. და ბოლოს, თუკი მკითხველი მაინც გაჯიუტდება და განაცხადებს, რომ, რადგან გაზაფხულის დადგომა არ არის აღწერილი, წიგნს დააბრუნებს, აქედანვე ვაფრთხილებ, ფულს უკანვერ მიიღებს, რადგან ჩემი ერთგული ბანკი წებისმიერი გადარიცხვისთანავე მიყადალებს ანგარიშს....

...მე ჩემი გითხარით...

(გაურკვეველია, ამგვარი ჩანართები ავტორის სტილია თუ ახირება... ასეა თუ ისე, ამ ეტაპზე ჩვენ გადავწყვიტეთ, ისინი უცვლელად დავტოვოთ. მეორე გამოცემას (საეჭვოა, ამის აუცილებლობა დადგეს...) უკვე აკადემიური რედაქცია მოამზადებს, რომელიც საბოლოოდ დაადგენს, დარჩეს თუ არა ეს გაუგებარი ოპუსები წინამდებარე თხზულებაში. პატ. რედაქცია 2074. ო17.11).

ვერ არი, ხო, მატორზე? – ოთახში ორნი ისხდნენ, ზეპო და სულხანი.

როგორც მოსალოდნელი იყო, სამსალჭალა წელსაც მაგრად მუშაობდა. წამალს მყიდველებთან უკვე ხუთი წლის ბავშვებს ატანდნენ ბარიგები.

ფაქტს ტრუსებში ჩაუჩიურთავდნენ ბიჭუნას და ისიც საქმიანი სახით მოარბენინებდა პაკეტს გზასთან გაჩერებულ მანქანებთან... მოკლედ, ოთხი-ხუთი წლის ბორჩალოელების კუტურები ბევრს ჰქონდა ქალაქში ნანახი. ბევრს, ვის... ე. ნ. მორბენლებს, უფულო, გაბოროტებულ ტიპებს, რომლებიც წინ და უკან მოძრაობაში დღეში სამჯერ იჩერდნენ და თვალსა და ხელს შუა იღუპებოდნენ. სულხანი ამ კატეგორიას არაფრით მიეკუთვნებოდა; იგი „კლასს წარმოადგენდა. წამალი თვითონ პოულობდა მას... ფეხი ძალიან გულშემატკივრობდა სულხანს, რადგან თავგადასავლების მოყვარული ლამაზი, მაღალი ბიჭის ბავშვობამ მის თვალწინ ჩაიარა და სრულიად დარწმუნებული გახლდათ, რომ არა აღზრდისმიერი წაკლულოვანებები, ამ ყმანვილისგან კეთილი, კარგი ადამიანი დადგებოდა და არა ავადმყოფი მონსტრი. ქალის მღელვარება განსაკუთრებით შესამჩნევი ხდებოდა, როდესაც ვიღაც, ამ შემთხვევაში, სუხი (ახლობლები ასე ეძახდნენ) დღიზას უსაშველოდ გაზრდიდა. თავის პირდაპირ მოვალეობად მიაჩნდა, აპსტინენციისაგან გამოწვეული სხვადასხვა პრობლემის თავიდან ასაცილებლად პროფესიონალური რჩევები მიეცა, ნაცნობ ექიმებთან ეტარებინა, ვისაც მყაცრად ავალდებულებდა ავადმყოფის სააქაოზე გამოთრევას. ყოველივე ამას ისეთი წრფელი გულით აკეთებდა, რომ შეუძლებელი იყო, ახალგაზრდა კაცს მისდამი მაღლიერების გრძნობა არ გასჩენდა.

ამდენად, სუხის და არა მხოლოდ, საპასუხო დამოკიდებულება ბუნებრივი აუცილებლობა გახლდათ, რადგან ყველამ იცოდა, რომ ფეხის არასოდეს არავინ მიეტოვებინა გასაჭირში. ზემოხსენებული საზოგადოების დამოკიდებულება ქალისადმი მედლის ერთ მხარეს წარმოადგენდა. სამაგიეროდ, ქალაქის გარკვეულ, ყველასათვის ნაცნობ, სნო-

ბურ-ელიტარულ წრეებში (რომელთა, საზოგადოდ, უღიმდამო ბავშვობის ერთადერთი ნათელი წერტილი, მარადი შურისა და აღტაცების საგანი სწორედ და-ძმის, ჰოლდენი-ფიბის უცნაური ტანდემი იყო), მისი ქმედებები მუდმივი განსჯისა და ჭორაობის საგანი გახლდათ. ქალი მუხლჩაუხრელად განაგრძობდა მოწყალების დის თამაშს. რათქმა უნდა, თამაშს, რადგან ბოლომდე ვერავის დაეჯერებინა, რომ იგი სრულიად უანგაროდ შებმოდა ქალაქელ ნარკომანებზე, ლოთებსა და ათასგვარი დაავადებებით შეჭირვებულ ადამიანებზე მზრუნველობას. საბოლოოდ ყველამ ერთად იპოვნა გამოსავალი, ალბათ, იმწუთას კოლექტიური „ევრიკაც“ შეჰყვირეს და დაასკვნეს, რომ არსებობდა მხოლოდ ორი ვარიანტი: ქალი ან ოდნავ ვერ იყო, ანაც ოდნავ ვერ იყო და თან წამალს იკეთებდა, რის გამოც სოლიდარობის გრძნობა უჩნდებოდა დაავადებული ნარკომანებისადმი. ამ დასკვნის გამოტანის გარკვეული (ფრიად საეჭვო) საფუძველი ნამდვილად არსებობდა – ფეხი გიუდებოდა მოსაწევზე. მისი გახარება თუ სურდა ადამიანს, მოსაწევზე უნდა დაეპატიუებინა. ეს უკვე იმდენად მყარი საბუთი იყო მისი ალტრუიზმის განსაქიქებლად, რომ აზრი აღარ ჰქონდა მტკიცებას, დავასა და კამათს ბალახისა და მძიმე ნარკოტიკების სხვაობის შესახებ... როგორც კი ქალაქის ინტელიგენციამ გამოსავალი იპოვნა, საკუთარ სნობიზმს მშვენიერი ნიღაბი ჩამოაფარა და ქალის მიმართ შემბრალებლურ-შემწყნარებლური დამოკიდებულება დაამკვიდრა.

რას ფიქრობდა ფეხი? იგი ყოველთვის თვლიდა, რომ მისი ხელების თავისუფლება იქ მთავრდებოდა, სადაც სხვისი ცხვირი იწყებოდა. დარწმუნებული იყო, რომ თანაგრძნობა სიყვარულის ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი იყო. ქალაქის აზრი სრულიად არ აინტერესებდა, რადგან სნობებთან

ურთიერთობა ბავშვობიდან აღიზიანებდა – იგი ხომ ფიბის აგრძელებდა!.. რაც შეეხება მოსაწევს, ეს ის კუნძული გახლდათ, სადაც მარტოობისაგან შექმული ქალი მცირე ხნით ახერხებდა ძალების აღდგენას.

...არადა, სულხანზე უნდა გვესაუბრა, თუმცა იქ, სადაც ფები არსებობდა, განა შეიძლებოდა ფერმკრთალ, უსახურ, ბოროტებით დაავადმყოფებულ თუ ავადმყოფობით გაბოროტებულ ტიპებზე დროის კარგვა? ეგენი ხომ ყველგან არიან...

...და მაინც, სულხანის ბიოგრაფია რამდენიმე სიტყვაში მოთავსდებოდა: სკოლა, ქალაქის ქუჩა, ციხე, ქალაქის ქუჩა, რუსეთში მოგზაურობა, ციხე, ქალაქის ქუჩა, ევროპაში ბედის ძიება, ციხე, დეპორტაცია, ქალაქის ერთ-ერთი გასართობი კლუბის მენეჯმენტი.

ნეტავ, მასე იყოს... – ზებო ფულის მსხვილ დასტას ითვლიდა.

არ მითხრა, რომ ნარმალნია... – გაეცინა სუხის. – გიუს თვალები აქვს, ეგენი მაინც ვიცი.

სუხი, ჩემი ძმა, ფსიქიატრის დიპლომი ჰქმდურგის ციხეზე მოგცეს? – სხვათა შორის იყითხა ზებომ. მისი მსხვილი თითები გემრიელად ითვლიდნენ ფულს.

მაგას დიპლომი რად უნდა, – იუკადრისა სულხანმა. – შეხედე, მოუსმინე, რეებს ბოდავს...

არასწორს ბოდავს რამეს? – ფულის თვლა შეწყვიტა ზებომ და სათვალის ზემოდან გადახედა სავარძელში მჯდომს. მერე დასტა უჯრაში ჩააგდო. ფეხზე წამოდგა, მაგიდას შემოუარა და სულხანის მოპირდაპირე მხარეს სავარძელში ჩაჯდა.

არასწორს, რა? – დაიბნა სულხანი. – ისეთ რამეებს ბაზრობს, რომ პონტია, ძმაო... ეგ ისეთი რამეა, ტიპზე რომ იცი, ბოზია და ფაქტი არ გაქვს, თვალი მოკვდა...

რაკი ვერ უმტკიცებ, ამიტომ ამბობ, რომ გიუსია. პასუხსაც აღარ აგებ? გი-

უ თავისუფალია, ხო?.. ეგრე აყომარება ძაზარს, ძმაო? არა!.. ეგ რაღაცას ჩხლართავს... ეგ ზუსტად იმ დროს გაიჩითა, რომელზეც მეუბნებოდნენ.

ვაჲ, მართლა, ტო? – სუხის თვალებში ინტერესმა იელვა. – კანტორაში? – და წარბები მაღლა ასწია.

რაც კი სარკაზმი მოეძებნებოდა სხეულში, ზებომ ერთ გალიმებაში მოაქცია, თავი დანანებით გადააქნია და ისევ ფეხზე წამოდგა.

მოკლედ, „სან-ბაბილას“ ბალის სასტავს უთხარი, რომ ფიბისთან მიმსვლელების აზრზე იყვნენ.

განეწონ?

შენ, მგონი, მართლა გაგაგიუა ამდენმა წამალმა.

ჰო, რა... – ამოიხვნება სუხიმ, როგორც კი საუბარი მისთვის სრულიად გასაგებ თემას შეეხო.

ჰო, ჰო... გამოფხიზლდი, ახლა თუ დაგვენძრა, ბოლომდე დაგვენძრევა. ახლა თუ დავზადნავთ, გადაგვივლიან... ყველაფერი დამთავრდება, სულ ყველაფერი... უნდა ვილოცოთ, რომ ციხე გვაკმარონ... იქაც იმდენს დაგვირიგებენ, გარეთ ვერ გამოვალთ...

აუუ, მაიცა რა, ძმაო! ტორმუზს მიაჭირე! მაგის გასტრალიორი დედაც, ჯეპ... რა გჭირს?!

მაგ კლიენტზე კი არ გეუბნები, ძმაო! მაგ ტიპს მოვაგვარებთ... მთავარია, გავიგოთ მარტოა, თუ ნასედება... მე საქმეს გეუბნები, თუ შენ მზად ხარ... ქალაქში უნდა ავმოძრავდეთ. საჭიროა! გესმის?

წამალი დადონ და ორ კვირაში მთელ ქალაქს დავაყენებთ ფეხზე. გარანტიას ვიძლევი, ქუჩას გადმოვქაჩავ სერიოზულად...

მორფინისტებს, შე ჩემა? წამლის მკეთებლებს ენდობი?

ზებო, ატრაკებ, მე მოვკვდე... პრის-ტუპნიკების ნახევარი მაინც, თუ მეტი არა, წამლის მკეთებელია დღეს. გეუბნები, ფაქტი დაიდება და ორ კვირაში აპარატების დარბაზში ტევა არ იქნება.

გაუჩხირე და მიუშვი... რას ამბობ, ჰმ, – დაასრულა მონოლოგი სუხიმ და სავარძელზე კმაყოფილი გადაწვა.

ეგაა შენი სიტყვა? – თვალი თვალში გაუყარა ზებომ.

ფაქტი დაიდოს, ძმაო, და გეუბნები, არჩევნების დღეს ყველას დავანგრევთ.

არჩევნების დღე უკან გაიკეთე, ვერაფერს როგორ ველარ ხვდები, ბიჭო? სასროლი იქნება, ძმაო! აბა, ცხინვალი რა ჩემს ფეხებად უნდათ, იქიდან უნდა შემოვიდნენ ჩვენები... პოდა, ეგ ამბავი რომ დაიწყება, ისვრი? შეიძლება ისეთიც გაგეჩითოს, რომ იცნობ, გიცნობს, შენი დეიდაშვილის მამიდაშვილის ქმარია... არ ესვრი? მაშინ მოიგებენ და დავიღუბებით. აზრზე ხარ, ეს რა პაზარია?

შენ რა იცი, რომ ეს პაზარია?

ზარმა დარეკა:

ჰომ, როგორ ხარ? – ზებო სავარძლის საზურგეს მიაწვა. – არა, ვისვენებდი. კარგი დრო გავატარეთ გუშინ-ნინ.

შენ როგორ ხარ? – როგორც იქნა, ფეხიმ მოიცალა მისთვის.

გმადლობ, თავად როგორ გიკითხო?

არა მიშავს, ზებო, ოდნავ გადალლილი ვარ. რა ხდება „ენთერთაინმენტში“?

ჰო, მართლა... შენ ხომ აქაც გაგაფორმეთ ამას წინათ და რატომ არ დადიხხარ? – კითხვითვე უპასუხა ზებომ და თან სიცილიც მიაყოლა, უფრო სწორად, ერთი ჩაცინება დაურთო ზედ სიტყვებს.

ჰა, – ჩაიცინა ქალმაც. ზებოს ურუანტელმა დაუხარა. – სამსახურში მოვალ, თუკი რაიმეს დამახვედრებ.

შენ მოდი და დაგხვედრებ, – მოჭრა ზებომ იმ ტონით, რომ ეგრძნობინებინა: „ოღონდ აქ იყავი და ყველაფერი გექნება“.

ძალიან კარგი. თუმცა, მარტო არ ვიქნები.

კაცი დაიძაბა.

ვისზე ამბობ?

ჩემს ნათლულზე, გიოზე ვამბობ. თუ პრობლემაა, არ შეგაწუხებ.

ზებომ ამოისუნთქა.

რას ამბობ?.. ახლავე გამოდით. ასე აჯობებს, მერე მძიმე გრაფიკი მაქვს და შეიძლება თქვენთან ყოფნისთვის ვერ მოვიცალო... – არანაირი გრაფიკი არ ჰქონდა იმ საღამოს, უბრალოდ, უნდოდა, მალე მოსულიყო ქალი. მალე დაეწახა მისი სხეული, რომელიც ისევე იზიდავდა და თრგუნავდა, როგორც მაშინ, შორეულ ბავშვობაში.

ლოგინად ჩავარდნილ მამასთან თვეში ორჯერ მათი უბნელი ცისია ექიმი გადმოდიოდა, რათა ავადმყოფის მდგომარეობას დაჰკვირვებოდა. კაცის გამოჯანსაღებაზე აღარავინ ლაპარაკობდა. იწვა გახევებული სხეულით და საწოლის კვარცხლბეკიდან მრგვალი თვალებით შეჰყურებდა ფანჯარას, სადაც მისთვის ჯერ კიდევ ხელშესახები სამყაროს უმცირესი ნაგლეჯები ცვლიდნენ ერთმანეთს – ცის მეათასედი ნაწილი, ნახევარი ხე, მზის ყვითელი სხივები, რომლებიც ოთახში გიჟებივით შემოცვივდებოდნენ და მტვრის უმცირეს ნაწილაკებს აფორიაქებდნენ. ცისია ექიმი ყოველმხრივ ეხმარებოდა დედას, საცოდავ, შრომასა და ჯაფაში გაღეულ ქალს. დასაძინებლად დაწოლილ ზებოს ხშირად ზმანებია, რომ ცისიას შვილი იყო. როგორც კი ამ სიზმარში აღმოჩენებოდა, თამაში იწყებოდა. აი, აუზში წყალი გამოცვალეს; ცისფერი ფილებით მოპირკეთებული კედლები წყალს გასაოცარ ელვარებას ანიჭებს; ბიჭი ყვინთავს თვალგახელილი და წყლის ქვემოდან აივანზე შემომდგარ დედას ლანდაგს, რომელიც იღიმება და მას დაჰყურებს; ფრუტუნით ამოყვინთავს და თავს აქეთ-იქეთ აქნევს... წყალი შხეფებად წვიმს. – სასწრაფოდ ამოდი და გაიმშრალე, საუზმე მზადაა... – საოცარი ის გახლდათ, რომ ყოველ-თვის, როდესაც დედა (!) ცისია იტყოდა სიტყვა „შვილო“-ს, ყველაფერი ქრებო-

და და გულდათუთქული პატარა ზებო (პრინციპში, მაშინ ზებო არ არსებობდა, წითელი ბელადის, კავკასიელი შიგას სახელი – იოსები ერქვა... იქნებ, ბიბლიური იოსები წარმოუდგათ მის მშობლებს თვალნინ და არა მრისხანე შიგა? ვინ იცის?..) მაგრად ხუჭავდა თვალებს და ბალიშში პირქვე ჩამხობილი გაუნძრევლად სუნთქავდა საკუთარ ოშივარს. მის ზმანებებში კიდევ ერთი უცნაურობა სჭიოდა, რასაც თვითონვე აფიქსირებდა ბიჭი; ცისიას შვილები არ არსებობდნენ, არ მოსულიყვნენ ქვეყანაზე და არც აპირებდნენ გამოჩენას. ღამეული ოცნება დღის განმავლობაში მძიმე ლოდად აწვა იოსების შეურყვნელ სულს. ბიჭი საკუთარ თავს პირობას უდებდა, რომ არასოდეს აღარ გაიფიქრებდა მსგავს საშინელებას, რომ დედამისი მსოფლიოს ყველა დედაზე უფრო დედა იყო და სხვა არავინ სჭირდებოდა... მოდიოდა ლამე... გაფაციოცებული ბავშვი მტკიცე გადაწყვეტილებით წვებოდა ლოგინში... ყველაფერი კარგად მიღიოდა და სწორედ იმ დროს, როდესაც ნაბიჯი იმ სამყაროში უკვე საბოლოოდ გადადგმულია და უკან დაპრუნება შენზე სულაც არ არის დამოკიდებული; იმ წამს, როცა სიმსუბუქე იღვრება სხეულში, თითქოს ინტრავენურად მიღილება გამოხდილ წყალში გახსნილი ოპიუმი და დაიძვრება შეუქცევადი ტალღა თავისით... როცა შეჩვეულ დეკორაციას ალიქვამ, თუმცა, კედლები, კარადა, საწოლი – ყველაფერი იხდის ხორციელ სამოსს და შენ აღარაფერ შუაში აღარ ხარ... აი, მაგ დროს, იოსები ისევ ცისიას შვილი ხდებოდა... ასე გრძელდებოდა დიდხანს... როდესაც ფიბი, მასზე ოდნავ უფროსი გოგონა, სხვათა შორის, ცისიას ნამდვილი შვილი, ესალმებოდა, ბიჭი ცისიას მიმზიდველ სითბოს გრძნობდა და ღიზიანდებოდა...

დრო! თანაბარზომიერი ტაქტის გარდაუვალობა... ადამიანის გონების პროდუქტი, შურისძიების იდეალური იარაღი...

ქალებო, დაგვტოვეთ, გთხოვთ. – დამარცვლით წაიჩურჩულა კონსტანტინემ – ტახტზე გაშოტილი ახოვანი კაცი სიმსივნეს შეეჭამა. დადაშს სიგიურემდე უყვარდა ბიძა. არწივისებური გამოხედვა ჰქონდა კონსტანტინეს, კეხიანი ცხვირი, ზღვისფერი თვალები, ამაყი შუბლი... მოკლედ რომ ვთქვათ, მასთან ერთად ქუჩაში გასვლა ერთი სიამოვნება გახლდათ. ქალები აშკარად, მორიდების გარეშე უძვრებოდნენ თვალებში და ისიც გულუხვად არიგებდა საპასუხო სითბოს. ბიძასთან ხელჩაკიდებული ნაყინითა და „პედრო უვაჩიოთ“ განებივრებული პატარა დადაში ვერ ხვდებოდა, რითი დაიმსახურა ესოდენ ხშირი ფერება უცხო დეიდებისგან და სრულიად ლოგიკურ ამპარტავნობას შეეპყრო... მოვგიანებით, სიჭაბუკეში, როდესაც ათას ერთი ლამის ნოველა „ქალთა მზაკვრობის შესახებ“ უკვე მერამდენედ წაიკითხა, ბევრი იცინა, ყველაფერს მიხვდა და კონსტანტინე დაუდგა თვალნინ.

მთელი ცხოვრება ნარკომანების ლანდღვაში ვიყავი. მით უფრო ვლანძღვდი მათ, ვინც ეს პრებარატები გამოიგონა და დაღუპა კაცობრიობა, – მოულოდნელად წამოიწყო ავადმყოფმა. ოთახში გამეფებულ სიჩუმეს საათის წილი იკვირება. – მხოლოდ ახლა, ამ სატანჯველში ჩავარდნილმა გავაცნობიერე, ალბათ, როგორ ეტკინებოდა, როგორ იწვალებდა, საერთოდ, რა დღეში იქნებოდა ადამიანი, რომ არა მორფი... დაიმახსოვრე, რომ მიხვდე რამეს, სულაც არ არის აუცილებელი, რეალურად შეეხო მას. ყველაფერის სწორად გაგება შეუძლია ამ უცნაურ მასას. – ძლივძლივობით ასწია ხელი და საჩვენებელი თითო საფეთქელთან მიიღო.

ჩამქრალ თვალებში უცხო სივრცეები იღანდებოდა უკვე. უეცრად სახე მკაცრი, კონცენტრირებული გაუხდა და მოითხოვა, რომ დადაშ მისკენ გადახრილიყო.

ჩვენს ეზოში რომ ლიმონის ხეა,

ხომ გახსოვს? – როგორ არ ახსოვდა დადაშს ლიმონის უზარმაზარი ბუჩქი, სურნელოვანი ყვავილებითა და ყვითელი ნაყოფით გადაპენტილი, რომელსაც ოჯახის წევრები არ ეკარებოდნენ. ლიმონი დილით, უზმოზე, რიტუალურად, ყოველგვარი აღფრთოვანების გარეშე გაიკრიფებოდა. ჩალის კალათაში ლამაზად ჩალაგდებოდა. კალათას ქალები და ბავშვები ეკლესიაში წააპრძინებდნენ. მღვდელი, რომელზეც დადაშის ოჯახში მაინცდამაინც სახარბიელო აზრი ვერ შექმნილიყო, სასწრაფო წესით გასცემდა განკარგულებას, რომ კელაპტარი გამოიტანა მესანთლე ქალს. კელაპტარი ინთებოდა – ღონიერი ალი ჰქონდა, თბილი და ლიცლიცა. პანაშვიდი გადაიხდებოდა; „მამაოს“ სიის ჩამოწერა და სახელების კითხვა აღარც კი სჭირდებოდა.

...ეს ის დრო იყო, როდესაც დადაში ტომ სოიერის სამყაროში ცხოვრობდა.

როგორც კი მღვდელი ბუტბუტს დაიწყებდა, ხან ფეხისგული მოექავებოდა, ხან ზურგისკენ წაიღებდა ხელს, ხანაც ჩინური კედები – „ორი ბურთი“ მოუჭერდა სასტიკად და ისეთ მიუღებელ მოძრაობებს აკეთებდა, როგორიცაა ასკინკილაზე დგომა, ფეხის წევრებზე აწევა და ა. შ. ერთხელ მღვდელმა კითხვაც კი შეწყვიტა და აცქმუტებულ ბიჭს მრისხანედ გადახედა. დადაშმარტო რომ ყოფილიყო, აუცილებლად წახდებოდა, თუმც, მის ზურგს უკან მდგომმა ქალებმა ისეთი საპასუხო მზერა დაუბრუნეს მწირველს, რომ მან მხოლოდ ამოიოხრა, ფსალმუნების წიგნში თავი ჩარგო და კითხვა განაგრძო. ლიმონით სავსე კალათა მაცხოვრის ხატის ქვეშ იდო, სუნს აფრქვევდა და უცხო, საკუთარ გარემოს ქმნიდა. ნელ-ნელა საკმევლის ბოლსაც მისწვდებოდა, ჩაეხვეოდნენ ერთმანეთს, შეერწყმებოდნენ და სიძველისაგან ჩაშავებულ ფრესკებს თითქოს ახალ სიცოცხლეს უბრუნებდნენ...

ხომ იცი, იმ ლიმონს რად არ მოვიხმართ?

დადაშმა თავი დაუქნია. – ვიცი, კოტებიძია. ვიცი. – მომაკვდავი მაინც განაგრძობდა, თითქოს აღსარებას ამბობდა. – მკვდარძალლ ბოლშევიკებს რომ წაართვეს გვამი, ქალებს გადაუწყვეტიათ, იმ ალაგას დაემარხათ ჩუმად და მერე გადაესვენებინათ ჩვენს სასაფლაოზე. მერე ეკლესია დახურეს, სასაფლაო მოშალეს და მის მაგიერ კლუბი წამოჭიმეს. ყველა საფლავი დაიკარგა. ჩემს ბავშვობაში, როცა აღდგომის დღესასწაული აკრძალული იყო და მოწაფეების ხელებზე წითელი საღებავის კვალს ეძებდა დირექცია, მხოლოდ დადაშის საფლავს ერგებოდა პატივი, კვერცხი გადაგვეგორებინა მის ძვლებზე... მე და მამაშენმა ერთმანეთს შევფიცეთ, რომ დადაშის მკვლელს მოვკლავდით... ააჲ... – ამოიგმინა სულთმობრძავმა და ხმას დაუწია:

მე და მამაშენმა ერთმანეთს შევფიცეთ, რომ 28 აგვისტოს დადაშის და კიდევ ჩვენი სამი კაცის მკვლელობისთვის შურს ვიძიებდით.

დადაში შეეცადა, მხარი აება ბიძისათვის:

დიდი ბაბუს საფლავზე ვიყავი, კოტებიძია. გადავწყვიტე, შევკრიბო მათი შვილთაშვილები, ვინც იმ ადგილას არიან ერთად ჩაყრილები. ის კაციც გავიცანი, იაკოფა ურიას ძმისშვილი, მოხუცია და ლაილაშის სინაგოგას და სასაფლაოს ეგ უვლის. სიხარულით აღმითქვა დახმარება, რომ იქ დახვრეტილთა საძმო სამარე მთლიანად გასუფთავდეს და ბარელიეფიც გაკეთდეს, სადაც სამოცდათვრამეტივეს გვარი იქნება მოხსენიებული. ჯვარიც დავდგათო, ეგენი ყველანი ქართველები იყვნენო, თან რა ქართველებიო... მერე რა, რომ ებრაული სასაფლაოა, არავის ეწყინებაო...

ჰმ... კარგია. იაკოფა... – სცადა გაღიმება კონსტანტინემ. – შენ ისიც იცი,

ალბათ, ზეპიაშვილს რაც მოუვიდა?..

დადაშმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

...სისხამ დილით ზეპიაშვილი ხიდზე შეხვდა ბეპიას. გვიან მიხვდა ორივე, რომ ეს შეხვედრა ვარსკვლავებს დაეგეგმათ და იგი აუცილებლად შედგებოდა. დილის სიგრილე, ლურჯი, კისკასაცა, დათოვლილი მთების მწვერვალები ფილოსოფოსებივით დასდგომოდნენ ხეობას თავზე და ელოდნენ, რა მოხდებოდა ფართო ხიდზე, სადაც ქალი და მამაკაცი ერთმანეთისაკენ მიდიოდნენ... სხვა სულიერი არ ჭაჭანებდა ირგვლივ... თითქოს სოფლის მოსახლეობა ვიღაცას სახლებში ჩაეკეტა და ისინიც გაყურსულნი ელოდნენ მოსახდენს... არც ერთი არ აპირებდა შეჩერებას. შავებში ჩაცმული, წელგამართული, თეთრად მოელვარე ქალი ცხრაგრამიან ტყვიად გადაქცეულიყო და შურისძიების ბეჭედი მნარედ დაერტყა შუბლზე. ერთმანეთს უახლოვდებოდნენ, ხიდის შუახაზზე ორი სხეული ჯიქურ მიაპიჯებდა. ათი ნაბიჯი რომ დარჩა, თინას თვალებმა ელდანაკრავივით გააშეშეს კაცი და გავეშეპულ მზერას სიტყვები ექოდ გამოედევნენ: – გზას ნუ მიღიავ, წყეულო! – ქალის თვალები ისეთ მრისხანებას აფრქვევდა, როგორიც, ალბათ, ლომებს, ვეფხვებს, ან გიურზებს უელავთ... ყველა ჩამოთვლილი ცხოველის სიალმასე ერთ ქალში მოქცეულიყო. გვერდზე გაინია წამხდარმა, ქალმაც იქით გადადგა ნაბიჯი. – მომწყდი თვალებიდან, შე გლახის ჭირო! – სრულიად გაუცნობიერებლად გადადგა ზეპიაშვილმა ნაბიჯი ხიდის მოაჯირისაკენ... მერე კი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო: აკანკალებული მამაკაცი მოაჯირს გადაევლო და დიდი სიმაღლიდან მუხლამდე წყალში ჩავარდა... ფეხებდალენილი კაცი მეწისქვილეს შეუნიშნავს ნაპირზე დაგდებული, ზურგზე მოუგდია და შინ წაუთრევია. ჰყენებოდა თურმე მეწისქვილე,

ხმა არ ამოუღია ფეხებდამტვრეულს, კანკალებდაო მხოლოდ. სოფლიდან მალე გაქრა მათი ოჯახი, თუმც, როგორც ბოროტ სულებს სჩვევიათ, წასვლამდე მაინც ვერ მოისვენეს და თავლა გადაუწვეს ოჯახს. თავლა უკვე ჩამორთმეული იყო და კოლმეურნეობას ეკუთვნოდა. ამოინვა კოლექტივის ოცი სული საქონელი. სამი წელიწადი იჯდა კოლონიაში ხანძრის გაჩენის ბრალდებით დაპატიმრებული დადაშის მამა. აბა, სხვას ვის უნდა მოსვლოდა აზრად, რომ საერთო-სახალხო ქონება ცეცხლისათვის მიეცა, თუ არა „წყეული ბატონების წყეულ თესლს“... რაც იყო, იყო.

ამ მოგონებამ სულ მცირე ხანს გასტანა. მეორე ნანილიც ზეპირად იცოდა ორივემ. ათი თუ თხუთმეტი წლის შემდეგ დადაშის მამა რუს ქალაქში გადააწყდა ზეპიაშვილის შვილს, მშენებარე კორპუსის მესამე სართულის კედელს ლესავდა ხანძრის ნამდვილი გამჩენი; უცვნია მასაც. გაქცეულა პატარა ზეპიაშვილი, უმოაჯირო კიბეებზე თავი ვერ შეუმაგრებია და დასკდომია კვახივით მინას. შეკრებილა ხალხი და გარიდებია დავითი მორიგ უსიამოვნებას. თაბაშირში ჩასმული კაცი ლამით რაღაცამ გააღვიძა. ტკივილებისგან გათანგულმა იგრძნო, ვიღაც დაჰყურებდა. თვალი გაახილა და მისკენ პირდაფრინილი იარალის ლულა დალანდა... ქვეშ ჩაუფსია მწოლიარეს. ასე იყო ეს ამბავი და დადაშმა ყველაფერი ზეპირად იცოდა, კონსტანტინე კი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა – წვალობდა, თავს ებრძოდა, მაგრამ მაინც აპირებდა...

მისმინე, დადაშ, წამოდი იმ ქალაქიდან, არ მინდა, რომ იქ იყო... აქეთ წამოდი და გახსოვდეს, რომ ყველა შენი მისახედია, არ ხარ შენ ეგ კაცი... თანაც... მე შენ... მე შენ გიკრძალავ... გიკრძალავ მკვლელობას...

დადაში მართლაც წავიდა ქალაქიდან, დროდადრო ახსენდებოდა ბიძა-

მისის სიტყვები და საჭიროების შემთხვევაში, ძალდაუტანებლად სპეცულირებდა ნაანდერძევის შესრულების აუცილებლობით. ძლიერ ახალგაზრდა გახლდათ, რომ თავი ემტვრია მიზეზზე, რამაც სულთმობრძავს ეს სიტყვები ათქმევინა. ისტორია, ფაქტობრივად, დასრულებული იყო, მეტი რაღა უნდა მოეკლათ ის უბედურები ან ბებოს, ან მამას... მერე თავისითაც მოკვდნენ, ალბათ... ძალი მიაკვდათ სულში...

დრო კი გადიოდა... სრბოდა უმისამართოდ, თუმცა, როგორც ყოველთვის, ადამიანები მაინც მიჰყავდა ერთადერთ მისამართზე – ბედისწერას-თან შესახვედრად.

ENTERTINMENT

მომყევი, არ ჩამორჩე! – გადმოხედა ფიბიმ და გასართობი ცენტრის კარი შეაღო. ჰოლის მრუმე სინათლები მათ სახეებს ლურჯი ელექტრიკის ფერებში ჰქვევდა. მარჯვნივ, ავტომატების დაბაზიდან სათამაშო აპარატების წკარუნი და მუსიკა ისმოდა, უფრო, ნოტების ნაგლეჯები. მარჯვნივ, მინის კარს მიღმა, „პრეფერანსკლუბის“ შემადგენლობა ფუთფუთებდა. სახელი ოდნავ გადაჭარბებულად ეჩვენა დადაშს, რადგან ერთ დიდ მაგიდასთან პოკერს თამაშობდნენ, მეორე, შედარებით მომცრო მაგიდა, დომინისტებს დაეპყროთ. სეირის მოყვარულები ხან ერთ მხარეს გადადიოდნენ, ხან მეორეს მიაშურებდნენ და წაგრძელებული კისრებიდან სოკებივით ამოსვლოდათ სერიოზული სახეები..

დადაშს საკუთარი თავი გაახსენდა; სულ რაღაც ათიოდე წლის წინანდელი საკუთარი თავი – კაზინოებში მოწრიალე, „პრეფერანსკლუბებსა“ თუ აპარატებთან ღამისმთეველი. როცა არ ათენებდა, ესე იგი, უცებ აგებდა; საწოლზე დაგდებულს მთელი ღამე აძაგდაგებდა, დაბალი ხარისხის წამალმა რომ იცის აგდება, ზუსტად ისე... თვალის დახუჭვა და ბარაბნების ტრიალი ერთი იყო...

ტრიალებდნენ ნიშნები, ლიმონები, მარწყვები, ინდიანა ჯონსები, მტრებისა და მეგობრების სახეები. გულისრევა ეწყებოდა და მეორე დღის გათენების გარდაუვალობა აგიუებდა. მარადი უფულობა, ადამიანების დაკარგვა და მეყსეული გამდიდრების აბსტრაქციაში ცხოვრება...

სწრაფად გაიარეს დარბაზი და ბარს მიადგნენ, სადაც გოგონების ბანდა უსაქმოდ ტკეპნიდა დახლს იდაყვებით. მათ დანახვაზე ჯგუფს დაბადების დღის მეძავი გამოეყო, ახალმოსულებს მივარდა, ორივენი მხურვალედ გადაკოცნა და ხმამალლა, დაქალებს რომ გაეგონათ, შინაურულ-კულტურულად მოიკითხა.

გმადლოთ, ჩემო კარგო, შენ როგორ ხარ? – ფებიმ მისი აღტყინება გაიზიარა და წვრილად დაიწყო მეძავი გოგონას ამბების გამოკითხვა. ისიც კი იცოდა, თუ რა ერქვა მის უმცროს ძმას, რომელიც სოფელში იზრდებოდა. დადაშ უყურებდა ქალს და ცდილობდა, აღფრთოვანება დაემალა. თვითონ მას არასოდეს უთაკილია ნებისმიერი ტიპის ადამიანთან ურთიერთობა, შეიძლება ითქვას, ყოველთვის წუხდა და თანაუგრძნობდა დაბეჩავებულ, გზასაცდენილ და უბედურ ხალხს, თუმც მაინც იმ აზრამდე მიღიოდა, რომ ადამიანი, უმრავლეს შემთხვევებში, თვითონ აკეთებს არჩევანს... და მერე, საკუთარი ცხოვრებით უკმაყოფილო, ეძებს, იგონებს, პოულობს ყველა იმ მაპროვოცირებელ მიზეზს, რის გამოც ასეთ დღეში აღმოჩნდა. მათგან საკუთარი წილი პასუხისმგებლობის არაღება აცოფებდა და აგრესიულს ხდიდა...

მაგრამ ფები სხვა იყო, სხვა ვარსკვლაველი... იქ, ზემოთ, მათთან, ალბათ, სულ არ უღრმავდებიან ისეთ უმნიშვნელო საკითხს, როგორიც სხვისი პასუხისმგებლობაა, მთავარი ისაა, ფეხზე წამოაყენო, სიყვარული დაანახო, სული და გული გადაუშალო. „იქ,

ალბათ, ერთი ჩვეულებრივი გოგო იქნებოდა". გაიფიქრა და გაეღიმა.

როგორც იქნა, პარის დახლს დააღნიეს თავი და სამზარეულოს კარი შეაღს. ცარიელ სამზარეულოში რატომ-ლაც მოხარშული ცხვრის ხორცის სუნი იდგა... რატომლაც, რატომ?.. ფიბის ნაბიჯი არ შეუნელებია და პირდაპირ მეორე კარისაკენ გასწია. მეორე ოთახში საწერი მაგიდა, ტახტი, სავარძლები, ძველი, მასიური სეიფი და ბილიარდი იდგა. ცარიელ კედელზე ხატების კუთხე მოეწყოთ. ღამდამობით ტახტზე აშკარად ვიღაც იძინებდა, რადგან სქელი გადასაფარებლის ქვეშ თეთრეული ილანდებოდა. სამზარეულოდან შემოსული სუნი ისედაც დამზიმებულ ჰაერს სუნთქვისათვის მთლად გამოუსადეგარს ხდიდა. ოთახში ოთხი კაცი იჯდა, რომლებიც მოსულებს ფეხზე ნამოუდგნენ და მიესალმნენ. შემდეგ ორმა სტუმარმა ბოლოში მოიხადა და გავიდა. ზებომ ფების ადგილი დაუთმო, თვითონ საწერ მაგიდასთან დაჯდა და მოსაწევის გამზადება დაიწყო.

მაგრად დააბოლა...

ათოოდე წუთის განმავლობაში აზრებს ვერ უყრიდა თავს დადაში. ქიმიას არ ჰქვედა, რადგან სუნიც ჰქონდა და გემოც, მაგრამ ქიმიური ძალა ჰქონდა... როგორც იქნა, გონის მოეგო და პირველი, რაც გააკეთა, გარინდებულ ფების გაულიმა. ქალს სახე გაუცისკროვნდა, მაგრამ მეყსულად, შეცბა, გვერდზე გაიხედა, საწერი მაგიდისკენ, საიდანაც ზებოს თვალები ელვარებდა... მერე სახეზე ხელები მაგრად ჩამოისვა და სრულიად სერიოზული დაუბრუნდა ოთახს.

"ამას, მგონი, ეშინია ამ კაცის", კი არ გაიფიქრა, დაასკვნა დადაშმა. დაასკვნა და თვითონვე დაიზაფრა. „ვის? ფების? ამ კაცის ეშინია? რა მკრეხელობაა... რა ხდება?" თითქოს მათ შორის საიდუმლოებით მოცული რაღაც იყო, რომლის განძარცვის უფლებას არავის მისცემდნენ. ის, რომ ზებო ფე-

ბისადმი გულგრილი არ იყო, ცხადზე უცხადეს ამბად მიაჩნდა დადაშს, თუმცი ისიც ფაქტს წარმოადგენდა, რომ საკუთარი გრძნობების გამოხატვის ფრიად უცნაური ფორმა აერჩია – თითქოს კედელი ჰქონდა აღმართული საკუთარი არსების გარშემო და რომელილაც სათოფურიდან უჩუმრად იცქირებოდა. გულდასმით ისმენდა ყველა სიტყვას, პასუხს ბოლომდე აწონ-დაწონიდა და მერე იძლეოდა, კარგად შეფუთულ აზრებს ისვრიდა, ძირითადად, ჰო-საც ამბობდა და არა-საც... ვერაფერზე შეედავებოდა ადამიანი. სანაძლეოს დადებდა დადაშ, რომ ზებო საუბრის თემებს წინდანინ ამუშავებდა და მერე თითქოს სხვათა შორის შემოაგდებდა. დადაშს რამდენჯერმე ჰყავდა უკვე ზებო ნანახი, რა თქმა უნდა, ფებისთან ერთად და ყოველი შეხვედრის შემდეგ უჩნდებოდა განცდა, რომ ამ კაცს საიდანლაც იცნობდა. ასეთ ტიპებს მანამდეც შეხვედროდა. მათი აბსულუტური უმრავლესობა თითქოს პიროვნებას წარმოადგენდა, მაგრამ მხოლოდ თითქოს... მის წინაშე აქაც ტიპური მსახური იდგა. სხვა ადამიანისა ან რაღაც მექანიზმის მსახური, რომელიც ბრძანებას იმდაგვარად ასრულებდა, თითქოს თვითონ გადაეწყვიტა ასე. მაგრამ ფებისთან მისი ურთიერთობა მაინც განსაკუთრებული იყო. მისი ხმის გაგონებაზე ქალი იძაბებოდა. როდესაც დადაშ გაილადებდა და ზებოს შემოგდებულ იდეებში კარგად შეფუთული კერძების მსხვრევას შეუდგებოდა, ფების მოუსვენრობა იპყრობდა, დამნაშავე სახით გადახედავდა ზებოს, რომელიც გაფაციცებით უსმენდა კაცის სიტყვებს, მსჯელობას... მცირე ხნის შემდეგ ქალი ვეღარ უძლებდა და საუბრის შეწყვეტას ითხოვდა, რადგან გრძნობდა, დადაში მზად იყო, თემას მიბმული მთელი სისტემა დაეშალა.

საუბარი ნელ-ნელა გახურდა.

ამ საღამოს ზებომ ალტრუიზმის,

როგორც მოვლენის, ახსნა-განმარტება მოითხოვა. საზოგადოდ, ამ დროს ისეთ საცოდავ, ბეჩავ გამომეტყველებას იღებდა, დადაშს ერთი სული ჰქონდა, გადაეხარხარა. ეს აზრი მხოლოდ იმიტომ უკუაგდო, რომ სიტყვა ალტრუიზმი ფებიძა ახსნა ამას წინათ! დიახ, ფებიძ, ვინაც სიკეთის ცოცხალ განსხვეულებას წარმოადგენდა, დადაშს ზებოს ალტრუიზმზე გაუმახვილა ყურადღება. დაწვრილებით მოუყვა, როგორ ზრუნავდა მასზე სრულიად უანგაროდ, როგორ ეხმარებოდა ნებისმიერი პრობლემის უმტკივნეულო მოგვარებაში, როგორ გადაატანინა მასთან ამგვარმა, უშურველმა მეგობრობამ მარტოხელა ცხოვრების უმძიმესი დღები და წლები.

რაზეც ხელი მიმინვდებოდა, ყველა-ფერი ვნახე, წავიკითხე, – დაიწყო ზებომ. – მაინც ვერ მივაგენი ალტრუიზმის სწორ განმარტებას. რა არის იგი – მიდრეკილება, ავადმყოფობა თუ ხასიათი? იქნებ, დამეხმაროთ, გავიგო?

ეს იმ ადამიანებს უნდა ვკითხოთ უპირველესად, ვინც ალტრუისტია, – დაიწყო დადაშმა. – არა მგონია, ავადმყოფობასთან გვქინდეს საქმე, თორემ ჩვენი ფსიქიატრი ვის დააცლიდა ამ თემაზე საუბარს. – და ფების გადახედა. თვალებანთებული ფიბი სასწრაფოდ ჩაერთო საუბარში.

არავითარ შემთხვევაში არ არის ავადმყოფობა. შესაძლოა, ადამიანებმა რაღაც გადახრად მიიჩნიონ ცხოვრებისადმი ვიღაცის ამგვარი დამოკიდებულება, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვეკუთვნით მათ რიგებს? როგორ შეგიძლიათ დაუშვათ, რომ სიკეთის კეთება ისევე არის ავადმყოფობა, უფრო სწორად, სინდრომი, როგორც კლეპტომანია?

ჰო, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. განა ნორმალურია, აკეთო სიკეთე, აკეთო და ბოლოს არათუ მადლიერი დაგრჩება ვინმე, პირიქით, დაცინვის ობიექტი ხდები.

როგორც კი ალტრუისტი ეგრე იწყებს აზროვნებას, – დაიჭირა ტალღა დადაშმა, – მაშინ ცხადი ხდება, იგი ალტრუისტი კი არა, ჩვეულებრივი თაღლითია, რომელიც თურმე ნიღაბა-ფარებული ეხმარებოდა გარშემოყოფებს. უამრავი მაგალითი გვაქვს დღევანდელ ყოფაში, როგორ ნადირობენ ხალხზე, როგორ ართმევენ მთავარს – ლირსებას, რის გარეშეც ადამიანი არა-რაობა ხდება. სწორედ ამის გამოძახილია „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ფრაზის ახლებური განმარტება, რომელიც ამას წინათ გვამცნო „დრუიდმა გურუმზ“: თქვენი აზრით, როგორ განიმარტება შოთას ფრაზა, – „რასაცა გასცემ, შენია, რასც არა, დაკარგულია“? ტვინი რომ არ იჭყლიტოთ, სიტყვასიტყვით გადმოგცემთ: „ეს ფრაზა,“ გამოგვიცხადა დრუიდმა გურუმ, „მეტს არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ, როდესაც ვინმეს ფულს მივცემ, ესე იგი, ის უკვე ჩემია“... ახლა ამ წინადადებას კარგად დაუკვირდით, რას ნიშნავს იგი, წარმოგიდენიათ?! ჩვენში საფუძვლიანად დამკვიდრდა ქველმოქმედების საკმაზით სხვისი სულების ყიდვა. ასეთ ალტრუისტს ალტრუიზმი სრულიად ავიწყდება, როდესაც მავანი, ვისაც სიკეთე გაუკეთა, აღარ ემორჩილება და მის ნებას არ აღასრულებს. ორო, თქვენ მაშინ ნახავთ, სინამდვილეში როგორი ბოროტი ყოფილა იგი... საშინელი იქნება მისი შურისგება, ყველა მანქანას აამოძრავებს, ყველა ბერკეტს და შეეცადება...

გაჩერდი! – შეჰყვირა ფებიძ. – ახლავე გაჩერდი! აღარ მინდა ეს უაზრო საუბარი! თვისებაა ალტრუიზმი! თუ ხარ, ბოლომდე ხარ, თუ არადა, არა! არაფერი საკამათო ამაში არ არის... დავილალე... სახლში მინდა. წავიდეთ? – დადაშს შეხედა.

როგორც იტყვი. გავისეირნოთ, თუ ტაქსი გამოვიძახო?

მე წაგიყვან... – მრავლისმეტყველად

გაისმა ზებოს ხმა.

არა, ფეხით წავალ, აზრზეც მოვალ. თანაც შენ აქ საქმეები გაქვს. დადაშ, წავიდეთ, გთხოვ.

მასპინძელს დაემშვიდობნენ და ცარიელ ქუჩას გაუყვნენ.

აგვისტო ლამის მელოდიას მღერო-და – ცხელს, ჩახუთულს, გამოცარიე-ლებულს. დადაშს გაახსენდა, როგორ დარიალებდა ხოლმე აგვისტოს ქალა-ქის ქუჩებში ეკლიანი ბალახის მრგვა-ლი ბურთები, რომლებითაც უდაბნოს ხორშაკი ქარი თავდავიწყებით თამა-შობდა. შხამიანი ეკლებით გარემოცუ-ლი მრგვალი მცენარეები უცხოპლანე-ტელებივით შემოესეოდნენ ქალაქს და ქუჩებს, რომლებიც სწორედ ქარის მი-მართულებით დაეპროექტებინათ გერ-მანელ ტყვეებს, საცეკვაო დარბაზად ან სულაც მომლოცველთა მსვლელობად აქცევდნენ...კანტიკუნტად მავალი მან-ქანები ინსტინქტურად ერიდებოდნენ თებოს სიმაღლის უცნაურ ბურთებს – არსებებს, მისიონერებს, თვითმკვლე-ლებს, რომლებიც ქალაქის ქუჩებში და-ფარფატებდნენ.

უდაბნოს მორიგი მისტერია.

მცენარე-ორაგულები...

მშობლიურ ალაგს მოწყვეტოდნენ ისინი და თესლის დასაყრელად ერთა-დერთ და განუმეორებელ მოგზაურო-ბაში წამოსულიყვნენ...

აუცილებელი სიკვდილი სხვათა შე-საძლო დაბადებისათვის...

დიდი ხანია, მათი ცეკვა ალარ დაე-ლანდა დადაშს, მთებსაც უცხოდ შეე-ნარჩუნებინათ წელს სიმწვანე...

დადაშ, რას ერჩი ზებოს? – ფეხი სადლაც სივრცეში იყურებოდა. თვალე-ბი უელავდა, თითქოს ტირილს ძლივს იკავებდა.

ასე შესამჩნევია? – კითხვა დაუბრუ-ნა კაცმა.

შესამჩნევი ალარ ჰქვია. ერთი ის არის, არ ლანძლავ, თორემ ძალიან ცუ-დად ექცევი. ასეთი მოპყრობა არაფ-

რით დაუმსახურებია არც შენგან და მით უმეტეს, არც ჩემგან.

კი, მაგრამ შენ ხომ არ ექცევი ასე? პირიქითაც კი მგონია. შენ იმდენად მძაფრად რეაგირებ მის დასაცავად, რომ ეს მდგომარეობა ოდნავ, გულისამ-რევიც კია.

დადა, მისმინე, ჩემი სიყვარულო... შენ მიყვარხარ, მიყვარხარ ისე, რო-გორც არავინ ამ სამყაროში... მაგრამ... ზებო ჩემი მეგობარია. როდესაც კი მი-მიმართავს ან არ მიმიმართავს, ყოველ-თვის უშურველად დგება ჩემს გვერ-დით.

და მერე რიტორიკულ კითხვებს სვამს ალტრუიზმის შესახებ? სასაცი-ლოა...

შენ თვითონ მეუბნებოდი, რომ მე-გობრები არ დამეკარგა ჩვენი ურთიერ-თობის გამო. ახლა რა შეიცვალა?

ის, რომ ვერაფრით გავიგე, ეგ რა სახის მეგობრობაა... არ მომწონს, რო-გორ მოგმართავს, რას გეუბნება, რო-გორ გამომცდელად გიყურებს, რატომ აძლევს თავს უფლებას, არ გაგაფ-რთხილოს საფრთხის, პრობლემის შე-სახებ და მერე, როგორც ამბობ, უშურ-ველად დაგეხმაროს... ამ ყველაფერზე შენი რეაქცია სრულიად გაუგებარია... ხმალამოლებული იცავ და თვალებს არ ახელ... მითხარი, ოდესმე რაიმეს შე-პირებიხარ?

ქალმა დადაშს შეხედა და წაიჩურ-ჩულა:

არაფერს, არასოდეს. – გაყინული სიტყვები ლოლუებივით დაამსხვრია აგვისტომ დადაშისკენ მიმავალ გზაზე.

კარგი. მინდა, სახლში დროზე მივი-დე, დავილალე.

ერთს გეტყვი და დავამთავროთ. გაგეცინოს, უნდა, წესით... ასე ზუს-ტად მორგებული მეტსახელი იშვიათად მსმენია. გახსოვს, „დათა თუთაშხიას“ ზებო? ორმოში რომ ზის ყრუ-მუნჯი კაცი, ზარი უჭირავს ხელში. ვითომ, უნდა გაიგონოს, როდის მიაღწევენ გა-

მოსასვლელს გვირაბის მთხრელები...
რამ მოაფიქრა, ნეტა, ეს პერსონაჟი?
მერე? – ფების არ ეცინებოდა, თუმც
ყველა სიტყვას ხარბად იჭერდა.

შენი მეგობარიც იმ ზებოს ჰგავს.
შენ სადლაც მინისქვეშეთში გათხრევი-
ნებენ მადანს, იქნევ წერაქვს და დარ-
წმუნებული ხარ, რომ ყრუ-მუნჯი ზე-
ბო გაიგონებს, როდის მიუახლოვდები
გამოსასვლელს. იმედი გაქვს მისი, ენ-
დობი, გიყვარს კიდეც რაღაცნაირად...
ის არის შუქურა, რომელიც დღენიადაგ
მიყურადებულია, შენი წერაქვის ჩეამი
შემოესმას. ამ დროს ქანცი გწყდება,
წერაქვს იქნევ და ზებოს იმედს მაინც
არ კარგავ, რადგან უკანასკნელი ბურ-
ჯია ოცნებებისა... ის კი ყრუა, სინამ-
დვილები...

ქალი ჩუმად აგრძელებდა გზას და
რატომდაც მაღლა, ცისკენ იყურებო-
და, სადაც ვარსკვლავთა აღლუმი აგ-
ვისტოს დასკვნით წარმოდგენებს აწ-
ყობდა.

დადა, რა საოცარი ფანტაზიები
გაქვს! თითქოს ყველაფერს ვხედავ,
როდესაც გისმენ. ზებოს ასე კარგად
რომ არ ვიცნობდე, შეიძლება დამეჯე-
რებინა ყველა სიტყვა, რაც მითხარი.
მაგრამ, საქმე ის არის, რომ ეს ამბავი
არანაირად არ უკავშირდება თუთაშეი-
ას ზებოს. – დამნაშავედ გაუღიმა ქალ-
მა, თითქოს ბოდიშს უხდიდა ამ სიტ-
ყვებისთვის. ზებო კლასელებმა შეარ-
ქვეს, რადგან ზებიაშვილია გვარად –
იოსებ ზებიაშვილი...

რა თქვი?.. რა გვარია?!

ზებიაშვილი; არ იცოდი?.. რა დაგე-
მართა?.. რატომ გადაფითრდი?..

ხანდახან ჩერდება დრო. იშვიათად,
მაგრამ მაინც... ჩერდება მაშინ, რო-
დესაც წყალს მიეძინება. წყალიც ხომ
დროა – „ვერავინ შევა ერთ მდინარეში
ორჯერ“... გაჩერდება, ირგვლივ მიმო-
იხედავს, დატკბება საკუთარი ნახელა-
ვით და კმაყოფილი ისევ გადადგამს
ნაბიჯს. დრო, რომელიც ყველასია და

არც არავისი. კერძო და საერთო...

„შემოგდებული“ მგონია ეგ ტიპი. –
თქვა ზებომ.

მარტო შენ ფიქრობ ასე თუ იმათი
აზრია? – დაინტერესდა სუხი, რომლის
მარტივი გონება უკანასკნელ დროს უნ-
დობლობას და იჭვნებულობას შეეპყრო.

საქმე არცთუ კარგად მიდიოდა.
ჯგუფების შექმნა ჭიანურდებოდა –
რესურსები არ ჰყოფნიდათ. წინა და-
ვალებისას, რასაც მოითხოვდა, ყველა-
ფერი (თითქმის ყველაფერი) თვალის
დახამხამებაში მის ხელთ ჩნდებოდა –
ფული, წამალი, მოსაწევი, იარაღი... ახ-
ლაც ყველაფერს ჰპირდებოდნენ, მაგ-
რამ თავის დროზე... ამ ეტაპზე მხო-
ლოდ ერთი შესაძლებლობა დარჩე-
ნიდათ ხალხის დასათრევად – ნისია
აპარატებზე მოთამაშებისათვის – რა
თქმა უნდა, მხოლოდ საჭირო ტიპებს
უხსნიდნენ საკრედიტო ხაზს, მსუყედ
დატვირთავდნენ ვალებით და მის ხელ-
ში ჩაგდებას რაღა ედგა წინ. პრინციპ-
ში, ამ სქემით ყოველთვის მუშაობდნენ.
შესაძლო მტრების გაჩერების საუკეთე-
სო გზად ითვლებოდა ეს კომბინაცია.
„კურდელი“ აგებდა, აგებდა, აგებდა
და მერე ნისიაზე იწყებდა თამაშს, იქ-
ნებ, რაღაც ამოეგდო; ფსონები იზრდე-
ბოდა, კლიენტი უფრო მეტად ეხვეოდა
შარში; მთავარი ის იყო, მისი რეაქცი-
ები სწორად შეეფასებინათ. გართობის
სურვილი საკუთარი ფულის წაგების-
თანავე ქრება ასეთ დროს; მას გაჯი-
უტება მოჰყვება კვალში „როგორც კი
ავდგები, ვიღაც ნაბიჭვარი მოვა, ხუთ
ლარს შეტენის და მთელ ფულს მოხ-
სნის“ - დაახლოებით ასეთი ფიქრები
ტანჯავს მის გონებას. მოდის ნისის
ეტაპი, როცა ზუსტად იცი, რომ შე-
ნი დათრევა უნდათ, მაგრამ ვერ მი-
ვართმევთ!.. ერთი კარგი ამოგდება
უნდა და ყველაფერი თავის ადგილზე
დაბრუნდება, მხოლოდ ერთი კარგი
ამოგდება... მონუსხული ტვინის აზ-
როვნების მიმართულებები წამდაუწუმ

იცვლება და ერთმანეთს ენაცვლება იმ ადამიანების ფერმკრთალი, შორეული სახეები, ვისთანაც ჯერ კიდევ შეიძლება ფულის სასესხებლად მისვლა. ამასობაში კი ბედის ბორბალი ჯიუტად განაგრძობს უკან სვლას და აგერ, მეორე კრედიტია უკვე საჭირო. მენეჯერი მხრებს იჩეჩავს და ხუთ წუთს ითხოვს, სანამ პატრონებთან დაალაგებს ამ საკითხს.

როგორ არის, უკვე გათავხედდა თუ ჯერ ზრდილობიანად ითხოვს? – კითხულობს პატრონი.

კი, კი, ზრდილობიანია, ჯერ არ იგინება.

გადამხდელია?

ამის გადახდა არ გაუჭირდება, სჩანს. – მენეჯერი სტაჟიანი პროფესიონალი გახდდათ – კომუნიკაბელური, ფხიზელი, საშინლად ეჭვიანი და რა თქმა უნდა, დაუნდობელი. ამ საქმიანობას ჯერ კიდევ 90-იან წლებში ვაგზლის მოედანზე მიჰყო ხელი. ბევრი ფულიც უშოვნია, კიდეც გალახულა, კიდეც დაუჭრიათ, ქალებიც მოუხსნია აპარატებთან, წაგებული ქალები... სწორედ წაგებულებმა მიიყვანეს იმ საინტერესო დაკვირვებამდე, რომ ღულომანია სრულიად ულირსებოს ხდის ადამიანს და ყველაფერზე მოაწერინებს ხელს. თამამად შეიძლება ითქვას, ამ ადამიანური წაკლით მანიპულირების გარეშე ვერასოდეს გაუიმავდა ისეთ ქალებს, როგორც მაშინ. რა თქმა უნდა, ესეც თამაშის ნაირსახეობას წარმოადგენდა. წაგებულიც დარჩენილა... თან, როგორი! ბოლოს და ბოლოს, რომ არ წაეგო, აქ, ამ სუნიან, სხვის დაწესებულებაში რა ესაქმებოდა, ახლა საკუთარი აპარატებით გაძეგილი დარბაზი უნდა ჰქონდა დედაქალაქში... იქით მოატყუა ქალმა. სამი ათასის კრედიტი აართვა, მერე საყვარლობაზე დასთანხმდა და პირველივე პაემანზე კაცის ნაქირავებ სახლში გიუები დააყენა თავზე. ყველას იცნობდა სახეზე, ყოველ მათგანს წაე-

გო დიდი თანხა მის აპარატებთან...

...ოთხი თვე საავადმყოფოში ეგდო ძალივით, ნისიები ველარ ამოილო, სამსახურიდან გამოუშვეს... დაბერებული, მოტეხილი დაბრუნდა ქალაქში და კარგა ხანს სრულ აპათიაში ცხოვრობდა. ძალიან რომ მოშივდა, სამსახურის ძიება დაიწყო და ბედმა გაულიმა – „ენთერთაინმენტში“ მოეწყო დარაჯად. სათამაშო კლუბის გახსნისთანავე შეფთან შეხვედრა მოითხოვა. ორი საათი დახურულ კარს მიღმა რაღაც ისაუბრეს. კაბინეტიდან გამოსულს მენეჯერის სტატუსის დამადასტურებელი ბრძანება ეჭირა ხელში.

მაგის ხელიდან გაშვება არ მინდა, ორი-სამი ათასიც შევტენოთ, ისე, რომ არ მოგვიტყდეს. აპარატი გუშინ გადავაყენე, ორი კვირა წაგებაზე იქნება, – მშვიდად თქვა მენეჯერმა.

მოკლედ, უყურე, არ გადამნიჭდეს. – გასცა ბრძანება სუხიმ.

მენეჯერი გავიდა.

ასე ვერაფერს ვიზამთ. – გამოცრა სუხიმ. – ჩვენ თუ ჩვენი ფული ვხარჯეთ, ეგრე სადაა, ძმაო! ჩვენს ზურგზე გადაივლიან, მოიგებენ, დასხდებიან კაბინეტებში და ისე დაგინებენ ყურებას, ვითომ არც გიცნობენ. ჩვენ კი აქ შარში ვართ. წახევარ ქალაქს ვიმტერებთ მაგათი გულისთვის, თორემ სულ არ მკიდია ვიღაცებთან დაჯახება?

სუხი, ნუ ზუზუნებ, რასაც ვაკე-თებთ, ჩვენთვის ვაკეთებთ. შენ როგორ გგონია, მეხალისება ამ ორომტრიალში გახვევა? ან ის ხომ არ გგონია, რომ იდეინად ვუჭერ მხარს ვინმეს? მე მკიდია, თუ მკიდია, მაგრამ რაღაც პონტში ერთ მხარეს გვინევს დგომა.

მაშინ, მე გეტყვი, ძმაო. გადავთვალოთ, საით უფრო მეტ შარში ვართ და მეორე მხარეს დავდგეთ... – ბოლოთის ცემა დაიწყო სუხიმ.

ეჲ, სუხი, სუხი... რა მაგარი აზრები მოგდის ხოლმე. ასე მარტივად რომ იყოს, შენ დამასწრებდი თვლას?

ჰო, ვიცი, ჩემზე მაგრად თვლი, მაგრამ, სიმართლე თუ გაინტერესებს, მე ეგენიც მაგრად მკიდია. პირადად არა-ნაირი პრობლემა არ მაქვს არც ერთ სასტავთან. სუფთა ვარ და ხელს ვერავინ დამადებს...

ეგ სულ რიუაა... მოვრჩეთ მაგ ლაპარაკს, ყველაფერს გავიგებთ მალე, თანაც არ დავიწვებით... ჯერ გადახტომა-გადმოხტომის დრო არ დამდგარა, როგორც კი დადგება, პირველები მოვალთ აზრზე და ისე დავტყვდებით, კაციშვილი ვერ გაიგებს.

თუ დატყვდომას ვაპირებთ, ამხელა ფულს რატომ ვყრით ჰაერში,? ეგენი ჩვენ არ გვენდობიან, ჩვენ ხომ, მით უმეტეს, არ ვენდობით... მაგრამ ისე გამოდის, რომ ჩვენ ამ ყომარში ვისარჯებით... რა პონტია?

შაური წინ, ორი შაური უკან, სუხი... დაყენდი, ყველაფერს მოვაგვარებ. – ზებოს გულგრილობა აცოფებდა სულ-სანს.

თუ ჩემი ძმა ხარ, ზებო... ამდენი სანია, პირადს ვერ აგვარებ, ხან წნევა გაქვს და ხან გული განუხებს; იმდენ სანს ელოლიავე იმ გოგოს, სანამ ვიღაც გადამთიელი არ გამოჩნდა...

სუხი, დაყენდი, მითქვამს შენთვის... – ზებო წამონითლდა. – არ გეხება ეგ ამბავი და ნუ შეიხებ, არ ღირს.

ძმაკაცები ხომ ვართ, ჩემი აზრი არ უნდა გითხრა? არც გაინტერესებს?..

უნდა მაინტერესებდეს? მიდი, თქვა!..

ჰოდა, გეუბნები, ფეხი მაგარი გოგოა; გიუია ცოტა, მაგრამ მაგარი ქალია... კურდლელი ნალდად არაა, ვიცი ეგ... რამდენიც არ უნდა კერო, მაგას რამსი არ აერევა – თუ თვითონ არ უნდა, რომ აერიოს. ძმაკაცობიდან სიყვარულის ჩალიჩი მაგასთან არ გავა, ძმაო. თავს დაგაბრედინებს ბოლო ტა-იმში... მაგაზე არ გიფიქრია?

ზებო საფერფლეში ჩაგდებული ჩა-უმქრალი სიგარეტის კვამლს შეჰყუ-

რებდა. წვრილი ზოლი საფერფლის კი-დეს ამოცდებოდა ვერტიკალურად და გარკვეულ სიმაღლეზე ცახცახი შეიპ-ყრობდა, მთლიანობას კარგავდა და ასე გაფანტული ქრებოდა ჰაერში.

„უფიქრია თუ არა?.. ეეჭ, რა არ უფიქრია...“ საკუთარი ფიქრების გამ-ხელის სურვილი რომ გასჩენოდა ოდეს-მე და მათი მცირე ნაწილიც რომ გაეთ-ქვა, სუხი მართლა გიუად შერაცხავდა.

ჩანდა, სულხანს ეს ამბავი აწუხებ-და, ამიტომ ზებომ გადაწყვიტა, ბო-ლომდე მოესმინა. ყოველ შემთხვევაში, გაჩუმება ამჯობინა.

მოგეკიდა ხელი და წაგეყვანა. გეთ-ქვა, რომ მის გარეშე აღარ შეგიძლია. რატომ არაფერს ეუბნები, რანაირი კა-ცი ხარ, გამაგიუებ შენ... ის ტიპი რომ გამოჩნდა, დადაშ თუ დადა, თუ რა ჰქვია იმ ჩემისას, ვერ მოწვი, რაც მოხ-დებოდა? ცვეტში ვიცოდი, ძმაო... რა ნასედკა, რის ნასედკა, ერთი გადარეუ-ლი უსაქმურია, ისე გავწენავდით, თა-ვის მკვდრებს გადასვენებდა აქედან და დატყვდებოდა...

დავკარგავდი ფეხის... – მოკლედ მოჭრა ზებომ.

დაკარგავდი არა... – დამარცვლით გამოითქვა ჰასუხი.

აგვისტო ისევ უჭერდა მარწუხებს. ჰაერი თითქოს ცოტავდებოდა. ღრმად ჩასუნთქვა სულ უფრო ჭირდა... მეტად იღლებოდა ადამიანი ზედმეტი სუნთქვით, მოძრაობით, საუბრითა და ფიქრით.

ახლა არ გყავს დაკარგული? ახლა უფრო დაკარგე და სანამ ბოლომდე გამქრალა, ერთ რამეს გეტყვი: გამო-უცხადე იმ ქალს, შენ რა გინდა, იქ-ნებ, ცოტა მაინც დაფიქრდეს, რა უნდა თვითონ და რა წაადგება მის ცხოვრე-ბას. ეგ ტიპი მაგას დაბრიდავს თუ არ დაბრიდავს, ისე გადააგდებს, რომ ერ-თი-ორი წელი აზრზე ვეღარ მოიყვან. გავიდა ცხოვრება, შენი პრეტენზია კი არ ჩანს, ძმაო... გამოჩნდი და შენ გვერდით ვართ, გავწევთ ყველას... ჰო,

მართლა, ზღვაზე არ აპირებს დასასვენებლად წასვლას? ჰოდა, შენ წაიყვანე, ძმაო, იქვე ახლოს ოთახი იქირავე და დაილაპარაკეთ ყველაფერზე. იმ ტიპთანაც გააპაზრე, რომ მიდიხარ, აუცილებლად მოვა შენი ბალახის მოსაწევად... მაგრად ცხოვრობს, რა... შენს მოსაწევს ეწევა, შენს ქალთან...

ტრაკი დააყენე ბიჭო... – ზებო არ ხუმრობდა.

ბოდიში, ზებო, – უკან დაიხია სულ-სანმა. – მაგრად ვნერვიულობ, ძმაო, შენზე. კაცი რომ შეგხედავს, სახეზე განერია, რა დღეშიც ხარ... ასე ყველაფერს გავაფუჭებთ... თან ახლა, როცა მაგრად აზრზე უნდა ვიყოთ, ვინმემ არ გვაჭამოს.

მართალს ამბობდა სუხი. ცუდი დრო დამდგარიყო. ასი თვალი და ასი ყური გჭირდებოდა კაცს, რომ საიდანდაც გამოვარდნილი შარი არ დაგჯახებოდა. ირგვლივ მტრები იყვნენ, მისი კეთილდღეობით გაბოროტებული, კბილებდაკრეჭილი, გარსშემოჯარული ხროვა... ზებო იმასაც გრძნობდა, რომ ეს ხროვა ერთფეროვანი მასა არ იყო. ყველაზე საშიშ და ვერაგ ძალას გადამხტარი ინდივიდები წარმოადგენდნენ. ტიპები, რომელთაც უნდა დაემტკიცებინათ, რომ ძველ ბანდასთან, ძველ საქმეებთან, ძველ იდეოლოგიასთან აღარაფერი აკავშირებდათ და მზად იყვნენ, საკუთარი ცოდვების შემსწრე ყოველი პირი გაენაფურებინათ. სიმართლე ითქვას, არც თვითონ იტყოდა უარს ახალ ბანაკში გადაპარგებაზე, თუმცა აქაც, სადაც იყო, სრულიად ნომინალურ წევრად ითვლებოდა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული. ბოლო წლებამდე არც არავის გახსენებია. თავს იმხნევებდა, რომ სიმართლის მხარეს იდგა... პმმ... რომანტიკულობით ზებო არასოდეს გამოიჩინადა, მეტიც, ამ გრძნობას სრულიად უსარგებლო სისუსტედ თვლიდა. უბრალოდ, ყოველთვის დგებოდა იქ, სადაც

ფული ხელმისაწვდომ მანძილზე იყო... სწორედ ხელმისაწვდომზე – ფანტასტიკურად ითვლიდა ბანკნოტებს...

დადა, ბოდიშს ვიხდი, გაგაღვიძე? – გაისმა ფების ხმა. თვალმოჭუტულმა დადაშმა ტელეფონს დახედა, თორმეტი დაწყებულიყო.

კიდევ კარგი, გამაღვიძე. – დილით უთენია დაწვა. მეეზოვე ცოცხს გამეტებით უსვამდა ასფალტს, უხეში ცოცხის ასფალტზე ხრიალმა შეაწუსა და სანოლისკენ გაეშურა. აგვისტოს ღამეებში არ უნდა იძინო. უნდა იარო, სკვერში ჩამოჯდე, წერო, იფიქრო, იოცნებო... ყველაფრის გაკეთების დროა ძილის გარდა. სადღაც პირველი საათისთვის სიოდ ამოიხვნეშებს ღამე და ნანატრ სიგრილეს მოპერავს სიცხით გათანგულ ქალაქს. გორები ხმება. ოქროსფერი გახდა უკანასკნელ ორ დღეში მწვანე ბალახი; კიდევ ორიოდე დღეც და გახუნდება ოქროსფერი, რათა უდაბნოს თეთრს დაუთმოს გალერეა. ავტომობილების ანეული ფანჯრებიდან გათანგული ადამიანების სახეები სჩანს; კონდიციონერები ჩართული აქვთ, თუმც მაინც ქოშინებენ და უიმედობის განცდას აღვივებენ. ცოტა ხალხია ქალაქში და დარჩენილთაგან კიდევ უფრო ცოტა ილიმება.

დადაშ ილიმება...

ილიმება ამ ხმის გაგონებისას.

კარგად იმუშავე, დადა? კმაყოფილი ხარ? წამაკითხებ? რამდენი გვერდი თარგმნე? – არ ცხრებოდა ფები.

რა მაგარია! – წამოიძახა დადაშმა.

რაზე ამბობ? რა არის მაგარი? მითხარი, რა...

მაგარი ისაა, მე მგონი ისევ ფები ხდები... ის ვინც იყავი, მხიარული, სიცოცხლის მოყვარული, ლამაზი... ოჯახისშვილი... – დაამატა ბოლო სიტყვა ცნობილი ფილმიდან.

ჰა-ჰა-ჰა. ოჯახისშვილზე არაფერს ვამპობ, მაგრამ ლამაზი ცოტა ზედმეტი ხომ არ არის?

სილამაზის კატეგორიები ხომ არ გაგვერჩია დილიდან? – შეუბრუნა კითხვა კაცმა.

ააჲ, არ ღირს, – ფეხი კეკლუცობდა. – უნდა მომატყუო, ამიტომ არ მაინტერესებს.

სად მოგატყუებ, არ გაინტერესებს? ვფიქრობ, ყოველ სამ წინადადებაში ერთი გადაჭარბებული იქნება, მეორე ტყუილი, ხოლო მესამე შესაძლოა, სიმართლესთან ახლოს იდგეს.

ასეთი დეტალური კლასიფიკაციით საგონებელში მაგდებს, – თქვა კაცმა და საწოლიდან წამოდგა. თაკარა მზე მისი ფანჯრების წინ გადაშლილ სკვერს უტევდა. მხოლოდ ბრონეულის ქვეშ მდგარი სკამი მოქცეულიყო ჩრდილში. – ისევ ცხელა. მართლა, რას შვები, მზადება როგორ მიდის?

მშვენივრად. დღეს ბევრი საქმე მაქვს. საცურაო კოსტუმი უნდა შევიძინო, კიდევ ნაჭრის ფეხსაცმელები... იქიდან „ენთერთაინმენტში“ გავივლი. ძალიან მერიდება ზებოსი, ამდენი ხანია, მეპატიუება, შენთვის რაღაც მაქვსო, მე კიდევ სულ უარს ვეუბნები... არ ვექცევი ნორმალურად, არაფრით დაუმსახურებია ჩემგან.

დადაშ დუმდა.

ახლა გაიღვიძა.

სიბრაზისაგან წამოჭარხლდა და ღრმად ამოისუნთქა. დილანდელი სიზმარიც გაახსენდა. ეზმანა, თითქოს ზღვის ნაპირას მიხეტებული ზებოსთან ნარნარად მოსეირნე ფების წააწყდა. გველნაკბენივით მკვეთრი მოძრაობა გააკეთა.

დადაშ, სად ხარ? – ფეხის ხმა გაეზარა. – თუ გინდა, ერთად ავიდეთ, დაგირეკავ და გამოდი.

არა. გმადლობ. დაკვებული ვარ. – როგორ არ უნდოდა ისევ იმ ჭაობში ჩაძირვა, საიდანაც მხოლოდ გაღვიძების მოკლე მონაკვეთში ამოდიოდა ხოლმე. „გიგრძალავ მკვლელობას, არ ხარ შენ მაგის კაცი“, – მუდმივად ჩაესმოდა

ზმანებით შემკრთალს სულთმოპრძავი ბიძის სიტყვები. როგორ ამშვიდებდა წინათ ეს სიტყვები... რატომ აღარ მოქმედებენ ისინი ძველებურად და რატომ არ ედებიან დადაშის გულს სალბუნად? „არ მოკლა“, – მუდმივად არწმუნებდა საკუთარ თავს, როდესაც რისხვა, გენეტიკურად ნაგროვები რისხვა სუნთქვას უშლიდა და აღვიძებდა.

დადაში თითქმის ყოველთვის, უფრორე დღისით, მშვენივრად აკონტროლებდა საკუთარ თავს. ეს თვისება იმ ადამიანებთან ურთიერთობისას შეიძინა, რომელთა უმრავლესობა უკვე სამარეში ინვა და ვისი სახელებიც სხვადასხვა კონტექსტში აუცილებლად მოხვდებოდა თანამედროვე ისტორიის ფურცლებზე. დიადები და გმირები, რიტორები და წყალქვეშა ნავები, პატრიოტები და მოღალატეები, რომლებიც, გატეხის მიუხედავად, მაინც სამშობლოს სიყვარულით ჩავიდნენ მინაში. სწორედ ბორხესის „მოღალატი-სა და გმირის შესახებ“ გახლდათ მისი პირველი თარგმანი, რომელმაც დისიდენტურ წრეებში დაინტერესება გამოიწვია, დადაშ სრულიად სამართლიანად თვლიდა, რომ ინტერესი არა თარგმანმა, არამედ თვით ნაწარმოებმა განაპირობა. არ სწყენია მთარგმნელს ავტორისაგან დამცრობა...

...რა სასაცილო იქნება ჯადოქარ ბორხესზე ნაწყენი კაცი...

ძალიან გთხოვ, დადაშ, ასე ნუ მექცევი. მე ხომ... მე ხომ მას მეგობრად ვთვლი.

...რა უნდა ეპასუხა ამ სიტყვებზე?

როგორ აეხსნა ფეხისთვის ყველა-ფერი?

შეიძლებოდა კი, საერთოდ, ახსნა რამისა? ის, ვისაც მისი სისხლი ემართა, მის საყვარელ ადამიანს მართავდა თითქოს. ფეხის ყოველი სტუმრობა ზებოსთან აქამდეც აღიზიანებდა კაცს, მაგრამ ახლა პედისწერის სუნთქვა ისე ძალუმად ისმოდა...

იცი, რა ვქნათ? შენ მოიარე ყველაფერი, საქმეები მოაგვარე და მერე ერთად ვისადილოთ. დადაშ... – ფეხი ამ სიტყვებით დაუკმაყოფილებელი დარჩა. – თუ შენ არ გსიამოვნებს, იქ რა მინდა, არ წავალ... უბრალოდ, ვიფიქრე, გავაბოლებ და სიესტისთვის მოვემზადები... შენთან ერთად გასატარებელი სიესტისთვის.

მე დღის პირველ ნახევარში არ მცალია. – მოუჭრა კაცმა, რომელსაც საუბრის ხალისი გაქრობოდა. ყველაფერთან ერთად, გრძნობდა, რომ ქალს უკვე ზღვა ედგა თვალნინ და მას აგვისტოს ნანატრი პაემანი ძალიან, ძალიან სჭირდებოდა. „არაფერი უთხრა, მან უნდა დაისვენოს, ბოლოს და ბოლოს, იმისთვის არ შეხვდნენ ერთმანეთს, რომ ფეხიმ გაანათოს?“. დაუინებით უმეორებდა საკუთართავს.

საყვარელო, გამოდი ჩემთან, როდესაც მოიცლი. წადი, ინახულე მეგობრები... უფლებებზე ხომ არ ვნადირობ, ეგ შენი ცხოვრებაა.

ფეხიმ მცირე ხნით იყუჩა. – მართალი ხარ. – თქვა ბოლოს და ცივად დაკიდა ყურმილი.

●
ჩვენი ბიჭი გვატყობინებს, რომ უცნაური სუნსული შეიმჩნევა ქალაქში. თეთრ და შავ ტონებში გადაწყვეტილ კაბინეტში ორი ახალგაზრდა მამაკაცი იჯდა. სპორტული აღნაგობის, სუფთად ჩაცმული ადამიანები აშკარად რომელილაც ძალოვან სტრუქტურას მიეკუთვნებოდნენ.

მაგ სუნსულს, რა ხანია, ველით! როგორც იქნა! ძალიან კარგი... თხუთმეტ წუთში საკონფერენციო დარბაზში შეკრიბე ჯგუფი.

რა თქმა უნდა, ბატონო პოლკოვნიკო, მაგრამ მანამდე ერთი კაზუსის შესახებ პირადად თქვენ უნდა გითხრათ. ერთ-ერთ ფოკუსჯგუფში – „ენთერთაინმენტში“, ხომ გახსოვთ ეს კლუ-

ბი, კინორევოლუციის დროს ქუჩაში რომ ზედმეტად აქტიურობდნენ... დაახ, სწორედ მაქედან უცნაური ამბები გამოდის.

ოჳ, ეგ კიდევ რა ციხესიმაგრედ იქციეს ამ ნაძირლებმა... რა ხდება ასეთი უცნაური?

მოკლედ, მაგათ რომ აუცილებლად გააღვიძებდნენ, ცხადი იყო. პენსიონერების, ბიზნესმენებისა და ინტელიგენციის ბაზებმა უკვე სრული ტემპით დაიწყეს მუშაობა. ბიზნესმენები დამფრთხალები არიან, პენსიონერები ძლივს დაიარებიან, სათვალავში ვერ ჩააგდებთ. ქალაქის ინტელიგენცია კი ჰყავთ დათრეული, მაგრამ სად მაშინდელი და სად ახლანდელი მდგომარეობა... თვითონ ამ ინტელიგენციას ვერ ჰყავს დათრეული ვერავინ.

არც არასოდეს ჰყოლიათ. – გაანუკეტინა პოლკოვნიკმა. – ისინი ყოველთვის ბმაში მოიაზრებიან... კრიმინალთან ბმაში ეგ უკვე სერიოზული ძალაა.

დაახ, სწორედ მანდ ვარ, – დაიბრუნა სიტყვა მაიორმა. – საქმე ის გახლავთ, რომ კრიმინალია ძალიან აჭრილი. უფრო სწორად, ეგ განყოფილება ვერ მუშაობს.

ჰოო, ცხადია, რუსული დაჯგუფება მაგ მიმართულებითაც სუსტდება... ყველა დასავლეთისკენ იყურება ამ ბოლო დროს... მმმ... ყველა, მეტ-ნაკლებად გონიერი.

საქმე ის არის, რომ მათ კლუბს ერთი კაცი სტუმრობს ამ ბოლო დროს ხშირ-ხშირად. ოფიციალურად – ქეშაობენ, თუმცა ჩვენი ინფორმატორი ირწმუნება, რომ იქ სერიოზული სჯა-ბაასი მიმდინარეობს, უფრო სწორად, ის დადაშ გ-ძე მაგრად უბრახუნებს პატრიოტულ თემებს...

არ მითხრა, ის ჩვენქალაქელი დადაშ გ-ძე დაბრუნდა? ჰა-ჰა-ჰა... – გადაიხარხარა პოლკოვნიკმა, თუმცა უცებვე მოექუფრა სახე. – რამდენი ხანია, რაც მანდ მოძრაობს?

მეოთხე თვე მთავრდება უკვე.

მეოთხე თვე? რატომ არ ჩამაყენე საქმის კურსში? მეოთხე თვეა, აქ ვიღაც რაღაც კომბინაციებს ათამაშებს, შენ კი დაგიღია პირი და ამთქნარებ... – გაცოფდა პოლკოვნიკი.

აყვანილი გვყავს, ბატონო ოთარ. გადადგილების მარშრუტები ვიცით, ფებისთან აქვს რომანი, კა-სთან... ჩანს, სერიოზული ურთიერთობა აქვთ.

რა თქმა უნდა, ფებისთან ექნება რომანი, აბა, სხვაგვარად იმ წრეში როგორ მოხვდებოდა? ასი წელია, აქეთ არ გამოუხედავს. სრული დოსიე გამოითხოვე, უნდა გავარკვიოთ, მარტოა თუ დავალებაზეა. დედაქალაქში ხშირად დადის? გაიგეთ, იქ ვისთან აქვს კონტაქტი. იქნებ, უკმაყოფილოა ვინმე ჩვენით? ეგ თუ დავალებაზეა, ესე იგი, ჩვენი მდგომარეობა უფრო რთულად არის, ვიდრე წარმოგვედგინა. კარგი, ათ წუთში ვიკრიბებით. ყველა ფიგურანტის დოსიე იყოს ადგილზე. წადი.

მაიორი გავიდა.

პოლკოვნიკი სავარძლის საზურგე-ზე გადაწვა, თვალები მოჭუტა და ფიქ-რები ჩაიძირა. „რატომ ჩამოხვედი, პატივცემულო? არ დამინტო ახლა, რომ მართლა გიყვარს... ჰმ, შენ? კისერს მოვიჭრი... ვიცნობ შენნაირებს, ვითომ გიუჟებს რომ თამაშობენ და აზრზე სანამ მოხვალ, გაგწენავენ... კარგი, მაშინ რა ხდება? ჩამოხვედი, რომ ეგ წერ-ტილი ააფეთქო, გასაგებია... მაგრამ, საინტერესო ისაა, ეგ ოპერაცია სად დაიგეგმა, ჩვენ რომ ამოგვაგდეს? ვინ ფინტიაობს? იქნებ, მონიტორინგზეა, თუმცა ოთხი თვე ბევრია სამაგისოდ... არა, არა... დიდი შანსია, რომ უჩვენოდ აპირებენ რაღაცას... არ გამოვა ეგრე, ქალაქელების გარეშე ამ ქალაქში უჩვენოდ ბანქს ვერავინ მოხსნის... თამაშში შემოვდივარ, დადაშს მოვმწყემსავ და გავიგებ, ვისია... მერე ვნახოთ“.

მოვედი. – მიკროფონში შემკრთალი

ხმა გაისმა. დადაშს წალველი გადაეყარა გულიდან. გასაღები გადაატრიალა და ფების გზა დაუთმო. ეშიანად გამოიყურებოდა ქალი. შავ-თეთრად წვრილად დაზოლილი, მოტკეცილი კაბა მაცდურ სხეულს ამზეურებდა; გამომწვევი იყო, მხოლოდ ვულგარულობის არაფერი ეცხო. კოხტა სხეულმა უცხო სურნელი დატოვა გზად, როდესაც ახლოს ჩაუარა, შეუჩერებლად აკოცა და ოთახისკენ გაეშურა, რომ დასიცხული სავარძელში ჩამჯდარიყო.

კოშმარია გარეთ... – თვალები მოეჭუტა და ალპათ, ამინდზე საშინლად ალელვებულმა მარაოს ქნევა დაიწყო გაშმაგებით.

ცივი ყავა მოგიხდება. – თქვა და-დაშმა და სამზარეულოსკენ გაიწია.

ფების ხმა არ ამოუღია. თვალები ფართოდ გაეხილა და დაუინებით შეჰ-ცურებდა კაცს.

ის იყო, ბოთლის ნჯლრევა დაიწყო, რომ მისკენ აჩქარებით მომავალი ქალის ხმა შემოესმა.

დადა, იცი რა მოხდა?

დაბოლდი? – ისე იკითხა, არც შეუხედავს. იცოდა, გრძნობდა, ქალი იქიდან მოდიოდა. – ამ ფორმაში გააგიუჟებდი შენს მეგობარ ზებოს. სულ დაკარგავდა მეგობრობაზე წარმოდგენას... – უკანასკნელ სიტყვებში ისეთი სარკაზმი ჩააქსოვა, თვითონვე შერცხვა.

დადა, მოიცადე... რაღაც უნდა გითხრა... – გამშრალი ტუჩები დაჭიმვოდა, თვალებშიც რაღაც ისე უელავდა, რომ კაცი მიხვდა...

ზებოს მანქანით წავალთ ზღვაზე... დღეს მითხრა, რომ სამიოდე თავისუფალი დღე გამოუჩნდა და რაკი ჩვენ, გოგოები მივდივართ, ბარემ ეგეც წამოვა.

„შენი დედა მოვტ--ნ!“

ვის ეკუთვნოდა მის გონიერებაში დატრიალებული ღრიალი, ეს საშინელი სიტყვები – საკუთარ სიზმრებს, ზებოს თუ ფების?..

ვიცოდი, – წყნარად წარმოთქვა და

ბოთლის წჯლრევა განაგრძო.

ფეხი თვალს არ აცილებდა კაცს. მერე ალაპარაკდა... საუბრობდა მცირე ხანს, თუმც აშკარად დიდხანს და გულ-დასმით ნაფიქრს და კიდევ უფრო და-პატარავდა, როდესაც მონოლოგი უცებდაასრულა. ასე ემართებათ ხოლმე სტუდენტებს, გამოცდისთვის რომ და-იზეპირებენ საკითხს და ისე სწრაფად ჰყვებიან, თვითონაც იმედგაცრუებულები რჩებიან. მონოლოგს რომ მორჩა, აზრზე მოვიდა და გადაფითრდა.

რა იცოდი? საიდან? – ინსტინქტურად წავლო ხელი მაჯაზე კაცს. – რას ნიშნავს, იცოდი? ვინ გითხრა? დღეს დილით გადაუწყვეტია, შენ არ უნდა გცოდნოდა. – თვალსა და ხელს შეა-დაპატარავდა ქალი და დადაშს მოეჩვენა, რომ მხოლოდ დაჭიმული ნერვების გორგალი თრთოდა მის წინაშე.

ჰო, ეგ კარგა ხანია ვიცი, – როგორც მოახერხა, გაიღიმა კაცმა. – სხვანაირად არც შეიძლებოდა.

წამოდი... გთხოვ, წამოდი. ერთად ვიქნებით, გთხოვ... – ხმა უწყდებოდა ქალს.

ყავა მაღალ ჭიქებში ჩამოასხა და მა-გიდაზე დადო. ფეხი ჭიქას დასწვდა და სულმოუთქმელად გამოცალა.

კიდევ? – ბოთლი ასწია დადაშმა.

დადა, როგორ მოვიქცე, ადამიანს დასვენებაზე უარი ვუთხრა?

„შენი დედა მოვტ--ნ“...

შენ ვინ გეკითხება სხვის დასვენებას? – გაალმასდა დადაში.

ფეხიმ მისკენ გაინია. დადაში უმალ ფეხზე წამოდგა.

მოსაწევიც გექნება, ძალიან გაგი-მართლა. ჩაგიყვანენ, ჩამოგიყვანენ, გონიოში ბუშტებიან ბარში იარე საღა-მოობით, კარგი ბანდა ჰყავთ...

დადა... დადა... მისმინე ერთი წუ-თით... ხომ შეგიძლია, მომისმინო! – სწრაფად გამოთქვამდა სიტყვებს, თითქოს სურდა, ლაკონური და ამომ-წურავი წინადადება მოექებნა, რამდე-

ნიმე ჯადოსნური სიტყვა...

ზარის ხმა გაისმა... ფეხი გაიწია ტე-ლეფონისკენ, თუმც იმავ წამს შეჩერ-და... როგორ არ უნდოდა, ზებო ყოფი-ლიყო.

უპასუხე, – მშვიდი ხმით მიმართა დადაშმა.

„თუ ის არის, მოვკლავ!..“

გისმენთ, – დასწვდა ყურმილს ქა-ლი და თითქოს ტელეფონის გათიშვა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და სმე-ნად იქცა. – დადაშს? კარგი, გადავ-ცემ აუცილებლად. ახლავე ვეტყვი... – ყურმილი ჩამოსწია და მიმქრალი ხმით წაიჩურჩულა: – დადა... ზებომ, იქნებ, ორივენი ამოხვიდეთო, ახლა მომიტა-ნეს სრულიად განსაკუთრებული ბალა-სიო, ამბობს...

მართლა?! რას მეუბნები, რა სი-ხარულია... – კაცი შეშლილს ჰგავდა, თუმცა ცდილობდა, მშვიდად, ოდენ ირონიულად ელაპარაკა. – გადაეცი, რომ აუცილებლად ვესტუმრებით დღეს საღამოს.

არა, დადა, არა... მე არ წამოვალ... ზებო, დაგირეკავ ხუთ წუთში. ტელე-ფონი ტახტზე დაგდო. – დღეს არ მინ-და იქ მისვლა, შენთან მინდა ყოფნა. გთხოვ... – ნერვიული გორგალი ისევ თრთოდა.

გთხოვ, ფეხი, ნუ მეტყვი, რომ გან-შორების წინ ერთად არ დავბოლდებით და მერე შენი სახლამდე მიცილების შანსს წამართმევ...

...ორ წუთში მოვალ, გადავიცვამ... – გამოსძახა უკვე საძინებლიდან.

საღამო მშვიდობისა, როგორ ბრძან-დებით? – ბარმენი გოგონა მონუსხული უყურებდა ფეხის და თვალებში ის სით-ბო ედგა, რომელსაც მხოლოდ ძვირფა-სი ადამიანის დანახვაზე ასხივებს ხოლ-მე ადამიანი.

გმადღობთ, თქვენ? – ქალის მღელ-ვარებაშეპყრობილი სხეული ბარმენის ტონმა მიიზიდა და წამით შეაჩერა. და-დაშმა გზა უკანმოუხედავად განაგრძო.

ფებიმაც წინ წადგა ნაბიჯი, წინ, დახურული კარებისაკენ.

ისევ აქოთებული სამზარეულო, ისევ სუნი, მრეცხავი ქალის ჭუჭყიანი თეთრი წინსაფარი და უზომოდ სქელი გავა... კიდევ კარები... სუნთქვაშეკრულმა დადაშმა კარი გამოალო და ფები გაატარა.

დედას შევ--ი...

გამოცრა კბილებში ოთახში შესულ-მა დადაშმა. ფების თითქოს დენმა და-არტყა, ააძაგძაგა, მაგრამ თავს მოე-რია, გაიღიმა და მიმოიხედა.

ოთახში მყოფი ორი მამაკაცი ფეხ-ზე წამოდგა. უცნობმა ფების აკოცა და მისი მტევანი ორივე ხელით დაიჭირა, როგორც თვალი პატიოსანი – წამით წათხოვარი.. წარმოსადეგი კაცი იყო, ახოვანი, მოწითურო თმა-წვერი უმშვე-ნებდა ცისფერ თვალებს. წათრიაქები ჩანდა.

როგორ ხარ, ჩემო კარგო?

არა მიშავს, თემო, უარესადაც ვყო-ფილვარ, – წუწუნით არ უთქვამს ეს სიტყვები, უბრალოდ უპასუხა. – დადაშ, გაიცანი, თემო, ფანტასტიკური ნეირო-ქირურგი, და, საერთოდ, ფანტასტიკური ადამიანი... – წარუდგინა დადაშ და თემო ერთმანეთს. ოთახი, ზებო, მოხარშული ცხვრის სუნი გულისრე-ვის სპაზმს იწვევდა – სახისა და ყე-ლის კუნთებს უჭიმავდა ზამბარასავით. მის თვალსაწიერზე შემდგარი ნებისმი-ერი მკვეთრი მოძრაობა დეტონატორის ფუნქციას შეასრულებდა – იცოდა ეს და მზად იყო. ასეთი შეგრძნებები ად-რეც არაერთხელ განუცდია – „კლა-სიკაა“... გაუელვა გონებაში. ვნებათა სიმძაფრის მიუხედავად, თემოს იერსა-ხემ სიმშვიდის დისონანსური ნოტა გაა-ჩინა. დადაშ ფანჯარაში გადაეყუდა და სუფთა ჰერი ხმამალლა ჩაისუნთქა. ეს უესტი ფების, და არა მხოლოდ მას, შე-უმჩნეველი არ დარჩენია.

რისი სუნი დგას ოთახში? – ისე იკითხა ფებიმ, თითქოს სამზარეულოს

არსებობა არც იცოდა.

კატებს ვხარშავთ და ძალებს ვაჭ-მევთ. – ზებოს პასუხმა დანასავით გა-იწერიალა.

ფები სავარძელში ჩაეშვა და პატარა მაგიდაზე გადაშლილ წახატს ყურად-ღებით დააკვირდა. რუკაზე ადამიანის ტვინი სხვადასხვა ჭრილებით იყო და-ტანილი. გამოყოფილი სეგმენტები ფე-რებით აეჭრელებინა უცნობ მხატვარს, უფრო მხატვარ-პედაგოგს.

ძალიან მაგრად ვარ... ნეტავ, დრო-ზე მოვიდე აზრზე, სამუშაო მაქვს, – თქვა თემომ, ტახტზე გადაწვა და ხე-ლები სახეზე აიფარა.

არ გავერთოთ? – ყასიდად იკითხა ზებომ და ბოთლი გამოაძრო მაგიდის უჯრიდან.

ზებო პაკეტს ხსნიდა. ფების თვალე-ბი ჭერში მიებჯინა, დადაში ოთახისკენ შემობრუნდა. ქირურგი ტახტიდან სა-ნახევროდ წამოწეულიყო და ეტყობა, მას უყურებდა, რადგან კაცის მოტრი-ალებისას თვალები აუწრიალდა, სანამ ფოკუსს დაიჭრდა.

აბა, რა უნდა ვქნათ... ზღვაზე სველი და ჭრელი გართობის წინ რუს უდაბნო-ში უნდა მოგწყურდეთ და გამოიშროთ ტვინები. – განა ახსნა სჭირდება იმ ტონს, რითაც იგი გამოითქვა დადაშის მიერ?.. – შენ, – მიმართა ზებოს, – ეგ ბოთლიც დასაკლავია, გაპოხილია უკ-ვე...

დღეს არა, – მიუგო ზებომ. ერთი შეხედვით, მშვიდად იყო, მაგრამ ხელე-ბი ისე უკანკალებდა, კინალამ დააპნია.

მართალი ხარ, ზღვაზე გაგისწორდე-ბათ... წარმოიდგინე, მომრგვალებულ პორიზონტს რომ გადახედავ შემაღლე-ბული ბორცვიდან, მზე ჩადის, თქვენ კი დაკლული ბოთლის ფისს ეწევით... ყვე-ლა „გივის“ ოცნებაა...

მისი დახატული პეიზაჟის შეფასება ოთახში მსხდომთაგან არავის უცდია, მეტიც, თითქოს არავის სმენია დადა-შის სიტყვები.

თემომ ბალახზე უარი განაცხადა და რუკას ჩაუჯდა.

ხუთი წუთის შემდეგ...

მზად ხართ? – იკითხა დადაშმა. – ჩალაგდით, უკვე? – ფეხის მიუბრუნდა, თან თქვენობით ფორმაზე გააკეთა აქცენტი. ფეხიმ დიდი თვალები მიანათა, მაგრამ კაცს მრისხანებისაგან აღქმითი სენსორები დაჩლუნგებოდა. სხვა დროს ქალის გამოხედვას გაიგონებდა... ჰო, გაიგონებდა, თვალებით როგორ ეუბნებოდა: დადა, დადა, დადა...

ბალახის არმატი მოხარშული ცხვრის ხორცის სუნის სამოსში გახვეულიყო და ფეხის მზერას გაუმჭვირვალე ფარდად ეფარებოდა...

დუმილი ფეხისკენ სახემიქცეულმა ზებომ დაარღვია:

აი, ეს გიტარა წავილოთ. ნახე, პატარაა, კოხტა, მანქანაში თავისუფლად მოვუძებნი ადგილს.

გიტარა? – გაოცებული სახით მიუბრუნდა ფეხი მასპინძელს.

პლაზზე გაგვისწორდება სალამოს. – უკან არ იხევდა წამხდარი ზებო.

ასე არ გაგვისწორდება, აი, ბაფთას თუ შეაბამ, მაშინ მაგრად გაგვისწორდება... – გადაიკისკისა ფეხიმ.

დადაში ფანჯრისკენ შეტრიალდა და აგვისტოს ლამეულ ხმებს მიაყურადა ვითომ, სინამდვილეში, ქალის რეპლიკამ სიცილი მოჰყვარა და ზამპარასავით დაჭიმული სხეული ოდნავ მოუდუნდა.

შავი ქოლგებიც წაიღეთ, თითოს თითო რომ ერგოს... – ფეხის მხარე დაიჭირა ქირურგმა.

ზებო უხმოდ ადგა. გიტარას ხელი მოჰკიდა და აპარატების დარბაზში გამავალ კარში გაუჩინარდა.

ოთახში კვლავ სიჩუმემ დაისადგურა. ნეიროქირურგი წიგნში ჩაძირულიყო და განსხვავებული ფერით შეფერილი რკალის ინგლისურენოვან განმარტებებს უკირკიტებდა.

უკაცრავად, თუ საიდუმლო არ არის,

იქნებ, ამიხსნათ, ტვინის რომელ უბანს შეისწავლით?? – შეცვლილი თემით დაარღვია დუმილი დადაშმა.

ფეხის ეს ჩართვა აშკარად მოეწონა.

ეს რკალი მეზენცეფალონი გახლავთ, შუა ტვინი... – მოკლედ განმარტა ქირურგმა.

რა ფუნქცია აკისრია?

მეზენცეფალონი უპირობო „რა არის“ რეფლექსის ფუნქციებს ახორციელებს. – დაასწრო ქირურგს ფეხიმ.

ძალიან საინტერესოა. „რა არის“ რეფლექსის მექანიზმის დადგენა რა თვალსაზრისით წასწევს წინ ადამიანისმცოდნეობას? პრაქტიკულ თვალსაზრისი მაინტერესებს.

უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, დადა... – ასეთ, ნეიტრალურ თემაზე მსჯელობას, როგორც ხავსს, ისე ეკიდებოდა ფეხი.

ჯერ ერთი, მისი სტიმულაციის შესაძლებლობა საშუალებას მისცემს კაცობრიობას, კიდევ უფრო ცნობისმოყვარე გახდეს, ინტერესების კიდევ უფრო ფართო სპექტრი გაუჩინდეს, წინ...

დარბაზიდან მჭახე ხმები გაისმა. კედელმა და კარმა ოდნავ დაარბილეს შორეული ბრახვანი, თუმც აშკარა იყო, იქ ვიღაცამ რაღაც დააგდო. დააგდო, რადგან მელერი ნოტაც შემოფრინდა უმალ სიმჭახესთან ერთად.

ქირურგი წამოხტა. კარებთან მიიჭრა და გამოალო. დადაშ ვერ ხედავდა დარბაზს, მაგრამ კარგად ხედავდა ქირურგს და მის რეაქციებს. იგი რაღაცას მიაშტერდა, მერე უკან მოხედა და დამნაშვის ხმით წარმოთქვა: – არაფერი მომხდარა. ბოდიშს ვიხდი, ახლავე დაეპრუნდები.

მარტონი დარჩენენ. უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში ხშირად რჩებოდნენ მარტონი, ზაფხულის ხვატით დაშინებულ ქალაქს მათვის ჯერ ვერ მოეცალა. საუბრობდნენ ყველაფერზე – სამყაროზე, მუსიკზე, სიყვარულზე, ერთმანეთზე, სხვებზე, მუ-

სიკაზე, ერთმანეთზე...

დადაში ხანდახან ფიქრობდა, რომ ქალში ჩაბუდებული ყინული დნებოდა, მაგრამ დღეს სხვა დღე იყო, სხვა დრო, ვინმესთვის წამი, მავანისთვის კი მთელი სიცოცხლე იდო ამ და წინა ერთობას შორის.

რაც ახლა ხდება, შენ ნორმალურად მიგაჩნია? – ვერ მოითმინა დადაშმა.

რა ხდება ახლა? – დაუპრუნა კითხვა ფებიმ. – ძალიან გთხოვ, ამიხსნა, რა ხდება ახლა? როგორ იქცევი? ეს შენ ხარ თუ... ვინ ხარ, საერთოდ?

არ გადამრიო, ფები, თუკი შენთვის არაფერს ნიშნავს, რომ ამასთან ერთად მიდიხარ დასასვენებლად, საერთოდ, რატომ უნდა ვიღაპარაკო... არ

ხარ შენ ნორმალური. ის ჩემი მე-გობარია, შემომთავაზა, რომ წაგვიყვანს სამივეს... ერთი არგუმენტი მაინც მითხარი, რატომ უნდა მეთქვა უარი.

მე ვარ არგუმენტი, მე... – დადაში გაცეცხლდა და ფანჯრის რაფას მოშორდა. – შენ ამბობ, რომ მეგობარია ეგ შენი, მე კი გეუბნები, რომ ეგეთი მე-გობრობის არ მნამს, ყალბი თამაშია... მას უყვარსარ, ვერ ხვდები თუ გსია-მოვნებს?.. – შედგა, გაჩუმდა, რადგან მხოლოდ ეს მიზეზი შეეძლო ეთქვა, სი-მართლე, თუმცა, არასრული...

...ჯიხვზე სანადიროდ წასვლის წინ მონადირე ღამეს ათევს; ცალკე სად-გომში დაყუდებული ალავლენს ქალ-ლმერთ დალისადმი ხოტბას; შინიდან გასვლამდე ხმა არ უნდა გასცეს ქალს – ცოლს, დედას, დას, რომ დალი არ აეჭვიანოს, რომელსაც გზებზე სასიკ-ვდილო ხაფანგების დაგებაში ბადალი არ ჰყავს...

...ქალის ტაბუ...

დადაშ სანადიროდ ემზადებოდა. მზადება მისდა უნებურად მიდიოდა, უბრალოდ, სამყარო ლაგდებოდა ასე. თუმც ამის თაობაზე სიტყვასაც ვერ დაძრავდა. ფეხისთვის რომ გულახდი-ლად ეთქვა, რომ ზებოს მისი სისხლი

ემართა, რას იზამდა ქალი?!

... არა, ამის თქმა გამორიცხული იყო.

კი მაგრამ, მე რომ არ მიყვარს, ამას მნიშვნელობა არა აქვს?

ყველაფერს მნიშვნელობა აქვს, მაგრამ შენ შენი საქციელით იმ ტიპს აფორიაქებ და ცრუ იმედებს უსახავ. რა არის ეს? კოკეტობას ხარ წაჩერები? არა მგონია, მაგრამ, თუ ასეა, მაშინ, რაც ჩვენს შორის ხდება, თამაში გამოდის... მაშინ... რა გვაერთიანებს?

ძალიან კარგი, რომ ეს საუბარი წამოიწყე. იცი რა, გისმენდი ახლა და ვფიქრობდი, შენ არ გესმის ჩემი, რადგან... რადგან, როგორც სჩანს, ცხოვრების სხვადასხვა წესით ვცხოვრობთ. ეს სრულიად ნორმალურია, მაგრამ სიყვარულის ადგილი მანდ აღარ არის... თუ ასე ფიქრობ, ასე იტანჯები, აქ რა გინდა?

შენ, ვგონებ, მართლა გგონია, რომ მხოლოდ მოფერებისთვის ვართ ერთად?!

გთხოვ, გაჩუმდე... რას ამბობ... საერთოდ, თუ ფიქრობ, რა სისულელეს ამბობ? მართლა არაფერი აღარ მინდა, გეფიცები, ძალიან დავიღალე, ამ უაზრო გარჩევებით...

არ არის პრობლემა. უპრალოდ, არჩევანის საკითხია.

არანაირი არჩევანი არ დგას.

(ცინმეს შეუძლია, აღწეროს ადამიანის სულში აბობოქრებული ვულკანის ფერი? გთხოვთ, პირადში გამომეხმაუროთ, გავიჭედე... ავტორი)

ოთახში ზებო და ქირურგი შემოვიდნენ. ზებოს მაჯაზე სახვევი ედო.

რა მოხდა? იტკინე? – სავარძლიდან წამოხტა ფეხი და შემოსულს მივარდა.

არაფერი, რაღაც გადმოვარდა და ვერ დავიჭირე, ოდნავ გავიკანრე... არ დამანება თავი, მაინც გადამიხვია, – თავი გაიქნია ქირურგისკენ. თემო ხმის ამოულებლად მოთავსდა ტახტზე და ინგლისური განმარტებების ქართულად

თარგმნა განაგრძო.

დადაში დაშავებულისთვის იოტისო-დება ყურადღებაც არ მიუქცევია.

ამ სუბიექტის არსებობა დასაშვები იყო იმ დრომდე, სანამ თვითონ არ მო-ემზადებოდა... ეს დრო კი, ცუნამივით, გიუური სისწრაფით მოდიოდა და ყვე-ლაფერს პირნმინდად ანადგურებდა, რაც მანამდე იყო.

„დაწყნარდი, თავი არ დაიწვა, არა-ვითარ შემთხვევაში თავი არ დაიწვა... იფიქრე იმაზე, რომ რკინა უნდა ამოთ-სარო, განმინდო, დაზეთო... ჩეხურ-ზე მეტად ინგლისურ ტყვიებს აქებდა ვიღაც... ტყვები მოუწევს ჩასვლა, ერ-თი მჭიდი ხომ მაინც უნდა დაცალოს... რამდენი წელი გასულა...“

კარი ისევ გაიღო და სულხანი ისე-თი გამგმირავი თვალებით შემოვარდა ოთახში, აშკარად ეტყობოდა, რომ მოვ-ლენათა განვითარების ყველანაირი ვა-რიანტისთვის იყო მზად.

გაუმარჯოს... – ისროლა როყიოდ, ძალისძალად. სვლა არ შეუნელებია, ზებოს თავზე დაადგა, დააშტერდა და ჰკითხა:

როგორ ხარ?

კარგად. დავკექი. მოწევ?

არა, არ მინდა. ერთი წამით გამოდი, საქმე მაქს. ბოდიში, ფეხი, – თითქოს სხვები არც არსებობდნენ.

„შემოვიდა, სიტყვა დატოვა, წავი-და... კლასიკური ძველი ბიჭია“ – ჩაე-ლიმა დადაში.

სამზარეულოში გავიდნენ. უსიამო სუნი ისევ შემოიფრქვა ოთახში. დადა-ში ქირურგის რუკას დაპურებდა და გრძნობდა, როგორ შორდებოდა ფეხი. მათ შორის მანძილი ისე გაზრდილიყო, რომ ქალის სხეულს სიმკვეთრე დაპ-კარგოდა და ზმანებასავით ლიცლი-ცებდა. ამის ატანა სრულიად შეუძლე-ბელი იყო.

სახლში მინდა წასვლა. – დემორა-ლიზებული ხმით წარმოთქვა ფეხიმ.

წებას მომცემ, რომ გაგაცილო? იქ-

ნებ, მანქანას გამოვუძახოთ? – დადაში თითქოს რაღაც მწყობრ, გამართულ წინადადებებს ამბობდა, თუმც საკუთა-რი ხმაც, ფეხის სახისა არ იყოს, უცხო ჰალუცინაციად ეჩვენებოდა.

თემო, ჩვენ წავალთ. ზებოს გადაე-ცი, რომ ხვალ, თერთმეტი საათისთვის მზად ვიქენები.

დაელოდე, ახლავე შემოვა, – თავი-დან აირიდა დანაბარები ნეიროქირუ-გმა.

კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. სა-სიამოვნო იყო თქვენთან ეს ხანმოკლე ურთიერთობაც, – უცნაური თვისება ჰქონდა დადაში. სრულიად მოულოდ-ნელად ეუფლებოდა ხოლმე ალფრთო-ვანება ადამიანების გარკვეული კატე-გორიისადმი. ყოველთვის აინტერე-სებდა შემოქმედებითი ტიპები, რომ-ლებიც კონკრეტულ, გამოყენებით, პრაქტიკულ ხელობას დაუფლებოდნენ და ეს საქმე ხელოვნების ხარისხში აჰ-ყავდათ... სრულყოფდნენ და მუდმივად ამუშავებდნენ მას. ნეიროქირუგი თე-მო სწორედ ამ იშვიათი ტიპის ეგზემ-პლარი გახლდათ. იოტისოდენა სიყალ-ბეც არ იგრძნობოდა დადაშის ხმაში. ხასიათის ასეთმა უეცარმა ცვლილებამ ფებიც კი შეაჩერა კართან.

ფეხი, გადავწყვიტე, ანდერძით და-ვიბარო, რომ სიკვდილის შემდეგ ჩე-მი ტვინი მეცნიერებას ვუსახსოვრო. – დაცინვასავით ქლერდა ეს სიტყვები. არავინ იცის, როგორ აღიქვა ქირურგმა ისინი. ფეხი ყველაფერს მიხვდა, დადა მას მიმართავდა და არა სხვას. სიტ-ყვა სიკვდილიც ისე შემოაცურა, ფე-ბისთვის... ყოველ შემთხვევაში, თემო ამ სიტყვებთან არაფერ შუაში არ იყო. ქალი ითახიდან გავიდა. დადაშ დაიძ-რა თუ არა, ზებომ სამზარეულოს კა-რი შემოაღო და მისკენ... მისკენ არა, მის გზაზე, ოღონდ ფეხის ნაკვალევზე, ჩეარი ნაბიჯით გაემართა.

დადაშმა შეაჩერა:

ზებო, აბა, კარგად. მთავარია, ფე-

ბიმ დაისვენოს... ხომ მეთანხმები? ძალიან მინდა, რომ ხელი არ შეემალოს... მადლია მისთვის დასვენება.

სიგარეტის კვამლითა და უარყოფითი ენერგიით გადავსებულ აპარატების დარბაზში გასულები წამით შეჩერდნენ. ზებომ დააფიქსირა, რომ ფები მას არ ელოდებოდა, არც კი გამოუხედავს უკან.

დადაშმა მასპინძელს თვალებში ჯიქურ შეხედა. ზებომ თვალის დაუხამაშვებლად გაუსწორა მზერა. უხერხული მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ვიღაც მიესალმა მასპინძელს და საუბარი გაუბა. აპარატების მესამე რიგთან მისულ კაცს ფეხზე რაღაც წამოედო. დაიხარა, რათა მრუმედ მოთამაშე სინათლეზე გაერკვია, რა ეგდო ძირს. გიტარის სიმი წამოსდებოდა და ის არ აძლევდა თურმე საძრაობას. დადაშმა სიმი აიღო. გიტარის რკინის დამჭერი ეკეთა... „ოპო... საცოდავი გიტარა... ზღვისა და ბაფთების ნაცვლად, ნაგვის ბუნკერში აღმოჩენილა, არადა, რა ახლოს იყო თავგადასავალთან... ბედი არ ჰქონია საბრალო ინსტრუმენტს“... შეხვეული მაჯა ამოუტივტივდა გონებაში.

ქალაქის უკაცრიელი ქუჩები მზისაგან ფშვინვით ისვენებდნენ. უბრად მიაბიჯებდნენ დადაში და ფები... ფები და დადაში.... უპები ჩაშავებოდა ქალს. სადღაც გაქრა დადაშის მხნეობა. ორივენი საკუთარ თავთან დარჩენილიყვნენ – ცალ-ცალკე...

შუა გზაზე მისულებს უკიდან მანქანის ფარებმა მოანათა. მანქანა ნელა მოდიოდა. რაღაც ჯიპი იყო, დაბურულმუშიანი. ფეხით მავალთ გადაასწრო თუ არა, მუხრუჭის წითელი სანათები აინთო... მანქანა გაჩერდა და შიგნით მსხდომებმა თავები მათკენ მოაბრუნეს.

ფები უეცრად წინ გაიჭრა და მანქანასა და დადაში შორის ჩადგა. დადაშმა ხელი წავლო.

დაწყნარდი, უბრალოდ დამათვალიერეს... ახლა მით უმეტეს არ იზამს შენი მეგობარი ისეთ სისულელეს, რომ წასვლა გადაგაფიქრებინოს... თუ, შეიძლება, ქნას კიდეც? – გაიცინა კაცმა. მანქანა დაიძრა და გაქრა.

სახლამდე აღარაფერი უთქვამთ. არც კი შეხებიან ერთმანეთს. ახლა კი დასამდვილებით მიხვდა დადაშ, რომ ამზუთას, შესაძლოა ფები დაეკარგა... კიდევ დაკარგვა... კიდევ გაქრობა... შემდეგ ცხოვრებაში შეხვედრის მქრქალი პერსპექტივა...

რატომძაც ამ საშინელმა აზრმა მეივეიზერის ფორმა შეიძინა და ის იყო მოკლე, სანოკაუტო ჰუკი ყბაში უნდა მიეღო, რომ ჰაერში უბრალო, მარტივი და ჯადოსნური სიტყვები დაირჩა: – ნაყინზე გეპატიუები... უარს მეტყვი?

...და იდგა აგვისტოს ლამე, აღლუმს გადარჩენილი ვარსკვლავებით მოჭედილიყო ზეცა. ფების აივანზე უდაბნოს შავი მთები, ქალაქის ჩირალდნები და სიყვარული უშურველად გადმოღვრილიყო.

თავი მეოთხე,

რომლის შეკონინებას მთელი რედაქცია უკნასკნელი თვის განმავლობაში ცდილობდა, შეძლებისდაგვარად დალაგდა. ავტორის კომპიუტერის დამწვარი ვინჩესტერის გადარჩენილი ფრაგმენტების გაშიფრამ ერთადერთი საშუალება დაგვიტოვა: ქრონოლოგიურად დაგველაგებინა წინადადებები. ამ გარემოებამ, თხზულებას (თუკი საერთოდ შესაძლებელია იგი თხზულებად, ლიტერატურულ ქმნილებად ჩაითვალოს) ტექსტური შეტყობინებების ხასიათი შესძინა, თუმც, ვფიქრობთ, მკითხველს მის მიხედვით აღარ გაუჭირდება საერთო შინაარსის დადგენა. პატივისცემით, რედაქცია).

შტორმები, ხანძრები და აგვისტოს ყურისწამლები ხმაური

სად ხარ? ტალღების ხმა არ ისმის... ოთახი გამოვცვალეთ, საშინელე-

ბა იყო... კონდიციონერი არ ჰქონდათ, შხაპი გაფუჭებული... მოკლედ, გავწამდით, მთელი დღეა ზღვაზე ვართ და ზღვა არ გვინახავს... უკაცრავად... კი, დადაშია... მოვიკითხავ აუცილებლად... მოგიკითხეს... ზეპომ გადმოგცა, იქნება, ჩამოვიდესო... ერთად იქნებით იმ ოთახში...

დრო... აჩქარება? რა თქმა უნდა, აჩქარებაც შეუძლია დროს – გახრწნილ უმანკოებას, სათაყვანებელ და საძულველ კერპს... დინინო ბუკატი წვრილად აღწერს ამ მოვლენას სრულიად ფანტასტიკურ მოთხრობაში „მოგზაურობა ჩვენი დროის ჯოჯოხეთში“ (ცისკარი 2065). ავტ.). წარმოვიდგენიათ დროზე სწრაფი მოვლენა? მით უფრო, აჩქარებული დრო თუ გაქვთ გაცნობიერებული? დრო, ყველაზე სწრაფი სტატიკა.

...ქალბატონებო! – სკუტერზე შემჯდარი, ბრგე, გარუჯული ახალგაზრდა მათი ველოსიპედის გარშემო წრეებს უვლიდა. – ქალბატონებო, ძალიან შორს ხართ გამოსული, შტორმი გვიახლოვდება. ნახეთ, რა ღრუბელი მოდის. სასწრაფოდ დაიძარით ნაპირისაკენ... მე თქვენ გვერდით ვიქნები.

გოგონებმა ვერაფრით დაიჯერეს, რომ ყმაწვილი არ თამაშობდა. მზე ანათებდა მცირე ზომის, აქოჩილ ტალღებს. ფეხი შორიახლოს, წყალზე გაწოლილიყო.

დიდი მადლობა, მაგრამ გასარუჯად ვართ გამოსულები და ცოტა ხანში წამოვალთ. – დასვერებით გაკეკლუცებული ახალგაზრდების ხმა უნიანად გაისმა.

არა, ასე არ გამოვა. ბათუმისკენ გაიხედეთ, რა ხდება...

ბათუმი ღრუბელს უკვე ჩაენთქა და ახლა საზარელი, ქალაქთყლაპია, ნაცრისფერი მასა გაასმაგებული ძალითა და სისწრაფით მოეშურებოდა მათკენ.

...თქეში ისე მოულოდნელად დაიწყო, როგორც დაღამება იცის მთებში. ველოსიპედზე აფოფებულ ფეხის ოთ-

ხი შეშინებული თვალი დახვდა. მოვარდნილმა ღვარმა ველოსიპედს ტენტი გადასადა და ორ დათვლაში გალუმპა დაბნეული ქალები. მაშველი მათ გარშემო უვლიდა წრეებს; – აბა, მაგრად დააწერით, დროზე!..

ფეხიმ შიშისგან გახევებული გოგონა უკან გადასვა და „პედლებთან“ მოთავსდა.

იჩქარეთ, სანამ ტალღას დაუტყამს! – იყვირა მაშველმა... ფეხიმ მის ღრიალზე მიხედა სკუტერზე გადამჯდარი კაცის ბუნდოვან სილუეტს. წვიმას ქარი თითქოს სახანძრო მილიდან დიდი წნევით უბერავდა. ზურგს უკნიდან უეცრად სრულიად გარკვევით გაიგონა ხმა – ცოტათი ქედმაღლური, ოდნავ იროვნიული. გამალიზიანებელიც კი, ხანდახან, მაგრამ საშინლად სანატრელი... ელდანაკრავივით მიიხედა მარჯვნივ და ის დაინახა – დადაში თითქოს ლივლივებდა მის გარშემო. წვიმის ღვარი მის სხეულში ატანდა... წამის მეასედში მიხვდა ფეხი, რომ ეს ყველაფერი წყლისა და ქარის ღმერთების მორიგი ოინი იყო, მაგრამ მისი ხმა... ხმა ისმოდა გარკვევით და მწყობრად, დაუზინებით და ჯიუტად, სიყვარულით და ვნებით – ეს მისი ხმა გახლდათ...

„დადგა დრო, როდესაც არ უნდა შეშინდე, არ უნდა გატყდე, გზა უნდა განაგრძო, კომპრომისი დაუშვებელია, რადგან დამარცხდები და შენთან ერთად შენთვის ძვირფასებიც დამარცხდებიან... ეგ ხომ სიკვდილია...

მეწყვილეს გადახედა. ვითვლით და ვაწვებით! ერთი-ორი! ერთი-ორი!..

...იქნება, შეეგუოს, რაც ხდება... იქნება, ასე ჯობს ყველასთვის? ნუთუცხადში ვარ? ნუთუ ეს სიზმარი არ არის?? თუ ეს ცხადია, მტერი და სატრფო მწველ, უზარმაზარ კოცონს ერთად რატომ ანთებენ? ჩაქრი, ხანძარო, ნუ ედები ნაძვებს და გულებს! ამ ნაძვნარში ნუშისთვალება შველი ბუდობს,

ამ გულში კი დახვრეტილთა სულები სუროსავით ჩახვევიან ფების სახებას... იქნებ, ამიტომ იფარავდა განგება აქამ- დე დადაშს...

...ფები, სტრესის მოხსნა გჭირდება, არ მოვწიოთ? – ზებოს ქალთან განმარტოება სურდა, თუმც გასავათებული ფები არაფრით ამჟღავნებდა იმავეს.

რას ამბობ, ზებო, ვერ ვწყნარდები, ახლაც მაკანკალებს. ასეთი სისწრა- ფე თუ ჰქონდა ღრუბელს, ვერასოდეს წარმოვიდგენდი. წაპირზე გამოსულიც ვეღარ ვხედავდი მიწას... როგორ არ დაგიჯერე, რატომ გავიყვანე ეს ბავ- შვები იმ სიშორეზე... დავრჩენილიყა- ვით დღეს შინ... შენ გეძინა? არ დაის- ვენე?

რას ამბობ, როგორც კი მოიღრუბ- ლა, გარეთ გამოვვარდი, პლაჟისკენ... ეს როგორ დამემართა... რატომ დავ- რჩი... ყოველთვის ასე მომდის... შენ გვერდით როგორ არ ვიყავი...

„განა ერთი მიზეზი მაქვს? არა! მიზეზი საქმარისზე მეტია?“ ფიქრობდა დადაში და ინსტინქტურად შლიდა, მე- რე ანყობდა რევოლვერს. „საკმარისია, ღმერთმა ხომ იცის ყველაფერი... თუ არა ფები, შტორმივით რომ ეხეთქებო- და მის არსებას ხანგამოშვებით და ან- გრევდა ყველაფერს, რაც ღირებულად მიაჩნდა, მტერი მისი იქნებოდა სადღაც კლუბში მიმალული და ჩაივლიდა მთე- ლი ცხოვრება. მაგრამ უკანასკნელმა ურაგანმა, მისი სიყვარულის სახელი რომ ერქვა, მთელი სცენა მოასუფთა- ვა, გააცამტვერა ყველა დეკორაცია და მხოლოდ სამეული დატოვა – ფები, და- დაშ და მტერი...

...ქარიშხლის მხედრები, შობილნი ამ ქვეყნად,

ობლად დავუყრივართ სამყაროს მა- რადჟამს,

ვით ქუჩის ძალლები, ქუჩებში დავ- ძრნივართ;

მოხეტიალე არტისტების ვარსკვლა- ვი ელავს...

ქარიშხლის მხედრები... (ჯიმი მორი- სონი. Riders On The Storm თარგ. ავტ?).

...რას ამბობ, ამ შუალამისას სად უნდა წახვიდე? არც იფიქრო საჭესთან დაჯდომა... სწორედ მეგობრის უფლე- ბით ვითხოვ, რომ გასაღები მომცე...

დიდი ხანია, მეგობრებს აღარ ვუჯე- რებ...

აბა, ვის უჯერებ?

მხოლოდ იმას, ვინც მიყვარს.

მეც, ზებო. მეც... დადაში მიყვარს... მეყვარება...

დაგიჩოქებ, ოლონდ დარჩი...

... – ეს წუთია, დამიკავშირდნენ. რკინა ჩამოვიდა, დილისკენ უნდა ავი- ღოთ....

რამდენი კაცი გყავს?

რამდენიც საჭირო იქნება.

გათენებამდე მანდ ვარ.

გაჩერებულიყავი ერთი დღე, მე გა- ვაკეთებდი ყველაფერს.

ვისთან გავჩერებულიყავი?! ერთი მაგის... – შეიკურთხა ზებომ...

... – რაღაც ხდება, ბატონო თემურ, კლუბში. მთავარი არ ჩანს, მაგრამ და- ნარჩენები ფორიაქში არიან, ვიღაცებს ურეკავენ და იბარებენ.

ფაქტზე უნდა გავწენოთ, ხომ იცი? ხალხი გჭირდება?

სამი კაცი შიგნით გვყავს, ოთხიც გარე პერიმეტრს აკონტროლებს.

ოთხი ცოტაა, ერთი მანქანა გადმო- დის შენს განკარგულებაში. მეც ერთ საათში ვიქნები...

„ENTERTINMENT 2“

სათამაშო აპარატების დარბაზში ამ შუალამისთვის უჩვეულო ხალხმრავლო- ბა და ფუსფუსი იგრძნობოდა. დადაში მესამე რიგში შევიდა. აქედან კაბინე- ტის კარები კარგად მოჩანდა. ვიდეო- კამერები უნდა ენახა დღეს, თუმც ისე უნდა ემოძრავა, რომ მენეჯერს თვალ- ში წაკითხოვთ მოხვედროდა. აპარატთან დაჯდომისას ქამართან იგრძნო და გა- ახსენდა – რევოლვერი წამოელო ტე- ლეფონის მაგიერ... რატომ? თვითონაც

არ იცოდა, ალბათ, ეჩვეოდა... მისი დრო მოსულიყო... ხვალ ტყეში უნდა ჩასულიყო და გაესინჯა...

...გზებზე ბოგინებს მკვლელი შარაგზის

გამრუდებული ფანტომი ბედის;

ნუ გაუჩერებ ძმაო მანქანას,

შენ და შენს ოჯახს არ მოგწევთ კეთილს... (მორისონი. იგივე)

...ფები! – ოთახში აქოშინებული გოგონები შემოცვივდნენ; ჩანდა, ერბინათ; ერთმანეთს ხმის ამოლებას არ აცლიდნენ. – ფები! ბევრი ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, მაინც გითხრათ...

რა ხდება? – ბალიშიდან თავი ძლივს წამოსწია ქალმა.

ზებოს ლაპარაკს მოვუსმინეთ, უნებურად. ვიღაც სუხის ეუბნებოდა, რომ სასწრაფოდ ბიჭები შეეყარა...

იკითხა, რკინა რამდენი არისო... ფები, კაცები რკინას იარაღს ეძახიან, ჩემი ძმების გადამკიდემ, ზუსტად ვიცი.

კიდევ რაო?! – ფები საწოლზე წამოჯდა. სტიქიას გადარჩენილს თითქოს ტყვია ესხა თავის ქალაში, ისე ნელა შემოდიოდნენ გონებაში სიტყვები...

მეტი არაფერი გაგვიგია. მანქანა დაძრა და...


...აპარატთან მჯდარი დადაშ თავის ცხოვრებაში პირველად წატრობდა, რომ ბონუსი არ მოსვლოდა. თუმცფორტუნა, როგორც ხშირად ხდება

ასეთ შემთხვევებში, სხვაგვარად ფიქრობდა; ბონუსი ყოველ მეშვიდე თუ მეცხრე დატრიალებაზე ჯდებოდა და მუსიკა ისეთი გამჭოლი ხმით უკრავდა, გვერდზე მსხდომი მეზობლები საკუთარ თამაშს იმდენად აღარ უცქერდნენ, რამდენადაც მის ეკრანს მიშტერებოდნენ ცუდად შენიღბული სინანულით. აპარატი აშკარად გაცემაზე იყო. საზამთროები, ვაშლები, ლიმონები ისე ლაგდებოდა, როგორც სუპერმარკეტის განკრიალებულ, უზარმაზარ დახლვიტრინებზე. მენეჯერმა კაბინეტის კარი შეაღო. სუხის გაბოროტებულ მზერას წააწყდა და სასწრაფოდ ჩაპარა ანგარიში: – რაღაც ხდება, მესამე რიგის აპარატები გუშინწინ გადავაყენეთ, მაგრამ ერთ-ერთი, როგორც სჩანს, აირიათ...

რა აპარატები? აჲ, ხოო... დაიკიდე; – მერე აზრზე მოვიდა და იკითხა: – ვინ იგებს?

თქვენთან დამინახავს. ამ ოთახში მოდის ხოლმე ქალბატონ ფებისთან ერთად.

ქალბატონ ფებისთან?! რაა?.. გაინიე, შევხედო. – გზიდან ჩამოიშორა კაცი სუხიმ და უნდოდ გაიხედა ნახევრად გალებული კარიდან. შუქების ლიცლიცში კარგა ხანს ვერ გაარკვია, ნამდვილად ის იყო, თუ არა; მერე ოთახისკენ შეტრიალდა... მენეჯერი შეკ-



რთა მისი სახის დანახვაზე. თვალები სისხლით ავსებოდა და ზედა ტუჩი ისტერიკულად უთამაშებდა. სუსი ტელეფონს დასწვდა...

... – დადა! მიპასუხე დადა! ვიცი, რომ გესმის, დადა, საყვარელო, მიპასუხე, გთხოვ! გევედრები დადა, არ დამაღალატო... ახლა არ მიღალატო და ყველა სურვილს შეგისრულებ, ოღონდ უპასუხე ამ ოხერ ტელეფონს!.. კიდევ ერთი უშედეგო მცდელობის მერე მისმა ნაკვთებდა კარგულმა სახემ კონცენტრირებული ფორმა მიიღო და სხვა ნომერი აკრიფა. ტუ-ტუ-ტუ... ხაზი დაკავებული იყო. სრულიად გაუაზრებლად წამოხტა საწოლიდან და ჩაცმა დაიწყო.

ფები, რას შვრები, ფები? – გაოგნებული გოგონები ერთ საწოლზე ისხდნენ და ბელურებივით აბუზულიყვნენ...

... – ყველაფერი გასაგებია, რახან დადაში მანდ არის, ესე იგი, მაგანაც იცის, რომ დღეს რაღაც ხდება... მე დედაქალაქში ვრეკავ... სიტუაცია ჩვენ უნდა გავაკონტროლოთ... – პოლკოვნიკი ტაქსის სანათიან მანქანაში იჯდა და ბრძანებებს იძლეოდა. – როგორც კი დადაში მოძრაობას გააკეთებს, გააჩერებთ და თუ საჭირო იქნება, გათიშვათ... მერე საქმეს ჩვენ მივხედავთ.

... – სწრაფად, ქალბატონო, ჩასხდომა დამთავრებულია! თვითმფრინავი თქვენ გელოდებათ... მომყევით...

...მაგის დედაც... დიდი ხანია მოვიდა? – ახლა გჯერა ჩემი?.. როდის ვამბობდი... ოხ, ეგ ნაპიჭვარი, როგორ ატყუებს ფების, როგორ გამოიყენა, მაგის დედაც... მაგის დედაც... – და საჭეს მუშტები დასკხო. – ჩემს ჩამოსვლამდე არ გაინძრე. უცხო ნომერს არ უპასუხო, თუ იქედან დარეკავენ, ჩემთან გადმოამისამართე...

ხანძრები, ხანძრები, ხანძრები... სამშობლო იწვოდა... იწვოდა სირცევილისაგან, იწვოდა სინანულისგან, ცრუიმედებისა და ცრუ ოცნებებისაგან...

იწვოდა ტყეები, მთები და ველები... და ყოველივე იღუმინატორიდან ისე მოსჩანდა, თითქოს ცეცხლოვან გზას შესდგომოდა ფები; გზას, რომლის მხურვალება აღარ იყო ჩუმი, მას საშინელი, აუტანელი ხმები ერთვოდა. ფებიმ თვალები მაგრად დახუჭა და ყურებზე აიფარა ხელები. „კიდევ რას მიმზადებ?“ ეს სიტყვები ყვედრებით კი არა, ავისმომასნავებელი მოლოდინით გაჟღენილიყო მის გონებაში.

ბოლო ომის დროს, – დაარღვია სიჩუმე მის გვერდზე მჯდომმა ოფიცერმა, – ბორჯომის ხეობაში ორ ტანკს დავარისინებდით ლამით. ინფორმატორებმა ეგრევე დარეკეს რუსებთან, ქართველები არტილერიას და ტექნიკას აქინავენ... ცეცხლმჩნი ბომბები დააყარეს ბორჯომის ხეობას. ჩვენი ტექნიკა კი ამ დროს იქ იდგა, სადაც წელი ვნახეთ ხანძარი, დასავლეთის ტყეებში... სამალავებს გვიწვავენ ნაპიჭვრები...

...აპარატი გასკდა. მის გარშემო მოსეირეთა მთელი ჯგრო შეკრებილიყო და ხმამაღალი შეძახილებით ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდა. არაფრით აძლევდა ხელს დადაშს ეს ამბავი. დარბაზი ისე შეცყურებდა, როგორც გამარჯვებულებს ათვალიერებს ბრძო ყველა დროსა და ყველა ეპოქაში – აღფრთოვანებით, შურით, უძალო რისხვით – ფორტუნამ, როგორც ყოველთვის, მათგან ერთი ხელის გაწვდენაზე ჩაიფრინა და ვიღაც უცხოს, არაფრით გამორჩეულ ტიპს ჩაეხუტა.

შეუმჩნევლად მოძრაობა სრულიად გამორიცხული ხდებოდა. „ხვალ უფრო ადრიანად ხომ არ მოვიდე?“ ზეგამდე ყველა გასასვლელი, ყველა კამერა, ყველა სართული უნდა ენახა...

...შიდა ეზოში დააყენა და შენობაში უკანა კარიდან შევიდა.. „პრეფერანსკლუბის“ ცარიელი ოთახი გადაჭრა, დაელოდა, სანამ ვიღაც უსაქმურები ჰოლს მოშორდებოდნენ და სამზარეულოს მიაშურა. მისი ბრძანებისამებრ,

იქაურობა საფუძვლიანად გაესუფთავებინათ; არაფრის სუნი არ იგრძნობოდა... თითქმის არაფრის...

... – ამაზე სწრაფად ვერ ვივლი, ახალი სისტემა რაც შემოიღეს, საშინელ დღეში ვარ... უკვე ოცდაათი ქულა ჩამომეჭრა... ნუ ღელავთ, ხუთ წუთში ქალაქში ვართ... – მძღოლი ხშირ-ხშირად გადახედავდა ხოლმე სარკიდან უკანა სავარძელზე მოკუნტულ სახეშეშლილ ქალს, რომელიც ისტერიკული სისწრაფით კრეფდა მობილურზე რაღაც ნომრებს, თუმც აშკარად არავინ პასუხობდა.

... – აი, რეკავენ.

ტელეფონი მომაწოდე. გისმენთ. დიახ, ადგილზე ვართ, მაესტრო... დიახ. ზუსტად ოც წუთში ვიქნებით მისამართზე. დიახ...

ყურმილი დაკიდა და სუხის მიუბრუნდა.

ბიჭები დარბაზში არიან?

ზოგიერთი ქუჩაშია – მანქანებში სხედან.

ამას თავისი შინირები ეყოლება გარეთ... ხუთი წუთი გვაქვს. შენ ახლა გახვალ, აქ მყოფებს ცინკს მისცემ და ქვევით ჩახვალთ. მე უკანა კარიდან გამოვალ ზუსტად ხუთ წუთში და ეგრევე დავიძვრებით.

ეს რომ აგვეკიდოს?

არ აგვეკიდება, ეს ისე ჰყავთ, ჭიაყელაა ანკესზე წამოცმული. წადი.

სუხი ხმის ამოულებლად გავიდა აპარატების დარბაზში. ზებომ კარი ჩაკეტა და სავიზიტო ბარათი ამოილო. ათიოდე წამი დაჟყურებდა თეთრ ქალალდს, რომელზეც ტელეფონი, ფაქსი და ელფოსტის მისამართი ეწერა. მერე ღრმად ამოისუნთქა და ნომერი აკრიფა.

– ბატონი თემური ბრძანდებით?.. უკაცრავად, ამ შუალამისას რომ გირეკავთ, მაგრამ თქვენთან განცხადება უნდა გავაკეთო... მოვითხოვ გარანტირებულ თავშესაფარს, სამაგიროდ?.. სამაგიეროდ, გაძლევთ ინფორმაციას, რომ ამ წუთებში...

... ფული გაანალდა, დასტა საფულები ჩადო, მათხოვარ მოთამაშეებს წვრილად დაურიგა და ბარის გვერდით მოთავსებული ტუალეტისკენ აიღო გეზი. რომელიც სწორედ სამზარეულოს შესასვლელთან ახლოს მდებარეობდა. სახეზე წყალი შეისხა, შეიმშრალა და იქიდან გამოსულს თვალი ღია კარისკენ გაექცა...

...სახეგაფითრებული ჰოლში შევარდა და აპარატების დარბაზის კარები კი არ გააღო, შეიტანა,. მენეჯერმა თვალი ჰქიდა და მისკენ გამოეშურა.

საღამო მშვიდობის, ქალბატონო, – ჩვეული, ბნელი გამომეტყველებით მიესალმა იგი ქალს. – აქ არავინ არის... მეგონა ზებოსთან ერთად წახვედით დასასვენებლად.

სად არის? ზებო სად არის? – დაიღრია ქალმა. აპარატებთან მიციებული თავები მისკენ მიტრიალდნენ...

... – ზებო?! – დადაში გახევებული შედგა.

ფულიც მომიგე, ხომ?! – ზებო შუა სამზარეულოში მოაბიჯებდა, ნელა, აუჩქარებლად. მარჯვენა ხელი უკან ჰქონდა, საქამრექსთან მიტანილი. – ძმაკაცები ერთი ზარით დავაჭერინე... ეგეც მკიდია, ყველაფერს გაპატიებდი, მაგრამ ფეხი როგორ წამართვი... გამაგებინე, ასეთი რა დაგიშავე?.. ყველაფერი დამინგრიე, ყველაფერი, ყველაფერი...

ოჳ, თქვენი... – ხაფი ხმით შეჰყვირა დადაშმა და იარაღის ამოღება მაინც მოასწრო.

ტკაც! ტკაც! ტკაც!

რევოლუციერმა გაჭედა...

...ისვრიან! – დაიწივლა ბარმენმა გოგონამ და დახლის ქვეშ შევარდა. აპარატების დარბაზიდან ხალხმა იხუვლა. საეჭვოდ სპორტული აღნაგობის რამდენიმე ახალგაზრდისა და ფეხის გარდა ყველა გასასვლელს მიაწყდა. თუმც ახალგაზრდები ოთახების განლაგებაში უცებ ვერ გაერკვნენ და ია-

რაღმომარჯვებულებმა კაბინეტის კარებს დასცეს წიხლები.

ქალმა სამზარეულოსკენ აიღო გეზი.

მისი დანახვა სულაც არ გაჰკვირვებია ზებოს. იდგა მხრებჩამოყრილი და ფეხის ულიმოდა. იატაკზე დაგდებული იარაღი ნათურის შუქებს ირეკლავდა, თუმც პატარას ეს აღარ დაუნახავს.

სისხლში მოცურავე დადაში თრთოდა...

წითელ გუბეში ჩაემხო მაშინ სხვავარსკვლაველი გოგო, ხელები სიყვარულს თავზე შემოაჭდო და გულში ჩაირა...
...სამყარო უშენოდ ვერაფერს გაბედავს,

ოდეს შენ ეტრფი ქარიშხლის მხედარს... (ჯიმ მორისონი. იგივე)

კონვულსიებში ჩავარდნილი სხეული ნაზად დაუშვა იატაკზე და რევოლუცერს გამოზომილი, მშვიდი მოძრაობით დასწრევდა, მაღლა ასწია. პირდაპირ გულში დაუმიზნა კაცს.

ახლა მაინც გეტყვი, რომ მიყვარსარ, ამ სამყაროზე მეტად მიყვარსარ! – ჩურჩული დაინყო ხელებჩამოშვებულმა ზორბა კაცმა. – შენ არ ისროლო, ჩემო სიცოცხლეო, შენ არ ისროლო... მე თვითონ...

ტკაც!.. გაისმა გაჭედილი იარაღის უქმი ტკაცუნი – ძველი, უვარგისი ტყვია მოხვდა ისევ ლულაში...

არა, სიცოცხლეო, შენ არა-მეთქი... – ამ სიტყვებით მიადგა ზებო ღია ფანჯარას, რაფაზე შედგა და აგვისტოს ღამეში თავით გადაეშვა...
...ხორშაქმა დაუბერა ქალაქში შუალამისას. სტუმრები ენვივნენ ქუჩებს. მსუბუქად დაგორავდნენ უდაბნოს ბუჩქები და უკანასკნელი მოგზაურობით ტკბებოდნენ. ნაგვიანები მძღოლები არიდებდნენ მანქანებს ეკლიან ბურთებს და ცხელი ქარით გულშეწუხებულნი სახლებისკენ მიეშურებოდნენ...

...ტანსაცმელი გაიხადა. პირსახოცი გამოიღო კარადიდან, თუმც არ მოუხვევია შიშველ ტანზე, ეჭირა, როგორც უსარგებლო ნივთი. გაქვავებული სახით აიღო გეზი სააბაზანოსკენ. კარებთან შეჩერდა, რაღაც გაახსენდა და ხელჩანთას დახედა. მშვიდად გახსნა ელვა და შავი იარაღი ამოიღო... ზეთის სუნი ასდიოდა რკინას, ლაპლაპებდა ელექტროს შუქზე და იყო სრულიად გულგრილი სამყაროსადმი. ქალმა ორივე ხელი წაავლო და დოლურა დაატრიალა, გაჭედილი ტყვია ხალიჩაზე უხმაუროდ დაეცა. მეორედაც ჩამოჰკრა ხელი, დაბზრიალდა დოლურა, გადაიტენა... პირსახოცი აღარც აუღია, ისე წამომართა; აპაზანაში დაგროვებული წყალი ლივლივებდა – სუფთა და მოცისფრო. ნელა ჩადგა ფეხი სხვავარსკვლაველმა, ძალიან ნელა... წრიული ტალღები დაისარკა და მისი სხეულის ნათება აპაზანის კიდეებს მიუტანა... უცნაური შუქი გადმოსცდა ჭურჭელს და იატაკს მოედო, იქიდან კედლებს მისწვდა, სარკმლიდან გადმოხეთქა და ვინრო, მკვეთრ სხივად იმ სხვა, უცნობი ვარსკვლავისკენ გაიდო ხიდად.

...,დედა, დედა, ნახე, ვარსკვლავი მოწყდა! – შესძახა პატარა გოგონამ. ჩაიფიქრე, შვილო, აუცილებლად შეგისრულდება. – მიუგო დედამ და ხელი მაგრად ჩაავლო ბავშვს” (რეი ბრედერი)... უკაცრიელ ხოდაბუნებში ჰანგები დაირხა. დედა-შვილს სამშვიდობოზე თვით მათი უმაღლესობა – “The Beatles”-ის ოთხეული მიაცილებდა.

...“Heare Comes the Sun” – ჯორჯ ჰარისონის ტკბილი ხმა სამყაროს უკან, პარმონიაში აბრუნებდა.

ეკლიან ბურთებს აგვისტოც გაჰყოლოდა ქალაქიდან.

2065.15.08 – 2065.8.09

ნუციკო დეკანოზიშვილი



გჯეროდეს!

ყველაფერი ისე მინდოდა ყოფილიყო,
როგორც მელოდრამის ბოლო კადრში;
შენ გაშლიდი ხელებს და ძეტყოდი:
მე არასოდეს შევწყვეტ შენს სიყვარულს;
ან – უთხარი მაგ კაცს, რომ მე შენ მიყვარხარ.
ყველაფერი ასე მინდოდა ყოფილიყო,
აქამდე,
ამ კადრამდე,
ამ სიტყვებამდე,
ამ სამყარომდე.
და ამის შემდეგ, არასოდეს ვიცოდი,
რა მეთქება,
როგორ მოვქცეულიყავი,
რა მინდოდა.

გამოსავალია ფოტო.

„ცხოვრობდნენ დიდხანს და ბედნიერად“.

შეხება,
ყელის ძარღვების სიცხელე.
აქ უნდა დასრულდეს ყველაფერი.

გჯეროდეს:
მე არასოდეს შევწყვეტ შენს სიყვარულს.

გვახსოვდეს!

და ბოლოს, აღმოჩნდა, რომ არაფერი უნდა გვეთქვა,
რადგან, ვისაც ვუთხარით, დაიჯერეს,
დაიჯერეს ჩვენი სურვილები, რომლებზე

გამძლებიც საპნის ბუშტები აღმოჩნდნენ,
და შევატოვეთ ჰაერში მოციალე ბლიკებს,
და გავაფრთხილეთ, ხელი არ ეხლოთ - უჩვენოდ.
ამიტომ მათ დაიწყეს ხელების ქნევა,
განსაკუთრებული სინაზით,
დარწმუნებულებმა - ამ ზეიმს ველარაფერი შეარყევდა,
და როდესაც არ მივედით (თუმცა, ვერ მივედით),
მივიდა განელილი წლების ფრჩხილებდაჭმული დარდი,
მივიდა და დაარწმუნა დროის სისასტიკეში,
ამაოების ნამდვილობა უმღერა,
ხელი ააღებინა თავზე.

და თუ თვალი მაინც გაგვექცევა
ჩვენმიერი გვამების სანახავად, გვახსოვდეს:
არ უნდა გვეთქვა,
როგორ თრთის ბედნიერებისგან გული და
როგორ გვიყვარს ის, რაც არ არის.

მთავარია...

მთავარია, ისე გეჭიროს თავი – თითქოს არაფერი.
მთავარია, არ შეიმჩნიო, რომ აღარ გჯერა მოგონილი
გაზაფხულების.
მთავარია, არ გამოჟონოს მღვრიე სისხლმა – ისევ
შიგნით ჩაიქცეს.
მთავარია, დღისით დაგროვილი ტყუილები, ღამე მაინც
ამოილო.
მთავარია, დღისით მოიტყუო კარგად – ღამეში
რაღაცნაირად დაიკარგები.
მთავარია, ვერ მიხვდნენ, რომ შენ ხვდები –
სრულიად საკმარისია და უპრიანი, უფრთო იდიოტი
ეგონო.
მთავარია, ჩასუნთქვა არ გაგიჭირდეს და ამოსუნთქვა
იყოს
გრილი და ხანგრძლივი.
მთავარია, სინდისმა არ შეგაწუხოს.
მთავარია, სინდისს გაუმკავდე.
მთავარია, შეეჩვით, რომ ხორცისმჭამელი გახდი.
მთავარია, სიზმრებმა აღარ დაგასწებოვნონ და
სიყვარულის ნამუსრევს უმტკივნეულოდ გაუშვა ხელი.
და ღიმილი არ დაგავიწყდეს - ყოვლისმცოდნე და ოდნავ
დამცინავი.

მრეცხავი

ერთი ადგილია ჩემ ქალაქში,
მანქანებს რეცხავს ერთი კაცი - თავის ეზოში.
ღობეზე აბრაა გამოკრული: “კარგად არ ვიცი”.
ყოველთვის უამრავი მანქანაა რიგში.
„დაკერხერება“ 1 ლარი ღირს, ქაფით „დაკერხერება“ – 2
ლარი და
შიგნით თუ მტვერსასრუტიც მოატარა – 3 ლარი.
ერთი სული მაქვს-ხოლმე, მივიდე.
მივიდე და ჩავდგე იმ რიგში.
ამ დროს ათას რამეს ვისმენ: კარგ მუსიკას და ამ კაცის
საუბარს.

სულ კარგ ხასიათზეა.
დადის უზარმაზარი ბოტებით და აჩაჩული შარვლით,
თვალები სიხარულით უბრნყინავს:
მეო, სულ არ მჭირდება მეტი ფულიო.
ფულმა შეჩვევა იცისო,
მერე მაინც არ მეყოფა და
სულ ცუდ ხასიათზე უნდა ვიყოო.
რად მინდა, კაცო, ბევრი ფულიო? – დააბოტებს,
უშტვენს
და ბრწყინავს.
3 მარტს და 8 მარტს ქალებს უფასოდ გვემსახურება.
საქმე ამაში რომ არ არის, ხვდებით, ალბათ.
ერთი სული მაქვს, მივიდე-ხოლმე და
ჩემ გაქაფულ-დაკერხერებულ მანქანასთან ერთად,
სულიც გავირეცხო, ათას ამბავზე მოჭიდებული,
ათას წვრილმანზე მიბმული, ათას ჭუჭყში ამოსვრილი.

ეს ადამიანი ბედნიერია.
ბედნიერია, იმიტომ, რომ ადამიანია.
მეც რაღაცებს მოვყვები-ხოლმე, ვაჭიანურებ წამოსვლას.
მერე რა, რომ სულ კაცების რიგში ვდგავარ.
მოვდივარ იქიდან,
წკრიალა მანქანით და სულ შტვენა-შტვენით.



ლალი ბრეგვაძე-კახიანი

ფილისტირის ვნებანი

ადამიანები, წყლიდან გამორიცული კენჭებივით, მთელ დუნიაზე ვართ მოფანტულნი. უმეტეს დროს ჩვენი ნამდვილი ადგილის ძებნას ვანდომებთ, თანაც სულ რაღაცის გახსენებას ვცდილობთ. ჯიუტად ვისნრაფვით გარე სამყაროსთან კავშირების დასამყარებლად მანამ, ვიდრე არ დაგვიდგება უამი, ლოგოსის უკეთ შესაცნობად, ვიმზიროთ საკუთარ თავში, იქ ვეძებოთ საყოველთაო თანხმობა. ასეთ შემთხვევაში, ხშირად იქმნება აუცილებლობა, ატარო თავისუფალი, ბუნებრივი მასალისგან შექმნილი სამოსი და ბინა დიდი ხის სიახლოეს დაიდო. თუ ამგვარ მოცემულობას მიიღებ, და გაითავისებ, როგორც უკვე კონსტანტას, შეგიძლია დახუჭო თვალი და საამო მუსიკასავით ისმინო წინასწარმეტყველი ესაკიას შეგონება: “უთხარით გულშემკრთალთ, გამაგრდით, ნუ გეშინიათ!” და კიდევ, აი, რა – გვახსოვდეს, ვინც ეგუება, ის გადარჩება, რადგან ადამიანის ყოფა მეტი არაფერია, თუ არა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე. ეს სიტყვები ნაღდია, თამამად შეგიძლიათ, ხმამაღლა წარმოთქვათ.

მხატვარს სარიდანი ერქვა. ცოტა არ იყოს, ენიგმატური კაცი გახლდათ. სახენაცრისფერს მკვეთრად წინ წაგდებული ქვედა ყბა კიდევ მეტად უგ-

რძელდებოდა ჩიბუხის სრუტვისას, ერთთავად რომ აფუტებდა. ჰქონდა მჭახე, როგორლაც დაუდევარი ხმა და მისი ინტონაციიდან გამუდმებული უკმაყოფილება უონავდა. თითქოს დაგცინოდა ეს ხმა, ეჭვქვეშ გაყენებდა. კი არ გესაუბრებოდა, ქედმალლურად დაგძახოდა მისი ყოველი ამოთქმული სიტყვა, რათა ჯიბრიანი ჩასაფრებით დაეთრგუნე, თავის გავლენაში მოექციე. არავინ და არაფერი მოსწონდა ქვეყნიერებაზე. მტრისას, იმან კრიტიკის დატრიალება იცოდა.

ტბის ირგვლივ განფენილ დაბაში ცხოვრობდა იგი, ნახევრად სოფლურ გარემოში. გინახავთ ადამიანი, საუბარში სიტყვას რომ არავის ჩააგდებინებს? არ აინტერესებდა, სხვა რას ფიქრობდა. ხოლო, თუ მაინც გაბედავდი აზრის გამოთქმას, ამას პირად შეურაცხყოფად იღებდა. მაშინ უფრო ემატებოდა აგრესია, მთლად კარგავდა ტაქტს. ლაპარაკობდა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ კილოზე. მეტადრე გაბრაზების დროს, შიგადაშიგ მწარე-მწარე კუთხურ გამოთქმებს გამოურევდა ხოლმე, რასაც განსაკუთრებულ პოზაში დგომისთვის, თუ იმიჯის შესაქმნელად იყენებდა.

ადგილობრივები მდაბიოდ მოიხსენიებდნენ. ჩუმ-ჩუმად მის მიმართ ისეთ ეპითეტებსაც ხმარობდნენ, გაკეთილ-

შობილებული ევფემიზმით ჩანაცვლებაც რომ არ უხერხდებოდა. მერე რა, მაინც ავტორიტეტად იყო მიჩნეული. საქმეების გასარჩევად მასთან მოდიოდნენ, ეკითხებოდნენ ჭკუას, მცირედი ძლვენიც მოჰქონდათ. ისე შესციცინებდნენ ჩაფერფლილ სახეში, თითქოს ჩიბუხის ბოლში გახვეული მისი მზერიდან სასწაულის მოვლინებას ელოდნენ. მოთმინებით იტანდნენ მის მქირდავ, მენტორულ ტირადებს, ერისკაცობის სახელით წარმოთქმულ ერთსა და იმავეს. დასამცირებლად ხშირ-ხშირად ეტყოდა მათ, წიგნს თქვენ არ კითხულობთ და არაფერიო. ამით წიგნიერებაზე აცხადებდა პრეტენზიას, თუმცა ლიზლი და გესლი ეკერა პირზე.

დუმდნენ, ისმენდნენ, უსიტყვოდ, მონური ამტანობით, ესაოდა, ასეც უნდა იყოს, მას დიდი ნაცნობობა აქვს, საქვეყნო საქმეც ჩვენზე უკეთ გაეგებაო. ანაქრონულ, შუასაუკუნეთა ადათს მორჩილებდა ამ ხალხის შეგნება. ხედავდნენ, რა კატეგორიის ადამიანთან ჰქონდათ საქმე, მაინც დიდ კაცად მიაჩნდათ. ეკრძალვოდნენ მის ვეება, გარეგნულად ფეოდალის ციხესიმაგრესავით სახლს, ხის მოჩუქურთმებული აივანი რომ ერტყა ფასადის მხარეს, იზაპელა ყურძნის ტალავრით შეფენილი; მის ძვირადლირებულ ავტომანქანებს, მოდის მიხედვით რომ ირჩევდა, თანაც პროფესიონალი მრბოლელივით დააჯირითებდა; იმ იდუმალ ფინანსურ წყაროებს, რისი მეშვეობითაც პირადი ანგარიშები მუდამ წესრიგში ჰქონდა; განსაკუთრებით ხიბლავდათ ხშირ-ხშირად შეცვლილი ახალ-ახალი ხელისუფლებების პირველი პირნიც კი, აქეთობისას მოხვედრილნი, ზოგჯერ რომ სტუმრობდნენ.

ყველა რეჟიმს აგინძდა, მაინც ყოველი მმართველობის პირობებში, მშვენივრად გრძნობდა თავს. იქნებ სწორედ ეს იყო ის დამულამებულად მუდმივი მდგომარეობა ანუ ამოუხსნელი საი-

დუმლო, რის გამოც ქარიზმიან ადამიანად მიაჩნდათ და იმაზე გაცილებით მეტი წარმოდგენა ექმნებოდათ მის გავლენიანობასა და საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე, ვიდრე სინამდვილეში იყო.

მრავალი უცნაურობიდან, რაც მას სჭირდა, ერთ-ერთი ის გახლდათ, რომ ტრაბახი უყვარდა. იტყოდა ხოლმე, თუ არ მინდა, ბევრს ეზოშიც არ ვუშვებ, ბიჭია და ჭიშკარს აქეთ გადმოაბიჯოს. თანაც ისეთი სიმაყით აცხადებდა, საგმირო საქმედ უნდა ჩაგეთვალა, აფერუმ, კარგს შვებიო. ვინ გაძედავდა ეთქვა, რომ სტუმარი ღვთის გამოგზავნილია, რომლის ნების გარეშე კენჭიც არ დაგორავს. ვის ჰქონდა ასატკიებელი თავი. დიდი ვაჟკაცობა სჭირდებოდა ამას, რადგან მთქმელს უთუოდ დაატყდებოდა რისხვა, თან ისეთი დამამცირებელი, გაჩენას დაიწყევლიდა. ბევრს მრავალჯერ ეწვნია მისი მწკლარტეხასიათის გემო. ხშირად, სხვა გზა არ იყო და, გამოსავალს მიმართავდნენ, სახეზე მიმტევებელი ღიმილის ყალბ ნიღაბს აიფარებდნენ. ამგვარი თავდაცვის ხერხმომარჯვებულნი, ოლონდ მაინც საქციელნამხდარნი, ისმენდნენ დამზადებულ შეგონებებს. ყველაფერი გასდიოდა, ვინ შეედავებოდა ვწებათა სტიქიაში მყოფს. სტიქია მისი ძლიერების იარაღი იყო.

მოკლედ, ასეთი კაცის სახლში დედაქალაქიდან ჩამოვიდა ცოლ-ქმარი, ორივე სარიდანზე ერთი თუ ორი თაობით უმცროსი. მთელ დაბას სალაპარაკო გაუჩნდა. გაიგეთ, სტუმრები ეწვივნენო. აინტერესებდათ, ვინ უნდა ყოფილიყვნენ, რა ქარს მოჰყოლოდნენ ასეთი საპატიონი, რით მოეხერხებინათ მასპინძლის გულის მოგება, რომ ერთ ჭერქვეშ მშვიდობიანად ცხოვრება გამოსვლოდათ.

აბა, ვის საიდან უნდა სცოდნოდა, სარიდანს პორტრეტის შექმნა რომ სწადდა. ოლონდ ჯერ თავად არ გადა-

ეწყვიტა, მოდელად თეოს აირჩევდა, თუ მანუჩარს.

– ჩემი სახლის კარი დღე და ლამ არ იკეტება, – მათი მოსვლისთანავე ამაყად ამცნო სტუმრებს, – მაგრამ რად გინდა, გავაგებინე ვინმეს რამე? აპა, ვერაფერი შეისმინეს. მოდით აქეთ,

– ერთ-ერთი კედლისკენ იხმო ისინი, – უცქირეთ, აბა, ესაა საქმე!?

– მოსავა-დებული ხანჯლის გვერდით ცარიელ ადგილზე მიუთითა.

მათაც ჯერ კედელს უცქირეს, მერე ერთმანეთს.

– ვერაფერს ამჩნევთ ხომ? – იყით-ხა გაოცებულმა მხატვარმა, უფრო ახ-ლო მიდგა კედელთან, – ა, ჩემო ბა-ტონო, ეს სუფთად შენახული შპალე-რი გიტარის ადგილია. აქ ეკიდა წლე-ბის მანძილზე. ნაჩუქარი გიტარა იყო, ძვირფასი სახსოვარი. წარმოიდგინეთ, ამწაპნეს – ირონიულად ჩაიქირქილა,

– შემოიპარა ვიღაც ახვარი და წაიღო. ერთი წუთით იფიქრეთ, რომ წამესწრო, რა დღე დაადგებოდა უბედურს, – ისე-თი ინფანტილური გრიმასი მიიღო, თა-ვად უნდა მიხვედრილიყავი, რითი დას-რულდებოდა ის ამბავი, – ამ ადგილას არაფერს ვათავსებ, ასე ცარიელი უნ-და დარჩეს ამათ სირცხვილად და თავ-სლაფუდასასხმელად, – ისეთი ზიზღი გაუჩნდა სახეზე, თითქოს დანაშაულში იმ ერთ ხელმრუდს კი არა, მთელ ქვე-ყანას ედო წილი, და ყველა ერთად შე-აჩვენა.

სტუმრებმა დაკვირვებით ჩაათვა-ლიერეს ლამაზ-ლამაზი ხანჯლებით, ხმლებით, ჭედური ხელოვნებისა თუ თექაზე შესრულებული მხატვრობის პატარ-პატარა ნიმუშებით გადაჭრელე-ბული მაღალი კედელი..

– ყველაფერი მორთმეულია, – თქვა სარიდანმა, – ამით იმაზე მიანიშ-ნა, ადრე მიმსვლელ-მომსვლელი რომ არ აკლდა და ჭეშმარიტად სისხლსავსე ცხოვრებას ეწეოდა.

მერე კი ავადმყოფობამ, უკურნე-

ბელ სენად რომ ჩაბუდებოდა სხეულში, და რომელსაც არ ნებდებოდა, თავისი გაიტანა, დიდი წყვეტილი გააჩინა. მომ-სვლელთა ნაკადი თანდათან შემცირდა. შემოქმედებასაც კრიზისის ნიშნები დაეტყო, დაინტერიტა შთაგონება, ახალ იმპულსებს ითხოვდა. მხატვარი იმედს იტოვებდა, სასურველ სტიმულად ცოცხალ მოდელთან ურთიერთობა ექ-ცეოდა. რახანია, ლაპარაკის მანია შეე-ყარა და რაკილა მისმა შემოქმედებითმა ენერგიამ სიტყვებში გადაინაცვლა, მო-დელიც უთუოდ მსმენელად სურდა ექ-ცია, ისეთად, მისი დაუოკებელი მონო-ლოგების ყოველ ფრაზას ღრუბელივით რომ შეინოვდა. ხოლო, რაც მეტად ინ-ტელექტუალური იქნებოდა იგი, უკე-თეს მიმღებად გამოდგებოდა, ამტანო-ბასაც მეტს გამოიჩინდა.

სარიდანი კი იმოგზაურებდა თავის წარსულში, წვრილ-წვრილად გაიხსე-ნებდა ყველაფერს. სად აღარ მიაგნებ-და ხსოვნის აისბერგებს, შეეცდებოდა მათ ზედაპირზე ამოტივტივებას, რად-გან საბოლოოდ დარწმუნდა, ადამიანის ცხოვრება უკან მოტოვებულ სურვილთა და ოცნებების ნისლში ყოფილა გახვეუ-ლი, სადაც უკვე საავდრო ღრუბელივით ჩამომდგარა ყველა დროის გამთანგავი სუნთქვა. წარსული გრძელი გზა იყო. ფიქრით მისი ხელთავიდან გამოვლა ერჩია, ვიდრე მომავლის უცნობ ლაბი-რინთთა განჭვრეტა, თვითგვემის გარ-დაუვალობად რომ ესახებოდა. ეჭვით გაჯერებულიყო მომავალი, მისგან ხე-ირს აღარ ელოდა. მაგრამ თავი მაინც მხნედ ეჭირა, რაც, მეტწილად, დაქირა-ვებული ახალგაზრდა ქალის – ცეცილიას დამსახურებად უნდა ჩათვლილიყო. იგი მხატვარს ერთგულად ედგა მხარში და ავადობის სიმძიმეს უმსუბუქებდა. ქალი როგორლაც აცოცხლებდა სარიდანის ვეება, არცთუ გემოვნებით მოწყობილ სახლს, სისუფთავითა და წესრიგით რომ არ გამოირჩეოდა. ცეცილიას, როგორც ჩანს, ყოფით წვრილმანად მიაჩნდა ეს.

ამას, ან, სულაც, კონტრაქტით არ ჰქონდა გათვალისწინებული. მას ჭირვეული მხატვრის პიროვნულ თვისებებთან გამკლავებაც ჰყოფნიდა გაძლების ზღვარ-სმისულ, მოწყენილობით სავსე დღეთა დინებაში.

ამიტომაც გაახარა სტუმრების მოსვლამ. ახალი ადამიანების გამოჩენას იქნება ცოტათი მაინც გადაეხალისებინა დაშტამპული ყოფა, დროთა განმავლობაში კიდევ მეტად რომ მძიმდებოდა.

აუტანელი გვალვის პირობებში, ცოლ-ქმრის პირველი შეშფოთება კოლოებმა გამოიწვია. ისინი გამუდმებით იქმინებოდნენ. სარიდანის სახლი კოლოების სათარეშოდ ქცეულიყო. სისხლმოწყურებულნი, მალიმალ გაიწუილებდნენ ყურთან, დაგცინოდნენ ციდა “აგრესორები”, საიდან აღარ გიტევდნენ, ვერსად დაემალებოდი, ყველგან მოგაგნებდნენ.

ძილის წინ ჩართული სპეციალური აპარატის მეშვეობით დახოცილი კოლოები მთელ საწოლში იყო მოფენილი. ერთი სიტყვით, ესენი იყვნენ, რაც იყვნენ.

მაგრამ სარიდანის გამაპეზრებელ მონოლოგებთან ეს ყოველივე თანდათან უწყინარ ხუმრობას ემსგავსებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას ერისკაცობის პრეტენზია შეჰქმროდა, განუწყვეტლივ ღალადებდა საყოველთაო გახრწნა-გადაგვარებაზე. აღარაფერი დარჩა წმინდა და შეუბლალავიო, მორჩა, რაღა ეშველება ამ ქვეყანასო, დაღუპული და დაქცეულია, ვაითუ გაქრობა გვემუქრებაო. მითხარით, აპა, სადღა არიან ეტრუსკები, ფინიკიელები, ან კიდევ, ჩემო ბატონო, შუმერებიო. ჩვენ კი აქამდე მოგვიტანია თავი, ახლა რა ღმერთი გვიწყრება, ნუთუ უნდა გადავშენდეთო?! ხელისუფლებები რომ არ გვივარგა, მაი არაფერი, არც ისაა სათვალავში ჩასაგდები, კაცი კაცს რომ ვერ ენდობა, ძმა ძმას არ ზოგავს. ერთ ადგილას ვტკეპნით, წინ წაწევა არ გველირსა. კი, ენა შევინარჩუნეთ, ჩვენს მიწაზე გვიდგას ფეხი, მაგრამ საკმარი-

სია ეს?

ყოველი ალტერნატივა მიუღებლად მიაჩნდა, ითხოვდა, მისი ნააზრევი ყოფილიყო ბოლო და ბეჭედდასმული, რის მიღმაც ყიამეთი მეფობდა, ლუსკუმი და უგუნურთა გნიასი იდგა. მისი მოსაწონი არავინ დადიოდა. ცხოვრებისგან ბევრი მიეღო, მაგრამ ვერ შეეტკბო მადლის გემო. უკმაყოფილება და მუნათი წესად ქცეოდა. ისე შემოგილრენდა, ირწმუნებდი, ამქვეყნად გაამპარტავნებულ მდაბიოზე საზარი არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო. სხვისი ღირსების შელახვისას ეს პირნავარდნილი ფილისტერი მდაბალ ვნებებს იკმაყოფილებდა. აქედან, ამ პროვინციული სამყაროდან, თუ დასტირდებოდა, ქვეყნიერებას წიხლქვეშ გაიგდებდა. ამაში თვით სახლის კედლები ეხმარებოდა, თავისი ბუხარიც, სადაც ჩიბუხიდან გამობერტყილ, ჩანავლული თუთუნით სავსე მძიმე, ბროლის საფერფულეს ცლიდა. ვირთაგვები კი, მთელ სახლს შესეულნი, დღე და ღამ დაძრწოდნენ სართულებზე, არც სამზარეულოს მაგიდასა და თაროებს უცხოობდნენ, არც სამუზეუმო დარბაზის თითქმის მთელ სიგრძეზე გაჭიმულ სეფე მაგიდას, რომელზეც მუდამ რჩებოდა მათთვის სასუსნავი და რომლის თავში საგანგებოდ დამზადებული მალალზურგიანი, ჩუქურთმებით დამშვენებული მუქი ხის სავარძელი ედგა მხატვარს, – მისი მიწიერი დიდების სიმბოლოდ ჩაფიქრებული. მასზე მჯდომი ხვდებოდა საპატიო სტუმრებს. მის ორნამენტებით დამშვენებულ სახელურებზე იდაყვდაყრდნობილი სრუტავდა ჩიბუხს და იმოძღვრებოდა.

რაკიდა ვეღარ ხატავდა, აბსოლუტურად მიეცა ვერბალურ სუმბლიმაციას, ხშირ შემთხვევაში, უხეშობამდე მისულს. არ უნდა აპყოლოდი მის ვნებებს, რაც სწორედ საამისოდ გიწვევდა. ავიწყდებოდა სულ ცოტა ხნის წინ ნათქვამი, თუ განგებ იმეორებდა, ვერ მიხვდებოდი.

– პური ჩვენი არსობისაო, – იტყო-

და ტრაპეზობისას, – არსობისა და არა ძლომისაო, – ასე თქვა ი კაცმა. ამათ კი დაულიათ პირი და მუცელში იყრიან, რასაც მოიხელთებენ.

ვინ იყო ეს “ამათ?” ყველა, მისი სტუმრების ჩათვლით, გაშტერებულნი რომ უსმენდნენ, ენაჩავარდნილნი. იმის თქმასაც ვერ ახერხებდნენ, არსობის პურში სულიერი საკვები რომ იგულის-ხმებოდა და არა მიწიერი სალაფავი. და, რაც მთავარია, მისგან მოხსენიებული “ი კაციც”, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი უფალი რომაა, შემწე და მხსნე-ლი, და მისი ასე მოხსენიება სწორედ მკრეხელობა იყო.

პორტრეტის შექმნის შესახებ მხატ-ვარს დროდადრო შეახსენებდნენ ხოლ-მე, ფრთხილად, მოიარებით. გარკვეულ პასუხს ვერ იღებდნენ. მაცალეთ ცო-ტა, თქვენ მაგაზე ნუ ღელავთო, იტყო-და. ეს არ ჰეგვდა პასუხს. სარიდანი არ ჩქარობდა. ისინიც იცდიდნენ. ოღონდ აუცილებლობას გრძნობდნენ, დრო-დადრო გარიდებოდნენ, გასულიყვნენ სადმე, ცოტა ხალვათად ესუნთქათ ადამიანური თავისუფლებით. თუ არა ეს, ვერაფერი სიამოვნება იყო ყოველ-ცისმარე, ვიდრე მზე ძალას მოკრებ-და, მოენახულებინათ დაშრობის პირას მისული ტბა, რომელში ბანაობა მაღე შეუძლებელი გახდებოდა.

მათ დანახვაზე ადგილობრივები ერთმანეთს უესტებითა და გრიმასით ანიშნებდნენ, ესენი არიანო, რაშიც ირონიული ქვეტექსტი იკითხებოდა, დაახლოებით ასეთი – ნახეს სასეირნო დრო და ადგილი.

გვალვისგან სუნთქვა ჭირდა. ყო-ველი დღე წინაზე უარესი იყო. სიცხე აჭკნობდა, ხრუკავდა ყველაფერს. გაქ-რობისპირას მისული წყაროები წვრილ-წვრილ კამარადდა მოწანწკარებდა. მი-ნას გაუქრა სურნელი. ჩიტებიც აღარ ჭიკჭიკებდნენ. ჰაერში უიმედობის სუნი ტრიალებდა. შფოთავდნენ გაძლებაზე

მყოფი, ნაჯაფი ადამიანები. ილუპებო-და წლის მოსავალი. ნამდვილი ღვთის რისხვა სწვეოდათ.

სანატრელი გახდა სასმელი წყალი. მთელ უპანში მხოლოდ სარიდანს ჰქონ-და ჭა, მაგრამ იცოდნენ, ეზოში არავის ადგმევინებდა ფეხს. ამიტომ დაიწყო მცდელობები ღამით ჩუმად გადაპარ-ვის და წყლის ასე მოპოვების. მძიმე სენით ძილგამფრთხალ მხატვარს კი ჩქამიც არ გამოეპარებოდა. არასგზით შეეგუებოდა იგი ქურდულად მოსულთა ქმედებებს.

– რა ამბავი ატეხეთ! ეს რა შემო-სევა მომინყვეთ! – ყვიროდა აივნიდან, – მოშორდით! მეტი აღარ დაგინახოთ! მოშორდით! თავად გათხარეთ ჭები, ხე-ლი გაანძრიეთ, უმაქნისებო!

თუმც, ვის ესმოდა მისი ყვირილი. ხალხი ყოფნა-არყოფნის წინაშე იდგა. არ ეპუებოდნენ. მთელი ღამე არ წყდებოდა ჩოჩქოლი, მოდიოდნენ და მიდიოდნენ. ჭრაჭუნობდა ოწინარი იქამდე, ვიდრე პატრიონი რამდენიმე გამაფრთხილებელ გასროლას დააქუხებდა სანადირო თო-ფით. ასეთმა მყაცრმა განაცხადმა დაუ-პატიუებელ სტუმრებს აგრძნობინა, რომ არ იქნება დანდობა, ხელი უნდა აელოთ თვითონებობაზე. ითათბირეს. დაბაში პა-ტიოსნებით ცნობილი რამდენიმე კაცი მიუგზავნეს თხოვნით – ქენი მადლი, ნუ დაგვიძლი, ოჯახები წყურვილით ამოგ-ვიწყდება, რა დაგაკლდება, ჭით ჩვენც ვისარგებლოთ, მერე იქნებ ბუნებამაც მოგვხედოსო.

უარი კვლავ სასტიკი იყო:

– აპაპაპა! არც იოცნებოთ! სახლ-კარს სათარემოდ ვერ გავხდი. ჩემი ნების გარეშე აქ ჩიტებიც ვერ შემოფ-რინდება. მაცალეთ ცხოვრება! საქმე მაქვს, სიმშვიდე მჭირდება, ნუ მიფან-ტავთ ფიქრებს. ხელს მიშლით, მამაც-ხონებულებო, ამდენი ხომ უნდა გესმო-დეთ! მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს, აღარ შემაწუხოთ!

ზოგი ჭირიც მარგებელიაო. დაბის მოსახლეობამ ამის შემდეგ დაიწყო გამოსავალზე ზრუნვა. მიხვდნენ, მხოლოდ ვაი-ვიში არას არგებდათ.

მისწვდა ხმა სარიდანს, სახეჩოფურა კაპიტონმა, მისმა მოამბე კაცმა, საიდუმლოდ მოახსენა:

— შემლოცავის მოყვანა გადაწყვიტეს. უნდა მოვძებნოთ, რადაც გინდა დაგვიჯდესო, ერთი ამბავია ატეხილი. ის გვიშველის, თუ გვიშველისო.

— რაისი შემლოცავი? — იკითხა სარიდანმა, — რას მიედ-მოედები!

— ყოფილა ვიღაც, ლოცვით წვიმის მოყვანა რომ შეუძლია, — აუხსნა ჩიფურამ, — მისთვის ფეხებში ჩავარდნაც რომ დაგვჭირდეს, უნდა დავითანხმოთ.

საშინლად გაცხარდა, თვალები გადმოქაჩა.

— გამაგიუებს ეს ხალხი! გონი სულ დაკარგეს? იმის მაგიერ, მიწა თხარონ, ქვესკნელს წყალი გამოსტაცონ, შემლოცავს ეძებენ? სიკეთე მიწიდან მოდის, რით ვერ შეისმინეს ჩერჩიტებმა!

კაპიტონმა ულონოდ აიჩეჩა მხრები. მერე დამნაშავესავით დადუმდა. ამით ამბობდა, არა მგონია, ეს გადაწყვეტილება შეიცვალოს, რა ვქნა, რაც ვიცოდი, ვთქვიო.

გაუწინდა მიზეზი. ქოთქოთს არ წყვეტდა სარიდანი, კილავდა ხალხს, რას აღარ უწოდებდა — ბნელს, უვიცს, უმაქნისს, მუქთახორას. შლეგივით დააბოტებდა ოთახიდან ოთახში, ადგილს ვერ პოულობდა. უფრო იმის გამო ბორგავდა, გადაწყვეტილება უმისოდ რომ მიეღოთ. რად არ შეატყობინეს, არ ჰყითხეს ჭუა. მათი მხრივ არადჩაგდება ღია ომს ჰგავდა, გამოუცხადებელს, მაგრამ რეალურს. ამას ვერაფრით შეეგუებოდა. შეაწუხა სტუმრები, ისედაც კომფორტულად რომ ვერ გრძნობდნენ თავს. ყველაზე ცუდი ის იყო, სარიდანის დამშვიდება მათ ძალებს აღემატებოდა.

გავრცელდა ამბავი, მიაგნეს შემლოცავს, დაითანხმეს, მალე ჩვენთან

იქნებაო. გაჩნდა იმედი, ახლა კი მოგვხედავს განგება, იქნებ ხვატმა აღარ ამოგვცუგოს, ბოლომდე არ მოგვითავოს ხელიო.

შემლოცავს თავისი პირობები ჰქონდა — დაბის სამხრეთით მდებარე ბეგე-მოს მთაზე უნდა დაედო ბინა, ხალხისგან მოშორებით, იქ, სადაც ადამიანის ხელი ჯერაც არ ჩარეულიყო ბუნების კეთილი ნებით შექმნილი ლანდშაფტის პირველქმნილობაში. წმინდად, ისე, რომ მხოლოდლა ფრინველის სკორე თუ გაკარებია იქაურობას, შეურყვნელად ინახებოდა მისი მშვენიერება, წინვოვანი ხეებით შებურული, აქამდე შერჩენოდა სიხასხასე, და ასევე უცვლელად უნდა გადაცემოდა თაობებს.

ანკი რა ეღონათ, ყველაფერზე ყაბულს იყვნენ. შექმნილი სირთულიდან გამოსვლა მსხვერპლს ითხოვდა. იძულებულნი გახდნენ, თვალი დაეხუჭათ, უარი ეთქვათ მთის ხელთუქმნელობაზე. იგი ჩაებარებინათ კაცისთვის, ვისი ნამდვილი გვარსახელიც კი არ იყო ცნობილი. მაგრამ მისი მთაზე დასახლების შეუვალი სურვილის ბრმად მინდობა, გადასარჩენად მოსულის იშვიათი უნარების პატივისცემით ახსნეს.

ხეთა გარკვეული ნაწილი გაკაფვას ვერ გადაუჩა და მთაზე გოდოლის მსგავსი რაღაც ნაგებობა წამოიმართა. იგი დაბის ყოველი მხრიდან ჩანდა. იქ დაბინავდა შემლოცავი იმ პირობით, რომ მის სამყოფელთან მიახლოება მოსახლეობას ეკრძალებოდა. უცხოს სამკვიდრომ ადგილობრივთათვის უხეშად შეცვალა ბუნებრივი ჰარმონია, რომლისთვისაც ისე ჰქონდათ თვალი შეჩვეული, სხვანაირად ვერ წარმოედგინათ. ახლა კი როგორმე უნდა შეგუებოდნენ თითქმის სისხლმდებ ჭრილობასავით მტკიცნეულ მახინჯ სიახლეს.

ახალგაზრდა ქალი, ენერგიული ცეკილია კი, აჩრდილივით რომ დადიოდა

სარიდანის ვეება სახლში, ხშირად მობილური ტელეფონის ზარს პასუხობდა და უმეტეს ხანს სამზარეულოში ატარებდა. ნამდვილი დიასახლისივით ეჭირა

თავი. ჩემი მენეჯერიაო, იტყოდა ხოლმე მხატვარი, თან სიამაყეს გადაითენდა მოყვითალო-მონაცრისფრო სახეზე და თვალს ისე ბევრითად გააყოლებდა ქალს, დაგემოვნებით ცდილობდა სხვათათვის ყველა იმ უხილავის დალანდვას, ცეცილიას მრავალმხრივ ფუნქციას საპატიო ტიტულის ქვეშ რომ აერთიანებდა. მას ეკუთვნოდა იყი, ფულზე იყიდა. გასაკვირი არაფერი იყო. დრო დადგა ასეთი. ოჯახის სარჩენად უფრო შორს მიდიოდნენ ქალები.

მხატვარი ცდილობდა, მუდამ ხაზი გაქვა, თუ ცეცილია რარიგ მნიშვნელოვანი იყო მის სახლში. თვალთახედვიდან მცირე ხნით მიფარებულს, მზერით დაეძებდა, ხმამაღლა გასძახოდა: ცეცილია, სად ხარ! რაღაცას იმიზეზებდა, რომ მისთვის ვითომ რჩევა ეკითხა. ან რაიმე საოჯახო დავალებას მისცემდა. მაგალითად, სამზარეულოში კვახი დავდე, მოხარშე შენებურად. ან მანონი თუ შემოგაწოდა ხიზანმაო? ხიზნებად აფხაზეთიდან დევნილ მეზობლებს მოხსენიებდა. ერთ-ერთი ოჯახისთვის თავისი ძროხა მიეპარებინა სანახევროდ. ზოგჯერ ჩურჩულზე გადავიდოდა, ქალს ყურში ჩასდუდუნებდა. ამით ხაზს უსვამდა, რომ ერთგული მესაიდუმლე ჰყავდა, ანგარიშს უწევდა მის აზრს.

იმ საღამოს ციყვებზე ჩიოდა. გვალვებმა ისედაც აღარაფერი შეგვარჩინა, ამათ კი ორი კინკილა თხილი და კაკალიც მთლად გამიჩნავეს. რა მოვუხერხო, ნამეტანი სწრაფებია, ტყვიასაც ვერ მიაწევ, თვალსა და ხელშუა გისხლტებიანო. ეზოს მოჩვეულ ციცქანა არსებებს დაუძინებელ მტრად სახავდა. გაგიგიათ ასეთი, საშველს ალარ მაძლევენო.

თეომ და მანუჩარმაც ბევრი სდიეს

ხიდან ხეზე მოხტუნავე ციყვებს, მობილური ტელეფონით სურდათ გადაღება, მაგრამ ვერაფრით მოიხელთეს შურდულზეც უსწრაფესები.

რაც შეეხება ცეცილიას, იგი გამძლეობის რეკორდს ამყარებდა. მოთმინებით, უსიტყვოდ უსმენდა მხატვარს. აშკარა იყო, ყულში ამოსვლოდა მისი ბუზღუნი, მაგრამ მაინც მოქერხებინა, მიეღწია ნერვების მდგრადობისთვის. ახსენდებოდა ხოლმე ისრაელიდან დაბრუნებული ნაცნობი, რომელმაც უამბო, თუ დამქირავებელმა როგორ ჩაიყვანა სარდაფში, კიბის საფეხურს ქვეშიდან აუსვა თითო, მერე ცხვირთან მიუტანა და გააფრთხილა: ხომ ხედავ ამ მტვერს. მე ასეთი მუშაობისთვის როდი გიხდი!

ცოლ-ქმარმა თავიდანვე შეამჩნია, რომ ცეცილია ნაძალადევად იღიმოდა. თუმც იმას ღიმილიც არ ეთქმოდა. არაბუნებრივად კრეჭდა მოკლე, სანახევროდ გალეულ კბილებს. მის უფერულ სახეს ერთბაშად სცილდებოდა შინაგანი დაძაბულობის კვალი, დროებით ათავისუფლებდა ფარული თამაშის დამღლელი, გამუდმებით კონტროლქვეშ მოქცეული თფიციალობის ნიღბისგან. მაშინ ქალი იმ უმწიფარი გოგოს პრიმიტიულ გულუბრყვილობას იძენდა, არასრულნლოვანი რომ გაეპარა მშობლებს და სმენადქცეულ დაქალებს დაწვრილებით უყვებოდა ქმართან გატარებული პირველი ღამის ამბებს. ჰო, დაახლოებით ამას ჰგავდა, მხატვრისადმი ბატონობით მიმართვაც, ცეცილიას ზოგჯერ ძალდაუტანებელი ბუნებრიობით რომ გადაჰყავდა შენობითში. მახვილი თვალი როდი სჭირდებოდა ამის შემჩნევას, თეთრი ძაფით ნაკერი რეალობა გახლდათ და სტუმრებში თანაგრძნობას ბადებდა ქალისადმი, ვისაც ბოლომდე ვერ გაუგებდი. თუმც ცხადი იყო – თავისი როლი მოსწონდა, უფრო მეტიც, თავსაც იწონებდა, რომ შეეძლო, სარიდანის უაზრო ჯაჯლანი ერთ ყურში შეეშვა და

მეორედან გაეშვა. ივთქვათ, ძალლთან დაკავშირებული – ვნახე, ძალლი ფუნ-თუშის ნაჭერს ჭამდა. რაია ეს, რომე-ლი მიფუჭებთ პირუტყვასო. კარგა ხანს იჩხუბა და ითავსცემა, – გადამრევთ, ვის სმენია ძალლის განებივრება. კი, ბატონო, თქვენ მუცელს ხართ გადაყო-ლილი, მაგრამ ამას რას ერჩით. ნუთუ ამდენი გაგება არ გაქვთ, რომ ძალლმა, რაც შეიძლება, მეტი უნდა იშიმშილოს, სხვაფერ ძალლად არ ივარგებსო. ეს გონიერი არსებაა, კარგიც ესმის და ცუდიც. ბევრი კი არაა ასეთი. ა, ბატო-ნო, ცხოველი გამოვზარდე, მარა ჩემს უვარების შვილებს ვერაფერი შევასმინე. ერთი დედაქალაქში დაეხეტება. მეორე აგერაა, სულ ახლოში. რად გინდა მე-რე, თვალით ვერ ვხედავ. სკოლაში მუ-შაობს ვითომ, რას ასწავლის ბალნებს, ეშმაკმა უწყის.

– ფიზიკას ასწავლის, – თქვა მენე-ჯერმა ცეცილიამ. დაიცვა, რადგან იც-ნობდა მას.

– მეიცა, ერთი, – უდიერად შეან-ყვეტინა სარიდანმა.

ქალი არ ეთანხმებოდა, მაგრამ ალარ შეკამათება. სიფრთხილეს იჩენ-და. არ ღალატობდა ალლო. ეს სტუმრე-ბისთვისაც მაგალითი უნდა ყოფილიყო.

სარიდანი მოუთმენლად ელოდა ხოლმე ადრიანად ტბაზე წასული ცოლ-ქერის დაბრუნებას. ზოგჯერ მანქანით გაეშურებოდა, უთვალთვალებდა მათ, ნაბიჯებს უთვლიდა.

ურთიერთობაში პირველი ბზარი იმ პორტრეტებმა გააჩინა, პლაჟის ცალ-ფეხა მხატვარმა ბლიცსეანსით რომ შექმნა. თავიდან თეოც და მანუჩა-რიც უფრო სიბრალულის გამო დათან-ხმდნენ პოზირებას, მერე კმაყოფილე-ბიც დარჩნენ.

– სუროგატია რაცხა, – თქვა სარი-დანმა, – რამდენი მდღაბნელი ფულის საშოვრად ჩამოეხეტება, ყველას დაყრი-ლი საკენკი უნდა აკენკოთ? მოაშორეთ

მაქედან! – იყვირა, – მასეთები თუ გინ-დებლარიან, ჩემთან რეიზა მოდიოდით!

საყვედური უფრო პროფესიულ ეჭ-ვიანობად მიიღეს, თორემ სახელდახე-ლო პორტრეტები სარიდანს რა ხელს უშლიდა, თავადაც დაეწყო მუშაობა, ვინ ეურჩებოდა. პირიქით, ყოველ ცის-მარე ელოდნენ, როდის განეწყობოდა. მაგრამ ამაოდ. ერთ საღამოს თეომ ქმარს ჩურჩულით უთხრა:

– არ გეჩვენება, რომ არაფრის შექ-მნის თავი აღარ აქვს? დრო გაჰყავს მხოლოდ. მაინც ნუ ვაგრძნობინებთ, ამას რომ ვევდებით, მეცოდება, რაც გინდა იყოს...

ის დღე ასე დაიწყო: სტუმრებს მას-პინძელთან ერთად ჩაი უნდა დაელიათ, რომელიც უკვე ცივდებოდა ფინჯვებ-ში. მაგიდაზე ნამწვით სავსე საფერ-ფლე საზიზლარ სუს გამოსცემდა. სარიდანის ზურგსუკან მდგარი ცეცი-ლია გადაიხარა, დასწვდა საფერფლეს. მხატვარმა მიადევნა თვალი მისი ხე-ლის მოძრაობას. ქალი ოთახიდან გა-ვიდა, უკან შემობრუნებულმა სუფთა საფერფლე მზრუნველად დაუდო ფინ-ჯვის გვერდით, თავადაც დაჯდა, რათა მათთან ერთად შექცეოდა ჩაის.

სარიდანმა საგანგებოდ მოატა-რა თვალი მაგიდის წევრებზე. ბოლოს ცეცილიას მიაბჯინა აპოკალიფსური მძვინვარებით სავსე მზერა და მკაც-რად ჩაპერითხა:

– შენ რა, მართლა სულ არ მცემ პატიცს?

ქალი ვერ მიუხვდა, უსიტყვოდ გა-იოცა.

– რამეფრად წერვები გინდა მომი-ფურტკნო, ხომ? აქამდე ვერ გასწავლე, უნდა შემეკითხო. ეგებ არ ვიყავი თა-ნახმა, მსიამოვნებდა ფერფლის ცქე-რა. იცი შენ საიდან რა იბადება? თუ რავარც თქვენ დოუქშუტუნებთ, ისეა ყველაფერი, – საჩვენებელი თითო გა-აქან-გამოაქანა.

წაუყრუეს. ხმის ამოულებლად და-ლიეს ჩაი, თავ-თავიანთი ფინჯნები სამზარეულოში გაიტანეს, გაეცალნენ მჟავე გუნებაზე თუ მარცხენა ფეხზე ამდგარს. ხვდებოდნენ, იგი მათი ენერ-გიით იტენებოდა.

— ენერგეტიკული ვამპირია, — ხმა-მალლა ჩ გაიფიქრა თეომ, ქმარს კი სთხოვა — მოდი, ნუ მივაქცევთ ყურად-ღებას. აშკარად ვხედავთ, გენიოსობა-ნას თამაშობს. ყველაფერი მარტივად აისწენება.

— ავადმყოფს უნდა ვაპატიოთ, — თქვა მანუჩარმა.

მანც გაუფუჭდათ გუნება. ტბაზე არ წასულან, არც ბადმინგტონი უთა-მაშიათ. ფეხით გასეირნება ამჯობინეს დაბის ბოლოსკენ, გაუყვნენ გზას სა-ქონლის ფუნით მოფენილი, გადატრუ-სული საძოვრებისკენ, სადაც სოფლის იდილია არ იგრძნობოდა, მაგრამ მანც თავისებურ განწყობას ქმნიდა სიღარი-ბის ძეგლებად ჩენილი, მცირე გლეხუ-რი მეურნეობები, ძლიერსა რომ ედგათ სული. სავალი გზის ძეგვიან ნაპირებში, სარეველებს შორის გამონათებული მო-ცისფრო ყვავილები — “ანიუტას თვა-ლები” შენიშნეს. თეომ მაშინვე კრეფა დაუწყო. ქმარიც მიეშველა. პატარა, კოპნია თაიგული შეგროვდა.

— ცეცილიას მიართვი, — თქვა თე-ომ, — მინდა, რაღაცით გავახაროთ.

ქმარი უსიტყვოდ ეთანხმებოდა. რა-საკვირველია, ქალი, რომელსაც მხატ-ვარი ზოგჯერ მენეჯერად მოიხსენიებ-და, სინამდვილეში კი უფრო მოწყალე-ბის დას ჰეგვადა, შესაშური მოთმინები-სა და ამტანობის გამო, იმსახურებდა ყურადღებას.

შინ დაბრუნებისას, ჭიშკართან მი-სულთ უკრიდან ნაცრისფერი “ტოიოტა” მოადგა, სარიდანმა განაფული მძლო-ლის ოსტატობით მოაგელვა იგი. სწრა-ფად დაამუხრუჭა, ფანჯრიდან თავი გადმოყო და მრისხანედ იყვირა:

— სად ხართ აქამდე! სად დადი-

ხართ! მევიარე სანაპირო. მითხრეს, აქ არ ყოფილანო, — მერე მენეჯერს თუ მოწყალების დას უბრძანა, — გადადი, ჭიშკარი გააღე!

არად ჩაუგდიათ საყვედური, უც-ქერდნენ, ცეცილია როგორ მორჩილად გადმოვიდა მანქანიდან, დაეჯაჯგურა ჭიშკარს. მანუჩარი საშველად მიეახლა, თაიგული გადასცა და ჭიშკრის გაღე-ბას შეუდგა.

მანქანა აწყვეტილი სიჩქარით შეგ-რიალდა ეზოში და სახლის ქვის კიბეს-თან გაჩერდა. წუთით ყველანი მანქა-ნასთან შეგროვდნენ. სარიდანის კუშტი სახის მიხედვით ვერაფრით მიხვდებო-დი, მართლა გაბრაზებული იყო, თუ მრისხანეს როლს თამაშობდა. თაიგულს დაშტერდა, ქალს სათუთად რომ ეჭი-რა ხელში. მერე, როგორც სჩვეოდა, საჩვენებელი თითის აქეთ-იქით ქნევას მოჰყვა. დააბრიალა თვალები და გაავე-ბით იყვირა:

— გამოდი აქეთ! ამათი აყოლა გარ-გებს შენ?! — კიბეზე ადგა ფეხი, ორი-ოდე საფეხური აიარა. ისევ მობრუნდა. საჩვენებელი ახლა ხიშტივით მიუშვირა ცოლ-ქმარს, — მოჩვენებითია ეს ყვე-ლაფერი! ქალის და კაცის ურთიერთო-ბას თქვენ მასწავლით?! ბიჭოს! დამიფ-სეთ თვალები, ჰო!

მანუჩარს გაელიმა. მხოლოდ თეომ ჰკითხა გაოცებით:

— რა არის მოჩვენებითი?

ის კი, გამეხებული, ლამის სირბი-ლით ადიოდა კიბეზე, ორ-ორ საფე-ხურს ახტებოდა, თითქოს მისდევენო. თავად მანც თუ ესმოდა, რა ეშმაკი შეუჯდა, რა სულის მფურტკნელი. საბ-რალობლად გამოიყურებოდა წონასწო-რობადაკარგული. თუმც, ისიც შეამჩნი-ეს, გესლის ნთხევის შემდეგ იგი თავს უკეთ გრძნობდა ხოლმე და, ნაცვლად სინანულისა, მხნეობა ემატებოდა.

ისევ კიბესთან იდგნენ, თეომ უცნა-ური, მღელვარე ჩურჩულით რომ უთ-ხრა ქმარს: — იცი, ეს ეპიზოდი თითქოს

ერთხელ უკვე იყო ჩემს ცხოვრებაში. არ ვიცი, სიზმრად, არ ვიცი, ცხადში. დამიჯერე, ნამდვილად იყო.

მან თავი დაუქნია, მჯერაო. თან დამარცვლით აუხსნა: დე-ჟა-ვიუ. სწორედ ესაა დეჟავიუ.

იმ ღამით ცეცილიას თირკმელში კენჭმა გაუარა. ისეთ დღეში ჩააგდო ტკივილმა, ყველა დაიზაფრა. შეშმანაშალა დღისით მომხდარი, ახლა უნინარ ხუმრობადლა რომ შეიძლებოდა ჩათვლილიყო. მშვიდობა ერთადერთ გამოსავლად იქცა.

ტანთ გაუხდელად იწვა ქალი გაქექილ დივანზე უპარო, თამბაქოს ბოლით სავსე სარიდანის საძინებელ ოთახში და ტკივილთან ერთად იმ უარყოფით ენერგეტიკასაც ებრძოდა, რასაც მხატვრის მძვინვარება აფრქვევდა ირგვლივ. მისი ამბოხი ამჯერად თეოს რჩევამ გამოიწვია, – იქნებ ოთახში ცოტა უანგბადი შემოვუშვათო. ეს საკმარისი აღმოჩნდა, ეყვირა:

– რას შევესწარი ამას! ჭუასაც მარიგებს! მასწავლის, რაფერ მევიქცე! – გრგვინავდა მეზივით. წამოხტა თავისი საწოლიდან პამპერსით ამოტენილი ტრუსის ამარა, ეცა უკანა ეზოში გამავალ კარს, ჯახანით გააღო.

თეოს შეებრალა. აბა, ამისგან როგორ შეიძლება, რამე გენყინოს, – გაიფიქრა. ღმერთმა შეუნდოსო. იმ ღმერთმა, რომელმაც იცოდა, ათი მცნებიდან ნახევარს არათუ არღვევდა, საერთოდ არ სცნობდა სარიდანი. ამპარტავნობა კი – ყველაზე მომაკვდინებელი ცოდვა – ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. იცოდა ისიც, თავგამოდებით რომ ირწმუნებოდა, დედა შვილის დაუძინებელი მტერია.

ცეცილიას არ სიამოვნებდა ამის მოსმენა. ამიტომ თეოს საიდუმლოდ გაანდო, ბავშვობაში უარი ათქმევინეს დედაზე. ადამიანისთვის უფრო დიდი ტრაგედია რა უნდა ყოფილიყო.

ჰო, ტრაგიკული პიროვნება გახლდათ მხატვარი. ამჟამინდელ შემოქმედებით არაქმედითუნარიანობაში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას დიდი წილი ედო. ამაზე იგი საერთოდ არ ლაპარაკობდა. მთელი სიბეჭითე და მონდომება სახლის სამუზეუმოდ გასამზადებლად მიემართა. ექსპონატებს ყოველ ცისმარე ამატებდა კედლებზე, მენეჯერ ცეცილიას სათითაოდ რომ ჩამოჰქონდა სადღაც სხვენში განთავსებული საწყობიდან. მანუჩარი კედლებზე ადგილის შერჩევაში ეხმარებოდა. ადიოდა მაღალ კიბეზე, საიმედოდ აჭედებდა სამაგრებს პროვინციელ მხატვართა მიერ შესრულებული სარიდანის პორტრეტებისთვის. სარიდანი პროფილში, სარიდანი ანფასში, ახალგაზრდა სარიდანი... ბევრს ოსტატის ხელი აკლდა, მაგრამ თითქმის ყველაში იდო სარიდანის ჯიქი ბუნების დამძა, ის მთავარი, მისი ქარიზმატულობის მახასიათებელ ხაზს რომ ქმნიდა.

– მუზეუმს იწყობს? – ჰკითხა თეომ მენეჯერს, – რა, სიკვდილისთვის ემზადება?

ცეცილიამ გულიანად გადაიხარხარა. განელა თხელი ტუჩები.

– არა მგონია, სიკვდილზე ფიქრობდეს, ეგ ბევრს წაიმძლვარებს წინ.

მასავით ვინ იცნობდა მხატვარს.

– ძნელია ასეთი ადამიანის გვერდით ყოფნა, – უთხრა ერთხელ ცეცილიამ სამზარეულოში მასთან შესულ თეოს, – არ გეწყინოთ, თუ ჩემგან თავის არიდებას იგრძნობთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ერთმანეთთან კონტაქტი არ მოსწონს. ამიტომ ვცდილობ, ზედმეტად არ გავაღიზიანო. ყოველი წვრილმანი ძვირად მიჯდება. ზოგჯერ ისე გამამწარებს, ისეთ სიტყვას მეტყვეს, გაჩენის დღეს ვიწყევლი. ვფიქრობ, წავალ, მივაფურთხებ ყველაფერს, აქეთ ალარ გამოვიხდავ-მეთქი. განა რას მიხდის ამის საფასურს! მაგრამ წარ-

მოიდგინე, ძალლის ბედი აქვს, მაშინვე კიდევ უკეთესი პატრონი გამოუჩნდება, ჩემზე კი იტყვის, გავაგდეო. ადრე რომ ჰყავდა, ის ქალი ლამის ცოლის სტატუსით სარგებლობდა. მან დიდი ამაგი დასდო, რაც მართალია, მართალია. ამას კი აღარც ახსოვს.

“მადლიერება დიდებული რამაა, – გაიფიქრა თეომ, – თორემ ცხოველებისგან რითი განვსხვავდებით”. – მაგრამ ამაზე არაფერი უთქვამს. არც იმ შთაბეჭდილებზე უამბნია, რამაც, სარიდანთან ერთად, ბაზარში პროდუქტების ყიდვის დროს მათი განცვიფრება გამოიწვია.

მხატვარს მაშინ ტკიცინა ასდოლარიანი ჩაებლუჯა მუჭში და ისე დადიოდად დახლებს შუა. მწვანე კუპიურის დანახვაზე გამყიდველები კეთილად ულიმდნენ, ამბობდნენ, არა, არა, როგორ გეკადრებათ, ისე წაიღეთ, გიცნობთ, გავვეხარდებაო. უსასყიდლოდ ულაგებდნენ პროდუქტს თხილის წველისგან მრგვლად მონწელ კალათაში. ისიც იფერებდა პატივისცემას, თითქოს სხვანაირად არც შეიძლებოდა, უცხოური ვალუტის ეროვნულ ფულზე გადაცვლა სულაც არ იყო საჭირო. წინ გაშვერილი მუჭიდან სანახევროდ გამოჩენილი კუპიურით შემოიარა მთელი ბაზარი.

გაოგნდა ცოლ-ქმარი სარიდანის ქცევით. ორ კურდლელს ერთდროულად იჭერდა, – ხაზს უსვამდა საკუთარ უპირატესობას გაღლეტილ, კაპიკების შემყურე გავაჭრებულ გლეხებზე, შინ კი, პროდუქტებთან ერთად, გროშმოუკლებელი კუპიურით ბრუნდებოდა, რითაც სტუმართა თვალში უნებლივთ ქმნიდა ცხოვრებისეულ პირად პორტრეტს, მიზეზს იმისას, რომ ამის შემდეგ ცოლ-ქმარი მარტონი დადიოდნენ საყიდლებზე.

რაც მთავარია, დროულად აუღეს ალლო სარიდანის მრავალნახნაგოვანი და უპროგნოზო ბუნების გაუთვალისწინებელ შედეგთა საფრთხეს, რასაც

ყველაფერი, მშვიდობიან ურთიერთობაზე ნაგები, ერთ წუთში შეიძლებოდა, თავდაყირა დაეყენებინა. ძალიან ცუდად მოხვდათ ყურში მასპინძლის სიტყვები, მაგიდის თავში ყინჩად მჯდარმა, მორიგი გამაპეზრებელი მონოლოგის დასასრულს, მოჩუქურთმებულ მაღალზურგიანი სავარდლიდან რომ წამოისროლა მანუჩარის მისამართით:

– ბიჭოს! საიდან არ ვუარე, მაგრამ ამ კაცს ხელისუფლების საძრახი ვერაფერი დავაცდენინე!

“ყოჩალ, სარიდან, პროვოკაციაც ასეთი უნდა... – გაიფიქრა მანუჩარმა, – რასაკვირველია, ნათქვამი პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგო. ვერ ელირსები, მეგობარო, თუკი რამ ბოროტი გაქვს ჩაფიქრებული, არ გამოგივა”.

ერთი შეხედვით უადგილო, როყიო და უცერემონიო სიტყვები შეიძლებოდა, ყურს გარეთ გაგეტარებინა, მნიშვნელობა არ მიგეცა, თუ არ ჩავთვლით, რომ აშკარად გასცა თავი, გაიშიფრა. მიხვდნენ, მისი ბრმად ნდობა სისულელე იყო. ამაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლდათ, ეს წმინდა წყლის ფილისტერი ისეთ ვნებებს შეეპყრო, ერთი შეხედვით სათვალავში არადჩასაგდებ ფარულ თამაშს, თუკი ამაში აჰყვებოდი, ცუდად დაგასრულებინებდა სხვა დრო რომ ყოფილიყო. მაგრამ, მიუხედავად ფარული მიყურადებებისა, მაინც დემოკრატია იყო გამოცხადებული და ასეთ პირობებში, ენიგმა-მასპინძლის უსამსობა მხოლოდლა სინანულის განცდით გავსებდა, რომ აქამდე ვერ მიუხვდი. თურმე ყოველწუთიერ გამოცდას გინწყობდა, გიგებდა უხილავ მახეს, მარწუხებში უნდა ჰყოლოდი.

მაინც რა გინდოდათ მასთან, რად არ თქვით უარი მისატიუებაზე. რა გრჯიდათ, რომ მზაკვრული, ვითომ კეთილმოსურნეობით აპარპალებული მისი თვალებისთვის გეცქირათ, აგეტანათ მისი გაზეპირებული ბჟუტური,

ურაპატრიოტიზმის ნამდვილი ნიმუში – ჩვენ, ქართველები, გადავრჩით! ჩვენ, ქართველები... ქართველები... მრავ-ლდებოდა ჰაერში, გაურკვეველი სიამა-ყის ზარებივით რეკა, სიყალბის სუნს აჩენდა. ძნელია ატანა მანიაკალურად აჩემებულის, თავსმოხვეული მოჩვენე-ბითი ინტელექტის გაუთავებელ მცდე-ლობათა დემონსტრირების. ვინმეს ამის პასუხად ეგებ ეთქვა:

– ხომ შეიძლებოდა უარესიც. კი, უარესზე უარესს რა გამოლევს. შეს-წირე მადლი უფალს, თუ ხეიბარი არ გაგაჩინა, ორი საღი თვალი მოგცა, არ გტანჯავს შური და განდიდების მანია, თავისუფალი ხარ ნარკოტიკზე დამოკი-დებულებისგან, შეგიძლია თეთრის და შავის გარჩევა და კიდევ უამრავი რამ, თუნდაც ის მთავარი, ახლა შენს სამ-შობლოში არ არის ომი და გაქვს ადა-მიანის ტვინი, რომელიც ერთ წამში ასი ათასზე მეტ ქიმიურ რეაქციას უძლებს, მაგრამ არ გჭირდება ამაზე ფიქრი, ყო-ველივე ბუნებრივი კანონზომიერებით ხდება, ძალდაუტანებლად, მარადმდი-ნარ დროში, სადაც ურთხელისა და აბა-ნოზის ხეები ძალიან ნელა იზრდებიან.

შენილბული ვნებები ვერაგია და სა-შიში. ადრე თუ გვიან, იგი ყოველგვარ არტახებს გლეჯს. ხოლო, როცა ნიშანში ამოღებულ ობიექტს ვერ ერევა, დაი-მახსოვრეთ კარგად, – საკუთარ თავს ანადგურებს. ჩვენ მეტი რა დაგვრჩინია, გვმართებს, ვალიაროთ სიმართლე და აქ შევჩერდეთ უკეთესის მოლოდინში.

კაპიტონს მოჰქონდა და მოჰქონდა ცხელ-ცხელი ამბები. თურმე იმ კაცის-თვის, ვისგანაც შველას ელოდა ხალხი, წვიმის მაგი შეურქმევიათ. მასაც, თა-ვის მხრივ, დიდად შეუფერებია საპა-ტიო წოდება, რაღაც-რაღაცები შემო-უთვლია ბეგემოს მთიდან:

– მორჩეს ხმაური და შფოთვა, და-ბიდან რომ მოდის, ლოცვაში ხელი მეშ-ლებაო, – ისე დაიწყო ჩიფურამ, თით-

ქოს სათქმელის ამოკითხვას სარიდა-ნის გამომეტყველებიდან ცდილობდა, – ფრთხილად, დაკვირვებით, არაფერი შემეშალოსო. მისი სახის უჩინარი ეკ-რანიდან მარცვალ-მარცვალ კრებდა ყოველ სიტყვას, – შეაგნებინეთ მაგათ, მოთმინება მოიკრიბონ, დინჯად დაე-ლოდონ, თორემ მე აქ მცირედ გაფა-ჩუნებასაც ვგრძნობ, ვინ რას გამომა-პარებს. მათი ყოველი ნათქვამი დამიზ-ნებული ისარივით აღწევს ჩემს ყურს. გაითვალისწინონ, უკუ პროცესების გა-მოწვევაც შემიძლია.

ამას კი ნამდვილად ვერ დაერქმე-ოდა დაბის ბედზე მოფიქრალის შემო-ნათვალი, იგი მუქარას ჰერადა იმ ავი პატრონისა, ხარი ჯერაც რომ არ და-უჭერია რქებით, და მაინც უკვე ტაშს ითხოვს.

– ვაი, ჩვენი ცოდვა!.. – სიტყვები ზიზლით ამოანთხია სარიდანმა, – ნუ-თუ მართლა ასე ბრძანა? – ყურადღე-ბადეცულმა ტუჩები გამობერა, ცალი თვალი უკმაყოფილოდ მოჭუტა, ჯიუ-ტად ჩააშტერდა ჩოფურას. იფიქრებდი, მისი ბრალი ყოფილიყო შემლოცავის კატეგორიული მოთხოვნები; – მაინც რა ხმაურია ასეთი, მხსნელად მოვლე-ნილი რომ შეუწუხებია? შენ ესეც გე-ცოდინება.

ასე ყასიდად იკითხა, თორემ გულ-ში სხვას ფიქრობდა. მიხვდა, მოენეები ეშოვა მამაცხონებულს, რომლებიც დაწ-ვრილებით მოახსენებდნენ დაბის ამბებს. ასეთი მოხალისენი ხომ ყოველთვის გა-მოჩნდებიან, ცდუნებას ვერ უძლებენ. ოლონდ ნდობის მოპოვება შეძლონ, თუნდაც იგი ბევრს არაფერს იძლეო-დეს. სარიდანს ასეთები არ აკვირვებს. სარიდანმა, მიწაში რაა, ისიც იცის. მაინც ელოდება, კაპიტონს რას დააფქვევინებს. ჰოდა, განაგრძობს ჩიფურა:

– იხოცება ხალხი. მიცვალებული მიცვალებულზეა. ვერ უძლებენ პაპანა-ქებას. გლოვა დგას, მოთქმა და გოდე-ბა, საყვედური აკერიათ პირზე.

მართლაც, ყურს არ მოესმინებოდა, ისეთებს ამბობდნენ. ეშმაკად და ქაჯად მოიხსენიებდნენ. მაგისი შელოცვა არა-ფერში წაგვადგა, შარლატანია ვიღაც, ჩვენს გასასულელებლად მოეხეტაო. სასტიკი დროა, შინაური აღარ ინდობა, არათუ საიდანლაც გამომტყვრალიო.

მხატვარს ავად მოზეიმე ღიმილმა გადაუარა სახეზე. მაშინვე მოყვასისად-მი ყოვლისმომშთობი ჯიბრით ამოთქვა:

– ახია მაგათზე, აპა, რა ეგონათ! სად ხარ ჯერ!.. იმის მაგიერ, მიწა თხარონ, წიაღს გამოსტაცონ საშველი, შელანძღვულ მთას მიშტერებიან. ელოდონ, გამოუგზავნის ბუს კვერცხებს, მარტო წყალს არ დააჯერებს.

გაუქმებული მცირე სათბურის მიმდებარე ნახევრად გადამხმარ ლელვის ხის ფოთოლშემჭკნარ ტოტზე ელვის უსწრაფესად გადაირბინა შავმა ციყვმა, საღამოს მოლოდინში ალხგამჯდარ ჰაერს ამოუცნობ ნიშანთა დამდად დააჩინდა.

ისინი ფშატის ქვეშ ისხდნენ ძელ-სკამზე და ერთდროულად დალანდეს მათი ყურადღების მიმპყრობი ბუნების ეს თითქოსდა უწყინარი ხუმრობა, ოდნავ გამაღიზიანებლად, უადგილოდაც რომ აღიქვა თვალმა.

– ფუტკრის საქმე როგორაა? – და-

ინტერესდა სარიდანი, – ახლა ფუტკარს ნამეტანი უჭირს, – აზრს მისთვის უჩვეულო, ქვენა გრძნობებისგან თავისუფალი გულწრფელობა არ დააკლო, ხოლო, ვიდრე პასუხს მიიღებდა, ჩიბუსის დატენვას შეუდგა.

– ხო, მაგის თქმა კი მავიწყდებოდა. სულ იქ აზიდეს სკები, უკანასკნელ ოჯახამდე. დაბაში აღარაფერი დარჩა, – ჩიფურას უკმაყოფილო ხმა იმას მოასწავებდა, რომ არ იწონებდა ფუტკრის ასე ხელალებით გამეტებას.

– მშენიერი სიახლეა, – ამოიბოლმა სარიდანი, ფილტვების მთელი დატვირთვით შეისრულა ჩიბუსი.

– ასეა. ბეგემოს ტყის ტევრებში განალაგეს სკები, რადგან მოსახლეობისგან გასამრჯელოდ მხოლოდ თაფლი უსურვებია, – ისე აიჩეჩა მხრები, თითქოს ახლალა ჩასწვდა ფაქტის არსა, უსიტყვოდ გამოხატა, ამის ფასი ჯერ რა გააკეთაო.

– ოჯახაშენებულს რად უნდა ამდენი თაფლი, შიგ უნდა იპანაოს?

– მეც ეგ მიკვირს, ვერ გამიგია, – უცოდინარობისთვის ალალად მოიბოდიშა, – ალპათ, ფულად აქცევს. ეგეც დაუდგენიათ, თურმე კარგად ეხერხება ყიდვა-გაყიდვა, – ჩაიქირქილა ჩიფურამ.



– ფუჭ, შენი! –ამოიგმინასავით მხატვარმა, – ვაჭრის ხახაში ჩავვარდნილვართ და ეგაა!

აბა, ვინ შეძლებს, მთელი დღე კე-
თილად გაატაროს, თუნდაც ერთი ღვ-
თივ ბოძებული დღით გაამართლოს
ცისქეშეთში მოვლინების დიდი საჩუ-
ქარი, რათა გამუდმებულ ცოთმილება-
ში ყოფნა გამოისყიდოს. ჩვენგან გმი-
რობას როდი ითხოვენ, არც რამ და-
უძლეველი გვაკისრია. ოდენ იმისკენა
ვართ მოწოდებულნი, მეხსიერებამ არ
გვიღალატოს, არ აგვერიოს გზები, თო-
რემ გვიმუხთლებს უამთასავლის ფხიზე-
ლი თვალიც, გამუდმებით რომ შემოგ-
ვცქერის, ცოდვა-მადლს გვიწონის.

სარიდანმა ამგვარ ჭეშმარიტებათა
გზიდან კარგა ხანია, გადაუხვია. საკუ-
თარი წესები შეიქმნა, თავისი მეტრი და
არშინი. არავის გავლენის ქვეშ მოხვედ-
რა არ სურდა, განსაკუთრებით დოგმე-
ბი აშფოთებდა. ზოგჯერ იტყოდა ხოლ-
მე: სამყარო იცვლება, სიახლეს გვთა-
ვაზობს, ესენი კი ჩაფრენიან რაღაცას
და ხელიდან არ უშვებენ. არაფრის გა-
მოგონება არაა საჭირო, ბუნებამ თავი-
სი საქმე იცის, ბუნებას წინააღმდეგო-
ბა არ უყვარს, უნდა ენდო და მიჰყევ,
მეტი არაფერი, მარა, ამას გაგება ხომ
სჭირდება.

მას შემდეგ კი, რაც ერთ-ერთ მოს-
ვლაზე კაპიტონმა ცინცხალი ამბავი
მოიტანა, დაბაში უთანხმოება გაჩნდა,
დავაა ატეხილი, ზოგი ისევ შემლოცა-
ვის შესაძლებლობათა იმედადაა, ხოლო
უმეტესობა მოითხოვს, ხალხს ფუტ-
კარი დაუბრუნოს და მოშორდეს, თან
მადლობა თქვას, ცოცხალი თუ გააღ-
ნია აქედანო, მხატვარმა იმაზე დაიწ-
ყო ფიქრი, გვალვებს კიდევ მეტი უბე-
დურება არ მოჰყოლოდა, უთანხმოება
დიდ კომფლიქტში არ გადაზრდილიყო
და ადამიანებს ერთმანეთის სისხლი არ
დაედოთ. მაშინ არც მას დაადგებო-
და ხეირი. წყლის გამო ისედაც ბევრი

ჰყავდა განაწყენებული. უთუოდ რაღაც
იყო მოსაფიქრებელი. გაახსენდა, ერთ
საუპარში მანუჩარი პერსეიდას მეტეო-
რული ნაკადის შესახებ რომ უამბობდა

– კოსმიური მოვლენის თუ რაღაც ამის
მსგავსზე. ცალი ყურით უსმენდა მა-
შინ, თითქმის აგდებულადაც. მას ხომ
ჩვევად ჰქონდა, მხოლოდ თავად ელა-
პარაკა, მსმენელი კი სხვა უნდა ყოფი-
ლიყო. მერე და მერე, რომ დაფიქრდა,
აღმოაჩინა, სტუმარი კაცი საინტერესო
რამებს ამბობდა ხოლმე. ისიც გაიფიქ-
რა, ამ შეჩვენებულს ბევრი ცოდნა და-
უგროვებიაო.

– ერთი, გამაგებინე ხეირიანად, –
ჰკითხა მანუჩარს, – რაღაც მეტეორულ
ნაკადზე ლაპარაკობდი. აბა, როგორაა
ეგ?

ხელთავიდან მოაყოლა ყველაფერი.
ბოლოს თავი ისე გადააქნია, ეტყობო-
და, ამ მოვლენის სასიკეთოდ გამოყენე-
ბის არსი ჭუაში დაუჯდა.

– იცი რა ვენათ? ხალხს უნდა შევ-
ხვდეთ. საჭიროა, ყველაფერი მათ აუხ-
სნა. ერთი ვნახოთ და გაჭრას!.. რა სეი-
რი იქნება, თუ ჩვენი შემლოცავი პირში
ჩალაგამოვლებული დაგვრჩა. მართლა
კინწისკვრით მოუწევს წაბრძანება. შევთანხმდეთ,
სიტყვას მოამზადებ,
პატარა ლექციასავით. არ გაგიჭირდე-
ბა ამათი ყურადღების მიპყრობა. მერე
თავად გადაწყვიტონ.

სარიდანმა იფიქრა და შუაკაცების
მეშვეობით, თავისთან იხმო დაპირისპი-
რებულთა ორივე ბანაკიდან ყველაზე გავ-
ლენიანი წარმომადგენლები, რომელთაც
ანგარიშს უწევდნენ. თითოდან ათ-ათი
კაცი იქნებოდა, ისინი ითავებდნენ თა-
ვისიანებთან ახალი იდეის მიტანას. ამ
საქმიდან ბევრი თუ არაფერი გამოვიდო-
და, არც დაკარგავდნენ რამეს.

დათქმული დროისთვის გულუხ-
ვობა გამოიჩინა მხატვარმა. სასტუმრო
დარბაზის გრძელ მაგიდაზე ცეცილიას
კარგად ჩაციებული მინერალური წყლ-
ის ბოთლები ჩაამწკრივებინა.

სტუმრებს მოთმინება მოეკრიბათ, მაგრამ მაინც ჩანდა, სული კბილით ეჭირათ, მალე შეეტყოთ მოწვევის მიზეზი ამ რამდენადმე ჩაკეტილ სამყაროში და, რაც, ასე თუ ისე, პატივად მიაჩნდათ.

ორი დაპირისპირებული ჯგუფი მაგიდის სხვადასხვა მხარეს დაჯდა გაბუტულებივით. ერთმანეთში არავინ ლაპარაკობდა, თითქოს აკრძალული ჰქონდეთ ხმის ამოღება. სარიდანი კი ხვდებოდა, ეს მისდამი პროტესტსაც რომ ნიშნავდა. ვერ მოენელებინათ ჭის წყლით სარგებლობის აკრძალვით გამოწვეული წყენა. თუმც ამის გამო იგი ბოდიშის მოხდას არ აპირებდა.

მასპინძელი, რამდენიმე ფრაზიანი შესავლის შემდეგ, რაც ინფორმატორის წარდგენას გულისხმობდა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა. სთხოვა მანუჩარს, სათქმელი მოკლედ ეამბნა ამ პატიოსანი ადამიანებისთვის. თან დააყოლა, არ გადაგლით, ნუ გეშინიათ.

როცა მანუჩარი მდუმარე მსმენელის წინაშე წარსდგა, თითქმის ყველას გამოხედვაში, ნელ-ნელა გაჩენილ ინტერესთან ერთად, სასოწარკვეთაც ამოიკითხა. მათაც კი, წვიმის მაგის მხარდამჭერებად რომ ითვლებოდნენ, დიდი იმედიანობა არ ეტყობოდათ. ადვილი როდი ჩანდა ამ დათრგუნულ ადამიანთა ნდობის მოპოვება. ამიტომ მისალმებაც ვერ მოახერხა რიგიანად. რაღაც დაემართა, თითქოს გაუქრა ოპტიმიზმი. შეშინდა, ვაითუ სხვებსაც გადასდებოდა ეს განწყობა და მის ნათესავამს შთაბეჭდილება ვერ მოეხდინა. აპა, დაიწყო, თან საკუთარ ხმას მიაპყრო გულისყური.

– უნდა მოგახსენოთ, – თქვა მან საქმის მცოდნის დამაჯერებლობით,
– ისტორიას ცვლიან არა მეფები, ან გავლენიანი მმართველები, არა ვინმეს დიდი ფული და უზღვავი ოქრო, არამედ ვულკანები, კლიმატი და გამომგონებლები. ასე, მაგალითად, 1600

წელს პერუს ვულკანის – უანაპუტინის ამოფრქვევამ ევროპაში კატასტროფული აციება გამოიწვია. ასევე, რამდენად გასაოცარიც უნდა გეჩვენოთ, დადგენილია, რომ თითქოს იმ უწყინარი დეზადორების ხმარება, ფრეონს რომ შეიცავენ და რომელთაც მსოფლიოში უამრავი ადამიანი მოიხმარს, ოზონის ხვრელის გაფართოებას იწვევს, რაც, თავის მხრივ, კოსმოსიდან დედამიწაზე ხისტი რადიაციის შემოღწევის პირობაა. რასაკვირველია, თქვენ იცით, ეს რას ნიშნავს.

მინდა იმაზე გესაუბროთ, რომ ამჟამად დაწყებულია პერსეიდას მეტეორული ნაკადი. ახლავე მოგახსენებთ, რასთან გვაქვს საქმე. სვიფტი-ტუტის კომეტა, რომლის სახელწოდება თრი მეცნიერის გვარებიდანაა შექმნილი, გიგანტური ბირთვისაა. იგი ას ოცდათხუთმეტ წელინადში ერთხელ გარშემო უვლის მზეს. განსაკუთრებით, აქტიური მზის წლებში, მზის ცხელი ნაკადი თანდათან ადნობს კომეტის ბირთვს, საიდანაც უწყვეტად გამოსული მნათი აირები და მტვერი სინათლის წნევის ზეგავლენისა და მზის ქართან ურთიერთობის შედეგად, აიტყორცნება მზის საწინააღმდეგო მიმართულებით, რაც წარმოქმნის ერთ ან რამდენიმე კუდს, ეგრეთ წოდებულ კომეტის შლეიფს, რომელიც სავსეა ყინულის გიგანტური ნამსხვრევებით, უზარმაზარი ქვეპითა და ქვიშით, ყოველგვარი კოსმიური მტვრით. მოვლენის მომსწრენი ვხდებით ყოველ წელინადს ჩვიდმეტი ივლისიდან ოცდაათ აგვისტომდე. პიკური მდგომარეობა კი გვაქვს თორმეტ აგვისტოს. დედამიწა ამ პერიოდისთვის გადის მონაკვეთს სწორედ კომეტის შლეიფის გზით. ჩვენს ატმოსფეროში კომეტის მეტეორები შემოიჭრება, სიჩქარით სამოცი კილომეტრი წამში და იწვის. ამის ხილვისას გვგონია, ვარსკვლავები ცვივა, აი, მივადექით მთავარ სათქმელს. სწორედ მაშინ უნდა ჩაიფიქროთ სურ-

ვილი, რისი ახდენაც ძალიან გინდათ.

მსმენელებში უუცრად შეიქნა უნდობლობის ჩუმი ჩოჩქოლი – ირონიული ღიმილი, ერთმანეთთან გადალაპარაკება. მანუჩარმა თხრობა შეაჩერა და მაშინვე ვიღაცამ ეჭვიანად იკითხა:

– ვარსკვლავთცვენა? ამაში რაა განსაკუთრებული? – ეს ხომ სხვა დროსაც გვინახავს!

ახლა მეორემ დაუმატა:

– გვეგონა, რაღაც ახალს გვეუბნებოდი!

სარიდანი დაიბნა. აღელვებული შესცექოდა ხან კითხვის დამსმელს, ხან ინფორმატორს.

მანუჩარმა მშვიდად მოისმინა გამპროტესტებელთა აზრი. ჯერ მარჯვენა ხელი ასწია, მერე დამაჯერებლად თქვა:

– მართალი ბრძანდებით, ახლავე გიპასუხებთ, სწორედ რომ მასეა. აბა, მისმინეთ! – მეტეორული ნაკადები სხვა თვეებშიცაა თავისი პიკებით. მაგალითად, კვადრანტიდები – 3-4 იანვარს, ლარიდები – 21 აპრილს, აკვარიდები – 4 მაისს, არიეტიდები – 7 ივნისს, სამხრეთის სიგმა აკვარიდები – 29 ივლისს, დრაკონიდები – 9-10 ოქტომბერს, ირიონიდები – 21 ოქტომბერს, ლეონიდები – 16 ნოემბერს, გემინიდები – 1-14 დეკემბერს. ნაკადის ყველა მეტეორის ორბიტა იკრიბება ცის ერთ წერტილში, რომელსაც ამ ნაკადის რადიანტი ჰქვია. ჩვენ ამჯერად პერსეიდას მეტეორულ ნაკადზე ვსაუბრობთ.

ცაზე, ჩრდილოეთით, დუბლივეს ფორმით განლაგებულ კასიოპეს თანავარსკვლავედის ქვემოთ არის ვარსკვლავთა სამკუთხედი – პერსეიდის თანავარსკვლავედი. აღქმა ისეთია, თითქოს ამ თანავარსკვლავედიდან მოფრინავენ რადიანტებიდან ანუ მოჩვენებითი წყაროებიდან გამოტყორცნილი მეტეორები, ვარსკვლავთცვენა რომ გვგონია. ისინი თეთრ კვალს ტოვებენ და სწრაფად ქრებიან. მიზანი ამ შემ-

თხვევაში საკუთრივ მოვლენის მეცნიერული გააზრება კი არ არის, არამედ, როგორმე მოვასწროთ სურვილის ჩაფიქრება. ეს მინდოდა, მეცნობებინა თქვენთვის. იქნებ გეცადათ, გვიან ღამით თვალი ცისკენ მიგეპყროთ და მანათობელი მეტეორის გატყორცნისას მოგესწროთ ყველაზე ძვირფასი სურვილის ჩაფიქრება, რათა აგიხდეთ. ასეთი ერთობლივი ქმედება თავისებურ სინერგიას, ეგრეთ წოდებულ ეგრეგორს ქმნის, რასაც ლოცვაზე ნაკლები ძალა როდი აქვს. აი, ასე, რაც ვიცოდი, მოგახსენეთ. დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებული. ამისთვის შეგანუხეთ.

– თქვენ ასტრონომი ხართ? – იკითხა ვიღაცამ.

– მე თავდაცვის გადამდგარი პოლკოვნიკი გახლავართ, – მშვიდად უპასუხა მანუჩარმა.

– აბა, ესენი საიდანლა იცით? – ახლა სხვა დაინტერესდა.

– წიგნებში წერია, – კიდევ უფრო მშვიდად მიუგო მან.

დაიშალნენ, წავიდნენ ისევე მდუმარედ, როგორც მოსვლისას.

– აგაშენა ღმერთმა, – თქვა მხატვარმა, – მეტი რა მექნა, აბა, უანა ფრესკეს პორტოფინოს ნამდვილად ვერ ვუმღერებდი, – თვალები ოდნავ მოჭუტა, გრძელ მაგიდას გახედა, სადაც ხელუხლებლად ელაგა მინერალური წყლით სავსე ბოთლები, თანაც ჩაილაპარაკა, ამ კაცმა მშვენივრად ისაუბრაო, ხელი გაიქნია მანუჩარისკენ. მანაც არ დაიშურა ქათინაური და მეულლეს, მხატვრის გასაგონად, ხმამაღლა უთხრა:

– ჩანს, კარგად ერკვევა რუსულ ესტრადაში.

– დიდად არა, – უკვე მაგიდის ბოლოდან გამოსძახა მხატვარმა, – მაგრამ მახსოვს, უანა ფრესკეს სამკურნალოდ შეგროვილი ფული ვიღაცამ რომ შეჭამა და ამაზე დიდი სკანდალი ატყდა, – ეს ისე, სხვათა შორის წარმოთქვა, მაშინ-

ვე კი მთელი ხმით დაიყვირა: ცეცილია! წამოკრიფე ეს ბოთლები! აქ წყლის და-ლევა ყველას როდი ეკუთვნის!

ცოტა ხანში ისევ მოპარული გიტარა გაიხსნა. ჩამოჯდა ძველებურ ფარდაგნაფარებულ დივანზე, სევდით გახედა ათასგვარი სამშვენისით გადაძეძგილ კედელზე შერჩენილ ცარიელ ადგილს.

– ოჯახქორს რა სული ედგა ასეთი, გაბედა და შემოიპარა, საზიზღრობა ჩა-იდინა. მაინც რანაირად მაკადრეს!.. – ისე ამბობდა, გაჯერებდა, ვერასდროს შეურიგდებოდა მომხდარს. იმდენად დანაკარგი არ ანუხებდა, რამდენადაც თვით ფაქტი, – დაბის არცერთი სული-ერისგან მსგავს ვერაგობას არ ვიმსა-ხურებდი. აუარებელი სიკეთე მაქვს გა-ცემული, რამდენი ამომიყვანია წუმპე-დან. ამათ კი ლორობით გადამიხადეს, არ დამინდეს. ჩათვალეთ, ხელი მომ-ჭრეს. გასაგებია, ყველა ვერ იქნებოდა ქურდობის მონაწილე, მაგრამ ჩემთვის ახლა თითოეული ეჭვმიტანილია.

ლაპარაკს რომ მორჩა, ტალავრით მოფანჩატურებულ აივანზე გავიდა. ცეცილიას მაგიდა უკვე მოსუფთავე-ბული ჰქონდა.

– ვერ ინელებს, – თქვა მენეჯერმა, – მისი მესმის, ის ხომ თითქმის არა-ფერს კეტავს. სახელოსნოსაც კი, სა-დაც კაციშვილს არ ახედებს, ღიად აქვს დატოვებული.

– ღიად? – ჩურჩულით იკითხა თე-ომ, თითქოს ამას მისთვის დიდი მნიშ-ვნელობა ჰქონოდეს.

კიო, თავი დაუქნია ცეცილიამ, თან ჩურჩულითვე, ისე, რომ აივანზე არ გაელნია ხმას, სტუმრებს საიდუმლოდ აუწყა:

– ზემო სართულზე, ნახევარი ფლი-გელი სახელოსნოს უჭირავს. ვიცი, გა-ინტერესებთ. ეს ბუნებრივია.

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს გადახედა ისეთი უსიტყვო შეშფოთებით, როცა ხვდები, რაღაც ტაბუდადებულს გთა-ვაზობენ.

– სიმართლეს ხომ მაინც გაიგებთ, ადრე თუ გვიან, – დამაინტრიგებლად დაამატა ცეცილიამ. ამ საქმეს მე მო-ვაგვარებ, ოლონდ არ გამცეთ.

უცნობი საიდუმლოს გაცხადე-ბა სტუმრებს თავისთავად უბიძგებდა შეთქმულებაში მონაწილეობისკენ. კარ-გად ესმოდათ, ისეთ რამეში ცხვირის ჩაყოფა, რისი ცოდნაც ეკრძალებოდათ, არ ჩაითვლებოდა კარგ საქციელად და ყველა შემთხვევაში, მასპინძლის წინა-აღმდეგ მიმართული ქმედება იყო.

სალამოს, მზე დასავლეთის მთებს რომ ჩაეფარა, ოდნავ გაიოლდა სუნ-თქვა. გათანგული დღის შემდეგ, ეზოს იმ კიდეს მიაშურეს, სადაც ერთ დროს, უეჭველია, ხეივანი ხასხასებდა. მანუ-ჩარს ჯიბის პატარა რადიომიმღები გა-მოყოლა თან. უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდნენ. იწყებოდა საარჩევ-ნო ციებ-ცხელება, ერთი ვაიუშველე-ბელი იყო ატეხილი ქვეყანაში, სადაც, არჩევნების გარდა, თითქმის არაფერი ხდებოდა ახალი. თვლა ჭირდა, იმდე-ნი პარტია იპრძოდა პრეტენდენტობის-თვის. ყველას პარლამენტში უნდოდა შევარდნა, გარანტირებული კეთილ-დღეობის მოპოვება. ხალხს კი სცილასა და ქარიბდას შუა გავლა უწევდა, იძუ-ლებული იყო, ცუდსა და უარესს შორის გაეკეთებინა არჩევანი.

უსმენდნენ რადიომიმღებს, თან მათკენ ფეხაჩქარებით მომავალ ცეცი-ლიას გაჰყურებდნენ. ის აქოშინებული მოვიდა. ოდნავ აღელვებით დაიწყო:

– დილით, გათენებისთანავე, ვიდ-რე მზე ამოხურდება, სარიდანი ვენახის მონახულებას აპირებს. მეც წავყვები, თორებ ისეთი ჩვევა აქვს, ვერ გაუგებ, რა წუთში სად აღმოჩნდება. გგონია, წავიდა. უცებ ნახავ, გზიდან მობრუ-ნებულა, მოულოდნელად წაგადგება თავს.

ქათმებს გამოვუშვებ და ავაკრია-სებ. თქვენი საძინებლის ფანჯრიდან ადვილად გაიგონებთ ხმას. დაინახავთ,

ყანაში შემავალ ბილიქს რომ დავადგებით. ამის შემდეგ შეგიძლიათ, მარცხნივ ამავალი პატარა კიბით ფლიგელში ახვიდეთ. პირველივე კარით სახელოსნოში მოხვდებით. იფრთხილეთ, არაფერს შეეხოთ, არცერთი ნივთი არ გადაადგილოთ, და, რაც შეიძლება, მალე დატოვეთ იქაურობა. დანარჩენს თავად მიხვდებით.

თქვა სათქმელი და წავიდა. ესენი კი სახტად დატოვა იმის გამო, რომ სხვის სახლში ქურდულად მოქმედებისკენ უბიძგა, მაგრამ იმასაც მიხვდნენ, იგი ბევრად სცილდებოდა ჩვეულებრივ სულმდაბალ ცნობისმოყვარეობას. უფრო მეტიც, რაღაცნაირად, მათ აქ გაურკვეველ ყოფნასთან ჰქონდა კავშირი. ერთი სიტყვით, გაცილებით მნიშვნელოვანი შეიძლებოდა აღმოჩენილყო, ვიდრე წარმოედგინათ. დილამდე მოცდა მოუწევდათ ცეცილის რებუსების საბოლოოდ ამოხსნამდე. ისე კი, სარიდანისგან, ესოდენ არაორდინარული პერსონისგან, არანაირი მოულოდნელობა არ უნდა გაჰქვირვებოდათ.

როგორც ადამიანები არ ჰგვანან ერთმანეთს, ისე დღეებიც. ამ უკანასკნელთაგან ყოველ მათგანს შეუძლია გაგაოცოს. ხოლო ის, რაც გვაოცებს, ამ დღეთა სულია, ჩვენს სურვილებს ხშირად რომ არ მორჩილებს და თავის თავში მტკიცე წესრიგის შინაარსს მოიცავს. უნებურად მივყვებით უჩინარი ხელით მართულ მოვლენებს. იმისდა მიუხედავად, სიხარულით ვლებულობთ მათ თუ არა, მაინც თავისთავად იკინძება ჩვენი ცხოვრების ისტორია, – მოულოდნელობათა გვირისტით ნაქსოვი დროის ჯაჭვი. მზადყოფნაა ის მუდმივი მდგომარეობა, რომლისთვისაც ვართ მოწოდებულნი.

ლამე უსაშველოდ გაგრძელდა. ცოლსაც და ქმარსაც სინდისის მქენჯნავი სატანჯველი შეჰყროდა. თითქოს აკრძალული ხილი უნდა ეჭამათ.

ოლონდ, პირველცოდვისგან განსხვავებით, გულუბრყვილოდ კი არ მიენდობოდნენ ეშმაკის ცოლებას, არამედ შეგნებულ თანხმობას უცხადებდნენ, როგორც მისი თანამზრახველნი. ერთმანეთის სუნთქვაზე გრძნობდნენ, რულმიუკარებლებს დაათენდებოდათ.

– ვერ იძინებ? – იკითხა თეომ.

– ვერა. შენ მაინც იქნებ ეცადო...

ნურაფერზე იფიქრებ.

– არ გამომდის.

გაყუჩდნენ. საწოლს ზემოთ მიმაგრებული აპარატიდან დახოცილი კოლოები ზედ ბალიშზე უცვივოდათ. დროდადრო, ფანჯრიდან სუსტ ნაკადად შემოღწეული ლამის სიგრილე გაერეოდა ხოლმე ოთახის გაშეშებულ ვარვარა ჰერს, ადამიანის გაგიუება რომ შეეძლო. რამდენ რამეს ეგუებოდნენ, თითქოს საგანგებოდ ცდიდნენ საკუთარ ამტანობას.

თეომ დაარღვია დუმილი, გაუბედავად თქვა:

– მანუჩარ, რაღაც მინდა გიამპო. ახლა რა ამისი დროა, მაგრამ მაინც. დიდი ხნის წინანდელი ამბავია, არავის-თვის მითქვამს. მისმენ?

– ჰო.

ისევ სიჩუმე ჩამოდგა. ჩანდა, ქალს მაინცდამაინც არ ეხალისებოდა უდროო დროს გახსენებულის მოყოლა. თავადაც უკვირდა, რას აიხირა. ერთი გაფიქრება კიდეც გაიფიქრა, იქნებ არც ლირდესო. მაგრამ დაიწყო:

– სანამ დავქორწინდებოდით, ხომ იცი, სადაც ვცხოვრობდი. იქ ერთი ოჯახი იყო, დაბლა სართულზე. კეთილი მეზობლობა გვქონდა, თითქმის მეგობრობაში გადასული. მათმა, ასე, ექვსი-შვიდი წლის ბიჭუნამ ისე გამაოცა, აქამდე ვერ დამივიწყებია. ერთხელ, მეზობელთან სტუმრობისას, ბავშვი შევაქე. მართლა არაჩვეულებრივი იყო, ულამაზესი. მისთვის მაშინ არ დავიშურე კარგი სიტყვები. სახეგაბადრულმა მისმინა ყურადღებით, მერე იცი რა

ქნა? უეცრად შარვალი ჩაიწია, ორივე ხელისგულზე დაიდო კაცის სიამაყე, წა-მიერად მიჩვენა და კვლავ შეინახა, თა-ნაც ისე შემომცექროდა, მისი ქმედება პატივისცემად უნდა მიმეღო. გესმის? თავის ჭკუით, დამაფასა. გავოგნდი. მარტონი ვიდექით, არავინ შესწრებია მის საქციელს. მხოლოდ ჩვენ ორნი ვი-ყავით ამ საიდუმლოს მონაწილე. მერე და მერე ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ახსნა ვერ მოვუძებნე ამ ამბავს.

— რა ახსნა უნდა, ჩვეულებრივი, პრიმატებისთვის დამახასიათებელი ქცევაა, — მშვიდად თქვა მანუჩარმა, — ბავშვებში პრიმატის ბუნება ჯერ კიდევ მძლავრობს. ახლა სადაა ის ბავშვი?

— მალევე გარდაიცვალა. უბედური შემთხვევის გამო..

— ოო, მაშინ, მით უმეტეს, უნდა და-ივიწყო, ვითომც არ მომხდარა.

— რასაკვირველია, — დაეთანხმა თეო, — აქამდე ათასჯერ უნდა დამე-ვიწყებინა, მაგრამ მაინც გადავწყვი-ტე, შენთვის მეთქვა, — შენუხებულმა ამოიგმინა, — ღმერთო, მალე მაინც გა-თენდებოდეს, — ისე ინატრა გათენება, თითქოს უძილო, ჯოჯოხეთური ლამი-დან პირდაპირ სამოთხის დილაში ალ-მოჩენას ელოდა.

დილით ცეცილიას გეგმის თანახმად წარიმართა ყველაფერი. შინ მარტონი დარჩენენ. ფეხაკრეფით, თითქოს რალა-ცას იპარავდნენ, მოკლე კიბით ავიდნენ ფლიგელში და პირველივე კართან შედ-გნენ, ვიდრე მანუჩარი სახელურს დას-წვდებოდა. ყველას გამოუცდია, გუმანი კარგს არ გკარნახობს, მაგრამ უკან ვე-ლარ ისევ.

სახელოსნოში შესულთ ნახატების შემზარავი სასაფლაო დახვდა. კედლებზე ეკიდა გაფუჭებული, სქელი მონასმებით გადადლაბნილი სურათები, ნერვულ ხელს ოდნავაც რომ არ დაენდო, გაეოხრებინა ერთბაშად. იატაკი კი ბასრი საგნის პი-რით დასერილ, ერთმანეთზე უმოწყალოდ

მიყრილ-მოყრილ ფერწერულ ტილოებს დაეფარა, მარტო ჩარჩოებილა გადარჩე-ნილიყო უვნებელი.

თავზე იტაცეს ხელი, გაშეშდნენ, გმინვა გმინვაზე აღმოხდათ წარმოუდ-გენლად დიდი კატასტროფის მოწმეთ. ასეთი რამის მხილველის თვალში იმა-საც ხომ ეკარგება ფასი, რასაც სიხა-რულის მონიჭება შეუძლია.

— ღმერთო ჩემო... რა უბედურე-ბა! — ღმერთო ჩემო!.. — იმეორებ-და ქალი, — რა ჰქვია ამას! ნამდვილი თვითმკვლელი... — განკითხვა, კილვა, დადანაშაულება, ყველაფერი იდო მის სიტყვებში, — მარტო შაპიდის ქამარი აკლია...

— კარგი, კარგი, ნუ განსჯი, თქვა მანუჩარმა, — სხვის ომში ადვილია, ბრძენი იყო. არ გამოვდგებით ამ საქ-მისთვის, — ქალს ხელი ჩაავლო, თით-ქოს დიდ საფრთხეს უნდა გაარიდოსო, სწრაფად გაემართა კარისკენ, — წამო-დი, ჩვენი უფლებები აქ ნულის ტოლია. ადამიანი თავად წყვეტს საკუთარ ბედს, — წარმოთქვამდა გზადაგზა.

გულშედონებულები დაბრუნდნენ საძინებელში, ომგადახდილებივით დაცვივდნენ საწოლზე. თეთრეულის დაფერთხვაც არ უცდიათ. არ ანალ-ვლებდათ დახოცილი კოლოები. კაცი თურმე რა დღეშია. ცოცხლად დაისამა-რა თავი. ის ახლა მოჩვენებადლა შეიძ-ლება ალექვათ, სასაფლაოში მცხოვრებ ფანტომად, რომელმაც ამქვეყნიური მისტიფიკაციის ყოველგვარ ზღვარს გადააზიჯა.

მანუჩარს თვალები დაეხუჭა და გა-ხელა არ სურდა.

— ნეტავ არ გაგვეგო, — თქვა თეომ, — რად გვინდოდა. ახლა ჩვენი მდგომა-რეობაც არანაკლებ მძიმეა, სულელური თამაში მოგვიწევს, ნამდვილ ხაფანგში ვართ. შენი არ ვიცი, მე კი ამ საცოდა-ობას ვერ გავუძლებ.

— ეცადე, დამშვიდდე. შეუძლებე-ლია, მაგრამ მაინც ეცადე. ჩვენ ვერა-

ფერს შევცვლით, – თვალგაუხელად ურჩია ქმარმა.

იწვა თეო, ფიქრობდა იმაზე, რა მოქერხებინა აფორიაქებული სულის-თვის.

საუზმობისას სარიდანი უჩვეულოდ მხიარულად გამოიყურებოდა. ეგზალტირებული ლაპარაკობდა ვაზზე, მის მოვლა-პატრონობაზე, ჯიშებზე. ემადლიერებოდა ნაფერებ ვენახს. მეგონა, უკუღმართი ამინდების გადამკიდე, ერთპაშად მოისპობოდა, მაგრამ ვენაცვალე დალოცვილის ძირს, მთლად არ დამეკარგა შრომა, ვფიქრობ, რაღაც მაინც გადარჩებაო.

დღუმარედ უსმენდნენ. დროდადრო თავს დაუქნევდნენ ხოლმე. ისხდნენ კრიჭაშეკრულნი, შეპატიუებაზე – ჰე, მიირთვით, მიირთვით რამე, – მოკლედ პასუხობდნენ – კიო. სარიდანის ყოველ სიტყვას მსწრაფლ ისხლეტდა გონება, ჯიუტად იშორებდა. სიტყვები ქუცმაცდებოდნენ, კარგავდნენ ნამდვილ მნიშვნელობას და ოთახის დავინროებული სივრციდან საზიზღარი, მხუთავი ბოლივით მიემართებოდნენ დილადრიან ნანახი კოშმარისკენ, რისგან თავის დახსნა არ იცოდნენ, როგორ მოეხერხებინათ.

უკვე ჩამომდგარი პაპანაქება რა მოსატანი იყო იმ რეალობასთან, ყოველწერილ უხმო კვნესად რომ გარდაისახებოდა, თან, მათი წარმოდგენით, მთლიანად მოეცვა იქაურობა. უაზროდ, მაგრამ გულდასმით აკვირდებოდნენ მხატვრის ტუჩებსა და ხელების მოძრაობას ჩიბუხის მოსარუტვისას, უკვე თვალშეჩერებულ უქატებს. ხანდახან წზერას ცეცილიასკენ გააპარებდნენ. იგი თავდახრილი ემსახურებოდა სუფრას, მაღავდა თვალებს. თეოს ესმოდა მისი მდგომარეობა, ამიტომ მადლიერებითა და მისდამი თანაგრძნობით იყო სავსე. თვალი აგვიხილა, თუმც, ვინ იცის, ნანობს კიდეცო, – ფიქრობდა. იცო-

და, ამ საიდუმლო კავშირის შეტყობის შემთხვევაში, გაუგონარ მეხთატეხას მოუწყობდა სარიდანი. მართლაც მოხერხებულად დააკვალიანა სტუმრები, წერტილი დაუსვა გაუგებრობას და არჩევანი გააჩინა. ცეცილიამ იცოდა, არანაირი პორტრეტის შემქმნელი არ იყო მხატვარი. ვაზის თემით გატაცება და ყველაფერი, რაც აქ ხდებოდა, მოჩვენებითი ზეიმის მხოლოდ ფასადურ მხარედ შეიძლებოდა აღგექვა. სარიდანს სულაც არ ეზეიმებოდა.

– კარგად მისმინეთ, – შეცვალა უცებ თემა, – ერთპაშად დასევდიანდა. მერე სიტუაციასთან შეუფერებლად თქვა:

– არანაირი პანთეონები არ მჭირდება. აი, აქ უნდა დავიმარხო. ჩემს ეზოში იქნება ჩემი პანთეონიც და მუზეუმიც. ასე იცოდეთ! – ხელი ჩაიქნა, თითქოს, ეს ისე, სხვათა შორისო. მერე ცეცილიას საჩვენებელი თითოთ გვერდითა ოთახისკენ მიუთითა, სადაც პატარა კაპინეტი ჰქონდა. თვალითაც ანიშნა რაღაც, სავარაუდოდ, მათ ენაზე გასაგები განკარგულება მისცა.

ასეთმა გადახვევამ სტუმრებს ბევრი არაფერი უთხრა, მაგრამ იმას ზუსტად მიხვდნენ, ყველაფერი გათვლილ-გაანგარიშებული ჰქონდა მხატვარს. განადგურებულ ნახატებსაც აქვე ეწერა დარჩენა ისეთივე სახით, როგორითაც იხილეს. ესე იგი, მკვდარი შემოქმედის ჭოცხალ მუზეუმში, რაც ნამდვილად სარიდანის ხასიათის შესატყვისად ეჩვენათ.

მოვიდა კაპიტონი, მოიტანა ამბავი. თურმე, ნუ იტყვით და, მთელი დაბის მოსახლეობა ლამით მინაზეა გართხმული, შეპყურებს ცას პერსეიდას ნაკადის რადიანტულ მონაკვეთზე. ადამიანები მოთმინებით ელიან, თვალი მიადევნონ მეტეორთა გამოტყორცნას, რათა მის გაქრობამდე მოასწრონ საოცნებო ნატვრის ჩათქმა.

ეს ფაქტი კეთილად ენიშნა სარი-

დანს. ხალხი ჭკუაზე მოდის, საკუთარ ძალებს ცდისო.

— იცი რას გეტყვი? — უთხრა მოენეს, — იტრიალე მათ შორის და გაამხნევე, ბუნების ძალა შეისმენს თქვენს გულის ფიქრებს, იმედი არ გადაიწუროთ-თქო.

თეო კი ქალური ალლოს მოხმობით ეცადა სალი აზრების მობილიზებას. ქმარი ცოტა ხნით გაინაპირა, კატეგორიულად განუცხადა:

— კმარა, როდემდე ვიტყუოთ თავი. ვერცერთი ვერ ვხვდებით ჩვენი აქ მოწვევის ნამდვილ მიზეზს. ასე მგონია, შინაური პატიმრობა მოგვესაჯა. რაღას ველოდოთ, არ მოგბეზრდა უბადრუები პაციფისტის როლი? დროულად წავიდეთ აქედან. სხვის ბედზე პასუხისმებლები არ ვართ.

მანუჩარს არაფერი უთქვამს. ცოლს გულში თანხმობას უცხადებდა. მას შემდეგ, რაც სახელოსნოში იხილეს, სარიდანს კიდეც რომ შეექმნა ახალი ნამუშევარი, რომელი გიჟი ისურვებდა, თავისი პორტრეტი მკვდარი გალერეის ექსპონატობისთვის გაეწირა. რასაკვირველია, უნდა წასულიყვნენ, რაც შეიძლება მალე. უარი ეთქვათ სატყუარასავით შემოთავაზებულ დაპატიუებაზე. ოღონდ, საჭიროა, ეს უხმაუროდ მოახერხონ.

ლანჩის დროს, აივანზე მსუბუქად რომ ნაყრდებოდნენ, ყავის წრუპვანრუპვისას, მანუჩარმა გაბედა:

— ვფიქრობ, გამგზავრება მოგვინევს, — დაინყო ფრთხილად, — ასე არ ვაპირებდით, მაგრამ აუცილებლობამ მოითხოვა.

სარიდანს მოულოდნელობისგან თვალები გაუფართოვდა. მის გამოხედვაში რაღაც ეჭვისმაგვარი გამოკრთა. მანუჩარს კი ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვა სურდა, რისთვისაც ეცადა, საუბრის წარმართვის უპირატესობა ხელიდან არ გაეშვა, მხატვრისთვის აზრის გამოთქმის საშუალება შეეზღუდა.

ამიტომაც დააყოლა:

— თეოს დაურეკეს. სასწრაფო სამუშაო გამოუჩნდა.

სარიდანმა იცოდა, თეო გამომცემლობებთან თანამშრომლობდა აუტ-სორსინგული ხელშეკრულების საფუძველზე. წინააღმდეგობის გაწევის რა უფლება ჰქონდა.

— ვწუხვარ. გვინდოდა, პორტრეტის შექმნაში წვლილი შეგვეტანა, ყოველწუთს მზად ვიყავით თქვენი სამსახურისთვის, მაგრამ... — აღარ დაამთავრა აზრი. მხოლოდ ის აგრძნობინა, საკითხი გადაწყვეტილიაო.

— რა გაეწყობა, — ნერვულად გაასავსავა ხელები მხატვარმა, რახან ასეა... — თან მხრებიც აიჩეჩა, — როდისთვის აპირებთ?

— რაღას ვუცადოთ, საღამოს რეისის სამარშრუტოს გავყვებით.

ჩამოვარდა სიჩუმე. ცოლ-ქმარი ერთმანეთს შესცეკროდნენ. სარიდანი ჩიბუხის დაფერთხვას შეუდგა. სიჩუმეც აღარ ეთქმოდა იმ გარინდებას, ნასაზრდოებს ბრმა კმაყოფილების მდგომარეობით, როდესაც ყველამ ყველაფერი იცის, გასარკვევი აღარც არაფერია სრული თანხმობის იშვიათ წუთებში, ცხოვრება ზოგჯერ ძალლის ძვალივით რომ გადმოგვიგდებს, ვითომ დიდი რამ გამოიმეტა, და ისიც მხოლოდ იმიტომ, დაგვაჯეროს, არც ისე რთულადა საქმე, მოიძებნება გამოსავალი. გიხურავს ერთ კარს, რათა მეორე გაგიღოს, — უფრო საჭირო, უფრო მნიშვნელოვანი. არაფერს იძლევა შიშველი ემოციები. რა საჭიროა. სიმარტივეა საუკეთესო პოზიცია, — მშვიდობის გზა და საწინდარი.

სარიდანმა, ისედაც ხშირ-ხშირად რომ სჩვეოდა სახის გამომეტყველების ნილბებივით ცვლა, გულუბრყვილოსა თუ მავედრებლის იერი მიიღო.

— ჯობდა, ხვალისთვის გადაგედოთ, ნუ აჩეარდებით, რასაკვირველია, თუ ამით არაფერი გაფუჭდება. რაღაც სახ-

სრები მტებს. იქნებ შეიცვალოს ამინდი. მაშინ ცოტა სიგრილით მოგიწევთ მეზავრობა.

დუმილით დაეთანხმენ. ხვალის დღეც შორს აღარ იყო. ასეთ დღეთა მოლოდინები უხვად გვაქვს გამოვლილი, ჩვენს წარმოდგენათა გალერეას რომ ავსებს თუ ამდიდრებს და სადაც ყოველთვის შეგვიძლია თავის შეფარება.

მას შემდეგ, რაც ორმოცდათი ათასი წლის წინათ ჩვენმა წინაპრებმა დაიწყეს აფრიკიდან გადასახლება და მთელ დედამიწაზე გაიფანტნენ, ადამიანებმა არა მარტო შემგუებლობა ისწავლეს ადგილობრივ ატმოსფერული პირობებისადმი, არამედ თავიანთი სხეულისა და ტვინის მეშვეობით, რომელიც იგივე მიკროკოსმოსია, გამოიმუშავეს მოვლენათა მოსალოდნელი ალბათობის შეგრძნება, რაც ახლა არავის აკვირვებს.

გამართლდა სარიდანის წინათგრძნობა. ცაზე, აქა-იქ, საღამოსვე გაჩნდა ღრუბლის ქულები. შუალამისას კი ისეთი თავსხმა წვიმა დაიწყო, მისი სმენისწამდები დგაფუნი გაფიქრებინებდა, დედამიწამ თავისი თავიდან გაქცევა და ცაში აჭრა გადაწყვიტა. მთელ დაბაში გაისმოდა სტიქიასთან ხეების ბრძოლის ხმები. ტკაცატკუცით ეშვებოდა ძირს ვეება დამსხვრეული ტოტები, იხლიჩებოდა მრავალწლოვანი ზროები. ცვივოდა სახლების დაშლილი სახურავები, გავერანებულ შენობათა ჩაქცეულ კედლებთან ერთად რომ მიჰქონდა გაცოფებულ ნაკადებს. წყალი აღარაფერს ინდობდა, პირწმინდად ტბორავდა დაბლა სართულებს, გაავებით უდგაფუნებდა ზემოთა კედლებზე. გამძვინვარებული სტიქია ძალების დემონსტრირებით გაერთო, შიშად და პანიკად მოედო მთელ დაბას. განწირულმა ხმებმა, მეტადრექალებისა და ბავშვების გნიასმა მოიცვა სივრცე, კუშტ დამეს წარმოუდგენლად შემაძრნუნებელს რომ ხდიდა.

მანუჩარის გაწვდენილმა ხელმა

ელექტროჩამრთველზე ფუჭი ჩხაკანი გაახმიანა. შუქი გამორთულიყო. შიშველი ფეხებით გატობა იატაკზე მოტივ-ტივე წყალში. ფანჯარას ეცა, სწრაფად დახურა, თითქოს მძვინვარე მხეცის შემოვარდისგან იცავდა თავს. მერე საწოლისკენ დაბრუნდა, ხელის ცეცებით ცდილობდა ტანსაცმლის მოძებნას.

– წყალდიდობაა, – უთხრა საწოლში წამომჯდარ, შიშისგან ენაჩავარდნილ თეოს, – მშვიდად იყავი, ეცადე, ეცადე, – სწრაფად ჩაცმას შეუდგა. ფეხებით მოძებნა სველი სანდლები. ისევ ფანჯარას მიაწყდა, მაგრამ იქიდან დანახვა არაფრის შეიძლებოდა, თვალი მხოლოდ გრძნობდა ზეციდან ჩამომდინარი ნიაღვრის მუქ კედელს. გუმანით უნდა გაერკვია, რა ტრიალებდა მათ თავს.

– სტიქიას ჰგავს, – თქვა თეომ, – აპოკალიფსური ლამეა.

– ჰო, მაგრამ ეს სახლი მკვიდრადაა ნაგები.

– ხალხი? – ისევ თქვა თეომ, – ვინ იცის, რა დღეშია ხალხი! – ქალის სიტყვები სასოწარკვეთად და უიმედობის ზარად გაისმა.

მანუჩარი კარს ეცა, მაგრამ ვერ გააღო. არადა, ახსოვს, დასაძინებლად რომ შემოვიდნენ, კარი მხოლოდ მიხურა, როგორც ყოველთვის. მერე ბარგი ჩაალაგეს და დაწვნენ. აბა, რა მოხდა? ცხადია, გარედან იყვნენ ჩაკეტილნი. ესეც ახალი უბედურება! ვის რად დასჭირდა ამის გაკეთება. პატარა სანთებელა აღმოაჩნდა ჯიბეში. აანთო, ახალი ძალით შეეცადა კარის გალებას. ისევ არაფერი გამოიუიდა. ამიტომ ბრახუნი ატეხა. მთელი ძალით აბაგუნებდა მუშტებს წაბლის გამომშრალ ფიცრებზე. არავინ გამოხმაურებია. მობრუნდა, საწოლზე ჩამოჯდა და ცოლს უთხრა:

– ჩაგვკეტეს. არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდეს ამ მეორედ მოსვლაში ჩვენი დაბატიმრება.

– ნეტა წაგსულიყავით, გაგველნა აქედან, – ჩაილაპარაკა თეომ.

უაზრო ლოდინში გავიდა კარგა ხანი, ინათლა კიდეც. თვალს უკვე შეეძლო გაერჩია, რა ხდებოდა გარეთ. მდინარედ ქცეულიყო სარიდანის დამრეცი ეზო. წყალი გზადაგზა დატაცებულ ათას ნაყარ-ნუყარს მიაქანებდა ქვევით, შემოსასვლელი ჭიშკრის მიმართულებით, სადაც დაბის ცენტრთან შემაერთებელი ფართე გზა აქეთ-იქითა ნაძვნარის გამყოფი, ხელოვნური არხის თავზე გამავალ სამანქანო გზატკეცილთან წყდებოდა. მთავარი მოედანიც იქვე იყო – დაბის სავიზიტო ბარათი – ჭრელ-ჭრელი მოზაიკითა და მრავალგვარი ჩრდილოფენი დეკორატიული ხე-მცენარით გამშვენიერებული.

კარგად შეისწავლეს ის ადგილები, გაიშინაურეს, თითქმის შეიყვარეს. მათ ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობდა ალაგ-ალაგ შემშვედრი თაფლით მოვაჭრეთა ზედ ავტომანქანების საბარგულებზე გამართული სახელდახელო დახლები, რომელთაც, მუშტრის მოლოდინში, გუშაგებივით ედგნენ თავიანთი მონაგარით გაამაყებული ჯიუ-ტი გლეხები.

მანუჩარის ბოლო დაჯაჯგურებაზე კარი ჩვეულებრივ გაიღო, თითქოს არაფერი. გაოცებულმა გაიარა გარეთა კიბის მხრიდან შემოსასვლელი ნახევრად ბნელი შუა ოთახი, ხის სქელურ-დულებიანი. ამჯერად ურდულები გადაწყვეტილი იყო, რაც ნიშნავდა, სახლში ფხიზლობდნენ, ყველაფერი კონტროლ-დებოდა.

მოძლიერებული დილის ნათელი ეზოში მდინარ ნიაღვრის ნარჩენებს საშიშროების ხარისხს აკარგვინებდა. ცეცილია აივანზე ხლაფორთობდა – იატაკის ფილებიდან ცოცხით ხვეტდა წვიმით ჩამოშვეტილი ყურძნის მარცვლებით სავსე წყალს და რიკულებიანი მოაჯირის ღრიფობიდან უშვებდა ძირს. მანუჩარის დანახვისთანავე ცოცხვას თავი ანება, წელში გასწორდა, მო-

აჯირის გალუმპულ ხის სვეტთან მიდგა, ეზოს გახედა, უსიტყვოდ თქვა ის, რაც ასეთ დროს ნებისმიერს შეიძლება მოსვლოდა თავში – დაიქცა ქვეყანა!.. სახე მთლად გაფითრებოდა, ძლივს ახელდა უძილობით შეშუპებულ თვალებს.

– როგორ ხარ? – შეშფოთებით ჰკითხა მანუჩარმა.

ქალმა აქეთ-იქით გადააქნია თავი, მზერა მოარიდა უეცრად წაცვენილი კურცხლების დასამალად.

– კარგი, დამშვიდდი, –დაუყვავა კაცმა. მხრებზე მოხვია ხელი, გამხნევებას ეცადა, – მალე სულ გადიკარებს, თითქმის მორჩა.

ქალის მხრები მთელი მისი სხეულის ცახცახს იმეორებდა, საშინელი ტანჯვის ანარეკლი იყო, მიანიშნებდა, რომ მდუღარე ცრემლი მხოლოდ სტიქიის შიშს არ უნდა გამოეწვია.

– კარი შენ ჩაგვიკეტე? – კითხვა დასვა კაცმა.

კიო, დაუდასტურა. მაგრამ ჩემი სურვილით არა, მე რაში მჭირდებოდა, ამოისლუკუნა.

– რასაკვირველია, არაფერში, – თანაგრძნობა ეტყობოდა მანუჩარის ხმას. თანაგრძნობა და სიბრალულიც, – რა, ჭკუდან შეიშალა?

ცეცილიას შეკითხვა ვითომც არ გაუგონია. ხელის ზურგით შეიმშრალა ცრემლები, კვლავ აივნის ცოცხვას მიუბრუნდა.

ხომ შესაბრალისია, ვისაც ბუნების სასტიკი ძალები შეახსენებს, რომ უძლურია მათ წინაშე. აქ ადამიანის ნება იავარქმნილია. ხოლო, კიდევ მეტად შესაბრალისი – როდესაც სხვა ადამიანის გავლენა თავისუფლების ჰორიზონტს იმდენად უზღუდავს, ფარული, სახელმოუძებნელი დრამის შინაარსს სძენს, სადაც მისთვის ტრაგიკული გმირის როლია შერჩეული.

შეწყვეტილმა წყალმა მინა ნაკადებისგან დაზოლილ-დაღარული და-

ტოვა. ცოტა ხანში მისილულ ჭიშკარს მეზობლის ბიჭი მიადგა. ხელში ეჭირა ჩარჩოში ჩასმული ფერწერული ტილო, რომელიც მთელ ტანს უფარავდა. იგი საყურადღებო ტრანსპარანტივთ ამა- ყად მიჰქონდა. აათავა ეზო, სარიდანის სახლის კიბისკენ აიღო გეზი. ამ დროს სტუმარი ცოლ-ქმარი აივანზე იდგა და შინ გამგზავრების გეგმას აწყობდა, რადგან გზაზე პრობლემებს ელოდნენ, რის გამოც ტრანსპორტის შერჩევა გო- ნივრულად მართებდათ. ყველაზე დიდ სირთულეს კი სარიდანის ქცევა ქმნი- და, თორემ ცოტას მოიცდიდნენ, ასე სასწრაფოდ აქედან გადაცვენა არ გახ- დებოდა საჭირო.

ბიჭმა ნელა აიარა კიბე, რომლის თავშიც, ფართო საქცევზე, უდღეური, ფერად-ფერადი კვახებით სავსე ბამბუ- კის მაგიდასთან წამიერად შედგა. მე- რე ერთბაშად მოიკრიბა გამბედაობა, თამამად შეაბიჯა აივანზე, სადაც ინ- ტერესით იცდიდა ცოლ-ქმარი. ნახატი აივნისა და სასტუმრო დარბაზის გამ- ყოფ კედელს მიაყუდა, აივანზე გამო- სული ცეცილიას მოახლოებას დაელო- და იმის სათქმელად, სამხარეო მუზეუ- მამდე არმისული, ბუჩქში იყო გაჩერი- ლიო. უთუოდ სამადლობელ სიტყვებს ელოდა, რომელიც ვერ მიიღო. ამიტომ ახსნას შეუდგა:

– იქ, დაბლა, ბევრი ყოფილა ასეთე- ბი, თქვეს, თურმე, მთელი მოედანი სუ- რათებითაა მოფენილი. ზოგიც არხის წყალს წაუღია. ადგილობრივი მმარ- თველობიდან განკარგულება ყოფილა, ყველაფერი მოაგროვეთ, დაუბრუნეთ პატრონსო.

ცეცილიას ელდა ეცა, თვალები გადმოცვენაზე გაუხდა, თითქოს მძიმე პრესის ქვეშ მოხვედრილიყო.

– კარგი, კარგი, გასაგებია, წადი! – შემოუძახა ენად გაკრეფილ ბიჭს. მზე- რით მიაცილა ჭიშკრამდე. მერე ძლივს მიათრია ფეხები რამდენიმე მეტრში მდგარი სელის სკამამდე. ჩამოჯდა

ზედ, ხელები მუხლებზე დაიწყო და ქვითინი ამოუშვა.

სტუმრები გაშეშებულიყვნენ. ხან ცეცილიას გახედავდნენ, ხან კედელზე აყუდებულ ტილოს, რომელზეც თალ- ხით მოსილი მონაზონი იყო გამოსახუ- ლი. იგი დიდ ლოდზე ისვენებდა. იქვე, ახლოს, მომცრო ქვაზე, ფრთებაწკე- პილი ჭრელი პეპელა იჯდა. პირვე- ლი, რაც ტილოს ხილვისას ხვდებოდა თვალს, იყო, რომ ქალს კაბის კალთა აწეოდა, მოუჩანდა ახალგაზრდული, თეთრი წვივები, რომლის ქათქათა სი- შიძლივიდან გამომკრთალი იდუმალი ენერგიის ტალღათა უხილავ რხევებს მიეზიდა მხატვრის ყურადღება.

აშკარად მაღალი კლასის შემოქ- მედის ნახელავ ტილოზე, წითელი სა- ღებავის სქელი მონასმი ჯვარედინად კვეთდა მონაზვნის სახესა და ყელს, ლავინის ძვლებამდე ჩადიოდა გაავებუ- ლი ფუნჯის წვერის წამახული კვალი, სუსტ, უმწეო მხრებს ებჯინებოდა.

მანუჩარისთვის, ვის ტვინშიც ფიქ- რთა უამრავი კომბინაცია ირეოდა, ცხადი გახდა, საქმე სახუმარო არ იყო. თავი ანება მონაზვნის ცქერას. საპრა- ლოს თვალები თითქმის არ მოუჩანდა, თორემ კიდევ მეტად შეეცოდებოდა დაუნდობელი ავტორისგან განწირული. ცეცილიასთან მივიდა, თეო ამაოდ რომ ანუგეშებდა. მის წინ ჩაიცუცქა, ჩურ- ჩულით ჩაჰუთხა:

– ეს რანაირად მოხდა? ყველაფერი ფანჯრიდან გადაყარა?

ქალმა თავი დააქნია, თვალი გაუს- წორა და აღსარებასავით უთხრა:

- მეც ვეხმარებოდი.
- იმიტომ, რომ გაიძულა. მაგრამ ახლა რა იქნება, უკანვე რომ მოუზი- დავენ?
- წარმოდგენა არ მაქვს, ამაზე ფიქ- რი მაგიურებს. არადა, მასე იქნება.
- ცეცილია, ჩემო კარგო, ჩვენ რა პოზიცია უნდა დავიჭიროთ? – მანუ- ჩარს უცებ მოფხიზლებოდა გონება და

საგანგებო მოქმედებისკენ უბიძგებდა.

ცეცილია არც დაფიქრებულა, მანუჩარს ვედრებასავით ამცნო გამოსავალი:

– თქვენთვის აჯობებდა, წასულიყავით, – ისე გულწრფელად გამოუვიდა რჩევა, ყველაზე საღ აზრად უნდა მიეღოთ, არავითარ შემთხვევაში დათხოვის წინადადებად. მენეჯერი თუ მოწყალების და გაუგებრობაში მოხვედრილ სტუმრებზე ზრუნვადა, ცდილობდა, აეცილებინა მათთვის უხერხულობა, რასაც, შესაძლოა, კიდევ ბევრი რამ გაუთვალისწინებელი მოჰყოლოდა. იგი კარგად იცნობდა სარიდანს, ვისაც იოლად ვერ მიუხვდებოდი, ისე, როგორც რვაფეხას აზრებია ადამიანისთვის გამოუცნობი. მადლობა მართებდათ კეთილი რჩევისთვის. მხოლოდ ისლა ჰქონდათ საფიქრალი, მასპინძელი საღმე მიყურადებული ხომ არ იყო. მას ასეთი რამ ადვილად შეეძლო. წამსვლელებს რას დააკლებდა, ცეცილიას ოხტში კი უთუოდ ამოვიდოდა. მანუჩარმა ამიტომ იკითხა:

– თავად სად არის? ასე გამოუმშვიდობებლად რანაირად...

– ჩაეძინა, – თქვა ქალმა, – მერე შეშფოთებით დაუმატა, – ეშმაკმა იცის, როგორ გუნებაზე გაიღვიძებს. რა დროს გამომშვიდობებაზე ფიქრია.

სრულ სიმართლეს ეუბნებოდა. მათაც არ ჰქონდათ სარიდანის თავი. უსიტყვილ გამოიტანეს თავიანთი ბარგი, რომელიც ერთ საშუალო ზომის გორგოლაჭებიან ჩანთას შეადგნდა. მაშინ ნახეს, რომ კაპიტონი მოსულიყო, ცეცილიას გაცხარებით უყვებოდა რაღაცას. ზურგით იდგა და არ შეუმჩნევია სტუმრები, მისი ნაამბობიდან პატარა ფრაგმენტს რომ მოჰკრეს ყური: თქეშმა ერთიანად ჩამორეცხა მთა. დალენილი სკები ნაფოტებადაა მიმოფანტული ფერდობზეო. მეტის თქმა ვეღარც მოასწორო, რადგან ცეცილია სტუმრების გასაცილებლად დაიძრა და

კიბეზე ჩაჰუცა მათ. ბოდიშობდა, ვწუხვარ ასე რომ გამოვიდა, ძალიან განვიცდიო.

ვიდრე ერთმანეთს დასცილდნენ, მანუჩარმა შიშნარევი მოლოდინით იკითხა:

– რას ამბობს, ადამიანის მსხვერპლი ხომ არ არის?

– ვფიქრობ, არა, – ნაჩექარევად მიუგო ქალმა.

უკან ადევნებული ძალი შეამჩნიეს. გონიერ პირუტყვს ეკისრა გამცილებლის მოვალეობა, სარიდანის ცენაფა, ყავისფერ სეტერს. მათ კვალს განდაგან, ცუხცუს-ცუხცუსით მიჰყვა ჭიშკრამდე.

მდუმარედ დაადგნენ გზას. დუმილი ეხმარებოდათ ჭეშმარიტების გააზრებაში იმაზე, რომ შემოქმედი ადამიანი ორი ერთმანეთთან შეუთავსებელი სულითაა მართული, რომელთაგან ერთი, სიზმრად ნანახი უმზეო სამყაროს კოშმარები რომ სტანჯავს, ცდილობს, გაანადგუროს მეორე, მწყობრიდან გამოიყანოს მისი შინაგანი რადარი, რათა პარადოქსთა ქაოსი შექმნას. დაუნდობელი ბრძოლის ასპარეზად ქცეულიყო ღვთიურისა და ეშმასეულის ურთიერთმონაცვლებით დაბნეული სარიდანის ცხოვრებაც. ამაში არაფერია გასაკვირი. დაეცემი და ისევ ადგები. ადამიანს ხომ ყოველთვის შეუძლია თავიდან დაწყება.

ამ ამბებიდან სულ ცოტა ხანში მხატვარი გარდაიცვალა. სამგლოვიარო ცერემონიისას ერთადერთი გამოჩინებულად ნამდვილი ჭირისუფალი ცეცილია აღმოჩნდა. ის გულამიდულებული მოთქმით ტიროდა, რამაც მემკვიდრეებს ეჭვი გაუჩინა, რომ გლოვის მიღმა ეძებნათ რაღაც დაფარული, რისთვისაც უტილიტარობის სარჩული შეიძლებოდა დაედოთ. ქალის ჩახლეჩილ ხმაში მოპოვებულ უფლებათა საი-

დუმლო ქვეტექსტი ამოიკითხეს და არ მოეწონათ.

ყოველგვარ თხრობას ხიბლს უკარგავს შიშველი ფაქტებით გადაჭარბებული გატაცება. ჩვენც ცოტათი შევცვალოთ ორიენტირები. ცხადია, აუცილებლად გვჭირდება ჰიმეოსტაზი, თორემ თვითმარეგულირებელი სისტემის გარეშე ხომ არ ვიქნებოდით ის, რაც ვართ. სამყაროს დიდი წყლები განადიდხანს გაძლებენ წყნარად? ამიტომ, ვიდრე სხვათა გართულებული ურთიერთობების ქექვას ვახარჯოთ დრო, გაცილებით ჭკვიანურია, იმაზე ჩავიყირდეთ, რომ დაიღალა დედამიწა, რომ დადგა უამი, ემოციები, ჯანსაღ აღქმებში ხელის შემშლელი, რუდიმენტად გამოვაცხადოთ. ამასთან, ყურადღებით ვუსმინოთ, მულტიკულტურაზე რა აზრის არიან ექსპერტები, ჩვენ კი საკუთარი დასკვნები გამოვიტანოთ. აბა, რომელს შეგიძლიათ თქვათ, ტორერო, ვისაც, ტრადიციულად, მოოქროვილი ხავერდის სამოსი ამშვენებს, ზოგჯერ რად გადაწყვეტს, სმოკინგში გამოწყობილმა გამართოს ორთაპრძოლა, რისიც სრული უფლება აქვს. სხვა თუ არაფერი, თოთხმეტ მილიარდწლიან სამყაროში ვარსებობთ, ჩვენი ევოლუცია კი სულ ხუთი მილიონი წლის განმავლობაში გრძელდება. თანაც, კვანტური მექანიკის საფუძვლებს თუ ვენდობით, ერთდროულად უთვალავი ვარიანტით შეიძლება განვმეორდეთ ისე, რომ ამის შესახებ არაფერი გვეცოდინება.

ცეცილია ცოლ-ქმარს დედაქალაქ-ში თავისუფლების დღეს გამართულ

სახალხო სეირნობისას ყვითელ პავილიონთან შემოხვდა. გაეხარდათ ერთმანეთის ნახვა, თუმც გაირკვა, ბევრი არაფერი აღმოაჩნდათ სალაპარაკო, გარდა იმისა, თეომ ვერ მოითმინა და იკითხა:

– ნახატების ბედი როგორ გადაწყდა?

მაშინვე ინანა კიდეც, რას ვერჩი, რატომძა ვახსენებ, ნუთუ არ ეყო, რაც გადაიტანაო. მაგრამ ცეცილიამ ისეთი ენთუზიაზმით დაიწყო, თითქოს საპაპს ეძებდა, ოცნებობდა, ოლონდ როგორმე ამაზე საუბრის საშუალება მომეცესო.

– ლამით მოზიდეს ყველაფერი, – თქვა მან, – ჭიშკარს შიგნით დააწყეს. მთავარია, გიტარაც მოეტანათ, თავზე ედო იმ ვეებერთელა გროვას. მერე იცით რა მოხდა? უზარმაზარი ორმო ამოათხრევინა, შიგ თავისი ხელით ჩაყარა ნამუშევრები და მიწაში დამარხა. ერთადერთი, გიტარა დაინდო, ისევ ძველ ადგილას დაკიდა კედელზე. მითხრა, ჩემს საფლავსაც იქვე, ნახატების გვერდით გააჭრევინებო. შევუსრულე სურვილი, – ქალს გული აუჩუყდა, მაგრამ დროულად მოთოკა გრძნობები. ბოლოს მწარედ, თითქმის ნაძალადევად გაიღიმა. გამოაჩინა თავისი მოკლე კბილები. მათაც მეტი აღარაფერი უკითხავთ. შემლოცავიც კი არ უხსენებიათ. ყოველგვარი ლოგიკით, იგი იქაურობას მოცილებულად ჩათვალეს, რადგან დაბა თაფლისგან დაცლილი იყო. სხვა ჭირნახულსაც სტიქია, უთუოდ, ბოლოს მოუღებდა. ასე რომ, ეს მხარე, ბუნებრივია, მის ინტერესებში აღარ შედიოდა.



ანდრო ბუაჩიძე

მინდიას მეტამორფოზა (ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელი“)

მინდია ვაჟას შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოუცნობი გმირია.

ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელ-ში“ მინდია მისნურ ნიჭს შეიძენს. ეს ნიჭი მას ქაჯებთან ტყვეობისას გველის ხორცის ჭამის შემდეგ მიეცემა. ეს არის ნიჭი, რომელიც, მითოსური წარმოდგენის მიხედვით, შეიძლება უეც-რად მიეცეს ადამიანს და მერე უეც-რადვე წაერთვას. მართლაც, მინდიას ახალი სმენა და ხედვა გაეხსნება, ის სხვა ადამიანად იქცევა. შეიძლება პირდაპირი გაგებით ეს შეძენილი უნარი არ არის ცოდნა, მაგრამ იბადება ახალი იდეა, რომელსაც ახალი მსოფლმხედველობა წარმოშობს. ამ ახალი მსოფლმხედველობის საფუძველზე მინდია სამყაროსადმი მიმართების ახალ წესს წარმოაჩენს. მინდიას ფერისცვალების მთავარი მომენტი ისაა, რომ იბადება ახალი, ძველისგან განსხვავებული მსოფლმხედველობა.

რას გამოხატავს ახალი მსოფლმხედველობა?

იმისათვის, რომ ეს გავარკვიოთ, საჭიროა მინდიას ძველი მსოფლმხედველობის წარმოჩენა. ადრინდელი მინდია ისევე ცხოვრობდა, როგორც სხვები. ის

საერთო თემის ერთ-ერთი წევრი იყო. ის არ იყო, როგორც ფილოსოფოსები იტყვიან, თავისუფალი რაიმესაგან რაიმესთვის, არ იყო განკერძოებული ინდივიდი, არამედ იყო თემის ერთი რიგითი წევრი. ამიტომ მისი მსოფლმხედველობა ინდივიდუალური პიროვნების მსოფლმხედველობა კი არა, თემის მსოფლმხედველობა იყო, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის იზიარებდა ტრადიციით გადმოცემულ იმ წეს-კანონებს და ზნე-ჩვეულებებს, რომელთა მიღებაც აუცილებლობას წარმოადგენდა.

ცხადია, ბუნების წიაღში მცხოვრებ მთიელ კაცს უშუალოდ ბუნების მიმართ გარკვეული დამოკიდებულება ჰქონდა, მხოლოდ ეს დამოკიდებულება არ განსხვავდებოდა თემის სხვა წევრების დამოკიდებულებისგან. მინდია ჭრიდა ხეს, იყენებდა საშენ მასალად, გასათბობად, ანუ შეშად და სხვ., კლავ-და ნადირს, ატყავებდა მას, ტყავს და ხორცს თავ-თავის ადგილს მიუჩენდა და ა. შ. მინდია ისე იქცეოდა, როგორც იქცეოდნენ თემის სხვა წევრები, ისინი კი მისდევდნენ ზოგადად ადამიანური ცხოვრების წესს.

როგორია ზოგადად ადამიანის ცხოვრების წესი?

ადამიანი განსხვავდება ცხოველისა-გან. ცხოველი მრავალრიცხოვანი ინ-სტინქტის კარნახით იქმნის საარსებო გარემოს. ეს გარემო ბუნებაა. ცხოველი ბუნების პირმშოა. მის წესრიგს და თან-ხმობას ბუნებასთან ქმნის მისივე ინსტინ-ქტის მრავალრიცხოვნება. ადამიანი ინ-სტინქტით ღარიბი არსებაა. არარსებული ინსტინქტის ადგილს მასში ცნობიერება იყავებს. ადამიანი საარსებო და სასი-ცოცხლო გარემოს ცნობიერების კარ-ნახით იქმნის. ცხადია, აქაც პირველ-წყარო ბუნებაა. ადამიანი გარდაქმნის ბუნებას, ბუნების ნედლეულს, ვთქვათ, სის მასალისგან იშენებს სახლს და ამ სახლში ცხოვრობს. ეს უკვე, ფართო აზრით, კულტურაა. ადამიანი ბუნებისა და, ამავე დროს, თავისივე ხელით შექ-მნილი კულტურის სივრცეში ცხოვრობს, ცხოველისაგან განსხვავებით, რომელიც მთლიანად ბუნებისეულია.

ადამიანს, როგორც სხეულის, ანუ სიცოცხლის მქონე არსებას, მომხმა-რებლური დამოკიდებულება აქვს ბუ-ნებისადმი. ის, როგორც უკვე ვთქვით, მოიხმარს ბუნებას, გარდაქმნის მის ნედლეულს და ამ გზით იმზადებს თავ-შესაფარს და საკვებს. ეს რომ არ გაა-კეთოს, დაკარგავს ვიტალობას, დაკარ-გავს სიცოცხლეს, დაიღუბება.

ასე ცხოვრობდა მინდიაც, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მას (გველის-მჭა-მელს) ახალი ხედვა გაეხსნა, ახალი თვა-ლი აქხილა. ამგვარ სიახლეს შესაბამი-სი მსოფლმხედველობრივი სიახლეც მოჰყვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მინ-დიამ გაიაზრა თავისი ახალი მიმართება ბუნებისადმი. ამ ახალი მსოფლმხედვე-ლობის მიხედვით, მინდია წარმოჩნდა, როგორც ჩვეულებრივი ადამიანისგან სრულიად განსხვავებული თავისუფა-ლი პიროვნება, თავისუფალი საკუთარ ვიტალობაზე მიჯაჭვულობისგან, საკუ-თარ კეთილდღეობაზე მუდმივი ზრუნ-ვისაგან, თავისუფალი იმისთვის, რომ ნამდვილ ეთიკურ ღირებულებას მომ-

სახურებოდა. მინდიას მომხმარებლური დამოკიდებულება ბუნებისადმი უანგა-რობამ შეცვალა. ის აღარ ჭრის ხეს და აღარ კლავს ნადირს, ბუნებას ესაუბ-რება და მის თხოვნა-მუდარას შეისმენს („უ მოკლავ, ჩემო მინდიავ, ნუ და-მიბნელებ მზესაო“). მინდია უანგარობა ბუნებისადმი, ასეთია მისი ეთიკური მრნაში. მისი ბუნებასთან მიმართე-ბის ესთეტიკური მომენტიც უანგარობით არის აღბეჭდილი: („კლდის თავზე მოსულ პირიმზეს გულ-მკერდში ვე-ნაცალები“). ესთეტიკური და ეთიკუ-რი უანგარობა ყველასგან გამოარჩევს მინდიას. იგი თავდავიწყებით ეძლევა ბუნების მსახურებას, ამჟღავნებს სრუ-ლი ტრანსცენდენციის უნარს, ივიწყებს თავის ვიტალობას და ბუნების მრავალ-ფეროვან სამყაროში იძირება. მისი და-მოკიდებულება უფრო ეთიკურია, ვიდ-რე ესთეტიკური. ეთიკური ხასიათისაა უკვე გარდაქმნილი მინდიას ღვაწლიც – ის სიკეთის მთესველია, ქაჯებისგან მას პოროტება არ გადასდებია:

მხოლოდ ბოროტმა მის გულში
ვერ მოიკიდა ფეხია,
სხვა დანარჩენი ქაჯური
ყველა ისწავლა ხერხია.

შეძენილი ნიჭის კეთილმყოფელო-ბაზე მეტყველებს ისიც, რომ მინდია მკურნალად იქცა. მას ყვავილები წა-მალს სთავაზობენ და ის კურნავს ომში დაჭრილ მეომრებს; მინდიას ძალ-ლო-ნეც მოემატა, მოხერხებულობაც და სიჩაუქეც. მომხდურ მტერთან გამკლა-ვება იგივე ბოროტებასთან შებრძოლე-ბაა. მას ესეც ხელენიფება... მაგრამ მინდიას სულიერი აღზევება არ შეიძ-ლება დიდხანს გაგრძელდეს, ვინაიდან უეცრად დაუფლებული მისნური ნიჭი მას სრულ უანგარობას, ანუ ნედლეუ-ლის მიუღებლობას ჰკარნახობს, ბუნე-ბის ნედლეულის გარეშე კი ადამიანი ვერ იარსებებს. ახლად შეძენილმა ნიჭ-

მა იმთავითვე განსაზღვრა მინდიას საბოლოო ხვედრი.

მაშასადამე, ადამიანი დამოკიდებულია თავის ვიტალობაზე იმ თვალსაზრისით, რომ სიცოცხლის შესანარჩუნებლად მუდმივად ზრუნავს ბუნების ნედლეულის გარდაქმნაზე, საკვების მოპოვება-მიღებაზე, თავშესაფრის მოწყობაზე. ეს გარდაქმნა კულტურაა, კულტურის დამამკიდრებელი აქტია, ამიტომაც ვამბობთ, რომ ადამიანი „თავისი ხელით“ შექმნილ კულტურის გარემოში ცხოვრობს, მაგრამ ის ბუნების შვილიცაა. ბუნების შვილია მინდიაც და სასიცოცხლო ძარღვით არის გადაბმული ბუნებასთან. ამ ძარღვის გადაჭრა დამღუპველი იქნება მისთვის და სხვებისთვისაც. არ შეიძლება, ამას თუნდაც ქვეშეცნეულად ვერ გრძნობდეს ბუნებისადმი სრული უანგარობის იდეით შეპყრობილი მინდია. მხოლოდ ეს თანდათანობით ხდება. თანდათანობით ხდება ის, რომ მინდია ცდილობს, ეს უკიდურესობის შემცველი, „გაუწონასწორებელი“ იდეა რამდენადმე მაინც მოარგოს ყოფით რეალობას. ის ამ იდეის პოზიტიურ მომენტს (ვიტალობაზე ამაღლება) წამოწევს წინ და ცოლთან კამათისას ზნეობრივი პათოსის ფონზე ამხელს მასთან დაპირისპირებულთა ცხოვრების ნეგატიურ მომენტს (ვიტალობაზე მიჯაჭვულობა).

მინდია გვეუპნება, რომ ადამიანმა ბუნებას მხოლოდ მომხმარებლის თვალით არ უნდა უყუროს. რაკი ადამიანი ბუნების განუყოფელი ნაწილია, ის არა მხოლოდ უნდა იღებდეს (თუნდაც მცირედს) მისგან, არამედ უნდა გასცემდეს საიმისოდ რაიმეს. მინდია უკვე მხოლოდ მიმღები კი არ არის, არამედ გულუხვად გამცემიცაა, ან სწორი იქნება, რომ ვთქვათ, მცირედის მიმღები (ის მიიჩნევს, რომ მცირედითაც შეიძლება ვიტალობის შენარჩუნება, რაც საპოლოოდ არ ხერხდება) და მრავლის გამცემია, ის, ფაქტობრივად, ბუნების

მესაიდუმლეა, მისი სიყვარულით ანთებული ადამიანია, მასზე მზრუნველი, ცხოველების, ფრინველებისა და ხეების აპოლოგეტია. მინდიას აზრით, ადამიანი მუდმივად საზრდოობს ბუნების ნაყოფით და მორალური თვალსაზრისით მისი მოვალეა, რისი დავიწყებაც უმაღურობა იქნება:

ამ მიწის აღმონაცენი
ჩემი სესხი და ვალია;
როგორდა ან პური ვჭამო,
როგორ დავლიო წყალია.

ეს პასუხისმგებლობა ბუნების მიმართ იმავე ზნეობრივმა იმპერატივმა წარმოშვა, რომელმაც ანგარებიანი ურთიერთობის უანგარობით შეცვლა გამოიწვია. ყოველივე ეს არ მომხდარა ხანგრძლივი განსჯისა და დინჯი გააზრების შედეგად. მინდიას არსებაში ახალმა ხედვამ და სმენამ, ახლად შეძენილმა ნიჭმა თვითონ ბუნების წიაღში დაძრულ სტიქიასავით გაიღვიძა. მინდია უფრო პოეტია, უფრო შთაგონებით შეპყრობილი ხელოვანია, ვიდრე ფხიზელი ანალიტიკოსი. მისი მოულოდნელი ინსპირაციით აღძრული ნატურფილოსოფია უფრო მოქმედებაშია გამოხატული, ვიდრე თეორიულ განსჯაში. განსჯამ მოგვიანებით იჩინა თავი ცოლთან დიალოგში, როცა უკვე შეძენილი ნიჭის დაკარგვით გამოწვეულმა მწარე სინანულმა შეიპყრო ეს კაცი. ამ განსჯაში თვალნათლივ გამოჩნდა მინდიას მრნამსი, რომ, მისი აზრით, მისივე პიროვნებისეული მეტამორფოზა ზნეობრივი ხასიათისა იყო. ვიტალობაზე აღმატებამ და სრული უანგარობისაკენ სწრაფვამ მის არსებაში დაფარული შესაძლებლობები წარმოაჩინა. ეს იყო ღირსეული ადამიანის ცხოვრების წესი, აზროვნების და მოქმედების თავისუფლების გამოხატულება. ასეთი კაცი, რა თქმა უნდა, ღიად უპირისპირდებოდა უტილიტარისტებს და მერკან-

ტილისტებს, ანუ იმათ, ვინც ბუნების ნაყოფს ბოროტად, თავის სასიამოვნოდ ირგებდა და იყენებდა. ის გადარჩენის ინსტინქტით შეპყრობილ მეუღლესაც მათ მიათვლის და მის მიმართ დაუფარავ სიმკაცრეს ამჟღავნებს:

არ იცი, არა, ჭკვათხელო,
ყბედო, ზეზერე მგრძნობარევ,
თავისა სასიამოვნოდ
ნუთისოფლისა მცნობარევ!

მინდიას მრწამსი, როგორც უკვე ვთქვით, იმ ადამიანების საპირისპიროა, ვინც გამუდმებით ზრუნავს ვიტალობაზე. მინდიასათვის ისე, როგორც ყველა ღირსეული ადამიანისთვის, საკუთარი ვიტალობა, „ხორცის კეთილდღეობა“ საშუალებაა და არა თვითმიზანი. თვითმიზანი რომ იყოს (ესეც კარგად იცის მან) და ამ დონეს დასჯერდეს, მისი არსებობა ცხოველისას დაემსგავსება. ცხოველს არ ძალუს ვიტალობაზე მაღლა დადგომა. ის მუდმივად მუცლის ამოყორვასა და „სხეულებრივი კეთილდღეობის“ მიმნიჭებულ სხვა პირობებზე ზრუნავს, ადამიანი კი, როგორც ერთმა მოაზროვნებ თქვა, მუდმივად გზაში უნდა იყოს, ანუ მუდმივად უნდა ფიქრობდეს თავის ეთიკურ და ესთეტიკურ ზესწრაფვასა და სრულებრივ ეს იცის მინდიამ და ამიტომაც უწოდებს თავის ცოლს „ჭკვათხელს“, „ყბედს“, „ზეზერე მგრძნობარეს“, „თავისა სასიამოვნოდ ნუთისოფლისა მცნობარეს“. შეიძლება მზიას ყველაზე ნაკლებად ეკუთვნოდეს ეს საყვედური, ვინაიდან ის შვილებზე ზრუნავს, მაგრამ იმავე ცოლისთვის „სამაგალითო ადამიანი“ ბერდია, რომელზეც მიუთითებს ქმარს და ეუბნება: „ბერდიას რამდენ შეშა აქვს, როგორ ცეცხლს ანთებს, ჰნახოდი“ და ეს ნათექვამი წონასწორობას აკარგვინებს მინდიას, რადგან მას სხვაგვარი წარმოდგენა აქვს სამაგალითო ადამიანზე. მისთვის სამაგალითო თვისება ვიწრო მომხმარებლობა კი არა, უანგარობაა. ცოლისადმი

მისი პასუხი მოარულ ფრაზადაც კი არის ქცეული:

ცხოვრების მაგალითადა
ბრიყვები დამისახოდი.
ბრიყვის ცხოვრება ცხოველის არსებობას ემსგავსება.

მინდია უშუალოდ, პერსონალურად ცოლს და ბერდიას კი არ გმობს, არა-მედ გმობს ცხოვრების იმ წესს, რომელიც მრავალთათვის მისაღებია, ხოლო მისთვის მიუღებელი. მინდიას სჯერა ადამიანის მაღალი მოწოდებისა. მან ისიც იცის, რომ უანგარობის გზას ყველა ვერ დაადგება, მაგრამ თემის მოყმეთაგან სრული ვერგაგება აღიზიანებს.

ვაჟა-ფშაველა ცოცხალ, პლასტიკურ ხასიათებს ქმნის და არა მსოფლმხედველობრივ სქემებს. ანტიკურ დრამაში ესქილესთან და სოფოკლესთან პერსონაჟების შინაგანი სამყარო სიუჟეტური განვითარების წიაღ უცვლელი და ერთგვაროვანი იყო. ევრიპიდესთან გმირის ხასიათის ძერწვა განსხვავებულია: ხასიათი პლასტიკურობას იძენს, ცვალებადია და არაერთგვაროვანი. ალორძინების ხანის შექსპირისეულ დრამაში ხასიათების ცვალებადობას ორმა ფსიქოლოგიზმი ერწყმის. ეს გამოცდილება გრძელდება მომდევნო ხანაში და რომანტიკული პერიოდის პოემაში. სწორედ ამ გამოცდილებას იზიარებს ვაჟა. მინდია რომ გველის ხორცს გასინჯავს, პირველი მკვეთრი მეტამორფოზის კვალად ის მუდმივ ცვალებადობას განიცდის. ეს ცვალებადობა ფაქიზი ფსიქოლოგიზმით არის აღმეჭდილი.

ბუნების მესაიდუმლედ ქცევის შემდეგ, ანუ მას აქეთ, რაც აღმაფრენის ტალღა დაეუფლება, მინდიას ტვინის-გამბურღავი ყოფითი საფიქრალიც უჩნდება. თითქოს რაღაც უკვეცავს ფრთებს მის აღმაფრენას და მინისკენ ეზიდება. ეს ცოლის მუდმივი ჩივილია. ამ ჩივილის კვალდაკვალ მინდიას უკომპრომისო ხასიათი თანდათან ირღვევა, ვინაიდან ის ვერ ახერხებს

„ოქროს შუალედის“ გამონახვას უანგარობის იდეით ნაკარნახევ სწრაფვასა და ყოფით რეალობას შორის. მინდიამ იცის, რომ ბუნებასთან კავშირისას სრული უანგარობა, ანუ ბუნების-გან ნედლეულის არმილება სიკვდილის ტოლფასია. ამიტომ ის ანაქორეტივით ცხოვრობს – მხოლოდ მცირედს იღებს, თუმცა ბუნებისადმი მომხმარებლურ დამოკიდებულებაზე ეს ნაწილობრივი უარის თქმა მაინც იწვევს ოჯახის მკვეთრ პროტესტს. მეუღლე შესჩივის მინდიას, „სიცივე ბალლებს მილევსო“ და მეზობლის აბრიალებულ ცეცხლზე მიუთითებს; იმასაც ეუბნება, უხორცოდ დაზრდილი ყმაწვილები ვაჟუკაცებად ვერ გამოდგებიანო. ცხადია, ეს მინდიამ თვითონაც იცის, ამიტომაც ცოლის საყვედურს იმით პასუხობს, რომ კიდევ და კიდევ უშვებს კომპრომისს:

და მეც დღეს-ხვალეობითა,
ცოტ-ცოტად, ნელაობითა
დავიწყე თავის რწმენასთან
მოქცევა მელაობითა.
დღეს მოვჭერ ერთი ჭანდარი,
თუმც მემუდარა ბევრია,
„ – რად სჩადი მაგას, მინდიავ,
ვითომ არ იყავ მტერია?!“

ეს არაერთი კომპრომისი სავალალო შედეგს იწვევს. მინდია კარგავს ბუნების მესაიდუმლის ნიჭს და სასოწარკვეთილებაში ვარდება.

აქ საგულისხმოა ერთი რამ: მინდია კარგავს არამხოლოდ იმ ნიჭს, რომელიც მან შეიძინა და რომელმაც შეცვალა მთელი მისი არსება, არამედ ამ ნიჭთან ერთად კარგავს ყველაფერს – კარგავს ლირსების გრძნობას, ვაჟუკაცობას, ცხოვრების საზრისს და ეს ხდება მანამდე, ვიდრე გადაინურავდეს იმედს. მინდია იბრძვის საიმისოდ, რომ შეძენილი ნიჭი როგორმე დაიბრუნოს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს და თავს იკლავს.

მაშასადამე, მინდიას ალმაფრე-

ნას ფრთები ნაადრევად შეეკვეცა, ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ის ადამიანის არსებობის ნინასნარგანსაზღვრული, მუდმივი სპეციფიკის ყალიბში ვერ ჩაეტია. ეს მისი ღირსებაც არის და ტრაგედიაც. მინდიამ უანგარო ურთიერთობა დაამყარა ბუნებასთან, რითაც ადამიანის ფიზიკური არსებობის სასიცოცხლო წესს დაუპირისპირდა. მართალია, მან სცადა, ნანილობრივ მაინც დაეშვა მომხმარებლური მიმართება ბუნებისადმი, მაგრამ ახლად შეძენილმა მისნურმა ნიჭმა ვერ იგუა ამგვარი მიმართება და ეს მცდელობა ფუჭი გამოდგა. თვითონ ეს ნიჭი იყო იმგვარი წყობის, რომ მცირე კომპრომისს ვერ ურიგდებოდა და უკიდურეს უანგარობას მოითხოვდა. კომპრომისზე წასულმა მინდიამ ეს ნიჭი დაკარგა. ბუნებისადმი უანგარო დამოკიდებულებამ ვერ შეითავსაზომიერი მომხმარებლობა. ამ ზომიერი მომხმარებლობის გარეშე ადამიანი დაიღუპება. არაერთხელ გავიმეორეთ და კვლავაც ვიტყვით: ადამიანის ვიტალობას ბუნება კვებავს, რა თქმა უნდა, ადამიანი ვიტალობაზე მაღლა უნდა დადგეს და მინდია დგება კიდეც, რათა ზნეობრივი ცხოვრებით იცხოვროს, მაგრამ ბუნებასთან დამაკავშირებელი სასიცოცხლო ძარღვის გაწყვეტა საბოლოოდ ღუპავს მას.

არადა, მინდიამ მართლაც ზნეობრივ სიმაღლეს მიაღწია. მისთვის საძრახისია და სამარცხვინო მხოლოდ მომხმარებლური თვალით გარესამყაროს ცქერა, სამარცხვინოა, რადგან მან იცის ადამიანის შესაძლებლობების განუსაზღვრელობა. მინდიას აზრით, ბრიყვია ის, ვისაც არ ძალუდს თავის ვიტალობაზე აღმატება და თავისუფლების მოპოვება. მინდიამ ისიც იცის, რომ მის ირგვლივ თემში გაერთიანებულ ადამიანებს არამხოლოდ არ ძალუდთ, არც სურთ და იქნებ, ვერცეკი წარმოუდგენიათ თავიანთ არსებაში დაფარული ზნეობრივი შესაძლებლობების რეალიზება.

მათი თვალსაწირი ვიწროა. ისინი საგნებისადმი სამომხმარებლო და სარგებლიანობა-სიამოვნების მომტანი თვალთახედვისგან ვერ თავისუფლდებიან, თავიანთ სხეულს არიან მიჯაჭვულნი.

ცოლთან კამათში მინდია წარმოაჩენს თავის მსოფლმხედველობას. ის წამოთქვამს ასეთ სიტყვებს: „თავისა სასიამოვნოდ წუთისოფლისა მცნობარევ!“ აქ მხოლოდ ბუნებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება არ არის ხაზგასმული, ზოგადად ცხოვრებისადმი მომხმარებლურ დამოკიდებულებაზეა საუბარი. მე ვფიქრობ, ვაუა აქ გულისხმობს შემდეგს: ის, ვისაც მხოლოდ მომხმარებლური მიმართება აქვს წუთისოფლისადმი, ცხოვრებისადმი, სხვა ღირებულებითი ორიენტაციის, ზოგადად, მომხმარებლური ფსიქოლოგის მქონე ადამიანია. ასეთი ადამიანი კი არა მხოლოდ ბუნებას, არამედ სხვა ადამიანსაც გამომყენებლობითი თვალით უყურებს. ცხადია, მისთვის მიუღებელია ერთი ბრძენებაციის აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანი მიზანია და არა საშუალება.

მინდიას უცებ შეძენილმა რწმენამ, რომელსაც სტიქიური ხასიათი ჰქონდა, დაკარგვისთანავე მსოფლმხედველობის სახე შეიძინა. მინდია მიხვდა, რა დაკარგა. მართალია, მან ვერ შექმნა მწყობრი მსოფლმხედველობა (პერსონაჟისთვის ეს არც იყო საჭირო), მაგრამ გარკვეული ზნეობრივი იდეის და პოზიციის შემუშავება შეძლო.

თავისთავად იდეადქცეული ეს რწმენა (ამის თაობაზე უკვე ვთქვით) ბუნების, როგორც სიცოცხლის გამოხატულების, სიყვარულია. ამ სიყვარულს აქტიური, პრაქტიკული ფორმაც გააჩნია და ეს არის პუნების გაფრთხილება. ესეც უკვე ითქვა, მაგრამ ხაზ-

გასმულად არ თქმულა ერთი რამ: ეს იდეა თუ პოზიცია (პოემაში და არა რეალობაში) წინააღმდეგობრივია და პარადოქსულ აღოგიკურობას შეიცავს. ამ აღოგიკურობის შინაარსი ასეთია: ადამიანი გონების, ცნობიერების მქონე არსებაა და ამით ის ემიჯნება (კულტურას ქმნის) ბუნებას, მაგრამ, ამავე დროს, სხეულის მქონეა და ამით ბუნების გამგრძელებელია, მის სხეულში ბუნება „ლაპარაკობს“, ის ბუნების განუყოფელი ნაწილია. ამიტომ ადამიანის ბუნებისაგან მოწყვეტა, მისი ცალკე განხილვა და, მითუმეტეს, ბუნებასთან დაპირისპირება შეცდომაა. არადა, ეს ახალი რწმენა მინდიას ჰკარნახობს, რომ ბუნების სიყვარული და მასზე მზრუნველობა მისგან მოწვდილი სასიცოცხლოდ აუცილებელი, „კუთვნილი“ ნაყოფის მიუღებლობით გამოხატოს. კი, მაგრამ ეს ხომ დალუბავს მას? ისმის სხვა კითხვაც: თუ ბუნება სიცოცხლის შემცველია და ამიტომ არის ღირებული და შესაბამისად, გასაფრთხილებელი, ადამიანის სიცოცხლე არ არის ღირებული და გასაფრთხილებელი? საქმე ასე ეწყობა: ბუნების გაფრთხილება იწვევს ადამიანის დაღუპვას, ანუ მინდია უფრთხილდება ბუნებას და ამით საკუთარ თავს იღუბავს.

რას ნიშნავს ეს?

ამ შეკითხვაზე პოემაში პასუხი არ ჩანს. ამ პარადოქსს სწორედ მისნური ნიჭის თავისებურება ამჟღავნებს. ისლა დაგვრჩენია, ვიაზროთ, რომ ვაჟას ჩანაფიქრის მიხედვით, მინდია არა მარტო მაღლდება თავის ვიტალობაზე, არამედ ბუნების სასიკეთოდ სწირავს თავის სიცოცხლეს, ანუ პოემის გმირი მსხვერპლად ეწირება ბუნების გადარჩენის იდეას. ეს მინდიას ინდივიდუალური არჩევანია.

მინდიას ხანმოკლე ცხოვრება ტრაგიკულია, მაგრამ „მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა“. მისი ყოფნა ცოდვილ მიწაზე მეტეორი-

ვით გაიბრწყინებს და გაქრება, მაგრამ, ვიდრე გაქრება, ზნეობრივი იმპერატივის განუმეორებელი შუქით გაანათებს ადამიანების გაკვირვებულ სახეებს. მინდიას ირგვლივ შეყრილ ადამიანებს ერთდროულად აშფოთებთ და უკვირთ კიდეც მისი არსებობა, უკვირთ, რადგან ის მათგან განსხვავებულ ცხოვრებისეულ არჩევანს აკეთებს.

ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძე წერს: „ადამიანს შეუძლია ამქვეყნად ცოცხალი ბიოლოგიური ორგანიზმის სახით სასრული და დროებითი ყოფნა აირჩიოს, მასზე ზრუნვით განისაზღვროს და არაფერი ეძიოს ამის იქით, ხოლო, მეორეს მხრივ, მას შეუძლია არ დასჯერდეს ამგვარ ყოფნას, არამედ მის იქით გაგრძელება, საბოლოო ანგარიშით, მარად ყოფნა, მარადისობა აირჩიოს და ამქვეყნად მასში გასასვლელი გზა ეძიოს...“

მინდიამ ეს უკანასკნელი გზა აირჩია და, მართალია, ადამიანის ფიზიკურ არსებობასთან შეუთავსებლობის გამო

ბოლომდე ვერ განვლო ეს გზა, არჩევანი ისეთი მნიშვნელოვანი იყო, რომ მისი წამიერი გაელვება მკაფიო აზრად იქცა და ცხოვრების ორიენტირად მოევლინა ადამიანებს. ეს აზრი ასე გამოითქმის: ნუ იქნები მხოლოდ ბიოლოგიური ორგანიზმი, იყავი ადამიანი, იყავი თავისუფალი, იცხოვრე ადამიანის საკადრისი ცხოვრებით, იყავი ბუნებისადმი უანგარო და, ვინაიდან ბუნებისაგან სასიცოცხლოდ დავალებულები ხართ შენც და სხვებიც, გაუფრთხილდი ბუნებას.

ამ სიტყვებში ღრმა ცოდნა ძევს.

მინდია მისნური, ერთი ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, ფაუსტური ნიჭის მძლავრი ზემოქმედების ქვეშ მოექცა, არჩევანი კი მაინც თვითონ გააკეთა უკვე ამ ნიჭის დაკარგვის შემდეგ, ოღონდ ამ ნიჭით მომადლებული ცოდნის სასარგებლოდ. ეს ცოდნა უკვე მისი პიროვნების განუყოფელი ნაწილი იყო.

მარიამ მირესაშვილი



**ქართველის იმაგინაჟი თანამედროვე
აზხაზურ მწერლობაში**

უკვე მესამე ათწლეულია, რაც ქართულ-აფხაზური ურთიერთობები აქტუალური განხილვის თემაა პოლიტიკოსებისთვის, სოციოლოგებისთვის, კინემატოგრაფისტებისთვის, მწერლებისთვის და ა.შ. ამ ხნის განმავლობაში მიმდინარეობს დრამატული დიალოგი, რომელიც გრძნობათა ფართო პალიტრას მოიცავს: სიყვარულიდან – სიძულვილამდე, ურთიერთდაახლოებიდან – სრულ გაუცხოებამდე. უდავოა, რომ დისკურსული ბუნებიდან გამომდინარე, ნაციონალური სტერეოტიპი თუ ნაციონალური მითი დამკვიდრებისა და გავრცელებისთვის ყველაზე ნოუიერ ნიადაგს მხატვრულ ლიტერატურაში პოულობს. ამ უკანასკნელს კი უკავშირდება სიტყვაკაზმული მწერლობის მნიშვნელობის საკითხი ამა თუ იმ ერის წარმოდგენაში ნაციონალური სტერეოტიპის დამკვიდრებასთან ან პირიქით, უარყოფასთან, ზოგჯერ კი პოლემიკაში შესვლასთან დაკავშირებით.

ძალზე რთულია გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე ქართველებსა და აფხაზებს შორის განვითარებული დრამატული მოვლენების ამსახველი ეთნიკური და კულტურული სტერეოტიპებისა თუ ფობიების სრულად წარმოჩენა; შესაძლებლად მიგვაჩინა მხოლოდ ზოგიერთი მნიშვნელოვანი იმაგოტიპის

გამოყოფა, რომელიც თანამედროვე აფხაზურ მწერლობაშია დამკვიდრებული. სანამ უშუალოდ საკითხზე გადავიდოდე, შევნიშნავთ, რომ ქართველი მწერლების დამოკიდებულება ანალოგიური პრობლემისადმი ცალსახაა; კერძოდ, მათი აზრით, კონფლიქტში ჩართული ორივე მხარისთვის ეს ომი იყო სულიერების მარცხი; მასში გამარჯვებული არავინაა. თანამედროვე ქართველი ავტორების მიერ აფხაზეთის ომის თემაზე შექმნილი ტექსტების განხილვისას აშკარად იკვეთება, რომ ქართველები არ საუბრობენ აფხაზებზე „სიძულვილის ენით“, არ ქმნიან აფხაზისგან მტრის ხატს, ომის დროს მათ მიერ გამოვლენილ ადამიანურ საქციელს აფასებენ და ა.შ. ლოგიკურად ისმის კითხვა: როგორია ქართველის იმაგოტიპი თანამედროვე აფხაზურ ლიტერატურაში? იმთავითვე აღვნიშნავ, რომ ჩემსმიზანს არ წარმოადგენს ქვემოთ წარმოდგენილი სტერეოტიპებისა და უარყოფითი განწყობების კრიტიკა; არც იმის დემონსტრირება, რომ აფხაზების მითები ქართველთა შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩემი მიზანია, წარმოვადგინოთ არა რეალობა თავისთავად, არამედ ის, თუ როგორ არის იგი წარმოდგენილი ნაციონალურ მითებსა და სტერეოტიპებში; როგორები ვართ ჩვენ, ქართველები, მათ თანამედროვე აფხაზ

მწერალთა წარმოდგენით.

უდავოა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად აფხაზურ ლიტერატურაში ათწლეულების განმავლობაში დამკვიდრებული ქართველის ნაციონალური სტერეოტიპი რადიკალურად შეიცვალა: ქართველის, როგორც მეზობლის, ნათესავის, მეგობრის, იმაგოტიპის ნაცვლად დამკვიდრდა ქართველის, როგორც ოკუპანტის, მძარცველის, მკვლელის სტერეოტიპი. აღარ შევუდგები იმის ანალიზს, თუ რა კულტურულმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა განაპირობეს წარსულში დიმიტრი გულიას, სამსონ ჭანბას, ბაგრატ შინკუბას, ივანე თარბას, გიორგი გუბლიას, ჯუმა ახუბას, მუშნილასურიას, ალექსი გოგუას, ნელი ტარბას, ბორის გურგულიას და სხვა აფხაზ მწერალთა შემოქმედებაში ქართველის პოზიტიური იმაგოტიპის დამკვიდრება; მხოლოდ აღვნიშნავ, რომ, ერთი მხრივ, შესაძლოა, ამას განაპირობებდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიული კონტექსტის სიღრმისეული, ყოვლისმომცველი გააზრება, ხოლო, მეორე მხრივ, ეს შეიძლება განვიხილოთ „საბჭოური ძმური ოჯახის“, სოცრეალიზმის „საუკეთესო ტრადიციების“ გამოვლინებად. აქვე შევნიშნავ, რომ შესაძლოა, სხვაგვარად წარმართულიყო პროცესები, აფხაზ მწერლებსა და მათ ქართველ თანამოკალმებს (და ზოგადად, კულტურის მოღვაწეებს) მეტი წინდახედულება რომ გამოეჩინათ, უფრო გაბედულად რომ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია და დაპირისპირების ნაცვლად დიალოგის გზით წავსულიყავით.

ომისშემდგომ აფხაზურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ქართველის ნაციონალური სტერეოტიპის შესასწავლად გამოვიყენეთ ორი გამოცემა: ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის მიერ მომზადებული აფხაზ პოეტთა ლე-

ქსების ბილინგვური (ქართულ-აფხაზური) კრებული – „რა დამავიწყებს“ (2002) და არასამთავრობო ორგანიზაციების კავკასიური ფორუმის მიერ გამოცემული პროზაული კრებული „Время житъ (2003). ბილინგვური კრებული თავად აფხაზ პოეტთა მიერ არის შედგენილი და გადმოგზავნილი ქართულ პრეკრეატორთან ერთად. თბილისში პრეკრეატი გალექსეს ქართველმა პოეტებმა (რატი ამაღლობელმა, ჯემალ აჯიაშვილმა, ზაზა ბერიშვილმა, ნინო ბერძენიშვილმა, ეკა გამცემლიძემ, ნიკო გომელაურმა, შარლოტა კვანტალიანმა და დავით ჯავახიშვილმა). ცხადია, თოთხმეტი აფხაზი პოეტის ხედვა, აფხაზეთში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების მათეული შეფასება ჩვენსას არ ემთხვევა; მეტიც, რადიკალურად განსხვავდება, თუმცა, რაგინდ საწყენი და მტკიცნეულიც არ უნდა იყოს, სწორედ აღნიშნულ კრებულში წარმოდგენილი ქართველის სტერეოტიპია დამკვიდრებული დღევანდელ აფხაზეთში.

კრებულში წარმოდგენილ ლექსებში იკვეთება პატრიოტული მოწოდებები „მომხდური ურდოს“, „მტრების“, „ქართველ ოკუპანტა“ წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგალითად:

ჩემი აფხაზეთო, მომხდურთა
ურდოსგან შენ დიდი საფრთხე და
სიკვდილი გელოდა,
მაგრამ ვაჟეაცები უშიშრად
დაუხვდნენ და ბრძოლით
განდევნეს მთიდან და მდელოდან.
(ვანდა დბარი, „აფხაზეთი“)

ვერასოდეს დაგამარცხებს მტერი,
შეუპოვარს და ბრძოლაში ნაქებს,
არ შეშინდეთ, არ დაეცეთ სულით,
შეებრძოლეთ ქართველ ოკუპანტებს.
(ემა ანქვაბი, „ჩუმად დგანან
კავკასიის მთები“)

ალსანიშნავია, რომ ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლაში აფხაზები ეულად

არ გრძნობენ თავს. ლექსებში ისინი სა-
თანადო პატივს მიაგებენ თანამებრძო-
ლებს: ჩეჩინებსა და ადილეელებს, რომ-
ლებიც მათ მხარდამხარ ვაჟკაცურად
ებრძვიან „ქართველ ოკუპნტებს“:

იფრიალოს კავკასიის დროშამ,
ეშინოდეს ბოროტების მთესველს,
რადგან დიდი გამარჯვების სჯერა
ადილეელს, აფხაზსა და ჩეჩენს.
კარგად ვიცი, რომ ვერცერთი ძალა
თქვენს ჩირალდანს ვერ ჩააქრობს,
ვერა,
და ვლადისლავ, ჯოხარ, უსუფ, მუსა
ქართველ მტრებს თქვენ
დაამარცხებთ, მჯერა.
(ემა ანქვაბი, „ჩუმად დგანან
კავკასიის მთები“)

დე, გადამინვას მტერმა სახლ-კარი,
ოლონდ გადაარჩეს აფხაზთა მოდგმა,
თუ მომკლეს, ჩემი სულის
სიმტკიცე უნდა მიიღოს ჩემ
გვერდით მდგომბა.
(დაურ ზანთარია, „იმედი“)

გარდა „მომხდურის“, „ოკუპანტის“,
„მტრის“ სტერეოტიპისა, კრებულში
მკვიდრდება ქართველის, როგორც
„ქურდისა“ და „მძარცველის“, იმაგო-
ტიპი, მაგალითად:
რა დამავიწყებს, ვერ დავივიწყებ,
მემახსოვრება მე საარაკოდ,
იარაღასხმულ ქართველებს როცა
ჩვენ შევერკინეთ უიარაღოდ.
და შედრკა მაშინ მომხდურის გული,
იგრძნო, სიმართლეს განგებაც
შველის,
რომ აფხაზეთს ვერ დაისაკუთრებს
და ძარცვა-გლეჯას მოჰკიდა ხელი.
ჩაებლაუჭა ნახევარ აფსნის,
არაკაცობით სცადა განცხრომა,
საქართველოში რაც ვერ წაიღო,
დაწვა, ველურ უინს გადააყოლა.
(ენვერ აჟიბა, „რა დამავიწყებს, ვერ
დავივიწყებ“)

ქურდების მოდგმა გაქრება როდის,
როდის დამთავრდება ქურდების გზა,
უბედურები, შვილები ცოდვის,
ტომრებით ზურგზე, ნაძარცვის ზღვა,
თავის სიხარბეს ვეღარ თოკავენ,
ვინც კი შეხვდებათ, ყველას მოკლავ...
(ვანდა დბარი, „ქურდები“)

ცალკე აღნიშვნის ღირსია კრებულში
ნარმოდგენილი საქართველოს იმუამინ-
დელი სახელმწიფოს მეთაურის სახე:

დამაქცეველნი ამა სოფლის, სამი
სატანა: ჰიტლერი, დუჩე, შევარდნაძე...
ამის ატანა ხალხს აღარა სურს და
გაისმის კრულვა და წყევლა,
გესმის, ედუარდ, დაჩაგრულთა
დრტვინვა და ლელვა,
აფხაზსაც მისნვდი, გსურს,
ნაართვა დედა-სამშობლო
(რიმა ჭედია, „ჩვენ სიკვდილის არ
გვაქვს უფლება“)
და ა.შ.

კრებულში, რომელშიც თოთხმეტი
პოეტის ოთხმოცამდე ლექსია წარმოდ-
გენილი, მხოლოდ ერთგან გაკრთება
ნათელი სხივი; ეს გახლავთ შამილ
ფილიას ერთსტროფიანი ლექსი:

ვხედავ, ჩვენს შორის ტყვია
ჩამდგარა, ერთურთს ამაგი ვერ
დავუფასეთ,
მაგრამ რა ვუყო ამ გულს,
რომელიც ვერ დაივიწყებს ნოდარ
დუმბაძეს.

დიდი სურვილის მიუხედავად, ეს
ერთი სტროფი ვერ გადაწონის კრე-
ბულში წარმოდგენილ ლექსთა უმეტე-
სობას, რომლებიც ქართველის მკვე-
თრად უარყოფით სტერეოტიპს ამკვი-
დრებენ მკითხველში.

ოდნავ განსხვავებული სურათია
სამხრეთ კავკასიელ მწერალთა ერთო-
ბლივ კრებულში, რომელშიც ე.ნ. „აფ-

ხაზურ მხარეს“ სამი ავტორი წარმოადგენს: დაურ ნაჭყებია, ალექსი გოგუა და ფაზილ ისკანდერი. დაურ ნაჭყებია აფხაზ მწერალთა საშუალო თაობის წარმომადგენელია. მისი მოთხრობები შესაძლებლობას გვაძლევს, მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია დავინახოთ, აფხაზის თვალით შევხედოთ საომარ დაპირისპირებას. მოთხრობა „მალე შემოდგომა...“ (1997) გარდაცვლილი გმირის მონოლოგზეა აგებული (თავდაპირველად მოთხრობის სათაური იყო „მე მკვდარი ვარ“). გმირის სიცოცხლე სოხუმის აღებას შეენირა და იგი შუაგულ მზეზე წევს იმის მოლოდინში, თუ როდის დამთავრდება საბრძოლო შეტაკება და დაინტება მიცვალებულთა დამარხვა ან გაცვლა. მოთხრობის ახალგაზრდა გმირი „იხსენებს“ ომის დაწყებას, ხანმოკლე ლტოლვილობას გუდაუთის ერთ-ერთ სანატორიუმში და ბრძოლას ქართველების წინააღმდეგ, ბრძოლას მშობლიურ სოხუმში დასაბრუნებლად. ამავე ავტორის მეორე მოთხრობაში – „ცალთვალა ცა“ (1994) მოქმედება კვლავ სოხუმის აღებისთვის მიმდინარე ბრძოლების ფონზე იშლება. ამჯერად ნანარმოების გმირი თავისი მეგობრის, ასლანის სიკვდილზე გვიამბობს, რომელიც ქართველი სნაიპერის ტყვიამ შეიწირა. დაჭრილი მეგობრის დასახმარებლად მისული, ისევ ასლანის სხეულმა დაიცვა. მას მოხვდა სნაიპერის მეორე ტყვიაც, რომელიც მოთხრობის გმირისთვის იყო განკუთვნილი. ნანარმოებს ღია ფინანი აქვს: ერთმანეთს ჩახუტებული ცოცხალი და გარდაცვლილი მეომრები ერთად წვანან სოხუმის მოქუფრული ცალთვალა ცის ქვეშ. შევნიშნავთ, რომ დაურ ნაჭყებია დედით ქართველია და მას ქართველებმა ძმა მოუკლეს ომში (პირველი მოთხრობა სწორედ მას ეძღვნება). ამის მიუხედავად, ავტორის ნანარმოებებში არ იკვეთება ღია აგრესია ქართველთა მიმართ (როგორც პირველ

კრებულში), თუმცა, ცხადია, არც სიყვარული გამოსჭვივის.

კრებულში წარმოდგენილი მეორე ავტორი, ალექსი გოგუა, ცნობილი აფხაზი მწერალია; მას რამდენიმე წლის წინ შეუსრულდა ოთხმოცი წელი. მისი ვრცელი მოთხრობა „სანამ მზე ჩასულა“ (2000) ქრონოტოპის თვალსაზრისით ერთ დღეს მოიცავს. ომში დაღუპული მეუღლის დასაფლავების დღეს ახალგაზრდა აფხაზი ქალი, ესმა, იგონებს მისი და ეზუგის სკოლაში გაცნობის პირველ დღეს, გათხოვებას, ხანმოკლე, მაგრამ ბედნიერ თანაცხოვრებას. ესმას ტრაგიზმს იმის შეგრძნებაც ამძაფრებს, რომ მისი მეუღლე ვერ მოესწრო შვილის დაბადებას, მამობის სიხარულს. მოთხრობის ფინალში, მეუღლის დასაფლავებიდან რამდენიმე საათში, ესმას ვაჟიშვილი გაუჩნდება, რაც განვითარებული მოვლენების ფონზე მაჟორულ უღერადობას სძენს მოთხრობას. ალექსი გოგუა მოთხრობაში ქართველებს საერთოდ არ ახსენებს. ამ სიტყვას თითქოს ტაბუ ადევს. მხოლოდ ერთ მონაკვეთში, როდესაც ავტორი ეზუგის ინტერესების სფეროს ეხება, აღნიშნავს, რომ იმ დროს (ომამდელ აფხაზეთში) აფხაზეთის ისტორიით დაინტერესება, მისი შესწავლა ბევრს არ უნდოდა, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები არსებობდა სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში. ისინი, ვინც კარიერასა და წინსვლაზე ფიქრობდნენ, აფხაზეთის ნამდვილი ისტორიის შესწავლის სურვილს, როგორც წესი, არ გამოთქვამდნენ; თუმცა ეზუგს, როგორც ქეშმარიტ აფხაზ პატრიოტს, სწორედ აფხაზეთის ნამდვილი ისტორია აინტერესებდა. ცხადია, ქართველი და აფხაზი მკითხველი ამ კონტექსტში იოლად ამოიკითხავს იმ პრეტენზიებს, რომლებსაც ომამდეც (თუნდაც, ლიხნის წერილის ხელმომწერნი) და ამჟამადაც უყენებენ ქართველებს; კერ-

ძოდ, აფხაზეთის ჭეშმარიტი ისტორიის გაყალბება ქართველების მიერ, აფხაზური ენის დაკრინება და ა.შ. თუმცა, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ზემოთ განხილული ბილინგვური კრებულის-გან განსხვავებით, ამ მოთხრობაში არ არის დეკლარირებული მძაფრი აგრესია ქართველების მიმართ.

საინტერესო მასალას იძლევა რუსულენოვანი აფხაზი მწერლის, ქართველებისთვის სკანდალურად ცნობილი „მალხზის და შალიკოს“ ავტორის, ფაზილ ისკანდერის მოთხრობა „ბიჭი და ომი“ (2001). მოქმედება მოსკოვში, რუსულ ოჯახში ვითარდება. ოჯახის ერთ-ერთი წევრი, ათიოდე წლის ბიჭი, ისმენს გაგრიდან ჩამოსული აფხაზი სტუმრების მონათხრობს იქ დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. ბიჭს მხოლოდ ნათელი მოგონებები აკავშირებს გაგრასთან, სადაც მოსკოვისგან სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესი იყო დამკვიდრებული: ყოველ სალამოს მეზობლების მისვლა-მოსვლა, სასიამოვნო დროსტარება, ერთმანეთის გადაპატიუება, სხვადასხვა დღესასწაულის ერთად აღნიშვნა. სტუმრების საუბრიდან ბიჭი შეიტყობს, რომ აფხაზებს ექიმი გიორგი მოუკლავთ (შევნიშნავთ, რომ გიორგის ეროვნება მოთხრობაში არ არის აღნიშული, თუმცა, სავარაუდოდ, იგი ქართველი უნდა იყოს). ბიჭს საშინლად დასწყდება გული, როდესაც ამ კეთილშობილი, მხიარული, ყველასათვის საყვარელი ადამიანის ტრაგიკული გარდაცვალების შესახებ გაიგებს. ასლანი დაწვრილებით უყვება მასპინძელს, თუ როგორ ამოიცნო ქალაქის ერთ-ერთ პარკში დახვრეტილი ექიმი გიორგისა და მისი სიდედრის გვამები, როგორ მისცა ფული ექსკავატორის მძლოლს, რათა ამ უკანასკნელს ადამიანურად დაემარხა მიცვალებულები. სტუმართა მონათხრობი მძიმე შთაპეჭდილებას ახდენს ბიჭზე. მას ძილი გაუკრთება,

ვერ აცნობიერებს, რატომ უნდა მოპყრობოდნენ ამგვარად ექიმს, რომელიც არასოდეს განასხვავებდა პაციენტებს ეროვნული ნიშნით და იმდენი სიკეთე ჰქონდა დათესილი გაგრაში, რომ არც უფიქრია საომარი მოქმედებების დროს მშობლიური ქალაქის დატოვება.

ბიჭის სულიერი განცდები მეორე დღე-საც გრძელდება; იგი ვერ გარკვეულა, თუ რა აზრი აქვს სიკეთის გაზიარებას, ქველმოქმედებას, თუკი საბოლოოდ, მაინც ბოროტება იმარჯვებს. თავის პესიმისტურ განწყობილებას ბიჭი მამა-მისს უზიარებს; ეს უკანასკნელიც ვერ პოულობს დამაჯერებელ პასუხს, თუმცა, მოთხრობის ფინალში სადარბაზოდან გასული მამა-შვილი დაინახავს მოხუც ხეიბარ ქალს, რომელიც საჭმლის ნარჩენებით აპურებს მანანწალა ძალლებს. მამა უცნება შვილს, რომ, თუკი ვიღაც არამზადები ავ საქმეებს ჩადიან და უდანაშაულო ადამიანებს ხოცავენ, ეს მოხუცი ქალი, თავად გაჭირვებაში მყოფი, როგორც შეუძლია, ისე ზრუნავს სხვებზე. მწერლის კონცეფციის თანახმად, სწორედ ეს ყოფითი სცენა გახდება შემობრუნების წერტილი ბიჭისთვის, მაგალითი იმისა, რომ, სანამ არსებობ, სიკეთე უნდა თესო, დაეხმარო მათ, ვინც შენგან შველას ელის. ჩვენი მხრივ შევნიშნავთ, რომ მწერლის კვალიფიკაციის გათვალისწინებით (ფაზილ ისკანდერი, უდავოდ, ნიჭიერი მწერალია), მოთხრობის ფინალი ნაძალადევად, ნაკლებად დამაჯერებლად და ხელოვნურადაც კი გვეჩვენება.

როგორც ვხედავთ, მეორე კრებულშიც ქართველის იმაგოტიპი შენარჩუნებულია (დამპყრობი, მომხდური, აფხაზი ახალგაზრდების სიკედილის მიზეზი...), თუმცა ნაკლებად იგრძნობა აგრესია, რომელიც პირველი კრებულის ყოველ სტრომში გამოსჭვივის. ვფიქრობთ, რომ ამის მიზეზი, შესაძლოა, დროითი დისტანციერება იყოს. მეხსიერების პოლიტიკის პრობლემებზე მომუძავე მკვლევრები მიიჩნევენ, რომ მეხსიერება შუამავალია

წარსულსა და ანტყოს შორის, მას გა-
მოაქვს დავიწყების განაჩენი ან სიცოცხ-
ლეს ანიჭებს წარსულს, შესაბამისად,
ერთმანეთთან აკავშირებს ადამიანებს/
ადამიანთა ერთობებს ან განაცალკევებს
მათ. პირველ კრებულში შესული ნაწარ-
მოებები, მეტნილად, დაწერილია 1990-იან
წლებში, ბევრი მათგანი ომის პერიოდშიც
კი, როდესაც მძიმე ემოციური ფონი გა-
ნაპირობებდა ავტორთა გრძნობებისა და
აზრების სიძულვილის ენით გადმოცემას.
რაც შეეხება მეორე კრებულს, აქ დროით
დისტანცია უფრო დიდია; ვნებები რამდე-
ნადმე ჩამცხრალია და მწერლებიც უფრო
რაციო-ს ენდობიან, ვიდრე ემოციო-ს.
ჯორჯ გორდონ ბაირონის შენიშვნით
„...ტრაგედიის შესაქმნელად მხოლოდ
ტალანტი არ კმარა; ბევრი რამ უნდა
გქონდეს განცდილი წარსულში და საკ-
მარისი დროც (ხაზგასმა ჩემია, მ.მ.) უნდა
იყოს გასული, რათა ვნებები ჩაცხრეს.
როდესაც ადამიანი ვნებათა ტყვეობაშია,
მას შეიძლება ძალზე მწვავე განცდები
ჰქონდეს, მაგრამ თავისი გრძნობები ვერ
გადმოგცეს. მხოლოდ გარკვეული დროის
შემდეგ შეგიძლია მიენდო მეშსიერებას
და შექმნა ლიტერატურისთვის რაღაც
ღირებული, მნიშვნელოვანი“, თუმცა,
როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არსე-
ბითად არ ცვლის უკვე დამკვიდრებულ
სტერეოტიპებს და ქართველი კვლავაც
უარყოფით იმაგოტიპად რჩება აფხაზურ
ლიტერატურაში.

პიერ ნორას განსაზღვრებით, კოლე-
ქტიური მეშსიერება მუდმივ ევოლუ-

ციას განიცდის, იგი წარმოადგენს დამ-
ახსოვრებისა და დავიწყების დიალექტი-
კურ ერთიანობას. ისტორია კი, რეკონ-
სტრუქცია და რეპრეზენტაციაა მუდამ
საკამათო და დაუსრულებელი იმისა, რაც
აღარ არსებობს. მიგვაჩინა, თუ ქართულ
საზოგადოებას სურს გარკვეული კორე-
ქტიორების შეტანა აფხაზთა კოლექტიურ
მეხსიერებაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა
იზრუნოს თანამედროვე აფხაზურ ლიტ-
ერატურაში დამკვიდრებული ქართველის
იმაგოტიპის შეცვლაზე, რომლის პოპუ-
ლარიზაციის ხელისშემწყობ ფაქტორად
ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს
შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლის
სიმწირე, ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნა
გვესახება. ეს კი, თავის მხრივ, აფხაზური
მედიის მხრიდან საქართველოს მუქ ფე-
რებში, აგრესორ ქვეყნად წარმოჩენის
წინაპირობას წარმოადგენს. შესაბამისად,
დღესდღეობით არსებული სიტუაციიდან
ერთადერთ გამოსავლად დიალოგის ნები-
სმიერი ფორმის, მათ შორის კულტურუ-
ლი დიალოგის გააქტიურება მიგვიჩინა.
მხოლოდ დიალოგის საშუალებით არის
შესაძლებელი გონივრული მიდგომების,
მართებული გზების შერჩევა. სწორ
არჩევაზე კი, დამოკიდებულია ჩვენთ-
ვის არასასურველი, XX საუკუნის 90-
იანი წლების შემდგომ აფხაზურ ლიტ-
ერატურაში დამკვიდრებული ქართველის
ნაციონალური სტერეოტიპის მსხვრევა
და ახალი იმაგოტიპების დამკვიდრება.

მანანა პაიჭაძე



ჰაინრიხ ბიოლი და საქართველო

ჰაინრიხ ბიოლი (1917-1985)

ცნობილი გერმანელი მწერალი, მთარგმნელი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში (1972).

ჰაინრიხ ბიოლი დაიბადა გერმანიის ქალაქ კიოლნში 1917 წლის 21 დეკემბერს, ლიბერალურ კათოლიკურ ოჯახში (ქ. კიოლნი წარმოადგენდა გერმანული კათოლიკიზმის_ცენტრს). მამამისი დურგალი იყო, დედა – მარია ბიოლი (ქალიშვილობაში – მარია ჰერმანი) დიასახლისი. ჰაინრიხი მერვე შვილი იყო, ვაჟიშვილებიდან მესამე. ბიოლების წვრილბურჟუაზიულ ოჯახში კათოლიკური აღმსარებლობა თავისთავად გულისხმობდა ნაციონალ-სოციალიზმის უარყოფას. 1923 წლის ინფლაციის პერიოდში ოჯახი გაკოტრდა და საცხოვრებლად უფრო იაფთასინ ბინაში გადავიდა, რამაც დიდი დაღი დაამჩნია პატარა ჰაინრიხს. „ბავშვობის სამოთხიდან განდევნა“ ჰ. ბიოლის მთელი შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ ლიტერატურულ თემად იქცა. 1924-1928 წლებში ბიოლი სწავლობდა რადერთალის სახალხო კათოლიკურ სკოლა-

ში, შემდეგ სწავლა განაგრძო კაიზერ ვილჰელმის სახელობის კლასიკურ სახელმწიფო ჰუმანიტარულ გიმნაზიაში. ბიოლი გიმნაზიელების იმ მცირერიცხოვან რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც არ განევრიანდნენ ჰიტლერიუგენდში. იგი შინაგანად აპროტესტებდა ნაციონალ-სოციალიზმს და ფაშისტურ დიქტატურას. 1936 წელს დაამთავრა კიოლნის კლასიკური გიმნაზია, მუშაობდა დურგლად, შემდეგ კი, ერთი წელი – წიგნების გამყიდველის შევირდად მათიას ლემპერტცის ბუკინისტურ მაღაზიაში ქ. ბონში. ამის შემდეგ იგი სამუშაოდ გაგზავნეს რაიხის დასაქმების სამსახურის ბანაკში (1938-1939 წწ.). 1939 წლის ზაფხულში ჰ. ბიოლი კიოლნის უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება, სადაც სწავლობს გერმანისტიკას და კლასიკურ ფილოლოგიას. მაგრამ უკვე შემოდგომაზე, ვერმახტის ბრძანებით, ომში გაინვიეს. მეორე მსოფლიო ომის დროს ის იბრძოდა ქვეით ჯარში საფრანგეთში, უკრაინასა და ყირიმში.

1945 წლის აპრილში ბიოლი ამერიკის ტყვეობაში მოხვდა. ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ იგი კვლავ დურგლად მუშაობს, შემდეგ კი კიოლ-

ნის უნივერსიტეტში აღიდგინა სტუდენტის სტატუსი და კვლავ გერმანისტიკას და კლასიკურ ფილოლოგიას ეუფლება.

წერა ბიოლმა ჯერ კიდევ გიმნაზიის პერიოდში დაიწყო. თავის პირველ რომანზე „ჯვარი სიყვარულის გარეშე“ („Kreuz ohne Liebe“) მუშაობა ბიოლმა 1946 წლის ივლისში დაიწყო. მისი პირველი მოთხრობები გამოქვეყნდა 1947 წელს სხვასხვა უურნალში. ეს მოთხრობები იწოდება როგორც ომის შემდგომი გერმანული პროზა, ომის, შინდაბრუნების პროზა, ანუ „ნანგრევების ლიტერატურა“ (Kriegsliteratur, Trümmerliteratur, Heimkehrerliteratur).

1950 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობების კრებული: „მგზავრო, ჩამოდი სპაში...“ სადაც გაერთიანებულია ბიოლის მცირე პროზის საუკეთესო ნუმერშები, მათ შორის „Mein trauriges Gesicht“, „An der Brücke“, „Lohengrins Tod“, etc. ამ კრებულმა ჰ. ბიოლს დიდი წარმატება და სახელი მოუხვეჭა. ომის შემდგომი პერიოდის სხვა მოთხრობები მოგვიანებით – 1983 წელს გამოქვეყნდა კრებულში სახელწოდებით „ჭრილობა“ („Die Verwundung“). 1949 წელს კი ცალკე წიგნად გამოიცა მოთხრობა „მატარებელს არ დაუგვიანია“ („Der Zug war pünktlich“). ეს მოთხრობა 1953 წელს ფრანგულ ენაზე თარგმნა და უურნალ „Les Temps Moderns“-ში გამოაქვეყნა ჟან-პოლ სარტრმა. საინტერესოა სარტრისა და ბიოლის მიმოწერა, რომელიც ორივე მწერლის გარდაცვალების შემდეგ, 1994 წელს გამოქვეყნდა.

1951 წლის მაისში შედგა ბიოლის ლიტერატურული დებიუტი მწერალთა გაერთიანებაში „ჯგუფი 1947“. ხოლო როდესაც ალფრედ ანდერშმა იგი მოიწვია ამ ჯგუფის VII ყრილობაზე ბად დიურკპაიმში, სადაც ბიოლმა წაიკითხა თავისი სატირა „შავი ცხვრები“ („Die schwarzen Schafe“), მას მიენიჭა გაერთიანების „ჯგუფი 47“ მთავარი პრემია და გადაეცა ფულადი ჯილდო 1000

მარკის ოდენობით, ასევე კონტრაქტი ერთ-ერთ წამყვან გერმანულ გამომცემლობასთან „Kipenheuer & Witsch“.

ჰაინრიჰ ბიოლის ძირითადი ნაწარმოებები შეიქმნა 1951-1971 წლებში. ეს მისი ლიტერატურული შემოქმედების ყველაზე ნაყოფიერი ფაზა იყო.

1970-1972 წნ. ჰ. ბიოლი იყო გერმანიის, ხოლო 1971-1974 წნ. – საერთაშორისო პენ-კლუბის პრეზიდენტი.

ჰაინრიჰ ბიოლს, ნობელის პრემიის გარდა – 1972 წ. მინიჭებული ჰქონდა მრავალი ლიტერატურული პრემია და ჯილდო. ჰ. ბიოლი 1985 წლის 16 ივლისს გარდაიცვალა. მიმდინარე წელი ჰ. ბიოლის საიუბილეო წელია, 21 დეკემბერს მას 100 წელი შეუსრულდებოდა.

კონრად ადენაუერის კანცლერობის პერიოდში, რომელსაც მოიხსენიებენ როგორც „ეკონომიკური სასწაულის“ („Wirtschaftswunder“) ერას გერმანიაში, ჰ. ბიოლმა „რესტავრაციის“ მიმართ საკმაოდ კრიტიკული პოზიცია დაიკავა. ამიტომ ის მემარცხენე ინტელექტუალების პროტაგონისტად მიიჩნიეს, ხოლო მას შემდეგ, რაც კაროლა შტერნთან და გამომცემელ იოზეფ ვიჩთან ერთად 50-იან წლებში მხარი დაუჭირა „კონგრესს კულტურული მშვიდობისთვის“, რომელიც მაშინ ჰენრი ფორდის ფონდის ეგიდით იმართებოდა, სინამდვილეში კი მას აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (ცსს) (CIA) მართავდა (რაც ბიოლმა არ იცოდა), იგი მემარცხენე რადიკალად ჩათვალეს. ჰ. ბიოლის შემწეობით ცსს-მშეძლო, თავის რიგებში გადმოებირებინა ცნობილი გერმანელი მწერალი ზიგფრიდ ლენცი და ლიტერატურათმცონე მარსელ რაიხ-რანიცკი. ცსს-თვის ჰ. ბიოლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ალმოსავლეთ ევროპასთან (პოლონეთი, საბჭოთა კავშირი) და იქაურ მწერლებთან და დისიდენტებთან – ანდრე სახაროვთან, ალექსანდრ სოლუჟენიცინთან, ლევ კოპელევთან და სხვებთან მისი კონტაქტების გამო. ჰ. ბიოლი მოგზაურობდა ლათინურ

ამერიკაშიც (ბოლივიაში, ეკვადორში). იგი შეუერთდა ნატო-ს შეიარაღების წინა-აღმდეგ მიმართულ მშვიდობიან აქციას, 1983 წელს კი ბევრ სხვა გერმანელ მწერალსა და პოლიტიკოსთან ერთად (მათ შორის იყო ოსკარ ლაფონტენიც) მონაწილეობა მიიღო საპროტესტო მჯდომარე აქციაში, რომელიც მიმართული იყო მუთლანგენში ნატოს სარაკეტო ბაზის განთავსების წინააღმდეგ.

1972 წელს გაჩაღდა შიდა პოლიტიკური სკანდალი, რომელიც დაკავშირებული იყო წითელი არმიის ფრაქციის ტერორისტულ აქციებთან (RAF-Terroristen) და მათ ზოგიერთ აქტივისტისტთან (ბერნდტ ანდრეას ბაადერი, ულრიკე მაინჰოფი, გუდრუნ ენსლინი, იან-კარლ რასპე და სხვები). მას შემდეგ, რაც რაფ-ის ტერორისტებმა მათ მიერ გატაცებული ჰანს-მარტინ შლაიერი დახვრიტეს, დასრულდა ეგრეთ წოდებული „გერმანული შემოდგომა“ – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე, რთული კომპონენტებისგან შემდგარი სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის პერიოდი (1970-1977). ბიოლის მიზანი იყო ამ ფაქტებთან დაკავშირებით საზოგადოებაში დაწყებულიყო დებატები, საჯარო განხილვები და პრესისა და მედიების კრიტიკა, რათა მოვლენები ცალმხრივად არ გაეშუქიბინათ.

უურნალმა „შპიგელ“ („Spiegel“, „სარკე“) ავტორთან შეუთანხმებლად შეცვლილი სათაურით გამოაქვეყნა ჰ. ბიოლის სტატია-ესეი ულრიკე მაინჰოფის საქმესთან დაკავშირებით. ამ შეცდომის გამო ბიოლი ნარმორჩნდა, როგორც ტერორიზმის მომხრე და რადიკალ მემარცხენეთა სიმპათიზანტი. სინამდვილეში კი ის მხოლოდ საზოგადოებისა და პოლიტიკოსებისთვის თვალის ახელას ისახავდა მიზნად, რათა შესაბამისი რეაგირება მოეხდინათ ტერორიზმის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად. დაიწყო ბიოლის პოლიტიკური დევნა –

სახლის ჩერეკა და შეიარაღებული პოლიციელების მიერ ალყის შემორტყმა, სატელეფონო საუბრების მოსმენა და ა. შ. ბიოლმა წერილობითი ფორმით გაგზავნა საჩივარი ჰანს-დიტრიც გენშერთან, რომელიც იმსანად გფრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. დაიწყო დიდი კამპანია შპრინგერის საგამომცემლო კონცერნთან, რომელსაც „შპიგელიც“ და „ბილდიც“ („Bild“) მიეკუთვნებოდა (სწორედ ამ მოვლენებს ეხმიანება და ასახავს 1979 წელს გამოქვეყნებული რომანი „ზრუნვით შემორტყმული ალყა“ – „Fürsorgliche Belagerung“).

1972 წლის ნოემბერში ბიოლის გარშემო აგორებულ სკანდალს წერტილი დაუსვა მისთვის ნობელის პრემიის მინიჭებამ. ნობელის პრემიის კომიტეტის დასაბუთებაში ნათქვამია: ჰანსრიც ბიოლს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში მიენიჭა იმისათვის, „რომ მის ნანარმოებებში ასახულმა ისტორიული მოვლენების ვრცელმა პერსპექტიულმა თხრობამ და მისი გმირების სათუთმა სენსიტიურობამ თანამედროვე გერმანულ ლიტერატურაში ახალი ხედვა შემოიტანა“.

1968 წელს კარლ ცუკმაიერი წერდა ბიოლის „ირლანდიური დლიურის“ შესახებ: „განსაკუთრებით მხიბლავს მისი ენის სისადავე, სიცხადე და სიზუსტე. ის არ თხზავს სენტენციებს და არასოდეს მიმართავს ლიტერატურული არშიყობის სერხს“.

„დიახ, ბიოლი უყვარდათ, მას საზღვარგარეთ აღიარებდნენ. იგი თავის მრავალრიცხოვან მკითხველებსა და მსმენელებს აძლევდა სწორ ორიენტაციას/გეზს თავისუფლების ცნებასთან დაკავშირებით, რომელიც არ იზღუდებოდა საბაზრო ეკონომიკით. ალბათ, სწორედ ამიტომ სძულდა იგი პოლიტიკოსებისა და კლაკიორების ხროვას, სძულდათ მისი გარდაცვალების დღემდე, 1985 წლის 16 ივლისამდე“, წერდა გიუნთერ გრასი 2009 წელს გამოქვეყნებულ ესეიში „როდესაც ჰ. ბიოლი დაიკრძალა“ – „Als Heinrich

Böll beerdigt wurde“.

ასეთი იყო მწერალი და მოქალაქე ჰაინრიჩ ბიოლი. და სავსეპით ლოგიკურია, რომ მას აინტერესებდა ისეთ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებიც აზროვნებდნენ, წერდნენ და მოქმედებდნენ განსხვავებულად, არ მისდევდნენ შაბლონებსა და კლიშეებს, არ იყვნენ რაიმე რეჟიმების და იდეოლოგიების აპოლოგეტები. ამიტომაც იყო იგი მიღებული საბჭოთა კავშირში, რადგან საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა მასში ხედავდა კაპიტალისტური ქვეყნისა და სისტემის კრიტიკოსს, გარკვეულწილად კი მსხვერპლსაც 1972 წელს ბიოლის-თვის ნობელის პრემიის მინიჭებამდე.

ბიოლი საბჭოთა კავშირში ისეთი პოპულარობით სარგებლობდა, რომ ჰემინგუეის შემდეგ ბესტსელერების სიაში პირველ ადგილს იკავებდა. მას მოიხსენიებდნენ, როგორც (ბრეჰტის პიესის „კეთილი ადამიანი სეჩუანიდან“ ალუზით) „კეთილ ადამიანს კიოლნიდან“.

ჰაინრიჩ ბიოლი საქართველოთი ლევ კოპელევმა დააინტერესა. ჰაინრიჩ ბიოლმა და ლევ კოპელევმა ერთმანეთი გაიცნეს 1962 წლის სექტემბერში, როდესაც საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მოწვევით ბიოლი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, როგორც გფრ-ის მწერლების დელევაციის წევრი. მოსკოვის უნივერსიტეტში მის ლექციებსა და საუბრებს სტუდენტებთან თარგმნიდა და მოდერირებდა ლევ კოპელევი. ეს იყო ბიოლის პირველი ვიზიტი საბჭოთა კავშირში, რომელსაც შემდგომ მოჰყვა კიდევ ექვსჯერ სტუმრობა (უკანასკნელი შედგა 1979 წელს). ბიოლი და კოპელევი მაშინვე დამეგობრდნენ, რადგან ერთმანეთში მონათესავე სულები შეიცნეს. ამ მეგობრობამ ჰ. ბიოლის გარდაცვალებამდე (1985 წლის 16 ივლისს)

გასტანა. ბიოლისა და კოპელევის მომწერა ამჟამად ინახება ქ. კიოლნის ბიბლიოთეკაში (როგორც ითქვა, 2009 წლის 3 მარტს ქ. კიოლნის ისტორიული არქივის შენობა დაინგრა, მაგრამ ამ დროსათვის ხსენებული მიმოწერა უკვე ბიბლიოთეკის შენობაში იყო გადმოტანილი, რადგან მიმდინარეობდა მისი დამუშავება ცალკე წიგნად გამოცემისთვის. ეს წიგნი გამოსცა ქალბატონმა ელზბეთ ცილამ შტადლის გამომცემლობამ 2011 წელს).

ლევ კოპელევი (1912 კიევი – 1997 კიოლნი), ცნობილი ებრაული წარმოშობის რუსი ეკრანისტი, მწერალი, მთარგმნელი და ჰუმანისტი, ადამიანის უფლებების დამცველი. 1932 წელს ხარკოვის ოლქში ჩეკისტების საქმიანობის თვითმხილველი განკულაკების პროცესში. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და თვითმხილველი საბჭოთა ჯარის სასტიკი ქმედებებისა აღმოსავლეთ პრუსიის მოსახლეობის მიმართ, რამაც საბოლოოდ აუყარა გული საბჭოთა იდეოლოგიასა და რეჟიმზე, რის გამოც დააპატიმრეს და ამყოფებდნენ სხვადასხვა გულაგში (1945-1954 წწ.).¹ 1956 წლის რეაბილიტაციის შემდეგ ლ. კოპელევი მუშაობდა უურნალისტად, შემდეგ დოცენტად მოსკოვის ხელოვნებათმცოდნების ინსტიტუტში. მან დაწერა მონოგრაფია ბ. ბრეხტზე. მისი მეორე მეუღლე იყო რაისა ორლოვა – ცნობილი ანგლისტი და მთარგმნელი. ლ. კოპელევის და რ. ორლოვას მოსკოვის ბინა გახდა შეკრების ადგილი და ნავსაყუდელი თავისუფლად მოაზროვნე რუსი და საზღვარგარეთელი ინტელელექტუალებისა (ა. სოლუენიცინი, ა. სახაროვი, ვ. აქსიონოვი, ე. გინზბურგი, ვ. ივანოვი, კლ. ბედნარცი, ფრ. პლაიტგენი, ჰ. ბიოლი, მ. კოსტავა, ნ. კაკაბაძე, რ. ყარალაშვილი, ნ. ყიასაშვილი და სხვ.).² 1980 წელს ლ. კოპელევი და რ. ორლოვა ჰაინრიჩ

¹ სხვათა შორის, ამ გადასახლების დროს ციმბირის ერთ-ერთ გულაგში ლ. კოპელევი იმყოფებოდა გრიგოლ კოსტავასთან, მერაბ კოსტავას ბიძასთან ერთად, რომელსაც დაუმეგობრდა და შემდეგ მისგან გაიცნო უკვე მერაბ კოსტავაც და ზვიად გამსახურდიაც.

ბიოლის მოწვევით მიემგზავრებიან კი-ოლნში. უკვე იქ ყოფილისას გაიგეს მედიის საშუალებით, რომ მათ ჩამოერთვათ საპ-ჭოთა კავშირის მოქალაქეობა. ჰ. ბიოლი გახდა მათი მფარველი და უფლებების დამცველი. 1981 წელს კოპელევს და ორ-ლოვას გფრ-ის მოქალაქეობა მიენიჭათ და კიოლნში დასახლდნენ. ლ. კოპელევი მუშაობდა ვუპერტალის უნივერსიტეტში და იკვლევდა გერმანულ-რუსულ ურთიერთობებს, მისი კვლევა ათტომეულის სახით გამოიცა გერმანიაში. 1989 წელს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რაისა ორლოვა, ლევ კოპელევი დარჩა კიოლნში, სადაც 1997 წლის 12 ივნისს გარდაიცვალა (დაკრძალულია მოსკოვში, დონის მონასტრის სასაფლაოზე).

საბჭოთა კავშირში დისიდენტად აღიარებული კოპელევი ახლოს იცნობდა ქართველი გერმანისტების იმ ჯგუფს, რომელიც უშიშრად (ამ სიტყვის სრული გაგებით) იკვლევდა და თარგმნიდა გერმანულენოვანი ლიტერატურის ისეთი მწერლებს, როგორებიც არიან: თომას მანი, ჰერმან ჰესე, რობერტ მუზილი, ფრანც კაფკა, გეორგ თორაკლი, რობერტ ვალზერი. ესენი იყვნენ: ნოდარ კაკაბაძე, ზურაბ კაკაბაძე, რეზო ყარალაშვილი, დავით დავლიანიძე, ნელი ამაშუკელი, გივი მარგველაშვილი, ნაირა გელაშვილი.

როგორც აღინიშნა, სწორედ ლევ კოპელევის დაუინებული თხოვნით ენვია ჰ. ბიოლი საქართველოს. კოპელევმა ურჩია ბიოლს, თუ ვის უნდა შეხვედროდა თბილისში.

ნოდარ კაკაბაძის დღიურების ჩანაწერების საფუძველზე, რომლებიც მანვე გამოაქვეყნა გაზეთ „ქართული ფილმის“ 1998 წლის 30 აპრილის ნომერში, რეკონსტრუქციის მეთოდით აღვადგინე ჰ. ბიოლის საქართველოში სტუმრობის მთელი სქემა, რომელსაც წინამდებარე სტატიაში გთავაზობთ:

I 308050: 1966 წელი 10-13 ოქტომბერი (4 დღე)

ოფიციალური მოწვევა ჸ. ბიოლმა საქართველოს მწერალთა კავშირიდან მიიღო შემთა რუსთაველის მე-800 წლისთავის აღასანოშნავ საზეიმო ღონისძიებებზე (25 სექტემბერი – 27 ოქტომბერი) დასასწრებად. მაგრამ ჸ. ბიოლი თბილისში მხოლოდ რამდენიმე დღით (თავისი ორი ვაჟიშვილის – რაიმუნდისა და რენეს და ასევე მეგობრის ვერნერ ფონ ტროც ცუ ზოოლცის ქალიშვილის კატარინას თანხლებით) ჩამოვიდა ლენინგრადიდან, სადაც მისი სცენარით იღებდნენ დოკუმენტურ ფილმს დოსტოევსკიზე „მწერალი და მისი ქალაქი: დოსტოევსკი და პეტერბურგი“ (ამ ფილმის პრემიერა შედგა გფრ-ის ტელევიზით 1969 წელს).

დღე I: 10 ოქტომბერი: აეროპორტში მას დახვდნენ ნოდარ და ზურაბ კაკაბაძები, რეზო ყარალაშვილი, ნოდარ რუხაძე. ჸ. ბიოლს ახლდა ინტურისტის მიერ მიჩნილი „თარჯიმანი“ თამარ ავალიანი (როგორც ბატონი ნოდარი წერს კომენტარში – ბაქოში დაბადებული გარუსებული სომები). იმავე დღეს 6. კაკაბაძემ, რ. ყარალაშვილმა და 6. რუხაძემ ბიოლი გაასეირნეს ძველ თბილისში. საინტერესო ჩანაწერს ვაწყდებით ნოდარ კაკაბაძის დღიურში: „ჩვენ, ქართველ დამხვდურებს – ჩემს ძმას, ბუბას (რეზო ყარალაშვილს), და მე ლევ კოპელევისგან უკვე ცნობა გვქონდა, იმთავითვე სწორი ორიენტაცია უნდა მიგვეცა, თავიდანვე რომ გარკვეულიყო აქაურ სიტუაციაში და ადამიანებში, დასაწყისშივე უნდა ცოდნოდა, ვისი ნდობა შეიძლება და ვისი – არა“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ იმავე პერიოდში თბილისში სტუმრად იყვნენ გდრ-ის ცნობილი მწერალი ერვინ შტრიტმატერი და მისი მეუღლე პოეტი ევა შტრიტმატერი. მაგრამ შტრიტმატერებმა არ მოისურვეს ბიოლთან შეხვედ-

² Р. Орлова. Л. Копелев. Мы жили в Москве (1956 – 1980). Ann Arbor, 1987; М.: Книга, 1989.
Р. Орлова. Л. Копелев. Мы жили в Москве (1980 – 1989). – М.: Фортuna Лимитед, 2003.

რა. ბიოლის სტუმრობის დღეებში ისინი ყაზბეგში იმყოფებოდნენ.

დღე II: 11 ოქტომბერი: საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის დათვალიერება. ბიოლი აღაფრთოვანა ფიროსმანის ნამუშევრებმა და დიდხანს და გულდასმით ათვალიერებდა მათ. ხელოვნების მუზეუმიდან ლადო გუდიაშვილის სახელოსნოს ენვივნენ, სადაც ბატონი ლადო ბიოლს თავად უწევდა მასპინძლობას. ბიოლის რეაქციები შეიძლება ნათლად ამოვიკითხოთ იმ არაჩეულებრივ ფოტოებზე, რომლებსაც მწერლის მთელი ვიზიტის განმავლობაში იღებდა მაშინ სრულიად ახალგაზრდა, შემდგომ კი ცნობილი ქართველი ფოტოხელოვანი, ვარლამ გენგიური.

შემდეგ მთანმინდაზე აიყვანეს, დაათვალიერებინეს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.

დღე III: 12 ოქტომბერი: მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის სახელოსნოში. ბიოლი აღაფრთოვანა მერაბ ბერძენიშვილის მიერ შესრულებულმა დავით გურამიშვილის ქანდაკებამ. ჰ. ბიოლს უთქვამს, ასეთი ქანდაკება მთელ საბჭოთა კავშირში არ მინახავსო. შემდეგ სტუმრობა დავით კაკაბაძის სახლ-მუზეუმში, სადაც ჰ. ბიოლს უმასპინძლა მხატვრის ქვრივა, მხატვარმა ეთერ ანდრონიკაშვილმა. გასეირნება მცხეთაში – ბიოლი აღაფრთოვანებულია სვეტიცხოველით და ჯვრის მონასტრით. მცხეთაშივე ასადილეს. სადილზე ბიოლმა წარმოთქვა „არაკიბერნეტიკული საქართველოს“ სადლეგრძელო: „მე თვალში მომხვდა ქართველების ბუნებასთან სიახლოვე, ბუნებრიობა, ადამიანური შემოქმედებითი საწყისის შენარჩუნება. ქართველების ცხოვრებას აქვს მკვეთრი ინდივიდუალურობა, განუმეორებლობა, უნიკალურობა. მას ჯერჯერობით ნაკლებად, ვიდრე ევროპელი ერების ცხოვრებას, ემუქრება უნიფიკაციის, სტანდარტიზაციის და ნიველირების მსახვრალი ხელი, რაც თან მოაქვს, სამწუხაროდ, ტექნიკურ-ცივილიზატორული საზოგადოების განვითარებას. ქართველების სიცოცხლე და

ცხოვრება ნაკლებადა „დაპროგრამებული“. ეს ბედნიერებაა!“ (ციტირებულია ნ. კაკაბაძის მასალიდან).

დღე IV: 13 ოქტომბერი: ჰ. ბიოლი ენვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც გაიმართა შეხვედრა და საუბარი პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან (ამ შეხვედრაზე უნივერსიტეტის რექტორატის დაყოლება დიდ ჯაფად დაუჯდა ნოდარ კაკაბაძეს). უნივერსიტეტში ნ. კაკაბაძემ ბიოლს გააცნო გივი მარგველაშვილი, რომელმაც ბიოლს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მეც ვწერ!“ („Ich schreibe auch!“).

ამ შეხვედრაზე ჰ. ბიოლმა კითხვაზე, თუ რომელ მიმდინარეობას აკუთვნებს თავს, უპასუხა: „თანამედროვე ხელოვნებაში გამოვყოფ სელინჯერს, ფელინის და ყველა იმას, ვინც ცდილობს, თანამედროვე ტექნიკურ სამყაროში გადაარჩინოს ადამიანის სული, ჩემს თავსაც ამ ადამიანების რიგში ვაყენებ“.

გამოსათხოვარი ვახშამი გაიმართა სასტუმრო „თბილისის“ რესტორანში. სუფრას უსხდნენ აგრეთვე ნოდარ რუხაძის მეუღლე ტატიანა სოკოლოვარუხაძე, რუსუდან თიკანაძე და ზურაბ კაკაბაძის მეუღლე ნათია ამირეჯიბი – იმ პერიოდის თბილისის გამორჩეულად ლამაზი ქალბატონები. იმავე საღამოს ჰ. ბიოლი აეროპორტში გაემგზავრა, სადაც გულაჩუყებული გამოეთხოვა თავის ახალ მეგობრებს და დაპირდა, მომავალში მთელი ოჯახით ჩამოვალო.

1972 წელი, II ვიზიტი თბილისში, 27 თებერვალი – 1 მარტი (4 დღე)

დღე I: 27 თებერვალი: ჰ. ბიოლი მეუღლესთან, ანნემარისთან ერთად თბილისში ჩამოფრინდა ლენინგრადიდან. ცოლ-ქმარს „თან ახლდათ“ თარჯიმანი, გერმანისტი ვლადიმირ სტეფანესკი, სსრკ მწერალთა კავშირის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე. სტეფანესკის უნდა გაეკონტროლებინა, რომ ბიოლი რაც შეიძლება ნაკლებად შეხვედროდა „არასაიმედო“ ხალხს და მეტი დრო გაეტარებინა ოფიციალურ შეხვედრებზე. სტეფანესკის ბიოლისთვის

უთქვამს: „ჰაინრიშ, შენ არასწორ ხალ-ხთან მიდიხარ!“ (იგულისხმებოდნენ ნ. კაკაბაძე, ზ. კაკაბაძე, რ. ყარალაშვილი და სხვები), რაზედაც ბიოლმა უპასუხა: „როგორ თუ არასწორ ხალხთან! ისი-ნი ჩემი მეგობრები არიან!“ („Heinrich, du gehst zu falschen Leuten!“ Worauf Böll antwortete: „Wieso zu den falschen? Es sind doch meine Freunde!“).

აეროპორტში ბიოლებს დახვდნენ ნოდარ კაკაბაძე, მისი მეუღლე უუ-უუნა დუგლაძე, რეზო ყარალაშვილი, მისი მეუღლე ნანა შენგელაია, ზურაბ კაკაბაძე და მისი მეუღლე ნათია ამი-რეჯიბი, გივი მარგველაშვილი და მისი მაშინდელი მეუღლე ნაირა გელაშვილი, ასევე ნელი ამაშუკელი. მწერალთა კავ-შირის მხრიდან – გრიგოლ აბაშიძე და იოსებ ნონეშვილი, ასევე მათი თარჯი-მანი, გერმანისტი ნოდარ რუხაძე.

ბიოლები დააბინავეს სასტუმრო „ივე-რიაში“. სტეუენსკი და „ინტურისტის“ თა-ნამშრომლები შეეცადნენ, ბიოლი თავის მეგობრებთან არ გაეშვათ. ანნემარი შე-უძლოდ იყო და სასტუმროს ნომერში დარჩა, ბიოლი შტეუენსკიმ რაღაც შეხ-ვედრაზე წაიყვანა. მაგრამ მოგვიანებით რეზო ყარალაშვილმა დაურეკა ანნემარის ნომერში და მოიკითხა, ანნემარიმ კი უთ-ხრა: „Sie wollen ihn offiziell anspannen!“ („უნდათ ოფიციალურად ჩააბაა!“-ო!)

დღე II: 28 თებერვალი: დილის 10 საათსა და 30 წთ-ზე ჰ. ბიოლმა თავისი მეგობ-რების თანხლებით თბილისში გაისეირნა, შემდეგ ნოდარ კაკაბაძემ ის ცნობილი ქართველი მოქანდაკესა და ჭედურობის ოსტატთან კობა გურულთან მიიყვანა სა-ხელოსნოში. ბატონი კობა შეზარხოშებუ-ლი დახვდათ, თანაც გამასპინძლებისას ღვინის ძალა კიდევ უფრო მოეკიდა და ბიოლი შეაწუხა ფსევდოპატრიოტული (ან თუ გნებავთ – „ურაპატრიოტული“) სადლეგრძელოებით. ეს არც ბიოლს სი-ამოვნებდა და არც მის ქართველ მე-გობრებს, რადგანაც კომუნიკაციაში ხელს უშლიდათ. ივაჟუაცა ქალბატონმა ნელი ამაშუკელმა, რომელმაც პირდა-პირ განუცხადა კობა გურულს: „კობა, გეყოფა ახლა, პირი მოკუმე!“ (ნელის ამ

„გმირობის“ შესახებ ჸ. ბიოლი მოგვიანე-ბით თავის წერილებშიც წერს და კიდევ ერთხელ თხოვს ნოდარ კაკაბაძეს, რომ მადლობა უთხრას მას ამისათვის). შემდეგ იყო სადილი ვაკის პარკში, რესტორან „ბუდაპეშტში“ მეგობრების წრეში, რო-მელსაც გერმანისტი დავით დავლიანიძეც შეუერთდა: სადილის დროს გამართული სჯა-ბასისას, რა თქმა უნდა, გდრ-ის ლიტერატურაზეც ჩამოვარდა საუბარი და ბიოლს ჰერიტეს, თუ ვის გამოყოფდა გდრ-ის მწერლებიდან. მან დაასახელა რამდენიმე სახელი: შტეფან ჰერმლინი, კრისტი ვოლფი, იოპანეს ბობროვსკი, გი-უნტერ კუნერტი. შემდეგ იყო შეხვედ-რა მწერალთა კავშირის ხალხით გადა-ჭედილ დარბაზში. თარჯიმნობდა ნელი ამაშუკელი, რომელმაც ამ შეხვედრაზეც გამოიჩინა დიდი ტაქტი და ოსტატობა ზოგიერთი ქართველი მწერლის თუ სხვა დამსწრე პირის „უხერხული“ შეკითხვების ინტერპრეტირებისას.

შემდეგ მეგობრების ჯგუფი ზურაბ კაკაბაძეს ესტუმრა სახლში სადილად, ვახშამი გაიმართა გივი მარგველშვილ-თან. ბიოლი სკეპტიკურად იყო განწყო-ბილი სტეუენსკის და ნოდარ რუხაძის მიმართ, რომელსაც ბოლო ხანს აღარ ენდობოდა.

დღე III: 29 თებერვალი: დილის 9 სა-ათსა და 30 წთ-ზე მეგობრებმა ბიოლს სასტუმროში მოაკითხეს, მაგრამ ის მა-ლევე წაიყვანეს მწერალთა კავშირის წარმომადგენლებმა. 12 საათზე საქარ-თველოს ტელევიზიაში ჩაწერეს ინტერ-ვიუ ბიოლთან (თარჯიმნობდა ნოდარ რუხაძე). 16 საათზე ბიოლი ისევ თავის მეგობრებთანაა. ის სახლში ეწვია ნელი ამაშუკელს, სადაც შეიკრიბნენ ცნო-ბილი ქართველი ენათმეცნიერი, პრო-ფესორი გურამ რამიშვილი, ნოდარ და ზურაბ კაკაბაძეები, ნათია ამირეჯიბი, გივი მარგველაშვილი და ნელი ამაშუ-კელის მეუღლე მწერალი გივი მაღუ-ლარია. ჭამჯერად ფოტოებს იღებდა ბატონი გოგი გოგოხია.

ბიოლი რეზო ყარალაშვილსაც ეწვია სახლში, შემდეგ კვლავ კობა გურულის სახელოსნოში მივიდა ხელოვანისთვის

მადლობის სათქმელად (კ. გურულმა ბიოლს საჩუქრად სამი ჭედური ნამუშევარი გაუგზავნა სასტუმროში).

იმავე დღეს საღამოს გამოსათხოვა-რი ვახშამი გაიმართა ნოდარ კაკაბაძის სახლში, ნ. ნიკოლაძის ქუჩაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ზურაბ კაკაბაძე, რეზო ყარალაშვილი, ნელი ამაშუკელი, ნიკო ყიასაშვილი, გურამ რამიშვილი, გურამ თევზაძე, უუჟუნა დუგლაძე და ბატონი ნოდარის ოთხი წლის ქალიშვილი ნინო. ამ ვახშმის დროს ბატონმა ნოდარმა ბიოლს ინტერვიუ ჩამოართვა, რომელიც დაიბეჭდა 1972 წლის 3 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ (გაზეთის რედაქტორს გურამ გოგიაშვილს ამის გამო დიდი უსიამოვნება შეხვდა).

ამავე საღამოს მოსკოვიდან დარეკალევ კოპელევმა, რომელმაც მოიკითხა თავისი ქართველი მეგობრები და რა თქმა უნდა, ჰაინრიხ ბიოლიც, რომელსაც მეორე დღეს მოსკოვში ელოდებოდა.

დღე IV: 1 მარტი: დილით ადრე ჰაინრიქ და ანნემარი ბიოლები აეროპორტში გააცილეს „არასწორმა“ ადამიანებმა – ნოდარ კაკაბაძემ, ზურაბ კაკაბაძემ, რეზო ყარალაშვილმა და ნელი ამაშუკელმა.

ნოდარ კაკაბაძე ჰაინრიქ ბიოლს სხვა დროსაც შეხვედრია მოსკოვში ლევ პოპელევთან სტუმრობისას – 1970 წელს და 1979 წელს. 1979 წლის ივლის-აგვისტოს შეხვედრა მათვის ბოლო გამოდგა. ლევ კოპელევის ოთახში გაკრული იყო სურათი, სადაც ბიოლს პატარა ნინო კაკაბაძე უზის კალთაში. სუფრას უზის მისი ყველა ქართველი მეგობარი. ც. ბიოლმა ვერ იცნო ბავშვი, ვინ არისო და როცა კოპელევმა უთხრა, სად იყო გადაღებული სურათი, კველაფერი გაახსენდა და ალუდეგა მეხსიერებაში. ბიოლი უკვე ძალიან ავად იყო. დიაბეტი გაუმდაფრდა, ანუხებდა ათეროსკლეროზი, თან სმენაც დაუქვეითდა. ბატონ ნოდარს ყველასთან მოკითხვა დააბარა.

1989 წელი: – ეს ის პერიოდია, როდესაც გერმანიის გაერთიანების პრო-

ცესი დაიწყო და უპრობლემოდ შეიძლებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთ გერმანიაში გადასვლა. პირველი, რაც ნოდარ კაკაბაძემ გააკეთა (1989 წლის აგვისტოში) იყო ის, რომ ჩავიდა კიოლნში და მერტენში ჰაინრიქ ბიოლის საფლავი მოინახულა. ჰ. ბიოლი ამ დროს უკვე ოთხი წლის გარდაცვლილი იყო.

ეს კონტაქტები, შეხვედრები გამოჩენილ პიროვნებასთან – არ ვგულისხმობ მხოლოდ მის მწერლურ და ლიტერატურულ ღირსებებს – უდიდესი მნიშვნელობისა იყო არა მხოლოდ უშუალოდ უფროსი თაობის გერმანისტებისა და ლიტერატორებისთვის საქართველოში, არამედ ახალგაზრდა თაობებისთვისაც, რომლებსაც ასწავლიდნენ ნოდარ კაკაბაძე, რეზო ყარალაშვილი, ნელი ამაშუკელი, ნაირა გელაშვილი და სხვები. ეს ეპოქალური მოვლენებია, რომლებიც არ უნდა დაიკარგოს და ვერც დაიკარგება.

ჰ. ბიოლი, როგორც მწერალი და პიროვნება, პირველ პლანზე აყენებდა უბრალო ადამიანს თავისი ტკივილით, განცდით, კრიტიკული სიტუაციების დაძლევის უნარით. ის პატივს სცემდა თავისუფალ პიროვნებას, რომელსაც შეუძლია ცხოვრებაში არჩევანის გაკეთება. ასეთი იყო თვითონაც – ყოველგვარ პათოსს და მანიაგრანდიოზას მოკლებული.

ერთხელ ჰკითხეს, როცა ქმნით, რას ხედავთ? – ბიოლის პასუხი ისეთივე უბრალო იყო, როგორიც იყო თავად: „არაფერს ვხედავ, ვერც პერსონაჟებს, მე ვხედავ და ვგრძნობ სიტყვას ჩემში და ამ სიტყვას მიყვავარ“.

რა არის მთავარი ჰ. ბიოლის ნაწარმოებებში? მისი სიტყვები, რომლებიც ხშირად მისი პერსონაჟების ქმედებებსაც წარმოადგენენ. ისინი იმდენად არ რეაგირებენ, რამდენადაც საუბრობენ ან ფიქრობენ.

ამიტომ ყოველი საუბარი ჰაინრიქ ბიოლთან იყო გულწრფელობის და ჰუმანიზმის დიდი აქტი.

პაინრიჰ ბიოლი



ჩემი მოწყენილი სახე

პორტში რომ ვიდექი და თოლიებს შევ-
ყურებდი, ჩემმა მოწყენილმა სახემ პოლი-
ციელის ყურადღება მიიპყრო, რომელიც
იმ კვარტალში მორიგეობდა. ერთიანად
მოცული ვიყავი ჩიტების თვალყურის
დევნებით. ისინი ხან ცაში აიჭრებოდნენ,
ხან ლუკმის საშოვნელად ამაოდ დაეშ-
ვებოდნენ შურდულივით ძირს; პორტი
დაცარიელებულიყო. ბლანტი, მაზუთისგან
გაპოხილ მომწვანო წყალში ყველანაირი
ნაგავი ტივტივებდა. არც ერთი გემი არ
ჩანდა. ამწები დაუანგებულიყო, სან-
ყობები დანგრეულიყო. ვირთხებიც კი
გადაშენებულიყვნენ პორტის ჭუჭყიანი
ნანგრევებიდან, ჩამიჩუმი არ ისმოდა. უკ-
ვე მრავალი წელია, გარე სამყაროსთან
კავშირი გამწყდარიყო.

ერთი თოლია ამოვირჩიე და მას ვა-
დევნებდი თვალს. მერცხალივით მში-
შარა იყო, ჭექა-ქუხილს წინასწარ რომ
გრძნობს. სულ წყლის ზედაპირთან და-
ფარფატებდა, ზოგჯერ თუ გაბედავდა
და ჭყივილით აიჭრებოდა მაღლა, ამ-
ხანაგების მარაქაში რომ გარეულიყო.
მაშინ ვინმეს რომ ეთქვა, სურვილი ჩა-

იფიქრეო, პურის ნატეხს ვინატრებდი,
თოლიები რომ დამეპურებინა. გადა-
ვუყრიდი ნამცეცებს და ამ თეთრი ფან-
ტელების წყალობით გავაკვლევინებდი
გზას თავიანთი უგზო-უკვლო ფრენის
მიზნისკენ.

მინდოდა, გადამეყარა პურის ნამცე-
ცები, რათა ჩამებშო ამ უმიზნოდ მო-
ფარფატე გუნდის გულსაკლავი კვნე-
სა, შევჭრილიყავი მასში და დამეშალა,
როგორც დაბურდული გორგალი. მაგ-
რამ მეც მათსავით მშიერი ვიყავი და
დალლილი. თუმცა ბედნიერიც, მიუხე-
დავად ჩემი უგუნებობისა, რადგან მომ-
ნონდა ასე ჯიბეებში ხელებჩაყოფილი
იქ დგომა, თოლიების ყურება და სევ-
დით ტებობა.

უეცრად მხარზე მოხელის ხელი ვიგ-
რძენი და ხმა გავიგონე:

— მომყევით! — ეს ხელი მხარზე მე-
ქაჩებოდა და ცდილობდა, მოვებრუნე-
ბინე. არ გავნძრეულვარ, ისე მოვიშორე
და მშვიდად ვუთხარი:

— თქვენ ხომ არ გაგიუებულხართ?!

— ამხანაგო, — მიპასუხა ჯერ კიდევ
უხილავმა, — გაფრთხილებთ!

— ბატონო ჩემო... — მივუგე მე.

– აქ არ არსებობენ ბატონები, ჩვენ ყველანი ამხანაგები ვართ! – შეჰყვირა გაბრაზებულმა, უფრო მომიახლოვდა, გვერდიდან შემომხედა და იძულებული შევიქენი, ჩემი ბედნიერი მზერა ზეცის-თვის მომეშორებინა და მისი ჯიქურად მომზირალი თვალებისკენ მიმებყრო: დინ-ჯი იყო კამეჩივით, რომელსაც წლობით არაფერი ეგემა, გარდა ჯაფისა.

– რის საფუძველზე... – დავაპირე კითხვა.

– საფუძვლები საკმარისადაა, – მი-პასუხა მან. – მაგალითად, თქვენი მოწ-ყენილი სახე...

გამეღმია.

– ნუ იღიმებით, – ახლა მართლაც ძალიან გაბრაზდა.

თავდაპირველად გავიფიქრე, ეს ყვე-ლაფერი მოწყენილობის გამო წამოიწყო, რადგან ვერ დაიჭირა ვერც ერთი არარეგისტრირებული კახბა, მოყიალე მეზღვაური ან დეზერტირი-მეთქი, მაგ-რამ მერე მივხვდი, რომ არ ხუმრობდა – მართლაც აპირებდა ჩემს დაჭერას.

– გამომყევით!..

– და რატომ? – ვკითხე მე წყნარად.

გონს მოგება ვერ მოვასწარი, რომ მარცხენა ხელის მაჯაზე წვრილი ჯაჭ-ვი შემომერტყა და იმწამსვე მივხვდი, რომ დავილუბე. უკანასკნელად ავიხე-დე მაღლა, შევხედე მოფარფატე თო-ლიებს, მშვენიერ რუს ცას და მკვეთრი მოძრაობით წყალში ჩახტომა დავაპირე, რადგან სადლაც, უკანა ეზოში, ვიღაც სერუანტის ხელით მოვუდვას ან კვლავ ციხეში ჩაჯდომას ისევ ამ სიბინძურე-ში თავის დახრჩობა მერჩივნა. მაგრამ პოლიციელმა ისე ძლიერად მიმითრია თავისკენ, რომ გაქცევაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

– და მაინც რატომ? – კიდევ ერ-თხელ შევეკითხე.

– არის დადგენილება, რომ ყველა ვალდებულია, ბედნიერი იყოს.

– ჰოდა, ვარ კიდეც ბედნიერი! – შევძახე მე.

– მაგრამ თქვენი მოწყენილი სახე...

– და თავი გადააქნია.

– ეს ხომ ახალი კანონია?! – მივუ-გე მე.

– უკვე ოცდათექვსმეტი საათი გა-ვიდა, თქვენ კი მოგეხსენებათ, რომ კა-ნონი ძალაში შედის მისი გამოცემიდან ოცდათხი საათის შემდეგ.

– კი, მაგრამ მე ეს არ ვიცოდი!

– კანონის არცოდნა არ ათავისუფ-ლებს სასჯელისგან. იგი გუშინწინ გა-მოქვეყნდა, ყველა რუპორით გამოც-ხადდა და ყველა გაზეთში დაიბეჭდა, ხოლო მათ... – და მან მრისხანე მზერა მსტყორუნა, – მათ, ვინც არ სარგებ-ლობს ცივილიზაციის ისეთი მონაპოვ-რებით, როგორებიცაა პრესა და რა-დიო, ეს ამბავი რაზის ყველა ქუჩაში ჩამოყრილი ბარათების საშუალებით ამცნეს. ასე რომ, გასარკვევი გვაქვს, სად გაატარეთ უკანასკნელი ოცდათექ-ვსმეტი საათი, ამხანაგო.

სადღაც მიმათრევდა. მხოლოდ ახ-ლა მივხვდი, რომ მციოდა და პალტო არ მქონდა; მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ ძალიან მშიოდა და მუცელი მი-ბუყბუყებდა; რომ ჭუჭუიანი ვიყავი, გაუპარსავი და ჩამოკონკილი და რომ უკვე გამოექვეყნებინათ დადგენილებე-ბი, რომელთა მიხედვითაც ყველა მო-ქალაქე სუფთა, გაპარსული, ბედნიერი და მაძღარი უნდა ყოფილიყო. პოლი-ციელმა წინ გამიგდო, საფრთხობელა-სავით, რომელმაც თავისი საოცნებო ბალ-ბოსტნები უნდა დატოვოს, რადგან ქურდობაში ამზილეს.

ქუჩები დაცარიელებულიყო, პოლი-ციის განყოფილებამდეც არ იყო შო-რი გზა. კი ვიცოდი, ჩემს დასაპატომ-რებლად საბაბს მაღვე რომ იპოვიდნენ, მაგრამ მაინც სინანულით მომეკუმშა გული, რადგან პოლიციელს ჩემი ახალ-გაზრდობის გზებით მივყავდი, იმ ად-გილებით, რომელთა მონახულებასაც პორტის მერე ვაპირებდი: უდიერად ბუჩქნარმოდებული მშვენიერი ბალები

და ხასხასა ბალახგადავლილი ბილიკები – ყველაფერი ეს ახლა უკვე და-ეგეგმათ, მოეწესრიგებინათ, გაესუფ-თავებინათ, კვადრატებად დაეყოთ და მოემზადებინათ ეროვნული შენაერთებისათვის, რათა მათ ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით აქ სამხედრო წვრთნები ჩაეტარებინათ.

მხოლოდ ცა იყო ძველებური და ჰა-ერი, როგორიც მაშინ, როცა გული ოცნებებით მქონდა სავსე.

გზად თვალი მოვარი, რომ ზოგიერთ საროსკიპოში გამოეკრათ წესები მათთვის, ვისაც ოთხშაბათობით უნევდა რიგი, ზიარებოდა ჰიგიენურ პროცედურებს. ზოგიერთი ღუქანი, როგორც ჩანს, უფლებამოსილი იყო, სასმელთან დაკავშირებითაც გამოედო ნიშანი – თუნუქის კათხა, შეღებილი სახელმწიფო ფერების სამ განივ ზოლად: ღია-ყავისფრად, მუქ-ყავისფრად და ღია-ყავისფრად. სიხარული სუფევდა იმათ გულებშიც, ვინც საოთხშაბათო სმის ოფიციალურ სიაში იყო შეყვანილი და უფლება ენიჭებოდა, მონაწილეობა მიეღო ლუდის სმაში.

გზად ყველა შემხვედრს ენთუზიამის უტყუარი ნიშანი ედო. ისინი მთლიანად იძირებოდნენ მუყაითობის სიფრიფანა ფლუიდში, მეტადრე მაშინ, როცა პოლიციელს დაინახავდნენ. იმწამსვე აუჩქარებდნენ ნაბიჯს, სახეზე მოვალეობის ერი ასახოდათ. მაღაზიებიდან მომვალი ქალები ცდილობდნენ, ისეთი ბედნიერი გამომეტყველება მიეღოთ, როგორიც მოეთხოვებოდა დიასახლისებს, რომლებიც მოვალენი იყვნენ, ეფრქვიათ სიხარული და სილალე და საღამოს კარგი ვახშმით სახელმწიფო მუშაკებისთვის ამგვარად აღედგინათ ძალები.

მაგრამ ეს ხალხი ისე ოსტატურად გვარიდებდა თავს, რომ არერთ მათგანს არ უწევდა ჩვენი გზის გადაკვეთა. თუ ქუჩაში რაიმე ნიშანწყალი გამოჩნდებოდა, ჩვენგან ოც ნაბიჯში ქრებოდა. ყველა ცდილობდა, სასწრაფოდ შესულიყო

მაღაზიაში ან კუთხეს ამოჟფარებოდა; ზოგი უცხო სახლებშიც კი შერბოდა და, კარსამოფარებული, შიშით ელოდა, როდის მიწყდებოდა ჩვენი ფეხის ხმა.

მხოლოდ ერთხელ, სწორედ მაშინ, როცა გზაჯვარედინზე მივდიოდით, შეგვე-ფეთა ერთი მოხუცი კაცი, რომლის მკერდზეც სკოლის მასწავლებლის სამკერდე ნიშანი შევნიშნე. მოხუცმა თავი ვეღარ აგვარიდა და მას შემდეგ, რაც, როგორც წესი და რიგია, პოლიციელს მიესალმა და უსაზღვრო მორჩილების ნიშანდ თავზე სამჯერ მიირტყა ხელისგული, ეცადა თავისი მოვალეობის შესრულებას, რაც ავალდებულებდა, ჩემთვის სამჯერ სახეში შეეფურთხებინა და ამგვარ შემთხვევებში მიღებული შეძახილით შევემკე: „მოღალატე ღორო!“

მოხუცმა თავი ვეღარ აგვარიდა, როგორც წესი და რიგია, პოლიციელს მიესალმა და უსაზღვრო მორჩილების ნიშანდ თავზე სამჯერ მიირტყაპუნა ხელისგული. ცდილობდა, თავისი მოვალეობის შესრულებას – ჩემთვის სახეში სამჯერ შეეფურთხებინა და ამგვარ შემთხვევებში მიღებული შეძახილით შევემკე: „მოღალატე ღორო!“

ოსტატურად დამიმიზნა, მაგრამ ცხელოდა და, როგორც ჩანს, პირი გამშრალი ჰქონდა. ასე რომ, მე მხოლოდ ერთი-ორი საცოდავი შეფი მომხვდა, რომელიც ჩემდაუნებურად ნინდაუ-სედავად სახელოთი მოვიწმინდე. ამის გამო პოლიციელმა პანჩური ამომკრა, ზურგში მუშტი ჩამცხო და მშვიდი ხმით მოაყოლა: „პირველი ეტაპი“, რაც მოასწავებდა პირველ უმნიშვნელო სასჯელს, რომელიც შეეძლო განეხორციელებინა ნებისმიერ პოლიციელს.

მასწავლებელმა სასწრაფოდ გაქუსლა. დანარჩენებმაც შეძლეს განზე გადახვევა. მხოლოდ ერთმა ქერა პუტკუნა ქალმა, რომელიც ვალდებული იყო, საღამოს სწორედ საროსკიპოს ნინ ესეირნა, გზად საპარო კოცნა დამანია. მე მაღლობის ნიშანდ გავუღიმე, პოლიციელმა კი არ

შეიმჩნია, ვითომ ვერაფერს ხედავდა. მათ მითითებული ჰქონდათ, ამ ყაიდის ქალების ცელქობებზე თვალი დაეხუჭათ, რათა გარკვეულ ამხანაგებს მკაცრი სასჯელი ასცდენოდათ. რადგან მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ მუშაობის ხარისხის ასამაღლებელ საყოველთაო-სახალხო სიხარულში, ენიჭებოდათ კანონზე მაღლა დგომის შეღავათი, რომელიც სამგზის დოქტორმა ბლაიგეთმა სავალდებულო სახელმწიფო ფილოსოფიის უურნალში ლიბერალიზმის ჩასახვის ნიშნად გამოაცხადა.

დედაქალაქისკენ მომავალმა ეს ერთი დღით ადრე წავიკითხე. ერთ-ერთი გლეხის ეზოს საპირფარეშოში გადავაწყდი გაზეთის რამდენიმე ფურცელს, რომელიც ვიღაც სტუდენტს – სავარა-

ალფროთოვანება, წამოგეწყო სიმღერა); მათ, ყველას, ჩემთვის შეფურთხება მოუწევდათ. საყვირი ათ წუთში სამუშაო დღის დამთავრებას იუწყებოდა და ყველა ვალდებული იყო, მაშინდელი ბელადის დევიზის თანახმად – „ბედნიერება და საპონი“ – ამ ათ წუთში საგულდაგულოდ ებანავა.

კვარტლის პოლიციის განყოფილების კარს, უფრო სწორად, ბეტონის ბლოკს ორი კარისკაცი იცავდა. რომ ჩავუარე, მაშინვე ისარგებლეს დაწესებული „ფიზიკური სასჯელით“: გამეტებით ჩამარტყეს საფეხულებში თავიანთი ხიშტები და თოფის კონდახებით დამილენეს ლავინები, სახელმწიფო კანონი № 1-ის პრეამბულის თანახმად: „ყველა პოლიციელი ვალდებულია, ყოველი დაკავებულის (იგულისხმება

დაპატიმრებული) სხეულზე დატოვოს თავისი ძალაუფლების დოკუმენტური კვალი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ის პოლიციელი, ვინც დამნაშავეს თავად დაიჭერს, რადგან მას წილად ხვდება ბედნიერება, დადგენილი ფიზიკური სასჯელი დაკითხვაზე განახორციელოს“.

კონკრეტულად სახელმწიფო კანონი №1 იუწყება: „ყოველ პოლიციელს უფლება ენიჭება და

ევალება, თავად დასაჯოს დამნაშავე, რომელმაც რაიმე დანაშაული ჩაიდინა. შეწყალება არ ვრცელდება არც ერთ მოქალაქეზე, არსებობს მხოლოდ შეწყალების შესაძლებლობა“.

გავიარეთ გრძელი ცარიელი დერეფანი, ბევრი დიდი ფანჯრით. მერე ჩვენ წინ ავტომატურად გაიღო კარი, კარისკაცებმა განაცხადეს ჩვენი მოსვლის შესახებ. და, რადგან იმხანად ყველა ბედნიერი, კანონმორჩილი, მოწესრიგებული იყო და ცდილობდა, ერთ დღეში გაეხარჯა კუთვნილი ნახევარი გირვან-



უდოდ, გლეხის ვაჟს – გონებამახვილური კომენტარებით აეჭრელებინა.

საბედნიეროდ, ამასობაში პოლიციის განყოფილებმდეც მივალწიეთ. საყვირის ხმა მოისმა, რაც იმას მოასწავებდა, რომ ქუჩები ოდნავ ბედნიერი გამომეტყველების ათასობით ადამიანით უნდა გავსებულიყო (ოდნავ ბედნიერი, რადგან, ბრძანების თანახმად, სამუშაო დღის ბოლოს დიდი სიხარული არ უნდა დაგტყობოდა, ვინმეს გაწეული შრომა მძიმედ რომ არ ჩაეთვალა; სამუშაო დღის დასაწყისში უნდა გამოგეხატა

ქა საპონი, დაკავებულის (პატიმრის) გამოჩენა მთელი ამბავი იყო.

ჩვენ შევედით თითქმის ცარიელ ოთახში, რომელშიც მხოლოდ ერთი საწერი მაგიდა იდგა ზედ ტელეფონით და ორი სავარძელი. მე ოთახის შუაგულში უნდა ვმდგარიყოვი. პოლიციელმა ჩაფიქტი მოიხადა და დაჯდა. თავდაპირველად სიჩქმე იდგა და არაფერი ხდებოდა. ისინი ყოველთვის ასე იქცევიან; ესაა ყველაზე საზარელი... ვგრძნობდი, რომ სახეზე თანდათან მედებოდა უბედური გამომეტყველება. დალლილი ვიყავი და მშეირი და სევდანარევი ბედნიერების უკანასკნელი კვალიც მიქრებოდა. ვიცოდი, ვიღუპებოდი. რამდენიმე ნამში შემოვიდა მაღალი, ფერმკრთალი კაცი. უმცროსი გამომძიებლის ბაცი ყავისფერი უნიფორმა ეცვა. უსიტყვოდ დაჯდა და შემომხედა.

- პროფესია?
- რიგითი მოქალაქე.
- დაბადების თარიღი?
- პირველი... პირველი... – ვუპასუხე მე.
- უკანასკნელი საქმიანობა?
- პატიმარი.
- ორივემ ერთმანეთს გადახედა.
- როდის გათავისუფლდით და სად?
- გუშინ, კორპუსი 12, საკანი 13.
- დანიშნულების ადგილი?
- დედაქალაქი.
- სამვი!

ჯიბიდან გათავისუფლების უწყება ამოვილე და გამომძიებელს გავუწოდე. მან იგი მიამაგრა რაღაც მწვანე პარაზე, რომელსაც ჩემი მონაცემების მიხედვით დაუწყო შევსება.

- რისთვის გაგასამართლეს?
- ბედნიერი სახისთვის.
- ორივემ ერთმანეთს გადახედა.
- უფრო ზუსტად? – მკითხა უმცროსმა გამომძიებელმა.
- იმ დღეს, – ვუპასუხე მე, – როცა საყოველთაო გლოვა იყო გამოცხადებული, ჩემმა ბედნიერმა სახემ პოლი-

ციელის ყურადღება მიიპყრო. ეს იყო სახელმწიფო მეთაურის გარდაცვალების დღე.

- პატიმრობის ვადა?
- ხუთი.
- საქციელი?
- ცუდი.
- უფრო ზუსტად?
- მოვალეობების თავიდან აცილება.
- დაკითხვა დამთავრებულია.

უმცროსი გამომძიებელი წამოდგა, მომისხლოვდა და ერთი დარტყმით წინა სამი კბილი ჩამიმსხვრია ნიშნად იმისა, რომ მე, როგორც რეციდივისტი, დაღდასმული უნდა ვყოფილიყო. ეს იყო განსაკუთრებულად მკაცრი სასჯელი, რომელსაც მაშინ სულ არ მოველოდი. მერე უმცროსი გამომძიებელი თახიდან გავიდა და შემოვიდა ვიღაც მუქ ყავისფერ უნიფორმაში გამოწყობილი მსუქანი ჯეელი – გამომძიებელი.

ყველა მირტყამდა: უმცროსი გამომძიებელი, უფროსი გამომძიებელი, მთავარი გამომძიებელი, მოსამართლე და მთავარი მოსამართლე; ხოლო შუალედებში პოლიციელი იყენებდა კანონით გათვალისწინებული ფიზიკური სასჯელის ყველა უფლებამოსილებას.

ჩემი მოწყენილი სახის გამო ათწლიანი პატიმრობა მომისაჯეს, ზუსტად ისე, როგორც მანამდე ჩემი ბედნიერი სახის გამო – ხუთწლიანი.

ანი, ბედნიერებისა და საპნის პირბებში ამ ათ წელს თუ გადავურჩი, უნდა ვეცადო, საერთოდ აღარ მქონდეს სახე...

ლოგიგრიბის სიკვდილი

სანიტრებს კიბეზე საკაცე ნელ-ნელა აჰეთდათ. ორივე ბრაზობდა: აი, უკვე ერთი საათია, რაც მორიგეობენ და ფეხის ქირად ერთი სიგარეტის საფასურიც კი არ დაუტოვებია არავის. თანაც, ერთი მათგანი მძლოლი იყო, მძლოლებს კი სულაც არ ევალებოდათ

საკაცეების თრევა. მაგრამ საავადმყოფოში, როგორც ჩანს, არავინ იყო, სანიტარს რომ მიხმარებოდა და რა უნდა ექნათ ბიჭისთვის, მანქანაში ხომ არ დატოვებდნენ?! გარდა ამისა, კიდევ ორი ავადმყოფი ჰყავდათ სასწრაფოდ წამოსაყვანი – ერთს ფილტვების ანთება ჰქონდა, მეორეს კი თავის მოკვლა უცდია, მაგრამ სულზე მიუსწრიათ და თოვიდან ჩამოუხსნიათ. კი ბრაზობდნენ, მაგრამ ნაბიჯს ცოტათი მაინც აუჩქარეს. დერეფანში შუქი ძლივს ბუუტავდა და, ცხადია, საავადმყოფოს სუნი იდგა.

- ნეტა, რას ხსნიდნენ იმ თოკიდან?!
- ჩაიბურტყუნა უკან მავალმა. ცხადია, მხედველობაში თვითმკვლელი ჰყავდა.

– მართალი ხარ, ვერ გამიგია, რატომ ჩამოხსნეს, – ჩაიდუდუნა წინ მავალმა, უკან მოიხედა და მთელი ძალით დაეჯახა კარს. ავადმყოფი გონს მოეგო და შემზარავი, სულისშემძვრელი ყვირილი მორთო. ეს ბავშვის ხმა იყო.

– ჩუმად, ჩუმად, – უთხრა ექიმმა. მას შეშფოთებული სახე ჰქონდა და სტუდენტური საყელო ეკეთა. ახალგაზრდა იყო და ქერათმიანი. ექიმმა საათს დახედა, რვა საათი იყო. ექიმ ლომაიერს კარგა ხნის წინ უნდა შეეცვალა იგი. უკვე საათზე მეტია, რაც ელოდება. ალბათ, დააპატიმრეს, დღეს ხომ ნებისმიერ დროს შეიძლება ადამიანის დაჭრა.

ახალგაზრდა ექიმი ხელით ავტომატურად აწვალებდა თავის სტეტოსკოპს და დაუინგებით დასცექეროდა საკაცეზე მწოლიარე ბიჭს. ბოლოს და ბოლოს სანიტრებზე შეაჩერა მზერა. ისინი კარში იდგნენ და რაღაცას ელოდნენ. ექიმმა გაღიზიანებული ხმით ჰკითხა:

- რა იყო, რაღას უცდით?
- საკაცეს, – მიუგო მძლოლმა, – იქნებ, გადაგვეწვინა ბიჭი, გვაგვიანდება.
- ჰო, რასაკვირველია, – თქვა ექიმმა და ტყავგადაკრულ ტახტზე მიუთითა.

ამ დროს ღამის მორიგე ექთანი შემოვიდა. გულგრილი, მაგრამ სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა. ქალმა ბიჭს იღლიებში ამოსდო ხელი, ხოლო იმ სანიტარმა, რომელიც მძლოლი არ იყო, ფეხებში წავლო. ბიჭმა ისევ შემზარავად შეჰქირა. ექიმი დაუყოვნებლივ მის დაწყნარებას შეუდგა: „გაჩერდი, წყნარად, წყნარად, არც ისე გტკივა...“ სანიტრები ისევ იცდიდნენ. ექიმის გაღიზიანებულ მზერას სანიტარმა მშვიდად მიაგება: „საპანი“. საპანი მას არ ეკუთვნოდა. შემთხვევის ადგილას ის მათ ვიღაც ქალმა მისცა – ასე ფეხებგადაყვლეფილი ბიჭის უსაბნოდ წყვანა შეუძლებელი იყო. სანიტარი ფიქრობდა, საპანს იმ ქალს მაინც არავინ დაუბრუნებს და საავადმყოფოში დაიტოვებენ, ბიჭს კი ის ზუსტად ისევე ეკუთვნის, როგორც მე. ასე რომ, თავისუფლად შემიძლია, შინ წავილო, ჩემი ცოლი მას მოაწესრიგებს. საავადმყოფში კი ისედაც ბევრი საპანი აქვთ. თანაც, საპნები დღეს ძალიან კარგად ფასობსო.

ბიჭი განუწყვეტლივ ყვიროდა. საპანი გადახადეს და სანიტარს მისცეს. ექიმმა და ექთანმა ერთმანეთს გადახედეს. ბავშვი შემზარავად გამოიყურებოდა: ფეხები დასისხლიანებული ჰქონდა. ტილოს მოკლე შარვალი სულ მთლად დაფლეთოდა და ეს სისხლში ამოსვრილი ნაფლეთები რაღაც გაურკვეველ მასად გადაქცეულიყო. ბიჭს ფეხსაცმელი არ ეცვა. განუწყვეტლად ყვიროდა, ერთი და იმავე სიძლიერითა და ტონალობით.

– სწრაფად, დაო, სწრაფად მოამზადეთ შპრიცი! სწრაფად, სწრაფად! – ჩუმად იმეორებდა ექიმი. ექთანი მოხერხებულად და მკვირცხლად ირჯებოდა, მაგრამ ექიმი მაინც ერთსა და იმავეს უმეორებდა – სწრაფად, სწრაფადო. ნერვულ სახეზე ტუჩები უცახახებდა. ბიჭი წამითაც არ ჩერდებოდა, ექთანს კი უფრო სწრაფად მოქმედება

არ შეეძლო. ექიმმა მაჯისცემა გაუსინ-ჯა ბიჭს და დაღლილი, გაფითრებული სახე კიდევ უფრო დაეძაბა.

— გაჩუმდი-მეთქი, — ემუდარებოდა ბავშვს. აკვიატებული ჩურჩულით უმეორებდა, ჩუმად, ჩუმადო. მაგრამ ის ისე გაჰყვიროდა, გეგონებოდა, ქვეყნიერებას სწორედ იმიტომ მოევლინა, რომ იყვიროსო.

ექთანმა, როგორც იქნა, მიაწოდა ექიმს შპრიცი და მანაც იგი სწრაფად და ოსტატურად ჩაარჭო ბიჭს. მერე ამოიოხრა და ბავშვის გაუხეშებული, გახევებული კანიდან ნემსი ამოაძრო.

ამ დროს კარი გაიღო და პალატა-ში აფორიაქებული ნაბიჯით შემოვიდა მოწყალების და — მონაზონი.

როგორც კი განამებულ ბიჭსა და ექიმს შეხედა, რაღაცის სათქმელად გახსნილი ბაგე მოკუმა და ნელა, უხმოდ მიუხალოვდა მათ. ექიმსა და გაფითრებულ ექთანს ალერსიანად დაუკრა თავი და ბიჭს შუბლზე ხელი დაადლო. გაკვირვებულმა ბავშვმა მაღლა აიხედა და თავს უკან შავი ფიგურა შენიშნა. ბიჭს ეგონა, შუბლზე დადებული გრილი ხელი მამშვიდებსო, სინამდვილეში ინექცია იწყებდა მოქმედებას. ექიმმა ისევ ღრმად ამოიოხრა. შპრიცი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა. სიჩუმე იდგა, ისეთი სიჩუმე, რომ ყველას საკუთარი სუნთქვის ხმა ესმოდა. კრინტი არავის დაუძრავს.

ბიჭი ტკივილს ვეღარ გრძნობდა. მშვიდად, ცხობისმოყვარეობით ათვალიერებდა გარემოს.

— რამდენი იყო? — ძალიან ჩუმად ჰკითხა ექიმმა ექთანს.

— ათი, — ასევე ჩუმად მიუგო მან. ექიმმა მხრები აიჩერა.

— ცოტა არ იყოს, ბევრია, მაგრამ ვნახოთ... ხომ მოგვეხმარებით, დაოლიობა?

— რასაკვირველია, — დაუყოვნებლივ მიუგო მონაზონმა, თითქოს ღრმა ძილიდან გამოფხილდათ.

ბუზის გაფრენას გაიგონებდი. მო-

ნაზონს ბიჭის თავი და მხრები ეჭირა, ექთანს — ფეხები. მერე სხეულიდან სისხლით გაულენთილი ნაფლეთების მოცილებას შეუდგნენ. სამივემ დაინახა, რომ სისხლს რაღაც შავი ერია. ბიჭს ყველაფერი გაშავებოდა. ხელები და ფეხები მთლიანად ნახშირის მტვრით ჰქონდა დაფარული. მოჩანდა მხოლოდ სისხლი, ტანსაცმლის ნაფლეთები და ნახშირის მტვერი, გაზინთული ნახშირის მტვერი.

— ყველაფერი გასაგებია, — ჩაიბუტ-ბუტა ექიმმა, — ნახშირს იპარავდი და მატარებლიდან გადმოვარდი, ხომ ასეა?

ახლა უკვე სრულიად მოსულიყო გონის, თვალებში ბედნიერების სხივი ჩასდგომოდა. ნემსს, როგორც ჩანს, ძალიან კარგად ემოქმედა. ექთანმა ბიჭს პერანგი თითქმის ნიკაპამდე აუგრაგნა. ის ძალიან გამხდარი იყო, იმდენად გამხდარი, რომ გაგეცინებოდა, ბებერ ბატს წააგავდა. ლავიწის ძვლების ღრმულებში ისეთი დიდი და უცნაური შავი ჩრდილი ჩასწოლოდა, რომ მოწყალების დის მოზრდილი თეთრი ხელი შიგ თავისუფლად ჩაეტეოდა.

მერე ყველამ ბავშვის ფეხებს დახედა, უფრო სწორად, იმას, რაც ფეხებისგან დარჩენილიყო: ლამაზი, მოხდენილი ფეხები ჰქონდა. ექიმმა ქალებს თვალით ანიშნა:

— ალბათ, ორივე კიდურის მოტეხილობაა. რენტგენია საჭირო.

ექთანი სპირტიანი საფენით უწმენდდა ბიჭს ფეხებს. ახლა ისინი უწინდებურად საზარლად ალარ გამოიყურებოდა. ბიჭი საშინლად გამხდარი იყო და ყოველი საფენის დადებაზე ექიმი თავს აქეთ-იქით აქნევდა. ლომაიერზე ფიქრიც არ აძლევდა მოსვენებას: იქნებ, მართლაც ჩავარდა? რომც ვერაფერი დააფქვევინონ, მაინც ცოდვაა. ის უბედური სტროფანტინის გამო დაიჭირონ, მე კი თავისუფლად ვისეირნო? არადა, ყველაფერი თუ მშვიდობიანად ჩაივლის, ხომ თანაბრად უნდა გავინაწი-

ლოთ ფული?! ჯანდაბა! უკვე თითქმის ცხრის ნახევარია.

გარშემო შემაძრნუნებელი სიჩუმე იდგა, ქუჩიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ექიმმა შეხვევა მოამთავრა. ექთანდა ბიჭს პერანგი თეძოებამდე ჩამოუწია, კარადასთან მივიდა, იქიდან თეთრი საბანი გამოილო და ბავშვს გადააფარა. მერე ისევ შუბლზე დაადო ხელი და ექიმს მიუბრუნდა; ის ხელებს იბანდა:

— ექიმო, მე თქვენთან პატარა შრან-ცის თაობაზე შემოვედი, მაგრამ, სანამ ამ ბიჭით იყავით დაკავებული, არ მინდოდა თქვენი შეწუხება.

ექიმს პირსახოცი ხელში გაუშეშდა. სახე მოელრიცა, ქვედა ტუჩზე მიკრული სიგარეტი აუცახცახდა:

— რა დაემართა? — იკითხა მან, — რა სჭირს პატარა შრანცს?

გაფითრებული სახე ახლა სულ მთლად გაუთეთრდა.

— უბრალოდ, გულმა უმტყუნა, აღარ უმუშავებს. როგორც ჩანს, ცუდადაა საქმე.

ექიმმა პირიდან სიგარეტი გამოიღო და პირსახოცი იქვე, ხელსაბანთან, ლურსმანზე ჩამოკიდა.

— ჯანდაბა! — უმწეოდ აღმოხდა მას, — რით ვუშველო, მე ხომ არაფრის გაკეთება არ შემიძლია?!

მონაზონს ისევ ბიჭის შუბლზე ედო ხელი. ექთანი სისხლიან საფენებს ყრიდა ვედროში, ნიკელის თავსახურის ანარეკლი კედელზე ლიცლიცებდა.

ექიმი იატაკს მიაშტერდა. უეცრად თავი ასწია, ბიჭს შეხედა და კარისკენ გაიქცა:

— დავხედავ ერთი, რა სჭირს გოგონას!

— მე არ გჭირდებით? — ჰკითხა ექთანმა, თან უკან მისდევდა.

ექიმი მოპრუნდა:

— არა, აქ დარჩით, ბიჭი რენტგენისთვის მოამზადეთ და, თუ შეძლებთ, ავადმყოფობის ისტორიაც გაუხსენით.

ბიჭი ისევ ჩუმად იწვა, ექთანიც იქვე იდგა, მასთან ახლოს.

— დედაშენმა იცის, სად ნახვედი? — ჰკითხა მონაზონმა.

— დედა მკვდარი მყავს.

ქალს უნდოდა, მამის შესახებაც ეკითხა, მაგრამ ვერ ბედავდა.

— ვის შევატყობინოთ?

— ჩემს უფროს ძმას, მაგრამ შინ მაინც არ იქნება. აი, პატარებს კი უნდა ვუთხრათ, ახლა ისინი მარტონი არიან.

— რომელ პატარებს?

— ჰანსსა და ადოლფს, მელოდებიან, როდის დავბრუნდები და საჭმელს როდის მოვუმზადებ.

— ...და, შენი უფროსი ძმა სად მუშაობს?

ბიჭი დუმდა, მონაზონიც აღაცივდა.

— უნდა ჩაწეროთ?

ექთანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და პატარა თეთრი მაგიდისკენ ნავიდა, რომელიც სავსე იყო ნამლებითა და სხვადასხვა სახის სინჯარებით. მან სამელნე ახლოს მიინია, შიგ კალამი ჩააწო და თეთრი ფურცელი მარცხენა ხელით გაასწორა.

— რა გვარი ხარ?

— ბეკერი.

— რა აღმსარებლობის?

— არც ერთის. არა ვარ მონათლული.

მონაზონი შეკრთა, ექთანს გამომეტყველება არ შესცვლია.

— როდის ხარ დაბადებული?

— 33-ში... 10 სექტემბერს.

— ჯერ კიდევ სკოლაში დადიხარ, ხო?

— დიახ.

1 ბაიროითის ფესტივალი (გერმ. — Bayreuther Festspiele) — ყოველწლიური საზაფხულო ფესტივალი, რომელზეც სრულდება რიპარდ ვაგნერის ნანარმოებები. დაარსებულია თავად კომპოზიტორის მიერ. ტარდება ბავარიის ქალაქ ბაიროითში, თეატრში, რომელიც სპეციალურად ფესტივალისთვის აშენდა.

– ...და სახელიც ჰქოთხეთ, – ჩაუ-
ჩურჩულა ექთანმა მონაზონს.

– ჰო... და რა გქვია?

– გრინი.

– რა? – ქალებმა ერთმანეთს გადა-
ხედეს და გაიღიმეს.

– გრინი, – გაუმეორა ბიჭმა ნელა და
ბრაზით, ისე, როგორც ამას აკეთებს
ყველა, ვისაც უჩვეულო სახელი აქვს.

– ბოლოს „ი“ თქვი? – ჰქოთხა ექ-
თანმა.

– დიახ, ორი „ი“, – და ისევ დაუმარ-
ცვლა – გრი-ნი.

სინამდვილეში ლოენგრინი ერქვა.
33-ში იყო დაბადებული, სწორედ მაშინ,
როცა ბაიროიტის¹ ფესტივალზე კინო-
თეატრებში ჰიტლერის პორტრეტების
გაუთავებელი ჩვენება დაიწყეს. მაგრამ
დედა მას ყოველთვის გრინის ეძახდა.

უეცრად ოთახში ექიმი შემოვარდა.
დალლილობისგან ისეთი გამომეტყვე-
ლება ჰქონდა, მთვრალი გეგონებოდა.
თხელი ქერა თმა ახალგაზრდა, თუმცა
უკვე დანაოჭებულ სახეზე ჩამოშლოდა:

– ჩქარა, ჩქარა, მოდით აქ ორივე!
უნდა ვცადო და ერთხელ კიდევ გადა-
ვუსხა სისხლი.

მონაზონმა ბიჭს გადახედა.

– ჰო, ჰო, ერთი წუთით დატოვეთ
აქ მარტო!

ექთანი უკვე კარებში იდგა.

– ხომ წყნარად იწვები, გრინი? – შე-
ეკითხა მონაზონი.

– დიახ, – მიუგო ბიჭმა.

მაგრამ, როგორც კი ყველა გავი-
და, თვალებიდან უნებლიერ ცრემლე-
ბი წასკდა. აქამდე, თითქოს, მონაზვის
ხელი აკავებდა, შუბლზე რომ ედო.
დარდისგან კი არ ტიროდა, ეს ბედნიე-
რების ტირილი იყო. თუმცა არა, ორი-
ვე იყო – დარდიცა და ბედნიერებაც.
როცა პატარებზე ფიქრს მოპყვებო-
და, დარდის გამო იწყებდა ტირილს და
ცდილობდა, არ ეფიქრა მათზე, რად-
გან ბედნიერების გამო ერჩივნა ტირი-
ლი. ასე ბედნიერი, როგორც ამ ნემსის

მერე, არასდროს ყოფილა. ძარღვებში,
თითქოს, თბილი რე ჩაღვროდა. ცო-
ტათი თავბრუც ესხმოდა, მაგრამ ამავე
დროს გონება ფხიზელი ჰქონდა. ისეთ
სასიამოვნო გემოს გრძნობდა, ადრე
რომ არასდროს უგრძნია. მაგრამ არც
ის შეეძლო, პატარებზე არ ეფიქრა: ჰუ-
ბერტი ხვალ დილამდე არ მოვა, მამა
მხოლოდ სამ კვირაში დაბრუნდება, დე-
და კი... პატარები ახლა სულ მარტონი
არიან და დანამდვილებით იცის, რომ
მიყურადებულები უსმენებ ყოველ ნა-
ბიჯს, ყოველ გაფაჩუნებას კიბეზე. კი-
ბიდან აუტანელი ხმები ისმის, ბავშვე-
ბისთვის კი ეს გაუსაძლისი ტკივილია.
არც იმისი იმედი აქვს, რომ მათ ფრაუ
გროსმანი მიხედავს – ასეთი რამ თავში
არასდროს მოსვლია და რალა დღეს მო-
უვა?! არასდროს გახსენებია ბავშვები.
თანაც არც ის იცის, რომ ის... რომ მას
ასეთი უბედურება დაატყდა თავს! ჰან-
სი, ალბათ, ადოლფს დაწყნარებას და-
უწყებს. თუმცა ჰანსი თვითონაც ისეთი
უსუსურია და ყოველ წვრილმანზე ტი-
რილს იწყებს ხოლმე.

იქნებ, ადოლფმა დააშოშმინოს ჰანსი!
მაგრამ ადოლფი ხომ მხოლოდ ხუთისაა,
ჰანსი კი უკვე რვის! არა, ალბათ, მა-
ინც ჰანსი დაუწყებს ადოლფს დამშვიდე-
ბას. მაგრამ ასეთი უსუსური რომ არის?
ადოლფი უფრო მაგარია. ახლა, ალბათ,
ორივე ტირის, შვიდი საათისთვის ისე
შივდებათ, თამაშის თავიც აღარა აქვთ
ხოლმე. თანაც იციან, რომ რვის ნახევ-
რისთვის მათი ძმა უეჭველად მოვა და
რამეს შეჭამენ. თვითონ ვერ გაბედავენ
ჰურის აღებას, რადგან ერთხელ, როცა
მთელი კვირის ულუფა შესანსლეს, ისი-
ნი მან ძალიან მკაცრად დასაჯა. ახლა
კარტოფილის აღება უყოფმანოდ შეუძ-
ლიათ, მაგრამ მათ ეს არ იციან. მიეცა
მაინც კარტოფილის აღების უფლება.
ჰანსი უკვე მშვენივრად შეძლებს კარ-
ტოფილის მოხარევას, მაგრამ ამას მაინც
ვერ გაბედავენ – მაშინ ძალიან მკაცრად
დაისაჯნენ, ის კი არა, მათი მიტყებაც კი

მოუწია, აბა, როგორ შეიძლებოდა მთელი კვირის მარაგის შექმა?! რასაკვირველია, არ შეიძლებოდა; თუმცა, ახლა როგორი ბედნიერი იქნებოდა, რომ არ დაესაჯა ისინი! ხომ აიღებდნენ პურს და შეივრები მაინც არ დარჩებოდნენ?! ახლა სხედან და იცდიან. როგორც კი კიბეზე რაღაც გაფარუნდება, წამოფრინდებიან გახარებულები და აეკვრებიან თავიანთი ფერმერთალი სიფათებით კარის ჭუჭრუტანას... ვინ მოთვლის, რამდენჯერ შეუსწრია მათთვის ასე. ბევრჯერ, ალბათ, ათასჯერ მაინც! და ყოველ ჯერზე პირველი მათი სახეები შეეფეთებოდა ხოლმე. ისინი კი ბედნიერები იყვნენ, მისი შინ დაბრუნება იმ მიტყების მერეც უხაროდათ – მათ ხომ ყველაფერი ესმოდათ?! ახლა ყოველი გაფარუნება გულს უკლავთ და, ალბათ, ძალიან ეშინიათ. საკმარისია, ჰანსმა პოლიციელს მოჰკრას თვალი, რომ იმნამსვე კანკალს იწყებს. თუ ახლა ისინი ძალიან ხმამალლა აბლავლდებიან, ქალბატონი გროსმანი ლანძღვას მოჰყვება, – ვერ იტანს, როცა საღამოხანს სიმშვიდეს ურღვევენ. ხოლო მერე, თუკი უფრო მაგრად ატირდებიან, იქნება, ქალბატონი გროსმანი დაინტერესდეს, რა ხდება და შეიცოდოს კიდეც ისინი. არც ისე ცუდი ადამიანია ეს ქალბატონი გროსმანი! თვითონ ჰანსი არასდროს დაუძახებს ქალბატონ გროსმანს, ძალიან ეშინია მისი. ჰანსს ყველასი ეშინია... რა მოხდება, კარტოფილი მაინც აიღონ!

დაიწყო თუ არა ბავშვებზე ფიქრი, ტკივილის გამო ატირდა. თვალებზე აიფარა ხელი, იქნება, ჰატარები თვალნინ აღარ დამიღვნენო, მაგრამ იგრძნო, რომ ხელი დაუსველდა და უფრო მნარედ აქვითონდა. ნეტა, რომელი საათი იქნებოდა? ცხრა, ალბათ, უკვე იყო ან – სულაც ათი. ეს საშინელებაა! შინ რვის ნახევარზე გვიან არასდროს დაბრუნებულა, მაგრამ იმ დღეს მატარებელში დაცვა გააძლიერეს და, რაც შეიძლება, ფრთხილად უნდა ყოფილიყო. ლუქსემბურგელებს ძალიან უყვართ სროლის ატეხვა, ეტ-

ყობა, ომის დროს ვერ იჯერეს გული და ახლა ისვრიან! მაგრამ მისი დაჭერა არც ისე იოლი იყო, ვერასდროს, ვერასდროს ვერ მოახერხეს მისი დაჭერა! ყოველთვის ცხვირწინ უსხლტებოდა ხელიდან. მაგრამ, ღმერთო დიდებულო, ანთრაციტი! ანთრაციტს ვერ დაკარგავდა! ანთრაციტი, ანთრაციტში ჩვიდმეტ-თვრამეტ მარკას იხდიან და ახლა ხელიდან უნდა გაეშვა? ლუქსემბურგელებმა ხომ აქამდე ის ვერა და ვერ დაიჭირეს! რუსებსაც გაპეცევია, ბელგიელებსაც, იანკისაც, ტომისაც და რაღა ეს ლუქსემბურგელები დაიჭირენ, დოყლაპია ლუქსემბურგელები?!

ჩაუქროლა მათ, ახტა ყუთზე, გაავსო ტომარა და ჩააგდო ძირს. მერე, რამდენიც შეძლო, კიდევ დააყარა ზედ, მაგრამ მატარებელმა უეცრად, ქშშ-ო, ამოიქშინა და გაჩერდა. მხოლოდ ისლა ახსოვს, რომ საზარელი ტკივილი იგრძნო. მეტი აღარაფერი ახსოვს. რაღაც თეთრი კარის წინ მოეგო გონს და დაინახა თეთრი ოთახი, ის, რომელშიც ახლა წევს. მერე ნემსი გაუკეთეს... ისევ ატირდა, მაგრამ ახლა უკვე ბედნიერებისგან. ბავშვები სადღაც გაქრინენ. ეს ენით აუწერელი ბედნიერება იყო, აქამდე ასეთი რამ არასოდეს განუცდია. თითქოს, სწორედ ეს ცრემლები იყო ბედნიერება, მკერდიდან ღვარად რომ მოედინებოდა და მაინც დაუშრეტელი იყო – ეს რაღაც საამო, მოციმციმე, მბრუნავი ბურთულა, ცრემლად ნაკადულივით რომ იღვრებოდა და იღვრებოდა.

უეცრად ლუქსემბურგელებმა სროლა ატეხეს, ისინი ავტომატებიდან ისროდნენ და მათი კაკანი გაზაფხულის ამ მშვიდ საღამოს კიდევ უფრო საზარელად უდერდა. მინდვრის, ორთქლმავლის კვამლის, ქვანახშირისა და ცოტათი ნამდვილი გაზაფხულის სუნიც კი ტრიალებდა. ჰაერში ორმა გასროლამ დაიყეფა. ცა მოქუფრულიყო, სროლის სმა ექოდ ათასჯერ მაინც უბრუნდებოდა უკან და გულ-მკერდს უკანრავდა.

ვერა, ეს ვიგინდარა ლუქსემბურგელები ვერასდროს დაიჭერენ, ვერასდროს მოკლავენ მას! ქვანახშირი, რომელზეც ახლა გაშხლართულიყო, მაგარი იყო და იჩხვლიტებოდა. ეს ხომ ანთრაციტა, ერთ ცენტრერ ანთრაციტში კი 80, ზოგჯერ 85 მარკასაც იძლეოდნენ. იქნებ, პატარებს ერთხელ მაინც უყიდოს შოკოლადი! არა, ფული არ ეყოფა, შოკოლადი 40-45 მარკა ლირს, ამდენს ვერ გასწვდება. ღმერთო დიდებულო, ერთი ცენტრერი ორ ფილა შოკოლადში! ამასობაში ლუქსემბურგელები სულ მთლად გაცოფდნენ, ისევ დაიწყეს სროლა. ტიტველი ფეხები გაეთოშა, ანთრაციტისგან დაეკანრა და ასტკივდა, დაესვარა და გაუშავდა, გრძნობდა ამას. ტყვიები ცაში უზარმაზარ ხვრელებს ტოვებდნენ. მაგრამ ზეცას ხომ ვერ მოკლავებ?! ნუთუ მის მოკვლასაც შეძლებენ ლუქსემბურგელები?..

ხომ არ ეთქვა ექთნისთვის, სად არის მამამისი და სად დადის ღამდამობით ჰუბერტი? მაგრამ არ უკითხავთ და, თუ არ გეკითხებიან, რატომ უნდა თქვა?! სკოლაში სულ ამას ჩასჩინინებენ... ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ ამ ლუქსემბურგელებს... ბავშვები... რა მოხდება, შეწყვიტონ სროლა, ბავშვებთანაა გასაქცევი... ნამდვილად შეიმაღნენ ეს ლუქსემბურგელები, სულ მთლად გავეძნენ! ჯანდაბა! არა, არაფრით არ ეტყვის ექთანს, სად არის მამამისი და სად დადის ღამდამობით

მისი ძმა. იქნებ, აილონ პატარებმა პური... ან კარტოფილი მაინც! ან, იქნებ, ქალბატონმა გროსმანმა შენიშნოს, რომ ყველაფერი რიგზე არ არის, მართლაც ხომ ასეა?! გასაოცარი ამბავია, რატომდაც გამუდმებით რაღაც არ არის რიგზე! ბატონი რექტორიც დაიწყებს ლანძლვას. რა კარგად იმოქმედა ნემსმა – ჯერ ჩხვლეტა იგრძნო და მერე ბედნიერება ეწვია! ამ ფერმართალმა ექთანმა შპრიცი მთლიანად ბედნიერებით აავსო. სულელი ხომ არ არის, მკაფიოდ გაიგონა, რომ შპრიცში დიდი რაოდენობით ბედნიერება შეუშვა, ძალიან დიდი რაოდენობით. გრინი – ორი „ი“-თი. არა... მოკვდა... არა, არა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. რა საამოა ეს ბედნიერება! ოდესმე, ალბათ, პატარებსაც უყიდის ერთ შპრიც ბედნიერებას; ყიდვა ხომ ყველაფრისა შეიძლება?! პურის... პურის მთელი გორების...

ჯანდაბას, რასაკვირველია, ორი „ი“-თი, რატომ არ იცის აქ არავინ ჭეშმარიტი გერმანული სახელები?..

„არა, – შეჰყვირა უეცრად, – მე არა ვარ მონათლული!“

იქნებ, დედა ჯერ კიდევ ცოცხალია! არა, ის ლუქსემბურგელებმა დახვრიტეს, არა, რუსებმა.. არა, ვინ იცის, იქნებ, ნაცისტებმა ესროლეს, ის ხომ სულ მათ ლანძლვაში იყო?! ან, სულაც, ამერიკელებმა... ოო, ბავშვებს მშვიდად შეუძლიათ პურის ჭამა, ის მათ მთელ გორა პურს უყიდის... ერთ სატვირთო



ვაგონ პურს... ან ანთრაციტით სავსეს; და აუცილებლად – შპრიცით ბედნიერებას...

ეშმაკსაც წაუღიხართ, რასაკვირველია, ორი „ი“-თი!

ამ დროს მონაზონმა მიირბინა მასთან, ხელი წაავლო, მაჯისცემა გაუსინჯა და შემფოთებულმა უკან მოიხედა. ლმერთო, იქნებ, ექიმისთვის დაეძახა! მაგრამ აგონიაში მყოფ ბიჭს მარტო ვერ დატოვებდა! პატარა შრანციც რომ მოკვდა?! დიდება უფალს, წავიდა პატარა რუსისიფათა გლოგოც! ეს ექიმი მაინც სად დაიკარგა? მონაზონი გარშემო უვლიდა ტყავგადაკრულ ტახტს...

„არა, – გაჰყუიროდა ბიჭუნა, – არა ვარ მონათლული!“

მაჯისცემა, შეიძლება, წუთი-წუთზე გასჩერებოდა. მონაზონს სიმწრის იფლმა დაასხა. „ექიმო, ბატონო ექიმო!“ – ხმამალლა დაიყვირა, თუმცა, იცოდა, რომ დაბამბულ კარს მიღმა არც ერთი ბგერა არ გაატანდა.

ბიჭი ახლა გულამოსკვნილი ქვითი-ნებდა.

„პური... პურის მთელი გორა პატარებისთვის... შოკოლადი... ანთრაციტი... ლუქსემბურგელები... ეს ღორები! რა იქნება, რომ არ ისროდნენ! ჯანდაბას, კარტოფილი... შეგიძლიათ, მშვიდად აიღოთ კარტოფილი... მიდით და აიღოთ! ქალბატონო გროსმან... მამა... დედა... ჰუბერტ... კარის ჭუჭრუტანიდან, კარის ჭუჭრუტანიდან...“

მონაზონი დაფრთხა და ტირილი აუვარდა, გასვლაც ვერ გაეპედა. ბიჭს უნებლიერ მოძრაობები დაეწყო და ქალმა ბეჭები დაუჭირა. ეს საზიზლარი ტახტიც რა სრიალა! პატარა შრანციც მოკვდა, მისი პაწაწინა სული უკვე ცაშია. ლმერთო, შეუნდე, შეუნდე... ის ხომ ისე უცოდველია... პატარა ანგელოზი, პატარა უშნო რუსი ანგელოზი... და ახლა უკვე – რარივ მშვენიერი!..

„არა!“ – ყვიროდა ბიჭი, ცდილობდა, ხელები მკერდში დაეშინა, – „მოუნათ-

ლავი ვარ, მოუნათლავი!“

შეშინებულმა ქალმა თავი ასწია, პირსაბანთან მიირბინა, თან ცდილობდა, ბიჭისთვის თვალი არ მოეშორებინა. ჭიქა ვერ იპოვა, უკან მიბრუნდა და ბავშვს გავარვარებულ შუბლზე დაადო ხელი. მერე პატარა თეთრ მაგიდას ეცა და რომელიღაც სინჯარას დასწვდა. წამში წყლით გაავსო. ლმერთო, რა ცოტა წყალი ჩადიოდა ამ სინჯარაში!..

„ბედნიერება, – ჩურჩულებდა ბიჭი, – ამომილეთ შპრიცით ბლომად ბედნიერება, მთლიანად, რაც გაგაჩნიათ. ბავშვებისთვისაც!..“

მონაზონმა ძალიან ნელა, საზეიმოდ გარდაისახა პირჯვარი, სინჯარიდან ბიჭს შუბლზე წყალი გადაასხა და ტირილით წარმოთქვა: „მე გნათლავ შენ...“ მაგრამ წყალმა ბიჭი გამოაფხიზლა და მან თავი ისე უეცრად წამოსწია, რომ მონაზონს სინჯარა ხელიდან გაუვარდა და დაიმსხვრა. ბიჭმა შემერთალ მონაზონს შეხედა, ოდნავ გაულიმა და ძალიან ჩუმად უთხრა: „ნათლობა... ჰო...“ და ისეთი ძალით დაეხეთქა ტყავის ტახტს, რომ მისმა თავმა ბრაგვანი გაადინა. უგრძნობლად იწვა. სახე დავიწროებოდა, დაპერებოდა და საზარლად გაპყვითლებოდა. ხელები ისე დაპერუნჩხვოდა, გეგონებოდა, რაღაცაზე ჩაბლაუჭებას აპირებსო.

„გადაულეთ რენტგენი?“ – იკითხა ექიმია, რომელიც ექიმ ლომაიერთან ერთად სიცილით შემოვიდა ოთახში. მონაზონმა მხოლოდ თავი გადააქნია. ექიმი ავადმყოფს მიუახლოვდა, მექანიკურად სწვდა თავის სტეტოსკოპს, მაგრამ იქვე უშვა ხელი და ლომაიერს გადახედა. ლოენგრინს უკვე სული დაელია...

სიდივე

მათ მე ფეხები დამიკემსეს და ისეთი სამუშაო მომცეს, ჯდომა რომ შემეძლოს: ის ადამიანები უნდა ვთვალო, ახალ ხიდზე რომ გადი-გამოდიან. ეს მათ

განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებს – რიცხვების საშუალებით თავიანთი შესაძლებლობების დამტკიცება. თავს იბრუებენ ამ დახვავებული ციფრების უაზრობით; და მთელი დღეები, მთელი დღეები ჩემი უტყვი პირი დადის საათის მექანიზმივით, ახვავებს რიცხვებს რიცხვებზე, რათა საღამოს მათ ანგარიში ტრიუმფალურად წარუდგინოს.

ნამრომის შედეგს რომ წარვუდგენ, გაიძადრებიან. რაც უფრო მაღალია ციფრი, მით უფრო უბრნყინავთ სახე. ახლა შეუძლიათ, თვითკმაყოფილებმა დაიძინონ, რადგან მათ ახალ ხიდზე ყოველდღიურად ათასობით ადამიანი გადი-გამოდის...

და მაინც უვარგისია მათი სტატისტიკა. ვწუხვარ, მაგრამ არ არის ზუსტი. არა ვარ მე სანდო კაცი, თუმცა ვიცი, როგორ მოვიპოვო მათი ნდობა.

ზოგჯერ გულის სილრმეში სიამოვნებას მგვრის, ერთ-ორ გამვლელს თუ არ მივათვლი სათვალავს. მერე კი, გული რომ მომიღება, შეიძლება, ერთი-ორი კაცი ვაჩუქო კიდეც. მათი ბედნიერება ხომ ჩემს ხელთაა. მერე, როცა განვრის-ხდები, როცა მისაწევი შემომაკლდება, მხოლოდ საშუალო კოეფიციენტს ვატყყობინებ, ზოგჯერ ნაკლებსაც კი. ხოლო, როცა კარგ გუნებაზე დავდგები, როცა მიხარია, ჩემი გულმოწყალება, შესაძლოა, ხუთნიშნა ციფრადაც კი გადმოიღვაროს. ო, რა ბედნიერები არიან მაშინ! ყოველ ჯერზე ხელიდან მგლეჯენ ალრიცხვის ქაღალდს, თვალები უბრნყინავთ, მხარზე ხელს მიტყაპუნებენ. ისინი ხომ არაფერს არ ეჭვობენ! და მერე იწყებენ გამრავლებას, გაყოფას, პროცენტის გამოთვლას და, ღმერთმა უწყის, კიდევ რას?! ანგარიშობენ, წუთში რამდენმა კაცმა გაიარა ხიდზე, რამდენი გაივლის მომდევნო ათ წელიწადში.

სიგიურემდე უყვართ მყოფადის მწერივი,¹ ის მათი საქმიანობის ძლიერი მხარეა. და მაინც, ძალაან ვწუხვარ, რომ ყოველივე ეს არ არის ზუსტი...

ჩემი პატარა შეყვარებული ხიდზე რომ გადმოდის – და იგი დღეში ორჯერ ჩამოივლის ხოლმე – გული, უბრალოდ, მიჩერდება. მისი დაუღალავი ფეთქვა, არც მეტი, არც წაკლები, წყდება იმ წამამდე, ვიდრე ჩემი გოგო ხეივნისკენ არ შეუხვევს და გაუჩინარდება. და არავის არ ვთვლი, ვინც ამ დროს გამოივლის ხოლმე – ეს ორი წუთი მე მეკუთვნის, მხოლოდ მე და მათ ვერავინ წამართმევს. საღამოთი კი, როცა იგი თავისი სანაყინიდან ბრუნდება, როცა გაღმა მხრიდან მოაბიჯებს ზუსტად ჩემი უტყვი ბაგეების გასწრივ, რომლებმაც უნდა ითვალონ და ითვალონ, ჩემს გულს ბაგაბუგი გაუდის. მხოლოდ მაშინ ვიწყებ თვლას, თვალს რომ მიეფარება... ხოლო ვისაც ბედი უწყალობებს და იმ წუთებში ჩემს დაბრმავებულ მზერას ჩაუვლის, არ შეერწყმება სტატისტიკის მარადისობას: აჩრდილებად ქცეული კაცები და ქალები, არაფრისმთქმელი არსებები, რომლებიც ვერასდროს მოხვდებიან მყოფადის მწკრივში.

რომ მიყვარს, ეს ცხადია, მაგრამ მან არაფერი იცის ამის შესახებ. არც მინდა, რომ იცოდეს. დაე, ნურც ექნება წარმოდგენა, როგორ თავდაყირა აყენებს მთელ გამოთვლებს; დაე, იაროს დაუეჭვებლად და წელგამართულად თავისი თხელი ფეხებით და გრძელი წაბლისფერი თმით თავის სანაყინები, აძლიონ ბლომად ფეხის ქირა. მე მიყვარს იგი. ნამდვილად მიყვარს.

ამას წინათ შემამოწმეს. ჩემმა მეწყვილემ, ხიდის გაღმა რომ ზის და მანქანებს ითვლის, წინასწარ გამაფრთხილა

¹ იგულისხმება Futureum II – სრული მყოფადი დრო, რომელიც აღნიშნავს მომავლის გარკვეული მომენტისთვის დასრულებულ მოქმედებას.

და ზედმიწევნით ყურადღებით ვიყავი – გამნარებული ვანგარიშობდი, სპი-დომეტრი ვერ დათვლიდა უკეთესად. თვით უფროსი სტატისტიკოსი ჩემს მოპირდაპირე მხარეს იდგა და ცოტა ხნის მერე ერთი საათის შედეგები ჩემ-სას შეუდარა. მე მხოლოდ ერთი ადა-მიანით ნაკლები აღმომაჩნდა – ჩემმა შეყვარებულმა ჩაიარა ხიდზე. სიცოც-ხლები არასდროს დავუშვებ, რომ ეს მშვენიერი არსება მყოფადის მნერივში გადაიყვანონ, ჩემი პატარა გოგო გაამ-რავლონ, გაყონ ან უაზრო პროცენტად აქციონ. გული ისედაც მეწურებოდა – იმის მაგივრად, რომ მისთვის მეცქირა, უნდა მეთვალა. მაგრამ ჩემს მეწყვი-ლეს, რომელმაც გამაფრთხილა, მაინც ძალიან ვემადლიერები – საქმე ხომ ჩემს პურის ფულსაც ეხებოდა....

უფროსმა სტატისტიკოსმა მხარზე ხელი დამიტყაპუნა და მითხრა: „თქვენ კარგი კაცი ხართ, სანდო და ერთგუ-ლი. ერთი საათში ერთი გამოტოვებუ-

ლი დიდი არაფერია, ჩვენ ისედაც ვა-მატებთ რაღაც პროცენტს და ისე ვან-გარიშობთ. მე გიშუამდგომლებთ, რომ ცხენების ეკიპაჟებზე გადაგიყვანონ“.

ცხენების ეკიპაჟები, რასაკვირვე-ლია, შეღავათია, ისეთი შვება, ადრე რომ არასდროს მრგებია. დღეში, დიდი-დიდი, ოცდახუთმა ჩაიაროს. მხოლოდ ნახევარ საათში ერთხელ თუ მოგიწევს ყოველი მომდევო ციფრის საკუთარ მეხსიერებაში ჩაბეჭდვა. ეს ხომ ღვთის წყალობაა! ცხენების ეკიპაჟები მარ-თლაც გადასარევი იქნებოდა! ოთხსა და რვა საათს შორის ხიდზე მოძრაობა საერთოდ ეკრძალებოდათ და მე შევ-ძლებდი, გამესეირნა, ჩამოვმჯდარიყა-ვი კაფეში, მეცქირა და მეცქირა ჩემი შეყვარებულისთვის ან ცოტა ხნით გა-მეცილებინა იგი შინისკენ – ჩემი პატა-რა, დაუთვლელი სატრფო...

**გერმანულიდან თარგმნა
ხათუნა თოდუამ**

უილიამ შექსპირი სონეტები

1

მემკვიდრეს უნდა გვიტოვებდეს მშვენიერება,
რომ ვარდის სურნელს არ მოაკლდეს ეშხი მარადი,
თუ ადამის ძეს უამთა სრბოლის სუსხი ერევა,
მის ხსოვნას შვილი შეინახავს კუბოს კარამდი.

შენ კი საკუთარ სილამაზის იქეც მსახურად,
შენივე სხეულს მიუსაჯე ცეცხლის მოდება
და სიუხვის წილ სიბერიავის კალთა გახურავს,
სხვები კი არა, შენი თავიც არ გეცოდება.

დღეს შენ ხარ ქვეყნის სამშვენისი, გულს რომ ანაზებს,
მახარობელი გაზაფხულის, მისი სახება,
მაგრამ კოკორში თუ ჩამარხე ეგ სილამაზე,
შენი სიძუნწით ყველაფერი გაპარტახდება.

სამყარო მაინც შეიბრალე, ჩვენო იმედო,
ეგ სილამაზე საფლავისთვის არ გაიმეტო.

2

როცა ორმოცი ზამთრის ცელი მწარედ მოგცელავს,
ნატიფ ღანვებსაც დაეცემა მაშინ ლახვარი
და სიჭაბუკის ამ ოქროსფერ შესამოსელსაც
დაფლეთილ ძონძად გადააქცევს უამი მსახვრალი.

მაშინ გკითხავენ, რომ დაფარავ დროსა და მანძილს:
– დღეთა საუნჯე რა იქნაო, შენი მშვენება?
შენ ეტყვი: „თვალის უპეებში ჩავმარხე განძი“
და ამ სირცხვილით შენივე მზე ჩაესვენება.

სიამაყისთვის გეყოფოდა მაშინ მცირედიც,
რომ თავაწეულს ასე გეთქვა, ყელის ღერებით:
„პა, ჩემი პირმშო, სიჭარმაგის ბოლო იმედი
და ანაბეჭდი თავად ჩემი მშვენიერების“.

ამ განახლების მადლმა თუკი გული შებურა,
შენ სიბერეში სითბოს იგრძნობ კვლავინდებურად.

36

გამოგიტყდები! განშორებით გული მუნჯდება,
ამ დიდ სიყვარულს, რა ხანია, წუთებს პარავენ
და ერთი ლაქა მრჩება იმის დასაუნჯებლად,
რომ მარტო დამაქვს უშენობის სიაშკარავე.

ჩვენ ორს საერთო სიყვარული გვითრთის სიმივით,
მაგრამ ცალ-ცალკე ღვარძლიც დაგვსდევს, რაც ვერ
დასრულდა,
ჩვენ თუ ვერაფერს ვერ დაგვაკლებს ეს სიმძიმილი,
თავად სიყვარულს დაგვიტოვებს გულგაბასრულად.

დღეიდან მორჩა! მეკარგება შენივე ხატი,
ვეღარ შეგხვდები, რომ არ მიგცე შავბნელ კაეშანს
და შენც სახალხოდ ნურასოდეს მომაგებ პატივს,
რომ ხალხის თვალში ასე დაბლა აღარ დაეშვა.

მაგრამ, ძვირფასო, მატყუარას დავემსგავსები,
თუ არ გაგიმხელ, რომ ჩემი ხარ მთელი არსებით.

60

როგორც ზვირთები აწყდებიან ნაპირს და ქვიშროპს,
დასასრულისკენ მიიღოთ ჩვენი წუთები,
ყველა ერთმანეთს ენაცვლება, თითქოსდა, იშრობს
ყველაფერს, რასაც დღეცისმარე ვესათუთებით.

თუ სიჭაბუკეს უქადიან გვირგვინს და დაფნას,
ცოტა ხნით მოაქვთ ყვავილები ახალ-ახალი,
გაივლის დრო და მის დიდებას წყვდიადი ზაფრავს
და ნაოჭებად გადაუვლის ჟამი მსახვრალი.

რომ წარილტობა სილამაზე ორწილ თუ ასწილ,
მივხვდებით თავად, სრულქმნილება როგორ მოისრა
და სიყმანვილე დასრულდება ჩვენივე თვალწინ,
როცა ყველაფერს გადაუვლის ცელი დროისა.

მაგრამ ჩემს ლექსებს ვერ გათელავს ჟამი ვერანი,
შენი დიდება რომ ვერასდროს ხელყოს ვერავინ.

73

შენ ჩემში ხედავ წელიწადის ისეთ დროებას,
ფოთლების ნაცვლად რომ შემორჩა სიძუნე ფერთა,
ტოტები ჯერაც ირხევიან და სიტყბოება
ქრება თანდათან, ფრინველების უივილთან ერთად.

შენ ჩემში ხედავ მწუხარებას, შემოსილს ნათლით,
მზის ჩასვლის შემდეგ მიღეული სხივის ნარჩენებს,
რომელსაც ჩანთქავს უკუნეთი ყოველი ადლით
და თვით სიკუდილის ორეული ვერ მომაჩვენებს.

შენ ჩემში ხედავ, მწველი ცეცხლი როგორ ანთია,
რომლის ლადარზეც ჩაფერფლილა ჩემი ბავშვობა
და ის იმეტებს, ალბათ, ჩემთვის ბოლო განთიადს,
ვინც სასიკვდილო სარეცელი ვერ ამაშორა.

რაც უფრო ამჩნევ ჩემს აღსასრულს უძირო ზღვაში,
ვით განწირული, უფრო მეტად გიყვარგარ მაშინ.

77

სარკე განახებს ჭალარას და პირველ ნაკეცებს,
საათი წუთებს მოგაგონებს, გამქრალ ზმანებას,
რასაც ცხოვრება სტრიქონებად გიმრავალკეცებს,
ჩაიფურცლება მის წიგნშივე დაუნანებლად.

სარკეში ნახავ, მოგაჩრდილეს დროის მარაო
და იღვენთება სილამაზე მიმქრალ ნათებად,
საათი გამცნობს, რომ ამაოდ ნარამარაობ,
რადგან სიცოცხლე იმ ქვეყნისკენ მიემართება.

ჰოდა, დრო არი, ხელნაწერებს გულით გაენდო,
შავი აჩრდილი გონებაში სანამ მოვანდა,
მოვლენ შვილებიც, დაკარგული უერთმანეთოდ
და დაირღვევა მდუმარება სამაროვანთა.

ეს მოგონება შეინახავს მიმქრალ მშვენებას
და ცხოვრების წიგნს სინატიფედ გადაეშლება.

90

თუ შემიძულებ, დღესვე წადი, არვინ დაგძრახავს,
როცა სამყარო წინ აღმიდგა, ჩემო იმედო,
შენც შეუერთდი ბედისწერის ბოროტ განზრახვას,
წადი და ცრემლი სინაწულის არ გაიმეტო.

რა გითხრა, გული შევაჩვიე ტანჯვა-წვალებას
და ახლა დანას ნულარ ჩამცემ, კმარა გოდება,

ქარიან ლამეს წვიმა ნუღარ შეენაცვლება,
რადგან ისედაც აშკარაა, რა მელოდება.

ბოლო წუთამდე ნუ გადადებ, ახლა მოცადე,
ამ სოფლის წვრილმან საქმეებში რომ არ ჩავება,
ახლავე წადი, რომ ვიგემო სულით ხორცამდე,
თუ რა სასტიკი შეიძლება იყოს განგება.

თუკი ჩემ გვერდით არ იქნება შენი მშვენება,
ყველა ტკივილი უმნიშვნელოდ მომეჩვენება.

146

საპრალო სულო, სხეულში ხარ გამოკეტილი
და ზეზეურად ჩამომჭკნარა შენი ფურცლები,
უკვე გადახმა, რა ხანია, მორჩი კეთილი,
შენ კი გარეგან სილამაზეს ეკეკლუცები.

ყველა საუნჯე სხეულს რატომ უნდა მიერთვას,
როს წარმავლობას გაუშლია ფართოდ აფრები,
სხეული-ხრნნადი, განჩინებით ცათამიერთა,
ოდენ ჭიების წილხვედრია, სხვა არაფერი.

იდიდე, სულო! ზეციური გერგოს დიდება
და დაიმონე მინიერი, ულვთო კრებული,
მთელი სიმდიდრე ლვთაებრივი შენი იქნება,
ხორციელ ტკბობას თუ არ იქმენ დახარბებული.

და მხოლოდ ასე მოიპოვებ თავისუფლებას,
როცა სიკვდილსაც დაამარცხებს შენი სუფევა.

კორჯ გორდონ ბაირონი

დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი

დროა, ეს გული, ბუდე დარდების,
დანებდეს გამჩენს და არა ვნებას,
თუმცა არავის შევუყვარდები,
მე შევიყვარო, მომეცი ნება!

ჩემი დღეები ფოთლებში ჩარჩა
და ტრფობის ყველა სარო გადახმა,
მელის ჭია და ვაების ფარჩა
იმ გზის გადაღმა.

ცეცხლი რამ მიწვავს ამ გულს გათელილს,

კუნძულს ვულკანი მოედო თითქმის,
ოღონდ ეგაა, არ აქვს ნათელი
და ტანჯვად ითქმის.

იმედი, შიში, ასე რომ მნაცრავს
და ტრფობის ექო, გულს რომ მოჰკივის,
ვერ შევითვისე და შვების ნაცვლად,
დამრჩა ბორკილი.

მაგრამ არ არის ამის დრო აწი,
ეს ფიქრი ჩემს სულს ამაოდ ზაფრავს,
აგერ დიდებით მოსავენ თვალნინ
გმირების საფლავს.

მინდორი, დროშა, მჭრელი მახვილი,
ბრძოლის ქარცეცხლმა ელადას უხმო
და ვით სპარტელი, ფარზე დახრილი,
მეც ვდგავარ უხმოდ.

აღსდექი, სულო! (ელადის მსგავსად)
დრომ დღეს იმ სისხლის ჩქეფა მოდენა,
რომ შეერევა მშობლიურ ტბას და
აბობოქრდება მოულოდნელად.

დათმე წარსულის ყველა სურათი,
ნულარ იქნები ვნებებით მთვრალი,
ნუ აგაღელვებს აწი ნურაფრით
ლიმილი ქალის.

და ნუ მისტირი ყმანვილურ სულთქმას,
ჰა, იშრიტება შენი კანდელი,
შეგაცივდება ბაგეზე სუნთქვა
უკანასკნელი.

და ასე... წარსულს ნულარ იხსენებ,
გმირის სამარე ეძიე ტკბილი,
დაცხრი, დაწყნარდი და განისვენე
მარადი ძილით!

●
სიამოვნება მეგულება უსიერ ტყეში
და ზღვის ნაპირზე ალტაცების მარადი ტალღა,
არავინაა აქ ზედმეტი, არავინ შეგშლის,
აქ ზღვის მუსიკა მიირნევა მაღლა და მაღლა.
ადამიანი?! დიახ, მაგრამ პუნება ნაღდად
მე მირჩევნია. უფრო მიყვარს ცოდვით გაღეშილს,

ამ მოპარული საუბრიდან, ეჭვი რომ დაღავს,
მე თვით სამყაროს ვუერთდები მზიურ ღამეში,
იმას კი, რისი გამოხატვაც არ შემიძლია,
არა მგონია, რომ ნიღაბი უნდა რამეში.

გამოთხოვება ნიუსტედის სააგათოსთან

ქარი ეხლება შენს ქონგურებს, კოშკს და კამარას,
ჩემო ნიუსტედ, წინაპართა ძველო დარბაზო,
შენი წალკოტი ეკალ-ბარდმა დაასამარა
და ვარდთან ერთად ჟამთა სრბოლის სუსხმა დაგაზრო.

ამაყ ბარონებს კვლავ იგონებ, როგორც გჩვევია,
პალესტინაში რომ დაჰყავდათ ყველა ვასალი,
დღეს კი იმათგან ერთი გერბი შემოგრჩენია,
წარსულის ნაშთი გულმწუხარე, თილისმასავით.

აღარც ის ძველი რობერტია, ჰანგის მოდებით
ცეცხლს რომ გინთებდა თვით სამშობლოს გადასარჩენად,
ჰორისტონელ ჯონს ასკალონთან ნუ ელოდები,
სიკვდილით ძალა წართმევია მეოსნის მარჯვენას.

კრესის ბრძოლაში დაცემულან პოლი, ჰუბერტი,
მეფისთვის დალვრილ სისხლის სუნი დღემდე ტრიალებს,
თქვენ მიგიბარათ, ალბათ, მიწამ თბილი უბეთი,
ჰე, წინაპრებო! როგორც გვამცნობს მემატიანე.

ჰუბერტის გული კვლავ მარსტონში რისხვით ივსება,
ოთხი ძმის სისხლმა ის მინდორი შეღება სულმთლად,
ყველა მათგანი შეენირა მეფის ლირსებას
და სამარემდე ჩაიტანეს სამშობლოს სუნთქვა.

გშორდებით! გმირთა აჩრდილებო, მემკვიდრეს თქვენსას
შორი გზა ელის, მომავალი რასაც ანახებს,
მაგრამ თან მიმაქვს სახსოვარი, წარსულის კვნესა,
რათა ერთ დღესაც დავუბრუნდე ნაცნობ სანახებს.

ცრემლი ასველებს თუ ცხოვრება ემხობა თავზე,
შიში როდია, ლვთის ძალაა, ცრემლს რომ აძალებს,
შორს მიდის ისევ, იმედებით და ლელვით სავსე
და ვერ ივიწყებს წინაპართა წმინდა საძვალეს.

ესალბუნება ძველ დიდებას და არა მხოლოდ...
მათ სახელს არსად არ შეარცხვენს, ფიცითვე ფიცავს,
რომ, როცა ქვეყნად არ იქნება, ბოლოს და ბოლოს,
თავისი მტვერი შეურიოს სამშობლოს მიწას.

პერსი ბიში შელი

გოდება

სამყაროვ! დროო! ცხოვრებაო! მე თქვენი ნებით
ავიდგი ფეხი, რათა თქვენივ გზები მეთელა,
ახლა ვცახცახებ, ჩამიარეთ როდესაც თვალწინ,
თქვით, ძველებურად როდის უნდა გავშალო ფრთები,
– არასდროს ანი!

წამლად არ შემრჩა სიტკბოება დღეთა კარამდი,
ქორფა ზაფხული და ზამთარი ბებრის ტკივილით
ამ მისევდილ გულს მწუხარებით ავსებენ ასწილ,
ეპა, შენ მაინც, სიხარულო, გულში დავანდი,
– არასდროს ანი!

ედვინ არლინგთონ რობინსონი

რიჩარდ კორი

როცა ქალაქში რიჩარდ კორი ჩამოივლიდა,
ქვაფენილიდან შევყურებდით, თუ ასე ითქმის,
ჯენტლმენი იყო, ნუ იყითხავთ! ჩვენ კი დილიდან
რაღაც უთქმელი მღელვარება გვიპყრობდა თითქმის.

სმას დაძრავდა და კაცი იყო, მერე როგორი,
„დილა მშვიდობის“ – გვეტყოდა და გვითრთოდა მაჯა,
ეს აღტაცება ყველა განცდას ქმნიდა მოგონილს
და, რა ბრწყინვალედ ჩაივლიდა, ვიწყებდით განსჯას.

სიმდიდრით მეფეს დაჯაბნიდა. ზვინებად ედგა
ოქრო და ალბათ, სხვა საუნჯეც უნდა ჰქონოდა,
ასე ვფიქრობდით დღეცისმარე და ყველა ჩვენგანს
უფრო და უფრო უნდებოდა რიჩარდ კორობა.

ჰოდა, ვშრომობდით და ლოდინში ვითვლიდით წამებს,
რისი ხორციო, ხმელა პურზე მოვრთავდით ლრიალს,
რომ რიჩარდ კორიმ ერთ მშვენიერ ზაფხულის ღამეს,
შიგ საფეხულში დაიხალა, გულგრილად, ტყვია.

ინგლისურიდან თარგმნეს
ნინო სამურკასოვმა და გიორგი ხულორდავამ



ვასო გულეური

პიდრომეტეოროლოგი

ტელევიზორში მომესმა,
კი არ ვიძახი მოგონილს,
სიტყვა ჰგავს ენის გასატეხს:
ჰიდ-რო-მე-ტე-ო-რო-ლო-გი!

მამა ყველაფრის მცოდნეა,
ჰიდა, მას ვკითხე: მამიკო,
ჰიდრო-მეტეო-როლოგი
რას ნიშნავს, როგორ გავიგო?

მამამ თქვა: მაგის გარეშე
ცაზე ღრუბელი არ მიდის.
ეგ გვეუბნება, ხვალისთვის
როგორი გველის ამინდი...

მახსოვს, სოფელში რამდენჯერ
გავუშვით ჭიამაა,
ვეკითხებოდით – ხვალისთვის
გვითხარ, როგორი დარია?

მჯეროდა, ჩემი მამიკო
გამიმართლებდა მოლოდინს...
ჭიამაა ყოფილა
ჰიდრო-მეტეო-როლოგი!

მზე და მზია

პატარაა მზია და
მზე კი ძალზე დიდია.

უკვირს, ცის კაბადონზე
ნეტავ, რითი ჰყიდია?
კი, თოვლი და სიცივე
იცის, ზამთრის წესია,
მაგრამ მზე და ზაფხული
უფრო უკეთესია.

წელან გულში ნატრობდა,
თან მზეს ეფიცხებოდა:
– ნეტავ, მზეზე ვცხოვრობდეთ,
სულ არ შეგვცივდებოდა!

რა დახატა ბაქარმა

ხატვას იწყებს ბაქარი,
მოიმარჯვა ფანქარი.

დახატა და წაშალა
დაკლაკნილი გზა-შარა.

მერე – დიდი სახლი და
გზაც დახატა ახლიდან.

გზასთან – ღობეებია,
გზაზე მიდის ბებია.

სახლის გვერდით ბალია,
იქვე – ჭაა თავლია.

ჭასთან სხედან ქათმები,
ბალში მოჩანს ატმები.

ბალთან ძროხა აბია
და ბავშვები დარბიან.

დააკვირდით, აქ არის
თვითონ ჩვენი ბაქარიც...

თურმე, იმას ხატავდა,
რაც გულში აქვს ნატვრადა.

სოფელი და ბებია
როგორ მონატრებია.

უსაქმური

არ დაგავა თაგვმა სორო,
არ აანთო გაზის ქურა.
თქვა – დღეს უნდა დავისვენო,
დღეს ვიქნები უსაქმურად!

არც სარეცხი უნდა ვრეცხო,
არც სადილი გავაკეთო...
წრუნებო, ითამაშეთ,
როგორც გინდათ, გაერთეთო!

რა იქნება, ერთი დღე რომ
მეც ვიცხოვრო ქალაქურად?
არც ბოსტანში ვიმუშავებ –
დღეს ვიქნები უსაქმურად!

ფეისბუქზე გავერთობი,
მართალს ვამბობ, განა ვხუმრობ...
და სტატუსად დააწერა –
ნუ მაწურებთ, ვუსაქმურობ!

მელა და კომპიუტერი

თურმე, კომპიუტერი
უყიდია მელიას.
უამისოდ, ტყეშიც კი
დღეს ცხოვრება ძნელია.

დადგა თავის სოროში,
ინტერნეტიც ჩართო და
ახლა დაღამებამდე
არ აკლია გართობა.

„ჩეთში“ ესაუბრება
ლამაზ-ლამაზ ვარიკებს,
ზოგს სიყვარულს უხსნის და
ზოგსაც ჭკუას არიგებს.

გადმოწერა თამაში
„სუპერმელა ნადირობს“ –
თაგუნიებს მინდორში
ბდლვირი უნდა ადინოს.

მონიტორის ცქერაში
სულ დაკარგა გონია,
„მაუსს“ ისე დაჰყურებს,
მინდვრის თაგვი ჰგონია.

პირზე ნერწყვი მოადგა,
ცოტაც კიდევ ეწამა,
ბოლო-ბოლო „მაუსი“
მართლა შემოეჭამა.

პატარა ენოტის სიმღერა

საბავშვო ბალში ენოტი
თავის დედიკოს ელოდა.
მაგრამ არ მოუწყენია,
მთელი დღე ასე მღეროდა:

– ჩემი დედიკო ენოტი
არის თბილი და ფაფუკი,
ჩემი დედიკო ენოტი
ტკბილია, როგორც ბამბუკი.
ჩემი დედიკო ენოტი
არის კეთილი ფერია.
ჩემი დედიკო ენოტი
ყველაზე საყვარელია!

სალამოს, როცა მოვიდა
ბალში დედიკო ენოტი,
ჰკითხა პატარა ენოტმა
– გაიგე, როგორ ვმღეროდი?

მზესუმზირა

ტყეში, ყვავის ბახალამ,
მზესუმზირა დახალა.

ბნელ სოროში თხუნელა
გააპრუა სურნელმა.

– მეც კი ვაკნაწუნებო,
განა დავიწუნებო!

მერე ჩხიკვი მოფრინდა
ცარიელი თოფრითა.

— კარგი სუნი მეცაო,
ჩამიყარე მეცაო!

მელიამ თქვა — ვიყნოსო,
არვინ გამაბრიყვოსო.

სურნელია რისაო?
აჲ! მზესუმზირისაო!
გავიარო, ეგება
მეც რაიმე მერგება!..

ბახალამ თქვა — რა გიყოთ,
რაც მაქვს, ყველას გაგიყოფთ.

ოცდაოთხი მარცვალი —
სულ ეს არის, რაც არის!..

როგორ გაყო, რა მოხდა,
ნულარ დამლლით კითხვებით...
თითოს შეხვდა რამდენი,
თქვენ თვითონვე მიხვდებით!

წვიმა და გაყაყები

წვიმის წვეთები
— წკაპ!
— წკაპ!
მოსწყდნენ პატარა ღრუბელს.
ბაყაყები კი
— ტყაპ!
— ტყაპ!
არ სცილდებიან გუბეს.

პირდაფჩენილნი იყვნენ,
ცხელი დღე იყო რადგან...
ყიყინი ისმის ირგვლივ
— ჩვენი ამინდიც დადგა!

ჯოჯო

ჯუჯა ჯოჯო მზეზე გაწვა,
გარუჯვა სურს, განა დაწვა.

რადგან ჯოჯო არის ჯუჯა,
მზეზე მალე გაირუჯა.

პატარა ღრუბლის სიმღერა

თეთრი ღრუბლის ქულობა
არ გეგონოთ ხუმრობა!

ჯერ პატარა ფთილა ვარ,
ჯერ თამაში მაცალეთ –
სან ბაჭიად ვიქცევი,
ბალახზე რომ ბანცალებს.

სან ბელი ვარ პატარა,
ბურდღლუნა და დანდალა.

სან კვიცი ვარ, მივქრივარ
ცაზე ფაფარაშლილი,
მთის წვერს გადავევლები,
არაფერი მაშინებს.
სან ბურთივით მრგვალი ვარ,
სან - აფრა ვარ გაშლილი.
ქარი რომ დამიბერავს,
გავქროლდები მაშინვე.

ჯერ თამაში მაცალეთ,
ჯერ მაცალეთ გართობა...
გავიზრდები დიდი და
წვიმად მერე წამოვალ.

წაუკითხეთ პატარებს



მზეო, მიყვარხარ და ჩემი მეგობარი იქნები სულ, სულ და ყველას უთხარი ეს სურვილი, რომ შენ იყო სულ ესეთი ვინმე და, არა მგონია, ტალღებში ჩაიძირო. მგონია, ზღვის ნაპირას ჩაიძირები, მე კი შენთან ვიქნები ყოველთვის და არასოდეს გავუშვებ ამ სურვილს და სხვაგან არ გავცურავ არსად – ეს მარტო ზღვას უთხარი...

ტალღებს კი უთხარი, რომ ძალიან კარგი იქნება, შენ სულ ჩემთან იყო და სულ, სულ სხივებით გაანათო, სულ, სანამ ჩაიძირები; კიდევ ერთ სურვილს გეტყვი: შენ ჩემი, ჩემი, ჩემი ყველაზე, ყველაზე კარგი, კარგი მეგობარი ხარ და საერთოდ ყველაზე კარგი ხარ, ყველაზე წყნარი ხარ...

მოფერებით ამბობენ: თვალები აქვს და პირი, ყურები აქვს, მაგრამ მე დაგიძახებ უფრო კარგად – მზე ხარ, შენ ანათებ და ყველას ათბობ და ეგრე იქნები სულ...

ელენე მოსაშვილი, 4 წლის და 2 თვის.

მზის ჩასვლა ჩაქვის სანაპიროზე.

კვირა, 3 სექტემბერი, 2017.

(ჩანაწერი ვიდეოდან)



ალინა ქადაგიშვილი



რა გვერგო მემკვიდრეობად? (თემურ და გელა ბაბლუანების ფილმი „მემკვიდრეობა“ კადრში და კადრს მიღმა)

მოგზაურობას, სხვა ყველაფერთან ერთად, ის კარგი თვისებაც აქვს, რომ დავიწყების საშუალებას იძლევა. წარსულზე წუხილსა და მომავლის მოლოდინს, ათასგვარ თავის ტკივილს თუ წვრილმან საზრუნავს უკან მოიტოვებ და აწმყოთი იწყებ ცხოვრებას, უფრო მეტად სხვათა ცხოვრებით... ასე, გონიერის გასაანიავებლად მიდიოდნენ, ალბათ, ან სულაც, საკუთარ თავს გაურბოდნენ ის მოგზაურები, რომელთა სახელი ისტორიამ ან შემოინახა, ან ვერა, სახელმძღვანელოები კი გვარწმუნებდნენ, თითქოს ისინი საყოველთაო, საკაცობრიო ბეჭინიერებისა და მეცნიერების პროგრესისთვის იღვწოდნენ მხოლოდ და სხვა საფიქრალი არ ჰქონიათ... თუმცა ისეთებიც ხომ იყვნენ, უპატიოსნონი, რომლებსაც მთელ ამ ამბავში მხოლოდ გამორჩენა, პირადი სარგებელი აინტერესებდათ; სხვათა ძვლებსა თუ ოქროზე აგებული კარიერა და სასახლეები. როცა განვითარებით მათზე დაბლა მდგომ ადგილობრივ მოსახლეობას ველურებს უწოდებდნენ, როცა იმთავითვე უარყოფდნენ დამხვდურთა მსოფლმხედველობის, ტრადიციებისა და ცხოვრების წესის ახ-

სნის, გააზრების სურვილს, მით უფრო, პატივისცემას. ახლა მათ გვერდით ის ადამიანებიც წარმოვიდგინოთ, რომლებიც მტაცებლებს სულაც არ ჰგავდნენ, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამოვალდებულნი იყვნენ მათთვის მეგზურობა გაეწიათ – გამყოლის ან თარჯიმნის სამუშაო ეკისრათ...

2007 წლის ზაფხული. ფრანგულ საერთაშორისო ტელეარხზე, ჩემდა გასაოცრად, საქართველოზე გადაღებულ ფილმს აჩვენებდნენ. სულ მთლად დასაწყისს ვერ მივუსწარი, ბოლოს გავიგე მხოლოდ, რომ ფილმს „მემკვიდრეობა“ ერქვა; თემურ და გელა ბაბლუანების ავტორობითა და შერეული, ფრანგულ-ქართული შემადგენლობით 2006 წელს გადაუღიათ. მახსოვს, ბავშვობაში არ მიყვარდა მოკლე შინაარსების წერა. არც ის მიყვარდა, როცა ვინმე ფილმის მოყოლას იწყებდა, მაგრამ ახლა მეც ამგვარი მთხობელის როლში აღმოვჩნდები ნებსით თუ უნებლიერთ. ათი წლის წინათ ნანას ფილმს ამას წინათ კიდევ რამდენჯერმე გადავხედე და მივხვდი, რომ საკმაოდ კარგად მახსოვდა, თუმცა რამდენიმე დეტალი მაინც გამომრჩენოდა, რომლებზეც ქვემოთ

მოგახსენებთ. ახლა კი მივყვეთ მთავარ სიუჟეტურ ხაზს: ფილმის მოქმედება რომ 90-იან წლებში ხდება, უმაღ მივხვდებით შუა თბილის-ქალაქში დღი-სით-მზისით გახშირებული ძარცვითა და ძველი წითელი ავტობუსით, მესტი-აში ასვლას რომ ორ დღეს ანდომებს. მოკლედ, ქვეყანაში განუკითხაობაა და ასეთ დროს დედაქალაქს სამი ახალგაზრდა ფრანგი ესტუმრება, ორი ქალი და ერთიც მამაკაცი, რომლებიც ქართულის მცოდნე ფრანგ თარჯიმანს მიაგნებენ. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთ ქალს სადღაც სვანეთში მემკვიდრეობა მიუღია – ასწლოვანი კოშკი, რომელიც თურმე მე-20 საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში გათხოვილი მისი დიდი ბებიის ოჯახს ეკუთვნოდა. მართალია, კოშკისგან მხოლოდ ნაგრევებია შემორჩენილი, მაგრამ ის მაინც მიდის სანახავად და მეგობრებიც თან მიჰყავს. საინტერესოა, რომ სიტყვა „სვანეთს“ მთელი ფილმის მანძილზე ერთხელაც არავინ ახსენებს, მასზე მხოლოდ კონტექსტით მიგვანიშნებენ ფილმის ავტორები.

წესრიგზე ზრუნავენ და ბოლოს ავტობუსში ამოდიან ორნი – ბაბუა და შვილიშვილი. გამცილებლები მათ თეთრ ნაჭერში გახვეული კუბოს ამოტანაში ეხმარებიან და ავტობუსიც ადგილიდან იძვრის თავისი უცნაური მგზავრებითურთ. ფრანგებს ცნობისმოყვარეობა კლავთ და ტანში ზარავთ – რატომ ამოიტანეს კუბო? აღმოჩნდება, რომ შვილიშვილი, ახალგაზრდა ვაჟი, უნივერსიტეტში ფრანგულს სწავლობს და უცხოელებს თავის ამბავს მათ მშობლიურ ენაზე უყვება (ზედმეტად გამართულად და სრულიად უაქცენტოდ!): მე ბაბუას მივყვები ჩვენი მოსისხლე მტრების სოფელში, ხვალ მას მოკლავენ და კუბო ამიტომ მიგვაქვსო. კორსიკელების ვენდეტა ჩვენს ფრანგ სტუმრებს მხოლოდ ზღაპრად თუ გაუგონიათ და ჯერ გაოგნებულნი არიან, შემდეგ კი გადაწყვეტენ, თან გაყვნენ ვაჟს და ეს დაგეგმილი მკვლელობა ჩუმად ვიდეოკამერით გადაიღონ, თანაც, ვითომდა, დახმარების სურვილიც ამოძრავებდეთ, თითქოს შეეძლოთ შველა იქ, სადაც სისხლის აღება, უკ-



გზაში ავტობუსს, წარწერით „მესტია“, პატარა „დელეგაცია“ დახვდება, უკრავენ ცოცხალ მუსიკას – დუდუკები, დოლ-გარმონი და გასვენების ჩვენებური რეპერტუარი. ბრგე ვაჟკაცები

ვე ორმოც წელიწადია გრძელდება და ადგილობრივი ხელისუფლება და პოლიციაც კი შეგნებულად არ ერევიან მოქიმებების საქმეში. ამასობაში ფრანგების ჯგუფში აზრთა სხვადასხვაობა

ჩნდება: ქალი, რომელსაც მემკვიდრეობა ერგო – დანგრეული კოშკი შორეული წინაპრების მინაზე, ასეთ საქციელს მიუღებლად მიიჩნევს, ამავე აზრისაა მათი თარჯიმანიც, თუმცა, საბოლოო ჯამში, ოთხივენი ერთად მიჰყვებიან ბაბუასა და შვილიშვილს. ის, რასაც ფრანგი ტურისტებისთვის თავდაპირველად თავგადასავლის, ავნტიურის სახე ჰქონდა, ბოლოს ნამდვილ ტრაგედიაში გადაიზარდა, რადგანაც უცხო პირების ჩარევა საგვარეულო დაპირისპირებაში ყოვლად დაუშვებელია. ამგვარად, დახმარების ნაცვლად, მათ უნებლიერ სისხლისლვრის გაგრძელება გამოიწვიეს... მოდით, აქ დავასრულებ ფილმის სიუჟეტის თხრობას, რაღაც ინტრიგა ხომ მაინც უნდა დაუტოვო იმათ, ვისაც ბაბლუანების ნამუშევარი ჯერ არ უნახავს?! ბაბლუანებისამეთქი, როცა ვამპობ, მთელი ოჯახის ერთობლივ ნამოღვანარს ვგულისხმობ: მამა-შვილი – რეჟისორები; ოლღა ბაბლუანი, იმ დროს ლეგრანი – ერთ-ერთ მთავარ როლში; არც ოგიუსტენ ლეგრანს, ფრანგ მსახიობს შეხვედრია მთლად მეორეხარისხოვანი როლი... ჰო, კინაღამ დამავიწყდა, ბატონი თემურის უმცროსი ვაჟი – გიორგი ბაბლუანი შვილიშვილს განასახიერებს და, სხვათა შორის, საკმაოდ დამაჯერებლადაც. გარდა ამისა, ტიტრებში კიდევ სამი ბაბლუანი აღმოვაჩინე: ამირანი, ლია და შაკო.

გიდისა და თარჯიმის როლში ყოფნა მეც არაერთხელ მომიხდა, ოლონდ კინოში არა, ცხოვრებაში. რაღა დაგიმალოთ და სულითა და გულით ვგულშემატებულობდი იმ უალრესად წესიერ ფრანგ თარჯიმანს, რომელიც ფილმის ბოლო ეპიზოდში ფულის გადასაცემად მასთან სახლში მისულ ერთ-ერთ ტურისტს ეუბნება: ალარ მინდოდა თქვენი ნახვა. ვცდილობ, თქვენნაირ ხალხთან საქმე არ დავიჭირო, მაგრამ არაფერი გამომდისო. ე. ი. მზად იყო, საკუთარ

გასამრჯელოზე უარი ეთქვა, ოლონდ კი მათ აღარასოდეს შეხვედროდა! ჩანს, რომ ფრანგ ახალგაზრდებსაც აწუხებთ სინდისი, რადგან გიდთან მხოლოდ ოლღა ლეგრანის პერსონაჟი მიდის. ისიც სხვებივით განიცდის მომხდარს, თუმცა მაინც ვერაფერი გაუგია ამ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანებისა.

მოგზაურობას რაც შეეხება: როცა ერთსა და იმავე მარშრუტს ხშირად გადიხარ, ძალაუნებურად გზასაც იმახსოვრებ... მთა საქართველოში თითქმის ყველგანაა, მაგრამ არც ერთი მთიანეთი ერთმანეთს არ ჰგავს. ფილმის მოქმედების თითქმის ნახევარი გზაში ხდება, ჰოდა, რაც ათი წლის წინათ გამომრჩა, ახლაღა შევამჩნიე. რასაც ფილმში ვხედავთ, საქართველოს სამხედრო გზაა, რომელსაც, როგორც მოგეხსენებათ, სვანეთში კი არა, მთიულეთსა და ხევში ავყავართ – ფასანაურში, გუდაურსა და სტეფანწმინდაში. ეს არაგვისა და თერგის ხეობების გაშლილი, თვალუწვდენელი სივრცეა და არა სვანეთის ვიწრო და მიხეულ-მოხეული აღმართები. ფილმში დაშვებულ ერთ-ერთ ლაფსუსად ისიც მეჩევნება, რომ, როცა მგზავრები საჭმელად და ხელ-პირის დასაბანად გაჩერდებიან, კადრში თვალნათლივ გამოჩენდება გრიგოლ ორბელიანის ობელისკი, რომელიც იქ აღუმართავთ, საიდანაც დაიწყო მისი მეთაურობით წარმოებული ცნობილი ლაშქრობა შამილის წინააღმდეგ...

საერთოდაც, მიუხედავად ფილმის ბევრი ღირსებისა, როგორიცაა ორიგინალური სიუჟეტი, საჭირბოროტო საკითხების წამოჭრა, გმირების ხასიათების დამაჯერებლად გახსნა, მსახიობების ძალდაუტანებელი თამაში, ისიც აღსანიშნავია, რომ ფილმი უცხოელებისთვის, პირველ რიგში კი, ფრანგებისთვის არის გადაღებული და არა ქართველებისთვის. დიახ, ქართველების მიერ; დიახ, საქართველოში; დიახ, არსებული რეალობის გათვალისწი-

ნებით, მაგრამ იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, როგორ? ჰოდა, ეს „როგორ“ არის ისე, რომ „მათთვის“ იყოს გასაგები, ამიტომაც ფილმი სავსეა სხვადასხვა კლიშეთი, რომლებზეც საუბარი შორს წაგვიყვანდა. საქმეც ისაა, რომ ყველა ამ ნაკლოვანებათა შემჩნევას ჩვენი ქართული ყოფის სათანადო ცოდნა სჭირდება, აյ ცხოვრება. ამიტომ უცხოელების უმრავლესობა მათ საერთოდ ვერ ამჩნევს და როგორც წესი, ნანახით სრულიად კმაყოფილია. სწორედ ასე მოხდა ოთარ იოსელიანის

ფილმის „სამზარეულოსთან“ ოდნავი შეხება მაინც მქონდა. სიმართლე გითხრათ, გამიჭირდა ყურება, უფრო სწორად, ძალიან მალე, სულ რაღაც ხუთ წუთში დავკარგე ყოველგვარი ხალისი. რატომ? მიუხედავად უდიდესი ცნობისმოყვარეობისა, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ის, რაც ეკრანზე ხდებოდა, ჩვენ არ გვეხებოდა, რომ რაღაც სრულიად სხვა ამბის „შემოსალებას“ ცდილობდნენ: ეს იყო გამოგონილი საქართველო გამოგონილი დედაქალაქით და მისი გამოგონილი მცხოვრებლებით,



ერთ-ერთი ფრანგი შეგირდის, უიული ბერტუჩიელის ფილმის „რაც ოთარი წავიდა“ შემთხვევაში. ფილმის უმეტესი ნაწილი საქართველოშია გადაღებული, ხოლო სცენარზე, რამდენადაც ვიცი, ქართველებმა და ფრანგებმა ერთობლივად იმუშავეს, ისევე, როგორც მთლიანად ფილმზე. „შემკვიდრეობისა“ არ იყოს, ისიც ჩვენი ისტორიის უახლოეს პერიოდს, კერძოდ კი 90-იან წლებს ასახავს – უმუქო, უწყლო, უიმედო დროს, როცა ძალიან ბევრი ქართველი – კაცი თუ ქალი უცხოეთში მიემგზავრებოდა ოჯახის ფეხზე დასაყენებლად. ძალიან მაინტერესებდა, მენახა „რაც ოთარი წავიდა“, რადგან ერთხანს გადასაღებ მოედანზე თარჯიმნად ვიმუშავე და როგორც იტყვიან,

რომელთა შორისაც ვერავის ვცნობდი! შინაგანად მთრგუნავდა ხელოვნურობისა და რაღაცნაირი დისტანციის განცდა, თითქოს საქართველო ძალიან შორიდნ, საფრანგეთიდან დაინახეს და იქიდანვე გადაიღეს, მიუახლოებლად. თითქოს ქუჩებიც ჩვენია და სახლებიც, მაგრამ პარდონ (უკაცრავად ბარბარიზმისთვის) და მაინც ეს არც თბილისია და არც თბილისელები. საკითხი ასე დაისმის: რატომ არ უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს ის, რასაც ვხედავთ კადრში და რაც არსებობს (თუ არსებობდა) კადრს მიღმა? და თუ ახალგაზრდა ფრანგი რეჟისორი ქალი ამას ვერ გრძნობდა, კონსულტანტები ხომ სწორედ იმისთვის არსებობენ, რომ მსგავსი რამეები აუხსნან. თუმცა, ვინ იცის, იქ-

ნებ, ეცადნენ კიდეც სხვანი და სხვანი, მაგრამ, მოგეხენებათ, კარგ მთქმელს კარგი გამგონეო და ეს უკვე სულ სხვა თემაა...

დავუბრუნდეთ ბაბლუანების „მემკვიდრეობას“. ისეთი მსახიობების გვერდით, როგორებიც ლევან უჩანე-იშვილი, სილვი ტესტიუდი და პასკალ ბონგარი არიან, აյ არაპროფესიონალებსაც ვხედავთ. მათ შორისაა ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი, რომლისთვისაც ეს კინოდებიუტი ერთდროულად უკანასკნელი როლიც აღმოჩნდა. მისი გარეგნობა იმთავით-ვე იქცევს მაყურებლის ყურადღებას, მიუხედავად იმისა, რომ უან გაბენივით

იყო ჩვენს განკარგულებაში. ლამის ათ საათს ბევრი აღარაფერი უკლდა, რო-დესაც მესტიას მივაღწიეთ. ერთ-ერთ კაფეში (სადაც ნამცხვრების რეკლამამ „შეგვიტყუა“), ლამის გასათევი ადგილი რომ ვიკითხეთ, გულისხმიერმა მეპატ-რონემ საკუთარი მანქანით ახლობლის ოჯახში მიგვიყვანა, როგორც მოგვია-ნებით გაირკვა, საკუთარ ბიცოლასთან. ცერტიფიდან ოდნავ მოშორებით, მყუდ-რო ადგილას ორსართულიან სახლში დავბინავდით, რომლის მშენებლობაც სულ ცოტა ხნის წინ დაესრულებინათ. ბედნიერ შემთხვევას ვუმადლოდით და ვრცელი აივნიდან ახლომდებარე კოშ-კებს ვათვალიერებდით. ყველაზე მე-



თითქმის ყოველთვის დუმს კადრში. ისე მოხდა, რომ ცხოვრებამ ამ ადა-მიანის ნაკვალევზე გამატარა – ეს წე-რილიც აქედანაა. ისევ მოგზაურობა... ამჯერად – ოცნებად ქცეულ სვანეთში (წესით, უცხოეთში გამგზავრებაზე არც უნდა იფიქროს კაცმა, სანამ სა-ქართველოს არ მოივლის კიდით კიდემდე). უკვე ტრადიციად მექცა, თითქმის ყოველი მოგზაურობიდან ჩამომაქვს სიუჟეტი მომავალი წერილისათვის, მაგრამ ამჯერად მსგავსი არაფერი დამიგეგმავს. მე და ჩემს მეგობრებს მხოლოდ ის გვსურდა, რაც შეიძლება, მეტი რამ გვენახა მესტიაში და უშ-გულამდეც მიგველნია. სულ ორი დღე

ტად კი ჩვენი ხნიერი დიასახლისის სიმშვიდემ და სათნოებამ მოგვხიბლა, ცისფერი თვალების მოულოდნელად ბავშვურმა მზერამ. ეს თქვენი მეულ-ლეა? – ფოტოზე მივუთითე. მეულლე იყო, ცხადია. ორი წლის გარდაცვლილი აღმოჩნდა. ძველ ფოტოზე მამაკაცი მხნედ გამოიყურებოდა, ძლიერი, ენერ-გიული. დიახ, ასეთი იყო: უშიშარი, ვერ იტანდა უსამართლობას... ახალგაზ-რდობაში სპორტს მისდევდა, კინოშიც კი გადაიღეს, – იხსენებდა ქალბატონი დიანა. ახლა კი ყურები ვცქვიტე. კინო-ში? რომელ ფილმში? ბაბლუანმა გადა-იღო რამდენიმე წლის წინ, სვანეთზეა ის ფილმი. ჩემს გაოცებას საზღვარი

არ ჰქონდა: აღმოჩნდა, რომ სვანეთის ლომად შერაცხული ლეო ჯაფარიძის ოჯახში ვიყავით, რომელიც „მემკვიდრეობაში“ ბაბუას ასახიერებს. ათი წლის წინათ ნანახი უმაღლ თვალწინ დამიდგა, ყველაზე მეტად სწორედ მის მიერ შექმნილი სახე მახსოვდა... მეორე დღეს დიასახლისმა იქვე გვერდზე მდგარ ძველ სახლში შემიყვანა, ფილმის პლაკატი მაჩვენა, რომელზეც ბაბუა და შვილიშვილი არიან გამოსახულნი – ცნობილი კადრი ფილმიდან. ახალ სახლს ვერ ვეგუებიო – იქვე ერჩივნა ყოფნა, სადაც ჯერ კიდევ დედამთილმამამთილთან ერთად ცხოვრობდნენ, სადაც გაიარა მისმა ახალგაზრდობამ... ლეო საკუთარ თავს თამაშობდა, სწორედ ეს მოეთხოვებოდა, ამიტომაც შეაჩერა თემურ ბაბლუანმა მასზე არჩევანი, – ამბობს ქალბატონი დიანა. ახლა კი იმას გიამბობთ, რაც ფილმის გადაღებას რამდენიმე ათეული წლით უსწრებდა წინ. თემურ ბაბლუანს, რომელიც წარმოშობით ლენტეზის რაიონის სოფელ ჩოლურიდანაა, თბილისის ერთ-ერთი სკოლის მეექვსე კლასში ყოფილა, როცა დიდ ბიჭებთან უთანხმოება მოსვლია და დახმარების თხოვნით მასზე გაცილებით უფროსი ლეო ჯაფარიძისთვის მიუმართავს, რომელსაც დედაქალაქში დაჩაგრულთა ქომაგის სახელი ჰქონდა... ბატონი ლეო გამოსარჩებია. მათი წაცნობობაც აქედან დაწყებულა. ჰოდა, როცა რეზისორი თავისი ფილმისთვის შესაფერის ტიპაჟს ეძებდა, არც დაფიქრებულა, ისე მიუმართავს უფროსი მეგობრისთვის, რომელმაც, მშობლიურ მხარეში ასეთი პოპულარობის მიუხედავად, ცხოვრების უდიდესი ნაწილი თბილისში გაატარა, სადაც თსუ-ის სტუდენტების კომენდანტად მუშაობდა. უკვე ჭარმაგი, მაგრამ ძველებურად წარმოსადეგი ლეო ჯაფარიძე მთლიანად იპყრობს ეკრანს – როცა ის ჩანს კადრში, ძნელია სხვა მსახიობებზე იფიქრო. მოსვენებას

არ გაძლევს მისი ნაოჭებით დაღარული სახე, მთიელი კაცის სიტყვაძუნწობა, მკაცრი და პირქუში მზერა. ის, თუ როგორ ინარჩუნებს სასიკვდილოდ მიმავალი, გარეგნულად მაინც, გულგრილობას მტრებისა თუ ავი ბედისწერის მიმართ, ხოლო თანაგრძნობისა და სიბრალულის ნებისმიერ გამოხატულებას, ერთგვარად, ეჭვის თვალით უყურებს. გარეგნულად-მეტქი, იმიტომ ვახსენე, რომ, როგორც მოგვიანებით ირკვევა, მისი გული თურმე ამ დროს უხილავი ცეცხლით იფლითებოდა იმ ვულკანივით, ყველას რომ მძინარე ჰგონია. მიუხედავად ამისა, პოლიციის უფროსის (რომლის როლსაც გივი სიხარულიძე თამაშობს) შეკითხვას, მიდიხარ, არა? მშრალად და ქედმალლურადაც კი პასუხობს, მივდივარო, იმ ადამიანის მსგავსად, რომლის სიტყვაც ძვირად ფასობს და ვინც ვერ იტანს შეპასუხებას. ცხოვრებაშიც ასეთი იყოო... მას შემდეგ, რაც უმაღლეს განათლებას დაუუფლნენ, ლეო ჯაფარიძის შვილები დედაქალაქში ცხოვრობენ და მუშაობენ, მაგრამ, ცხადია, არ ივიწყებენ ხნიერ დედას და წინაპართა ფუძეს. ვიმედოვნებ, რომ ამ ოჯახის შემთხვევაში არ განმეორდება ის სევდიანი ისტორია, რაც, ბაბლუანების ფილმის მიხედვით, ფრანგი ახალგაზრდების სვანეთში წამოსვლის საბაბად იქცა. გვიხაროდა, როცა ვხედავდით, რომ ტურიზმის განვითარებასთან ერთად, არაერთი სვანი დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს, თუმცა ძველისძველი კოშკების უმრავლესობა ისევ და ისევ მიტოვებულია და უამთა სვლისგან შელახული. „იშვილე კოშკი“ – ასე ჰქვია ქართულ-იტალიურ ფონდს, რომელიც ამ წლის აპრილში შეიქმნა და მიზნად ისახავს სვანური კოშკების გადარჩენა-რეაბილიტაციაზე ზრუნვას. პროექტის ინიციატორები არიან იტალიელი არქიტექტორი სილვიო კალვი და არქეოლოგი რაფაელა პოვანი, რომელმაც პირველი კოშკი

იშვილა. თურმე კოშკის გადასარჩენად არც ისეთი უზარმაზარი თანხაა საჭირო და თუ მათ წამოწყებას ქართველებიც აჰყვებიან, შესაძლოა, როგორც იტალიელები იმედოვნებენ, სვანური კოშკები მსოფლიოს ღია მუზეუმების რიცხვში მოხვდეს.

...და მაინც ძალიან მადლობელი ვარ ბაბლუანებისა! მათ თავიანთი ქართულ-ფრანგული ფილმით მოახერხეს და გვაგრძნობინეს მთავარი – მოგვწონს თუ არა, წინაპრებისგან მემკვიდრეობად სწორედ ეს გვერგო: ხალხი, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ მოიპოვა დამოუკიდებლობა და ხეირიანად ვერ გაუგია, რაში გამოიყენოს, თავად როგორ აიღოს პასუხისმგებლობა და საკუთარი გასაჭირი სხვას არ გადააბრალოს; ქვეყანა, სადაც ხელისუფლების სისუსტეს უმაღლ მოჰყვება ათასგვარი ნაძირალას თავაშვებულობა, რადგან მის მოსახლეობას ერთსულოვნება აკლია; ქვეყანა, სადაც არა მხოლოდ საპჭოთა პერიოდის, არამედ ადრე-ფეოდალური და წარმართული ხანის გადმონაშთებსაც კი შეხვდები, ღრმად გამჯდარს აზროვნებასა და ცხოვრების

წესში, იმ ტრადიციებში, რომლებიც კვლავაც ქართველების სულისკვეთებას გამოხატავენ, რაც უნდა დრომოჭმულად და ველურად გვეჩვენებოდეს... ქვეყანა, სადაც უკვირთ, რომ ფრანგებს არ უყვართ წაპოლეონი, იმის გამო, რომ მისმა ნამოქმედარმა ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა: ეს ადამიანები ოდესმე მაინც დაიხოცებოდნენ, დღეს აღარც ერთი არ იქნებოდა ცოცხალი, სამაგიეროდ, როგორი გმირული ცხოვრებით იცხოვრესო! – ამბობს ფილმის ერთ-ერთი გმირი. ქვეყანა, სადაც სიყვარულის სახელით სიკვდილი და თავგანწირვა არავის უკვირს. ტანჯული სიყვარულის ქვეყანა... ალბათ, ამიტომ უღერს ფილმში რეფრენივით იეთმი გურჯი... „კარგი იყო, არ გამეცნე თავიდან“... ქვეყანა, სადაც უძველესსა და უდიდეს კულტურას ბარბაროსობა ემიჯნება, კონტრასტების ქვეყანა. მაგრამ უკანასკნელი პერანგის სხვისთვის მიმცემი ადამიანების ქვეყანა, რომელსაც ბავშვივით უნდა მოვეფეროთ და მოვუფრთხილდეთ. ჩვენი შვილების ქვეყანა!